ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

9

სვეტლანა

1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

9791

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეხუთე

4665

9

სექტემბერი

★

თბილისი

1948

შინაარსი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან 3
ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი 4
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან 6
ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა 7

ვახტანგ გოგბაანელი — მწყემსი, ლექსი 9
ვარლამ ჟურული — ყაზბეგის წიგნში, ლექსი 12
გიორგი გულია — გაზაფხული საკენში, მოთხრობა, დასასრული, თარგმანი რუსულიდან პ. ბახტურიძისა 13
იოსებ ნოხეშვილი — რიგა, ლექსი 64
სოლომონ თავაძე — მაისის განთიადი, რომანი, გაგრძელება 66

დემნა შენგელაია — ალექსანდრე ყაზბეგი, წერილი 84
გიორგის კანდელაკი — ალ. ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება. წერილი . . . 103
შალვა გოგზალიშვილი — ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის" ერთადერთი ხელნაწერის გარშემო, წერილი 110

ლ. გოგბილაძე — სამოციანი წლების ქართველი განმანათლებლები, წერილი . . 119

დოც. კ. ჭანიშვილი — მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერებისათვის, წერილი 134
პროფ. ს. ნარიკაშვილი — ელექტრული მოვლენები ადამიანის თავის ტვინში, წერილი 148

ზაქარია მაჭავარიანი — მოგონებანი ვასილ პეტრიაშვილზე 157

კ. ბაქრაძე — პროფ. ს. დანელიას რეცენზიის შესახებ, წერილი 165

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

• სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10½ ფ. უე 02758. შეკვ. 1130. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უდიდესი მწუხარებით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 31 აგვისტოს დღის 3 საათსა და 55 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი **ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.**

გარდაცვალება ამხანაგ ა. ა. ჟდანოვისა, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის დიადი საქმისადმი სამსახურს შესწირა, უდიდესი დანაკლისია პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

ამხანაგ ჟდანოვის სახით პარტიამ დაჰკარგა მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნიჭიერესი პროპაგანდისტი, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო მშენებელი.

დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხანაგმა ჟდანოვმა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის მგზნებარე მოღვაწეობით, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებით პარტიისა და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის მხურვალე სიყვარული დაიმსახურა.

ცხოვრება ამხანაგ ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვისა, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე ენერგია კომუნიზმის მშენებლობის საქმეს მოახმარა, მაგალითი იქნება ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა მშრომელისათვის.

საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი

31 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე **ჟდანოვი.**

ანდრია ალექსანდრეს-ძე **ჟდანოვი** დაიბადა 1896 წლის 26 (14) თებერვალს ქალაქ ვარიუპოლში სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ოჯახში. მამამისის ტვერში გადასვლის შემდეგ, ა. ა. **ჟდანოვი** თექვსმეტი წლის ჭაბუკი (1912 წელს) ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობას იღებს ქალაქ ტვერის (ამჟამად ქალაქ კალინინის) მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ბოლშევიკური პარტიის რიგებში ა. ა. **ჟდანოვი** 1915 წელს შედის. იგი აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწევა ქალაქ ტვერის მუშათა რაიონში. ამხანაგი **ჟდანოვი** მალე პარტიული მუშაკი ხდება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, არმიაში მობილიზაციით გაწვეული, იგი ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევა ჯარისკაცებს შორის. მონაწილეობას იღებს ურალში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში. სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგი **ჟდანოვი** მუშაობს პოლიტიკურ განათლებაზე წითელი არმიის ნაწილებში, პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ეწევა ურალსა და ტვერში. 1922 წლიდან ამხ. **ჟდანოვი** ტვერის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეა. 1924—1934 წლებში იგი ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას ეწევა გორკის მხარეში: მდივანია საკავშირო კ. პ. (ბ) გორკის საგუბერნიო კომიტეტისა და გორკის სამხარეო კომიტეტისა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ა. ა. **ჟდანოვს** ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, XVI ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო XVII ყრილობის შემდეგ მას ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ამხანაგი ჟდანოვი დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწევა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს. მისმა გამოსვლამ საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ ყრილობაზე საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა.

1934 წლის დეკემბერში, ს. მ. კიროვის ავაზაკური მოკვლის შემდეგ, პარტია ამხანაგ ა. ა. ჟდანოვს სამუშაოდ ჰგზავნის ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც იგი მეთაურობს 1934—1944 წლების პერიოდში.

ასრულებს რა პარტიის ნებას, ა. ა. ჟდანოვი მისთვის ჩვეული ბოლშევიკური მგზნებარებით აღაფრთოვანებს და რაზმავს ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას ტროცკისტ-ზინოვიეველ თვალთმაქცთა და მოღალატეთა გასანადგურებლად და მოსასპობად, კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ლენინგრადის ბოლშევიკებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო.

XVIII ყრილობის წინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხ. ა. ა. ჟდანოვს ავალებს პარტიის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ხელმძღვანელობას. იგი აგრეთვე გამოდის პარტიის XVIII ყრილობაზე მოხსენებით პარტიული მშენებლობის საკითხების შესახებ. პარტიის ყოველ დავალებას ა. ა. ჟდანოვი მთელი მონდომებით ასრულებდა. პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ ამხ. ჟდანოვს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად ირჩევენ.

დიდი სამამულო ომის წლებში პარტია და მთავრობა ამხანაგ ა. ა. ჟდანოვს ავალებენ ლენინგრადის დაცვის საქმის ორგანიზაციას. ასრულებდნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის მითითებებს, ლენინგრადის ბოლშევიკები, რომლებსაც ამხანაგი ჟდანოვი მეთაურობდა, ლენინის ქალაქის გმირული დაცვის სული და გული იყვნენ. ლენინგრადის ფრონტზე მუშაობისათვის ამხ. ჟდანოვს მიენიჭა ჯერ გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკის წოდება.

თავისი შესანიშნავი პარტიული და სამხედრო მუშაობისათვის ამხ. ჟდანოვი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, „წითელი დროშის" ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, როცა პარტია და ხალხი მშვიდობიან მშენებლობას შეუდგნენ, პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებმა. ამხანაგი ჟდანოვი, რომელიც მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნიჭიერესი პროპაგანდისტი იყო, გამოდის მთელი რიგი ბრწყინვალე მოხსენებებით ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის საკითხებზე, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ა. ა. ჟდანოვი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირველ რიგებში იმყოფებოდა. მისი გამოსვლები ფართოდ არის ცნობილი ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ჟდანოვი მგზნებარე ენერგიით იბრძოდა კომუნიზმის საქმისათვის, არასოდეს არ ზო-

გავდა თავის ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას. მისი მგზნებარე ცხოვრება და მოღვაწეობა პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია. პარტიისა და ყველა მშრომელის მხურვალე სიყვარული მან დაიმსახურა თავისი უსაზღვრო ერთგულებით ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, თავისი დიდი პრინციპულობით, რაც არ ითმენდა არავითარ გადახრას პარტიის გენერალური ხაზიდან.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო!

ა. ანდრეევი
ლ. ბერია
ნ. ბულგანინი
ნ. ვოზნესენსკი
ა. ჟდანოვ
ლ. კაგანოვიჩი
ა. კოსიგინი
ა. კუზნეცოვი
გ. მალენკოვი
ა. მიკოიანი
ვ. მოლოტოვი
პ. პონომარენკო
გ. პოპოვი
ი. სტალინი
მ. სუსლოვი
ნ. ხრუშჩოვ
ნ. შვერნიკი
მ. შკირიატოვ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, რომ გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი **ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.**

დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო მშენებელი და თეორეტიკოსი ამხანაგი **ა. ა. ჟდანოვი** მთელ თავის ძალღონეს ახმარდა კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

თავისი მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელის ცხოვრებით, ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინისადმი თავისი ერთგულებით ამხანაგმა **ჟდანოვმა** საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სიყვარული და მადლიერება დაიმსახურა.

საქართველოს მშრომელებში სამუდამოდ დარჩება ხსოვნა ამხანაგ **ჟდანოვისა,** რომლის ცხოვრების სახელოვანი გზა აღაფრთოვანებს მათ სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისათვის.

საქართველოს კომუნისტური
პარტიის (ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ხალხი დიდი მწუხარებით ეთხოვება ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვს.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდი დანაკლისი განიცადეს. ჩვენ დავკარგეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილი, დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და ნიჭიერი თანამებრძოლი.

ამხანაგი ჟდანოვი ჯერ კიდევ ჭაბუკი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამ დროიდან, ოცდაცამეტი წლის მანძილზე, ამხანაგ ჟდანოვის ცხოვრების გზა წარმოადგენს თავისი ხალხისადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ერთგული სამსახურის მაგალითს.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვმა თავისი ბოლშევიკური მუშაობა ქალაქ ტვერის მუშათა შორის ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში დაიწყო. იგი რევოლუციურ მოღვაწეობას განაგრძობს ჯარისკაცთა შორის, როდესაც მობილიზებული იყო არმიაში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. იგი მონაწილეობას იღებს ურალში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. სამოქალაქო ომის წლებში იგი მუშაობას ეწევა პოლიტიკური განათლების დარგში წითელი არმიის ნაწილებში, ხოლო შემდეგ — პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ურალსა და ტვერში.

ათი წლის მანძილზე, 1924 წლიდან 1934 წლამდე, ამხანაგი ჟდანოვი ხელმძღვანელობს გორკის მხარის პარტიულ ორგანიზაციას. პარტიის ლენინურ-სტალინური გენერალური ხაზისათვის ბრძოლის ამ წლებში ამხანაგ ჟდანოვს მაღლა უჭირავს ბოლშევიკური პარტიულობის დროშა, ღრმად სწვდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ საქმეებს და შთაგონებულად იცავს კომუნიზმის იდეურ პოზიციებს, ამ წლებში ამხანაგი ჟდანოვი შედის ჩვენი პარტიის სტალინურ ბირთვში, რომელმაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დაიცვა და უფრო მაღლა აღმართა ლენინური დროშა, უფრო მტკიცედ დარაზმა ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ალხი და ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა.

სერგეი მირონის-ძე კიროვის ბოროტმოქმედულად მოკვლის შემდეგ პარტია ამხანაგ ჟდანოვს გზავნის ლენინგრადში. აქ იგი მეთაურობს პარტიულ ორგანიზაციას 1934—1944 წლების პერიოდში და ლენინგრადის მშრომელთა მხურვალე სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ამხანაგ ჟდანოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა გაანადგურეს და ამოძირკეს ტროცკისტების, ბუხარინელების და სხვა გამცემლების ნაბოლარები და უცხოეთის დაზვერვათა აგენტები. ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა უფრო მჭიდ-

როდ დარაზმეს ლენინგრადის მშრომელები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო. აქ, ლენინის ქალაქში, განვითარდა ბოლშევიკური ორგანიზატორისა და გამოჩენილი ხელმძღვანელის შესანიშნავი ტალანტი.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხანაგ ჟდანოვს პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს ლენინგრადის დაცვის საქმის ორგანიზაცია. ჩვენ გვახსოვს ლენინგრადის ჰიტლერული ალყის ეს ძნელი თვეები, როცა ჩვენს ლენინგრადელებს უდიდესი მამაცობა და გმირობა მოეთხოვებოდათ. ასრულებდნენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, ლენინგრადელი ბოლშევიკები ამხანაგ ჟდანოვის მეთაურობით ლენინის ქალაქის გმირული დაცვის სული და გული გახდნენ. მათ დაიცვეს ეს გმირი ქალაქი და ამხანაგ ჟდანოვის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იქნა ლენინგრადთან გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მისი ნიჭი, როგორც მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსისა. ამხანაგ ჟდანოვის ბრწყინვალე მოხსენებებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში და ისინი დიდად უწყობენ ხელს ამ დარგებში ნაკლოვანებათა დაძლევას, სახავენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კულტურის განვითარების ახალ გზებს, ამით მან გვიჩვენა მაგალითი ბოლშევიკური ხელმძღვანელისა, რომელიც უნარიანად ახამებს ყოველდღიურ მშენებლობაში მონაწილეობას მარქსიზმის თეორიის საკითხებზე ღრმა მუშაობასთან. როგორც ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნიჭიერესმა პროპაგანდისტმა, ამხანაგმა ჟდანოვმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ხალხის და სხვა ქვეყნების ხალხების მიერ ამ იდეების სწორად შეთვისებას.

უკანასკნელ დროის დაძაბულ და შთაგონებულ იდეურ მუშაობაში ამხანაგი ჟდანოვი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირველ რიგებში იყო. ჩვენ ყველამ ვიცით მისი სახელოვანი დამსახურება საერთაშორისო ანტიმილიტარისტულ და დემოკრატიული ბანაკის ძალთა დარაზმვის საქმეში ახალი ომის ყველა და ყოველგვარ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მშრომელებმა იციან ეს და ახსოვთ.

ამხანაგ ჟდანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს თავისი ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის მაგალითს, როგორიც უნდა იყოს დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი.

ამხანაგი ჟდანოვი არ ზოგავდა თავის ძალებსა და ჯანმრთელობას, მთლიანად ახმარდა მათ პარტიის სამსახურს მთელი თავისი უშრეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით. თავისი ღრმა პრინციპულობით და შეუდრეკელობით პარტიის გენერალური ხაზის დაცვაში, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებით ამხანაგმა ჟდანოვმა პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა დაიმსახურა.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჩვენო მებრძოლო, დაუვიწყარო ამხანაგო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეახვანგ გორგანელი

მწყემსი

★

1

რისთვის უნდა თეთრი ცხენი და ან თეთრი ჩოხა,
თუ არ გაყვა ის ცხოვრების მარადიულ დენას?
აღარა აქვს დასასრული მის დარდსა და ბოღმას. —
სული შფოთავს, გული ტირის, კლიტე ადევს ენას.

იქ ეძახის ბედის ჩარხი, სად არწივთა ფრთები
შრიალებენ და მწყემსები მიჰყვებიან ფარას.
უნდა მათთან განიცადოს მრისხანება მთების,
რომ შთაბეროს ქართულ სიტყვას ჯადოსნური ძალა.

რა ვუყოთ, რომ ყაზბეგია და ბატონიშვილი!
ცხვარში წავა,
რომ შეიგრძნოს მაჯისცემა ერის,
რომ თვით ნახოს, ნამქერებში მზაღო როგორ ტირის
და როგორ ნთქავს უფსკრულები მოთქმას ხევისბერის.

იქ გაიყოფს პურის ლუკმას და მოძმეთა ვარამს,
სად კლდეებზე ჩანჩქერებსაც ჟრუანტელი უვლის,
ბკერდში გრძნობის ნაპერწკალი გაღვივდება სანამ,
კავკასიის მთებო, მისი შეიფარეთ გული!

2

თოვლი, ყინვა,ისევ თოვლი,
გამთოშავი ქარი,
ქალამნები გაყინული,
ახალუხი სველი...

შეეჩვია ცისქვეშ თოფზე მოტყუებას თვალის,
ბაგრამ მაინც არ ასვენებს გულს ფიქრები მწველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლა ხედავს,
გადმომდგარა კლდეზე ორი ჯიხვი,
რქებს ერთმანეთს ალეწავენ,
ბური ასდის მიწას.

უცებ ერთი გადიჩეხა ორწოხების იქით
და მეორემ შუბლი დაჰკრა მყინვარების ფიწალს.

წავიდა და...
მაგრამ მაინც ვერ უშველა, ვერა,
ჯიხვმა ყელი მოიღერა სასიკვდილოდ ბოლოს.
აუძგერა მგოსანს გული იმ თვალების ცქერამ
და ნუგეშად ზედ ცრემლები დააფრქვია მხოლოდ.

ღამდებოდა, როს წაადგა მონადირე ერთი,
გაუკვირდა, მკვდარ ჯიხვს ედო ქვეშ ყაზბეგის მკლავი.
მიხვდა ცოდვას,
სირცხვილისგან შეუქანდა მკერდი
და ბურანში გახვეულმა ძირს დახარა თავი.

3

მოიღრუბლა,
ჩქარა უნდა გადარეკონ ცხვარი,
აი, კიდეც მოსწყდა ლაქვარდს მარგალიტის მძივი.
ლოდზე სძინავს და წვერ-ულვაშს უშრიალებს ქარი,
ვერ ბედავენ ბატონიშვილს დაურღვიონ ძილი.

ვერ ბედავენ,
ძლივს მის თვალებს მორევია რული,
ცადაზიდულ კლდეებს შორის ვერც სტოვებენ მარტოდ.
მოხევენო!
ხომ დაავო მაშინ ხანჯალს გული,
თუ რომ კიდევ მოერიდეთ, როგორც ხევის ბატონს!

სიზმარს ხედავს,
მოსდებია დედამიწას ალი,
არის ბრძოლა შემზარავი სტეფანწმინდის ზევით.
გაიტაცეს, ხმა გავარდა, დანიშნული ქალი,
გიაურებს ცეცხლის ფრქვევით დაედევნა ხევი.

როს მოხევემ მოღალატეს ამოწვდილი ხმალი
ელვასავით მკერდში ჩასცა და გაჰქუსლა სწრაფად,
გაეღვიძა და რას ხედავს,
ორი დედა-ცხვარი
თავს აღგია და სიამით ულოკავენ ნაბადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასძრეს ფარა,
სამშვიდობოს მიაღწიეს როცა,
განმარტოვდა, სმენად იქცა,
გულს მოეშვა მწუხრი.
ვის უსმენდა გატაცებით: ხევისბერის ლოცვას,
თუ ელგუჯას სამშობლოსთვის თავგანწირულ ქუხილს?
მარქვით, მთებო,
გეკითხებით,
ამაყად რომ დგეხართ,
რას ფიქრობდით,
რა სიხარულს განიცდიდით მაშინ?
იქნებ მისთვის ხმას არ იღებთ,
რომ დუმილში ხედავთ
მგოსანს, როგორ მიაცილებს ყვავილები ტაშით?

1948 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ჭურული

ყაზბეგის წიგნში

★

ჩუმად ამბობდა პატარა ია:
— მოველ, მოვქარგე მთა და ბარიო,
მე გაზაფხულის ყვავილი მქვია,
ვარ საქართველოს მზით გამთბარიო!

წმინდა ვარ, როგორც ელგუჯას გრძნობა,
როგორც ოცნება ხევის ქალისა,
ყაზბეგის წიგნში მეცხვარის ტრფობა,
ელვა, ან შუქი ნაპერწკალისა.

კლდესთან გამფურჩქნა ფშაველას ლექსმა,
ნუკრმა მომაპყრო ნაზი თვალები.
შევკრთი, როდესაც თოფისხმა მესმა,—
გელამ იპოვა შვლის ნაკვალევი.

ყაზბეგის წიგნში მაინც დავრჩები,
აქ ხომ ვაჟიას უცდის ელისო!
აქ, დარიალთან, ნისლის ფარჩებით
დგას მყინვარი და ქუხილს ელისო!—

ასე ამბობდა პატარა ია
თერგის ნაპირას მკერდდანამული.
რაც სიყვარულმა სიკვდილი სძლია,
უფრო ნარნარად ყლერს სალამური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გულია

გაზაფხული საკენში

★

მოთხრობა *

კამა იმ განსაკუთრებულ ხასიათზე იყო, როცა ადამიანი ვერ იტყვის, რატომ უხარია ამრიგად მის სულს. და არა იმიტომ, რომ ეს რაღაც საიდუმლოა. არა, სრულიადაც არა! არამედ თვითონაც არ იცის კაცმა, რატომ, რა მიზეზის გამო გრძნობს თავს ასე კარგად. შეიძლება ამის მიზეზი იყოს გრილი და ძლიერ ნათელი მთვარიანი საღამო, თანაბარი, მოცისფრო შუქი ირგვლივ — ხეებზე, მთებზე გზაზე? იქნებ იმიტომ გრძნობს კარგად თავს, რომ გვერდით მიჰყვება ოდნავ მოღუშული, მაგრამ ძლიერ კარგი ადამიანი კესოუ მირბა? ან, იქნებ, ოცდამეერთე გაზაფხული უფორიაქებს ისედაც მოუსვენარ მკერდს?

ასეა თუ ისე, კესოუ გრძნობდა თავისი მეგობარი ქალის არაჩვეულებრივ სიცხოველეს. ვაჟი ცალყბად ისმენდა ქალის სიტყვებს, თვითონ კი განუწყვეტლივ ფიქრობდა იმაზე, რაც ესოდენ ადარდებდა მას. იგი შეეპყრო საკუთარ ეჭვებს და გუნებაში აჩალებდა ცხარე დავას ნიკუალას და კონსტანტინესთან, ყველასთან, ვინც კი გაჰბედა დაეჭვება მისი წამოწყებისადმი. რაც შეეხება კონკრეტულ წინადადებებს, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ საქმიანი ადამიანები რაიონიდან, ამ მხრივ საქმე არც თუ ისე გამორკვეული იყო. კესოუს შეგნებული ჰქონდა, რომ მთელი განზრახვა სიმინდის ყანის განოყიერების შესახებ გაცამტვერდებოდა, თუ მოწყალების კლდე აღმოჩნდებოდა მხოლოდ ბუნების ზვიადი ნაწარმოები, მოკლებული ყოველგვარ სასარგებლო თვისებებს. მეორეს მხრივ, შეიძლება კლდის გამოუყენებლადაც მოგვარდეს საქმე, საკუთარ ხელებზე იმედის დამყარებით, იმ იმედით, რომ გლეხს აქვს უნარი წაართვას მიწას ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია. გულახდილად რომ ითქვას, კიდევ რჩებოდა უამრავი გამოუყენებელი შესაძლებლობანი კლდის გარეშეც, სასუქთა გარეშეც. ასეა თუ ისე, საქმე გართულდა, იგი მდგომარეობდა კლდის ხარისხში, და სწორედ ხარისხი იყო ყველაზე უფრო ძნელი გამოსარკვევი საკენში. საჭიროა სპეციალური ლაბორატორია, ანალიზი...

კამა გულიანად იცინოდა, როცა თავის თხრობაში იმ ადგილს მიაღწია, სადაც რაშიდმა (ლაპარაკი იყო რაშიდის შესახებ) ასწია ოთხი ვედრო და გააგორა ისინი მიწაზე. კესოუმ მხოლოდ ახლა გაიგო აზრი მისი სიტყვებისა, რომლებიც აქამდე მასთან აღწევდა შორეულ გამოძახილად.

— დაიცა,—სთქვა მან,—მერე და რას აკეთებდა თქვენთან, ეს რაშიდი?

— როგორ თუ რას? ნუთუ არ გაგიგონია? მთელი საათია ამას გიყვები. მან იკისრა ჩვენი დახმარება. რაშიდი დიდი ხუმარა ვინმეა. ნინომ და მე იმ-

---

* დასასრული. „მნათობი" № 8.

ლენი ვიცინეთ, რომ სულ ცრემლები გადმოგვცვივდა.

— შენ ეკეკლუცებოდი ხომ მას?

კამამ ცხვირი აიწია.

— აი მხოლოდ ამდენად, მეტად არა!

მათ რამდენიმე ნაბიჯი ხმის ამოღებლად განვლეს.

— ის მამალი ინდოური ნიკუალა როგორღაა?—ჰკითხა ჯერ ისევ მოღუშულმა კესოუმ.

კამამ უთხრა, რომ ნიკუალა მოვიდა ჩვენსას, აინტერესებდა როგორ ვცხოვრობთ, სთქვა, რომ სახლთან ჩავიარე და შემთხვევით შემოვეხეტეო.

— სტყუის, — შენიშნა კესოუმ.

— ის დაგვპირდა გადასახადებს შეგიმცირებთო, სთქვა: კანონი არსებობს ღრმა მოხუცთა შესახებო.

— მერე და ვინ არის თქვენსას ღრმა მოხუცი?

— მამა, დედა...

— ნუ თუ ვერ ატყობ, რომ იგი გასულელებს? მხოლოდ ის უნდა, რომ მოგელაქუცოს! — შესძახა მთიელმა.— რა უფლება აქვს, გადასახადები შეამციროს? და შენი მშობლებიც არ არიან ღრმა მოხუცნი.

— მაგრამ თუ კი არსებობს კანონი? — შეესიტყვა კამა.

მაგრამ კესოუს ამის გაგონებაც არ სურდა. მან საყვედურებით აავსო ქალიშვილი, რომელიც კესოუს აზრით ასე ფუქსავატურად ეპყრობა არშიყობას. თითქოს დასასრულს არ მისცემს კესოუ თავის მოშხამულ სიტყვებსო. კამამ სცადა შეჰკამათებოდა. მან დარწმუნების ყოველგვარი საშუალება ამოსწურა და შემდეგ ატირდა. კესოუს შეებრალა იგი, მიიზიდა თავისკენ, ქალი უსიტყვოდ დაემორჩილა.

ვაჟმა ლოყა მიადო ქალის გრილ ლოყას და ყურში ჩასჩურჩულებდა ნაზ სიტყვებს, რომელთა აზრი, თუმცა ისინი უთავბოლონი იყვნენ, არ შეიძლებოდა ცხადი არ ყოფილიყო ყველაზე უფრო მიუხვედრელი ქალიშვილისთვისაც კი. ეს საკმარისი იყო, რომ კამა დამშვიდებულიყო, და ამ გასაგრძელეს გზა, შერიგებულებმა, ერთმანეთით კმაყოფილებმა. იგი მოხარული იყო, რომ ქალი ესოდენ გულკეთილი ნაზი და, რაც მთავარია, მორჩილია. შეყვარებულთ თითქოს ყველაფერი დავიწყნოდათ ამ ქვეყნად, მიაბიჯებდნენ ხელიხელგადახვეულნი, განათებულნი მთვარის შუქით.

სიჩუმე პირველად კამამ დაარღვია.

— რატომ არაფერს მიამბობ შენს შესახებ?—ალერსით ჰკითხა ქალმა.

— რა უნდა გიამბო? საქმეები ჩვეულებრივადაა! შენც იცი, რომ ხვნას შევუდექით. ხალხი ამბობს, ნაადრევიაო.. ერთი სიტყვით, მთელ საკენს უკვირს. ჩვენ კი რა? ჩვენ წესის მიხედვით ვმოქმედებთ... კონსტანტინესთან მომიხდა შელაპარაკება...

— აი ეს კი ვერ მოგსვლია კარგი,— კამამ თავი გაითავისუფლა მისი ხელისაგან.—იგი კარგი ადამიანია. თუ მასთან ვერ იქნები თანხმობით, შენს თავს დააბრალე!

— საქმე ამაში როდია, კამა. სულ სხვა რამ არის. არ სჯერა მას ჩემი. საჭიროა ხარს რქებში წავავლოთ ხელი, ის კი...

კესოუმ გაუზიარა ქალს თავისი განზრახვა. კლდე რომ არაჩვეულებრივია — ეს ფაქტია. ბუნებრივი ფოსფორიტები, ეს ხომ სოფლის მეურნეობის მომარაგების მთელი საწყობია კარის ყურში. ეს განძია კოლმეურნეობისათვის... კონსტანტინეს კი თითქოს არ ესმის, რა უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ეს.

— და შენ მაინც არ უნდა წაეჩხუბო მას,—უთხრა კამამ. — იგი ისეთი კარგია.

ისინი მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად კამა ითავისუფლებდა ხელს, ვაჟის ხელისაგან, ისწორებდა თავსაფარს გაწეწილ თმებზე და დამფრთხალი იცქირებოდა ირგვ-

ლივ. დღეს კესოუ არ ამჟღავნებდა განსაკუთრებულ აჩქარებას. მან წაიყვანა ქალიშვილი ვეებერთელა ჭადრის ჩრდილისაკენ, და ისინი მყუდროდ მოეწყვნენ მცენარის მუქ ტანთან.

ჰაერი არაჩვეულებრივად სუფთა და გრილი იყო. მდინარე საკენის ხეობიდან მოისმოდა მწყობრი გრიალი — ეს ტალღა ხმაურობდა ჩქერებად, იკრებდა რა სისწრაფეს. მთვარე ასახულიყო დაკლაკნილი საკენის მთელი სიგრძის გასწვრივ და ვერცხლისფრად აკიაფებდა მის ტალღებს.

შეყვარებულნი ტკბებოდნენ მათ წინაშე გადაშლილი სანახაობის სიდიადით, და მხოლოდ კამა გაფაციცებით უგდებდა ყურს ამ დუმილს, თან ჰკრთებოდა ყოველთვის, როცა გზაზე რაიმე გაიფაჩუნებდა.

— გამიგონე, — უთხრა ქალმა, გონს მოვიდა თუ არა ერთ-ერთი ასეთი უსაფუძვლო შიშის შემდეგ, — შენ პატივმოყვარე ხომ არა ხარ?

იმ წუთში კესოუ ოცნებით იმყოფებოდა სადღაც მაღლა, შესაძლოა, თვით გუაგუას მწვერვალზე, და ის ერთბაშად ვერ მიუხვდა შეკითხვის აზრს.

— როგორ სთქვი? პატივმოყვარეო?—გაიკვირვა კესოუმ. — არ ვიცი... არა მგონია... რატომ მეკითხები?

— ისე, ტყუილა...

ვაჟის დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ქალმა აუხსნა, რაშიც იყო საქმე.

— ნიკუალამ უთხრა ჩვენებს, რომ შენ დიდი მკვეხარა ხარ, სახელი და დიდება გიყვარს.

— რა თქმა უნდა, იგი უფრო უხეშად იტყოდა.

— შესაძლოა...

კესოუ ჩაფიქრდა. დიდება!—მეტად ხმაურით ხომ არ გაისმის?

— როგორ გითხრა?.. აი მე ვიბრძოდი ომში... ვფიქრობდი თქვენზე, ჩვენს საკენზე...

— რატომ არ ატარებ შენს მედლებს?

კესოუმ ხელი მოუცაცუნა მას ლოყაზე.

— ჩამოვიკიდებ, თუ შენ მოისურვებ, უქმე დღეობით კი — აუცილებლად...

— არა, შენ მკვეხარა ოდი ხარ...— ჩუმად ჩაილაპარაკა კამამ.

მან კვლავ მიიზიდა კესოუ თავისკენ, და მიმნდობად დაადო თავი ვაჟის მკერდს. და ისინი იდგნენ მდუმარედ, როგორც ქვეყანა ამ ღამით, ერთმანეთით კმაყოფილნი და ბედნიერნი.

13.

მუშაობა გაჩაღდა ბრიგადაში. კესოუ არავის აძლევდა მოსვენებას. როგორც კი ვინმე წაიზარმაცებდა, მაშინვე პასუხს სთხოვდა. უფრო ხშირად ანტონს ხვდებოდა საკადრისი. უნდა ითქვას, რომ ანტონი ბრიგადის ყველაზე უფრო მოუქნელი წევრი იყო.

ანტონი მინდვრად გამოდიოდა სხვებზე უფრო გვიან: ხან, თითქოს, თვითონ იყო ავად, ხან ბავშვებს ახველებდათ, ძილს არ აცლიდნენ...

— მე ასეთი კაცი ვარ,—ეუბნებოდა გუდალს, რომელმაც იგი კანონიერი საყვედურებით ააავსო. — თავი დამანებე... როგორც იქნება, მე თვითონ მოვაგვარებ. მიცხოვრია, მადლობა ღმერთს, არ მოვმკვდარვარ. და საჭირო არაა დაუსრულებელი საყვედურები... მე, ჩემო ძამია, თავისუფლება მიყვარს—აი რა!

კესოუ მიუჯდა მოკამათეებს.

— აბა, მეგობარო, — წარმოსთქვა მან, — გამაგებინე, როგორი თავისუფლება გიყვარს შენ?

— აბა როგორ გგონია! — შესძახა ანტონმა. — მე, ჩემო ძამია, მიყვარს, რომ საკუთარი ჭკუით ვაკეთო საქმე და არა სხვისით... ისე მასწავლიან, თითქოს სიმინდი არასოდეს არ დამეთესოს და ჩემს სიცოცხლეში არ მენახოს. არა, მე ძამია, ჩემი ჭკუით!

— მერე და, თუ საკუთარი ჭკუა არ გყოფნის?

— რაო, რა სთქვი?! — ანტონი წამოჭარხლდა, მისთვის უჩვეულო სიმარდით წამოხტა.

— გამიგონეთ, — სთქვა კესოუმ და მიმართა გარშემორტყმულ გლეხებს. — ჩვენი მეგობარი ანტონი აცხადებს, რომ მარტო საკუთარი ჭკუით სურს იცხოვროს. მე კი ვამბობ — იგი უქნარა და ზარმაცია! რამდენიმე წლის წინათ, როცა ანტონი საკუთარი ჭკუით ცხოვრობდა, იგი მოწნულ ქოხში იყინებოდა. მაგრამ აი მოვიდა ჩვენთან, კოლმეურნეობაში — და ჩვენ ყველანი ვეხმარებით მას ნამდვილი სახლის აგებაში. ანტონი წელს იმაგრებს, და სწორედ ამ დროს იწევს ცხვირს ზევით...

— სრულიადაც არა! — წრიპინებდა ანტონი.

— ამხანაგებო,—განაგრძო კესოუმ, თან ხელი აიქნია ყურისმომჭრელი ხმის მოსაგერიებლად, თითქოს კოლოების წიალს იგერიებსო, — მე ვკითხულობ: სადღაა მადლიერება?

— სწორია, სწორია, — დაუდასტურა გუდალმა.

— უნდა ამოვუბერტყოთ თავიდან მცდარი აზრები, — დასძინა ვიღაცამ.

ანტონი სდუმდა, თან ხელში ქისას ჭიუჭნიდა. კესოუს თანდათან ემატებოდა გამბედაობა, გრძნობდა რა, რომ გლეხებმა კარგად გაუგეს მას და მისი მხარე ეკავათ.

— აი რა, ანტონ: თუ შენ გიმძიმს ჩვენს ბრიგადაში ყოფნა, გზა დაგვიდლოცნია, ჩვენ ძალას არავის ვატანთ... ოღონდ მერე არ ინანო! თუ ჩვენთან მუშაობა მოგწონს — ხუმრობას თავი დაანებე, საქმეს მოჰკიდე ხელი. გაიგე?

გლეხებმა თავთავიანთ ადგილს მიაშურეს. ანტონმა ჩამოიფხატა ქუდი და სხვების მაგალითს მიჰბაძა.

შუადღისას ბრიგადაში ნიკუალა გამოცხადდა. მან ალმაცერად გადახედა მინდორს, დაუდეკრად გაჭკრა ფეხი სახნისით გადმობრუნებულ ბელტს.

— ვმუშაობთ? — სთქვა მან.

კესოუ მიუახლოვდა მას. მიესალმნენ ერთმანეთს.

ნიკუალამ დაბნეულად გაიარა დახნულ მიწაზე და თან უბღვერდა კვლებს.

— რამდენია?

— სიღრმე? — ოცი-ოცდახუთი სანტიმეტრი, — უპასუხა კესოუმ.

— სასუქს მისცემ?

კესოუმ კინაღამ გახვრიტა თავმჯდომარე ბასრი თვალით.

— წინააღმდეგი ხარ?

— მე? — ნიკუალამ მხრები აიჩეჩა.—მე რა შუაში ვარ? შენ ჩემგან ნებართვა არ აგიღია... თუ რაიმე სასიკეთო გამოვა — მადლობას გეტყვით... ცუდი რამისათვის კი დაგცხებთ.

— რა თქმა უნდა, ეს როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში...—კესოუმ ხელი ამოსდო მკლავში ნიკუალას. — ნუ სწუხარ. მე ყველაფერს დავწერ ქაღალდზე და შემოვიტან თქვენთან...

— ქაღალდზე? — გაკვირვებით ჰკითხა ნიკუალამ (მას ეშინოდა ყოველგვარი ქაღალდისა).

— ჰო, განცხადებას... განმარტებას. რაც გინდა, ის დაარქვი.

თავმჯდომარემ გაურკვევლად შეიხმიანა: თითქოს ამით გამოჰხატა—როგორც გენებოსო, თუ განცხადება გსურს, განცხადება იყოსო. იგი კმაყოფილი დარჩა ბრიგადის მუშაობით.

— ვხედავ, ანტონი ჩინებულად მუშაობს, — შენიშნა ნიკუალამ.

— განვუმარტეთ!..

ნიკუალა დაემშვიდობა მათ და უთხრა, სხვა ბრიგადებში მივდივარ, იქ, სადაც საქმე უფრო ცუდად აქვთო.

— უფროსი სათანადო სიმაღლეზე სუფევს,—სთქვა კესოუმ და ღონივ-

რად მიაწვა გუთანს. — აბა, სიმღერა! — შესძახა მან.

საკენელს დიდხანს ხვეწნა როდი სჭირდება იმისათვის, რომ იმღეროს. საკენელებს უყვართ სიმღერა. გლეხებმა ერთხმად შემოსძახეს, ჯერ აბნეულად, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო მწყობრად. ისინი მღეროდნენ და, თითქოს ამის გამო ძალა ემატებოდათ.

ამ ადგილიდან უფრო ქვემოდ მცხოვრები ხალხი გაკვირვებით კითხულობდა:

— ნეტა სად იმღერიან?

და ვიდრე ამას იკვლევდნენ, მათ თავზე ლივლივებდა, როგორც ფრინველი ლაჟვარდში, ნაცნობი მხიარული სიმღერა:

მწვანე მინდორზე მთის ძირში
სდგას ირემი,
ახალგაზრდა ირემი...
ნახე თუ არა მთის ძირში
შენ ის ირემი?
ის ელოდება თავის მეჯინურს,
ელის თვის სატრფოს
მთელი დღეობით,
მთელი დღეობით...
ნახე თუ არა შენ ის ირემი
იმ ხალისიან დღეს?..

14

რაშიდის გამოჩენა საკენში იმ დროს, როცა გზა ამ მხარეში სრულიად გაუვალად არის მიჩნეული, საუბრის საგანი გახდა საოჯახო კერასთან. როგორ იარა მან, როგორ დასძლია ყველა დაბრკოლებანი? მარტო მან გაჰბედა, თუ გზის გაკვლევაში ეხმარებოდნენ გამოცდილი მონადირენი? ყველაფერი ეს ძლიერ საინტერესოდ მიაჩნდათ. რაშიდი არავითარ განმარტებას არ იძლეოდა, ხუმრობდა და ქარაგმებით ლაპარაკობდა რაღაცას იმის შესახებ, რომ რაიონის ხელისუფლებამ თითქოს საგანგებო ზომები მიიღეს ამის თაობაზე. ვინც კარგად ვერ იცნობდა რაშიდს, კეფას ეფხანდა — ეს რა დიდი ვინმე ყოფილა! მაგრამ კიდევ უფრო მეტი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რაშიდის განზრახვამ კოლმეურნეობასთან ფეხსაცმლის სახელოსნოს გახსნის შესახებ.

— მე მოდელური მეწაღე ვიქნები, — ამაყად განაცხადა მან.

მოდელური მეწაღე საკენში — გაუგონარი საქმე იყო. პირველად ეს არავინ არ დაიჯერა. საჭირო გახდა საქმის ნათელსაყოფად სასოფლო საბჭოს მდივნისთვის მიემართათ. ახალგაზრდა ვაჟმა (იმ დროისათვის მას სურდო უკვე მოურჩა) დაადასტურა, რომ რაშიდი იქნება ფეხსაცმლის ახალი სახელოსნოს გამგეო. რაც არ უნდა სთქვათ, ეს საოცარი ამბავი იყო.

მაგრამ აი გავრცელდა უფრო ამაღელვებელი ხმა კესოუ მირბას გადაწყვეტილების შესახებ, დაასახელეს სიმინდისა და თამბაქოს მოსავლის საგარაუდო ციფრები — და მითქმა-მოთქმამ რაშიდის მიმართ მეორეხარისხოვანი ადგილი დაიკავა, იგი შთანთქა ადამიანთა ჭორების უფრო მძლავრმა ტალღამ.

ახალ ამბავს ცხოველი ინტერესით მოეკიდნენ. მართლაც და, შეიძლება არ ერწმუნოთ კესოუ მირბას, შეიძლება არ დაეთანხმოთ მას, მაგრამ ოცნება არნახულ მოსავალზე უკვე თავისთავად მშვენიერი იყო.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისადმი მიმართულ შეკითხვებზე ახალგაზრდა ბრიგადირის გამჭრიახი გეგმების შესახებ ნიკუალა გარკვეულს არაფერს ამბობდა. როგორც სჩანს, მას ვერ გაებედნა ამ გეგმების მოწონება. მაგრამ არც მათი უარყოფა სურდა, ვინაიდან გაურკვეველი იყო, საბოლოოდ რა სახეს მიიღებდა ყოველივე ეს. მდგომარეობა, როგორც საკენში იტყვიან ხოლმე, მწყრისაზე

უარესი იყო: ჯდომაც შეუძლებელია. და აფრენაც სახიფათო.

კესოუს გეგმები მოწყალების კლდის შესახებ, რა უცნაურადაც არ უნდა ეჩვენოს ეს ადამიანს, ყველა სხვა დანარჩენებზე უფრო ფარდულის გამგეს ადამურს აინტერესებდა.

— რაშიდ, — ჰკითხა მან ერთხელ თავის მეგობარს განგებ გულგრილი ტონით,—ვერცხლოვან მდელოში თოფის წამლის გამოგონებას ახდენენ?

— შესაძლოა დინამიტისას? — შეკითხვაზე შეკითხვით უპასუხა რაშიდმა, რომლის აზრებიც ქაოსურ მდგომარეობაში იყვნენ მორიგი ქეიფის შემდეგ.

— ამბობენ, ძვირფასი კლდეაო... აი ის... — ჩაფიქრებით გააგრძელა ადამურმა. — საოცარია!

მაგრამ რაშიდს ამქვეყნიური საქმეების თავი არ ჰქონდა. არ მიუქცევია რა ყურადღება თავისი ამფსონის სიტყვებისათვის, წარმოსთქვა მოულოდნელი სადღეგრძელო, რასაც არაეითარი კავშირი არ ჰქონდა ყველაფერ ზემოთქმულთან.

— სიყვარულის სადღეგრძელო იყოს! — და სულმოუთქმელად დასცალა ჭიქა.

ადამურმა მიხვედრილად ჩაუკრა თვალი.

— მიწა ხომ ჩემია... — განაგრძო მან დუმილის შემდეგ, ამოიოხრა და დასძინა:—ჩემი იყო.

— რომელი მიწა, ადამურ?

— მიწაც, და კლდეც, მასზე რომ აღმართულა, — ჩემია. ახლა, ჩემო მეგობარო, მისგან სიმდიდრეს ამოჰქაჩავენ...

— მერე რა, რომ სიმდიდრე იქნება? კესოუ სულელი როდია, ბრაწს გიჩვენებს.

— ნუთუ? ჩემი ნათესავია, რაც არ უნდა იყოს...

რაშიდმა ჭიქის ფსკერი უჩვენა ადამურს—მოქეიფე კაცის არაორაზროვანი ნართაული. ჭიქა ღვინით აივსო.

— ადამურ, მოელაპარაკე მას, იტირე, იწუწუნე, იქნებ ცოტაოდენი რამ მაინც გერგოს... საკენი დათვის ბუნაგია, ერთიც ვნახოთ და ბედმა გაგიღიმოს... არ დაგავიწყდეს — ეს საკენია, თავისებური, განუმეორებელი საკენი, შეიძლება ერთადერთიც კი...

— გამოქექილი კაცია, ის კესოუ — შეჭირვებით წარმოსთქვა ადამურმა,— ამბობენ, ნახევარი მსოფლიო ფეხით, აქვს შემოვლილიო... ეჰ, რაც იქნება, იქნება.

მათ ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს.

— პირველხარისხოვან სახელოსნოს გაუმარჯოს! შენს წარმატებებს გაუმარჯოს სიყვარულის საქმეებში! შეიტყე, მაგრად დაგიდგამს თვალი კამასათვის. თუ გულით გინდა, რალას აყოვნებ,—დაიხარა მისკენ ადამური და ჩუმად უთხრა. — ნაბადი, ბედაური ცხენი, კარგი მეგობრები — და საცოლე ხელთ გეყოლება!

რაშიდმა ამღვრეული თვალები მიამტერა ადამურის წამოჭარხლებულ სახეს.

— დახმარება რომ გთხოვო?..

ადამურმა გაუწოდა მსუქანი, ბანჯგვლიანი ხელი.

— აი ჩემი ხელი!—შესძახა მან.

15.

ხვნა დასასრულს უახლოვდებოდა. რა კარგი იქნებოდა რამდენიმე მოწმენდილი დღე! მაგრამ ამინდი შესამჩნევად ფუჭდებოდა. სამხრეთიდან ღრუბლები მოედინებოდა. ისინი თავზე უვლიდნენ საკენს, და მიწას ასხურებდნენ წვიმის წვრილ წვეთებს...

დილიდან საღამომდე კესოუ გამუდმებით მინდორში იყო. ბევრი საზრუნავი ჰქონდა: თვითეულისათვის უნდა ეჩვენებინა, რა და როგორ გაეკეთებინათ, თვალყური უნდა ედევნებინა ნახნავის სიღრმისათვის, ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო მეორე

დღისათვის. თავისი ნაკვეთით კესოუ კმაყოფილი იყო. მიწა როგორიც არ უნდა ყოფილიყო, ძალზე გაფანტული მაინც არ არის: ერთი რგოლი მეორისაგან კაცის ხმის მისაწვდენ მანძილზეა დაშორებული! მაგრამ მიწა რომ წითელია მთლიანად ქვიშანარევი, — ეს საკენს უკვე ქვეყნის გაჩენიდანვე დაჰყვა ბედად. საკენის მიწისაგან, მის გულმოწყალეობას თუ დაენდე, უნდა მოელოდე მხოლოდ სამოწყალოს და არა ნამდვილ მოსავალს. სულ სხვა საქმეა, თუ მის პრიანს არ აჰყვები და ნამდვილად მომთხოვნი იქნები.

გუდალი აჩქარებდა კამეჩებს. მისი ომახიანი, გამსჭვალავი ხმა გაისმოდა მინდვრის ყველა კუნჭულში, დღის ბოლოსათვის კესოუ ჩვეულებრივ შეუერთდებოდა ხოლმე გუდალის რგოლს, და ბრიგადირი მერგოლურთან ერთად შინ ბრუნდებოდა.

გაუსწორდა თუ არა ბრიგადირს, გუდალმა ამოიღო ჯიბიდან ბარათი და კესოუს გადასცა.

— ეს რა არის?—გაიკვირვა კესოუმ.

რვეულის ფურცლის მეოთხედზე, რომელსაც ირგვლივ ჩარჩო ჰქონდა შემოვლებული, სუფთად ეწერა შემდეგი:

მოსაწვევი ბარათი

ხვალ, კვირას, გთხოვთ მობრძანდეთ.
გაშვებულ იქნება ელექტროშუქი.
დავშთები გუდალი.

— ოჰო, პირდაპირ ქალაქურად არის, ბილეთებით... დიდი მადლობა, — უთხრა მან გუდალს. — მოათავეთ?

— ეს ყველაფერი ჩემმა შვილმა წამოიწყო. თვითონ მოუსვენარია და მეც ამიყოლია საეშმაკო საქმეებზე. მოდი, გავმხიარულდეთ. რაღაც ვეჭკობ... ნუთუ ჩემი ვაჟი მართლა გააჩაღებს ელექტრონის შუქს აქ, ჩვენს საკენში.

— ამისათვის კიდევ გმადლობ. — კესოუმ კოხტად დაკეცა და შეინახა ქაღალდი. — ახლა გავზომოთ სიღრმე.

კესოუმ კვალში ჩაარჭო ნაშუბიანი ჯოხი. ორივე, კესოუც და გუდალიც დაიხარა მიწისაკენ.

— ოციც არ არის. ცუდად ხნავ, ძმობილო, — გაჯავრებით ლაპარაკობდა კესოუ. — უფრო მაგრად დააწექი, ნუ შემარცხვენ ხალხის წინაშე.

გუდალი ცდილობდა უფრო ღრმად ჩაეშვა ჯოხი.

— ეჰ, დალახვროს ეშმაკმა,—სთქვა მან და გადმოაფურთხა. — მერე და ნუთუ ორი სანტიმეტრი გაწუხებს?

— ჰო, მაწუხებს. ყოველ შემთხვევისათვის მხედველობაში იქონიე: ორი სანტიმეტრით უფრო ღრმად—კარგია, ორით ნაკლები — ეს უფრო ცუდია, ძმობილო. — და როცა შეამჩნია, რომ გუდალის კეთილ სახეზე გაიელვა შეურაცხყოფის ნირმა, უკვე უფრო რბილად განაგრძო. — არ გესიამოვნა? ის რად ივარგებს, რომ გეგმა ვერ შევასრულოთ და შევრცხვეთ? ჩვენ მთელი წესების დაცვით უნდა ვხნათ, დაივიწყე სასუქის შესახებ. წარმოიდგინე, რომ არავითარი კლდე არ არსებობს.

— ეს როგორ? — შეჰყვირა გუდალმა. — როგორ თუ კლდე არ არსებობს?

კესოუ წამოდგა (იგი ჩაჩოქილი იყო).

— ყველაფერი მოსალოდნელია, გუდალ. ერთიც ვნახოთ და არაფერი გამოგვივიდა იმ კლდიდან. მაშინ, რაო, ყველაფერს ბოლო მოელება? ჩვენ კლდის გარეშეც უნდა მივაღწიოთ მიზანს. გაიგე?—მან შეასწორა:—შეიძლება ნაკლები იქნეს, მაგრამ მაინც კარგაძალი. სამასი ფუთის პირობას ვიძლევი!

მან ხელი გაუწოდა. და გუდალმა, ოდნავ დაფიქრების შემდეგ, ჩაავლო გამოწვდილ ხელს თავისი ხეშეში, თითქოს ფიცრისგან გამოკვეთილი, ხელის გული.

... საღამოსათვის ცამ კოპი შეიკრა. დაჰბერა ქარმა. შემოდგომისებურად

აცივდა. შემდეგ კი, თითქოს ცაზე ვიღაცას მთელი ღრუბლები შეუგროვებია, და ერთბაშად დასწურა ისინი საკენის თავზეო — დაასხა წვიმამ; იგი იყო არასასიამოვნო, მსუსხავი, თითქოს წყლის წვეთები კი არა, ქინძისთავები სცვივოდნენ.

წვიმიანი, მოქუფრული საღამო, თუ კი ხვალინდელი დღე არ გადარდებს, ძალაუნებურად ძილისაკენ იზიდავს ადამიანს.

ასეთ საღამოს, როცა კერაზე ცეცხლი გიზგიზებს და ტკაცანით ჰფანტავს ყოველმხრივ აკიაფებულ ნაპერწკლებს, წარმოდგენა სამყაროს შესახებ მხოლოდ განისაზღვრება იმ ოჯახური წრით, რომელიც ცეცხლს შესჩერებია. ასეთ საღამოს მსოფლიო თითქოს კართან მთავრდება, იქ, სადაც იწყება უკუნეთი სიბნელე. და მხოლოდ საღღაც გონების სიღრმეში ცოცხლობს ოცნება დილის შესახებ, რომელიც კარს ფართოდ გაუღებს ადამიანს ვრცელ მინდვრებში გასასვლელად და თვალწინ გადაუშლის მშვენიერ სამყაროს — დაუსრულებელ, თვალმიუწვდენელ სამყაროს. და მაშინ ისე ვიწროდ მოგეჩვენება სახლი მიწურ იატაკზე თავისი კერით და რუხი ნაცრით, რომელსაც უნიავებს ორჭოლი ქარი.

... წვიმა შხაპუნებს საკენელ სახლთა სახურავებზე. ნიაღვრები გარბიან გატკეპნილ ბილიკებზე და ჰქმნიან რუებს. ხალხი მოუთმენლად ადევნებს თვალყურს წყლის სქელ ფარდას, რომელიც კარებთან ჩამოშვებულა. ნეტა როდის დამთავრდება ეს? გარეთ ძლივს აღწევს კერის მბჟუტავი შუქი. მდინარე საკენი დიდდება. ცოტა კიდევ, და მდინარის სათავესთან მდებარე მთებიდან დაეშვებიან მღვრიე წყლის ნიაღვრები. დილით ვერცხლოვან მდელოს მცხოვრებნი დაელაპარაკებიან კაკლის ხევს ძნელად გასაგები ენებით...

კესოუ ზის ფანჯარასთან, დაჟინებით იცქირება სიბნელეში. ნავთის ლამპის შუქი ეცემა მინას, — რომელზეც ჩამორბის წვიმის წვეთების კამარა.

შინ სიწყნარეა. სძინავთ მამას და დას. იატაკ ქვეშ წკმუტუნებს ძაღლი, როგორც სჩანს, ცუდ ზმანებას ჰხედავს.

მაგიდაზე წიგნები აწყვია. თითები ფათურობენ წიგნის გვერდებზე, ფურცლავენ მათ. დაძინება არ სურს ოდნავი სევდა მეფობს. აგონდება ერთი ასეთივე ღამე, ღამე ფრონტზე. შეტევას ელოდნენ. მიწურში შეხუთული ჰაერია. საველე ჩანთაზე ქაღალდის სუფთა ფურცელი ძევს. ქაღალდი ზღაპრულად თეთრია მკრთალ, უნიათო შუქზეც კი. კესოუ ბარათს სწერს შინ გასაგზავნად, და მის მეხსიერებაში ცოცხლდებიან ნათესავები, სახლი, მოღუშული გუაგუა, მთების თოვლიანი ქონგურები, გიჟმაჟი მდინარე საკენი. შორს არიან ისინი ფრონტიდან, ათასობით კილომეტრის მანძილზე!.. როცა დაჰკეცა ბარათი ფრონტულად, კოხტა სამკუთხედის სახით და სუფთად დააწერა ზედ მისამართი, მან დაიწყო ოცნება იმ საღამოს უშფოთველ ცხოვრებაზე მშობლიურ სოფელში, სამხრეთის მზეზე, მყუდროებაზე. ღირსა კესოუს შინ მოსვლა! აი ისიც, მამისეული ჭერის სითბო. მაგრამ სად არის მოსვენება? არსად სჩანს იგი! სჩანს, ისეთ დღეზე როდი არის გაჩენილი კესოუ, რომ მოსვენებით იცხოვროს.

კესოუ იღებს რვეულს, შუაგულიდან ჰხევს ორმაგ ფურცელს. იგი ბოლოთასა სცემს ოთახში. ნაშუაღამევის ორი საათია. ყველას სძინავს საკენში, დიდიხანია ხალხი ცხრა მტკაველ ძილში სიზმრებს ჰხედავს! შესაძლოა, მთელ სოფელში მხოლოდ კესოუს არ სძინავს... მაგრამ მას არ შეუძლია დაიძინოს, იგი შეიპყრეს მოგონებებმა...

სამიოდე წლის წინათ ის ეშელონი, რომელშიც კესოუ იმყოფებოდა, მოს-

კოვთან შეჩერდა. ზაფხულის მთვარიანი ღამე იყო. ვიღაცამ სთქვა, კრემლი მოსჩანს. კესოუ აცოცდა ვაგონის სახურავზე, იქ უკვე გაჭედილი იყო ხალხი. ყველა ერთი მიმართულებით იცქირებოდა, კრემლისაკენ. ბევრს ეცადა კესოუ რაიმე დაენახა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, ალბათ, სხვებსაც არაფერი დაუნახავთ. მაგრამ ხალხს ყოველ მიზეზს გარეშე სურდა დაენახა კრემლის ქონგურებიანი კედლები, და ყველანი, ვინც კი სახურავზე იმყოფებოდა, გაოცებული იყვნენ კარგი ხილვადობით.

— მალე ინათლებს, ამხანაგებო, — უცებ წარმოსთქვა ვიღაცამ, — ამხანაგ სტალინს კი არა სძინავს... მან ერთხელ ჩვენს შტაბს დილის ხუთ საათზე დაურეკა!

ხმა მიჩუმდა, და ყველანი წინ იცქირებიან მოკრძალებით მდუმარენი.

კესოუ დაელოდა, ვიდრე მებრძოლები არ ჩავიდნენ სახურავიდან, და შემდეგ დიდხანს იცქირებოდა იქითკენ, საითაც მიუთითეს — კრემლისაკენ...

იგი მიუჯდა მაგიდას, ჩაუწო კალამი სამელნეში და გაბედულად სწერს: „სოფელ საკენის პარტიულ ორგანიზაციას. დღეისათვის...“ ერთ წუთს ჩაფიქრდა, დაწერილი წაშალა, ქაღალდი დაჭმუჭნა და მაგიდის ქვეშ შეაგდო.

— რა იქნება, რაიონულ გაზეთს რომ მივწერო, დახმარება მოვითხოვო? — შეკითხვით მიმართა კესოუმ მდუმარე კედლებს.

და უკვე მზად არის სათაური: „გამოვიყენოთ ადგილობრივი სასუქები“. სასუქები? და თითქოს წყვდიადიდან ამოტივტივდა კონსტანტინეს სახე. „კლდეში კი ძლიერ ხარ დარწმუნებული?“ — თითქოს ეკითხება კონსტანტინე.

კონსტანტინესთან საუბრის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ უანალიზოდ არაფერი გამოვა—რაღაც ბოსტანს, ხომ არ ეხება საქმე, არამედ საერთო საკოლმეურნეო ყანას. აუცილებლად რჩევა უნდა მიიღონ მცოდნე ადამიანთაგან.

— არა, რაიონი თუ არ ჩავრიეთ, არაფერი გამოვა!

კესოუმ კვლავ გაიარა ოთახში, პატრუქი გაუსწორა ლამპას, მიუჯდა მაგიდას და გადაჭრით ჩაჰქინდრა თავი ქაღალდზე, ჩაჰქინდრა ხანგრძლივად, შესაძლოა დილამდე...

16.

კესოუმ გაიღვიძა ჩვეულებრივზე უფრო გვიან. და, როგორც ყოველთვის, თავის ზემოთ დაინახა ხის, დროისაგან გაშავებული ჭერი, და, როგორც ყოველთვის, ინტერესით დაუწყო მას თვალიერება. კედელზე კი, საწოლთან, მზის ანცი თინათინი—მზის პირველ სხივთა ანარეკლი.

ცაზე ღრუბლები სრულიად გამქრალიყო. მთელი ღამის წვიმით მთლად გაჟღენთილი მიწა სწრაფად შრებოდა მზეზე. ყველაფერი მყუდროებას მისცემოდა ბუნებაში, მხოლოდ მოუსვენარი საკენი ღრიალით მიაგორებდა ტალღებს, და ასე გეგონებოდათ, მის მრისხანებას დასასრული არ ექნებოდა.

... გადაწყდა. იგი წავა რაიონში, მიაღწევს იქამდე ყოველ მიზეზს გარეშე, მიუხედავად საგაზაფხულო წყალდიდობისა. კესოუმ გაიზმორა და ტკბილად დაამთქნარა. აიღო მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი და თვალიერება დაუწყო. ფურცელზე სწერია სხვადასხვა მოსაზრებანი მოსავლის გადიდების შესახებ.

კესოუმ დაჭმუჭნა ქაღალდი და შეაგდო მაგიდის ქვეშ — იგი უკვე საჭირო აღარ არის. უეცრად ანთებული მტრობა კონსტანტინესადმი დასცხრა. ბოლოსდაბოლოს, რა ჩაიდინა ცუდი კონსტანტინემ? აიძულა უფრო სერიოზულად მოპყრობოდა საქმეს—ეს არის და ეს... თვალწინ კი მზის კაშკაშა თინათინია. ხოლო ფანჯრის იქით—ნათე-

ლი, გაზაფხულის დღე. ერთხელ კიდევ გაიზმორა კესოუმ, საწოლი აჭრიჭინდა...

შემოვიდა ნინო. შემოიტანა ერთი ფინჯანი თხის ცხელი რძე.

— შენ მე მანებივრებ, — უთხრა კესოუმ.

ნინომ მისწია სკამი საწოლთან და დასდგა ზედ ფინჯანი.

— ცოტცოტა მოსვი. — მან თვალი მოავლო მაგიდას: — რაო, სწერდი რასმეს? რას?

კესოუმ პასუხი არ გასცა. ნინო არჩევდა ქაღალდებს და განაგრძობდა თავისთვის ლაპარაკს:

— ბევრი თამბაქო მოგიწევია... კვამლი სდგას. ჰაერში ნაჯახის დაკიდება შეიძლება... „გამოვიყენოთ ადგილობრივი სასუქები“... ასე... მაშასადამე, კლდის შესახებაა ლაპარაკი... მამაჩემი ამბობს, რომ ყველაფერი ეს ფუჭი მონაგონია. ეცინება. ხალხში კი შენს მხარეზეა. განცხადება. „სოფელ საკენის პარტორგანიზაციას“.. გუშინ კი გაგიხსენეთ მე და კამამ...

კესოუმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს უკანასკნელი შენიშვნა მას არც თუ ისე აინტერესებდა.

— რაშიდი კი სულ ეტმასნება...

საკენელს გულმა რეჩხი უყო: გაბრაზებულმა კესოუმ მოსვა რძე და პირი დაიწვა.

— ეშმაკსაც წაუღია!—შესძახა გულმოსულმა. — ხახა დავითუთქე!

— შენც ნუ ჩქარობ... არ მომწონს რაშიდი...

— უჰ, დალახვროს ეშმაკმა, რა რძეა!... მერე და რატომ არ მოგწონს? ეჭვიანობ?

ნინომ სასაცილოდ ჩაიფთქვინა.

— მე რა შუაში ვარ? შენ უნდა ეჭვიანობდე და არა მე.

— ჰო და, მეც არაფერ შუაში ვარ!

სატრფოსადმი თავისი ნაზი გრძნობების შეძლებისდაგვარად მალვა— საკენელთა ძველისძველი მანერაა. არც ერთი გამიჯნურებული—საკენელი არ გაამჟღავნებს, რომ იგი შეყვარებულია, არასოდეს არ გამოაცხადებს თავის გრძნობებს და ჰფარავს მათ გულგრილობის ნიღაბით. ეს მანერა მიღებულია მთებში და ითვლება განსაკუთრებული თავაზიანობის გამოვლინებად; იგი წარმოადგენს მრავალ გაუგებრობათა მიზეზს, ვინაიდან ახალგაზრდა ადამიანები ასეთი მალვის გამო იოლად რჩებიან ხელცარიელნი.

— მამა გელოდება, — უთხრა ნინომ და ქაღალდები გვერდზე გადასდო. — საღამოს კი ხომ წახვალთ გუდალთან?

კესოუს გაახსენდა მიპატიჟება.

— ჰო, გავივლით...

ეკუპი იჯდა კიბის საფეხურზე, რიტმიულად ირხეოდა და წელს იზელდა. მის სახეზე გამოხატული იყო სიმშვიდის ნეტარება, რაც ჩვეულებრივად ეწვეოდა ხოლმე მოხუცს, როცა ავდარს სცვლიდა მზიანი დარი. კესოუმ გაანდო მას თავისი განზრახვა ქალაქში წასვლის შესახებ, რაიონის ხელისუფალთა სანახავად. შვილს ძლიერ გაუკვირდა, როცა მოხუცმა არა თუ დაუშალა ეს, არამედ გაუხარდა კიდეც.

— მართლაც,—უთხრა მან, როცა დაამთავრა თვითმკურნალობა. — წადი, მოელაპარაკე, ეჩვენე ხალხს... შენს ადგილზე რომ ვიყო, იმ კლდიდან ცოტაოდენ მიწასაც თან წავიღებდი. დაე, შეამოწმონ აგრონომებმა... სამწუხაროდ, ქვეყნის განაპირას ვცხოვრობთ, თორემ დიდიხანია ამ კლდის საქმე მოგვარებული იქნებოდა...

— იქ, ქვემოთ, ყოველგვარი სასუქი უამრავი აქვთ, ისინი მოაქვთ ათასობით ვერსიდან, იქ ისე როდია, როგორც საკენში!

— ისე გამოდის, რომ საკენს ბედი არ სწყალობს,—სთქვა მოხუცმა.—ეჰ, ვის მოეპრიანა ჩვენი ამოსროლა ბურთივით ყველაზე უფრო მაღალ სახურავზე.

— ხვნას მოვრჩებით და წავალ ქალაქში, — სთქვა კესოუმ.

— აქ უშენოდაც არა გვიშავს. ჩვენს ბრიგადაში ყველაფერი რიგზეა. გაიხსნება თუ არა გზა, წადი ქალაქში...

— გზა გახსნილია, — გამოეხმაურა სამზარეულოდან ნინო. — აი, რაშიდი ხომ ჩამოვიდა!

მოხუცმა გადააფურთხა.

— ის ეშმაკის ფეხი ცოცხზე შემჯდარიც ჩამოირბენდა...

— ნუ სწუხარ, მამა,—უთხრა კესოუმ,—როგორმე ჩავაღწევ.

უკვე დაბინდდა, როცა კესოუმ მამასთან ერთად გასწია გუდალისაკენ. მოხუცმა ჩაიცვა თავისი საუკეთესო ჩოხა, მოიხურა ყაბარდოული ნაბადი, შინნაქსოვი შალის ჩაბალახი. იგი ამაყად მიაბიჯებდა ჯოხზე დაყრდნობილი. შვილი მორიდებით მიჰყვებოდა მამას მხარმარცხნივ, და უფრო ჩვეულების გამო კოჭლობდა, ვიდრე ფეხის ტკივილისაგან.

ისინი გუდალისას თითქმის პირველნი მივიდნენ. ჭიშკართან მათ მიეგება სმელი, გუდალის ვაჟი, მშვენიერი ყმაწვილი. სმელს ქალაქში ჰქონდა დამთავრებული მეფუტკრეობის კურსები და იმ დროიდან მუშაობდა კოლმეურნეობის საფუტკრეში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დამთმობი ხასიათი ჰქონდა, ვერაფრით ვერ შეეგუა ფუტკრებს (უფრო სწორად, ფუტკრები ვერ შეეგუენ მას) და ცოტაოდენი რცხვენოდა კიდეც თავისი სამუშაოს გამო.

მან თავაზიანად გაუშვა წინ სტუმრები და მიხურა ჭიშკარი. კესოუმ თვალი მოჰკრა ეზოში გაბმულ მავთულებს.

— სჩანს, მგონი მოგბეზრდა ნავთის გაწამაწია?—ჰკითხა კესოუმ, თან თვალით ანიშნა მავთულებზე.

— მომბეზრდა და ეგრე!—დარცხვენილი ღიმილით უპასუხა სმელმა.— მე ასე ვფიქრობ: თუ აქედან ახლა რამე გამოვიდა, ვინც მოისურვებს, მასაც გავუკეთებ. სამუშაოში ფულს არ გამოვართმევ. დაე იხმაურონ ამ სადგურებმა...

კესოუმ ხელი ჩამოართვა მას.

— რამდენი წლისა ხარ?—ჰკითხა მან.—ოცდა სამის? ცოტაა. რაო, მამა გეხმარებოდა?

ყმაწვილმა ყურის ძირი მოიფხანა.

— აი რა, — დაიწყო მან ენის ბორძიკით,—ზოგჯერ ახალი მოვლენა ადამიანებს თვალში არ უჯდება. ერთბაშად როდი სჯერათ. მამაჩემიც ასეა... როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი — ჰხედავს, ჩემსას ვერ მომაშლევინებს... რა უნდა ექნა? სიმართლე რომ მოგახსენო, მაგრად დამეხმარა.

ეკუპმა მუჯლუგუნი წაჰკრა მას ფერდში.

— ნუ სცოდავ, შვილო, — უთხრა მან,—მამის ძვირს ნუ ამბობ. ყველაფერი, რაც ოჯახში კეთდება,—მამისაგანაა. აბა რა გგონია? ყველაფერს თავისი კანონი აქვს!

და მოხუცმა თითი ჰკრა მას მუცელში. სმელი შეხტა და ბავშვივით გადაიხარხარა. მისმა შემხედვარემ კესოუმაც გაიცინა. ბოლოს მოხუცმაც ველარ მოითმინა: იგი იხრჩობოდა სიცილისა და ძლიერი ხველისაგან.

— ჩვენი ვაჟები, ხომ ხედავ, ჩვენზე უფრო მაღლა ჰფრენენ. როგორ მოგწონს, ა?—მიმართა ეკუპმა გუდალს. რომელიც სწრაფად ჩამორბოდა კიბეზე.

სამზარეულოდან გამოჩნდნენ ქალები, და ერთი მათგანი, მაღალი და გამხდარი, ნაადრევად გაჭაღარავებული, გაეშურა სტუმრებისაკენ.

ეს იყო გუდალის ცოლი.

— სალამი, კამაჩიჩ,—შესძახა ეკუპმა და ცერემონიებით მიესალმა ქალს.—არ ხუცდები და არა!

— გეყოფათ, ეკუპ,—შეაჩერა იგი ქალმა, — საამწუხაროდ, ქვეყნად არსებობენ სარკეები...

მაგრამ ეკუპი არა სცხრებოდა. ყოველნაირად ცდილობდა კამაჩიჩის დაჯერებას, რომ იგი თითქმის ისეთივეა, როგორიც ახალგაზრდობაში იყო. მოხუცი ყოველნაირად ცდილობდა თავაზიანი ყოფილიყო.

კესოუ ეკითხებოდა სმელს ელექტრონის მანქანაზე, აინტერესებდა მისი მოქმედება.

— თქვენ ხომ სინჯეთ, ვიდრე სტუმრებს მიიწვევდით?—ჰკითხა კესოუმ.

— დარწმუნებული ვარ, დენს მოგვცემს, — თავდაჯერებულად სთქვა სმელმა.—აი, ნახავ!

მისი შავი თვალები მისჩერებოდა კესოუს სახეს, და კესოუს მოეჩვენა, რომ მის წინ ჯიხვი იდგა: ტანადი, მარდი, როგორც ცეცხლი ლაღი, დაუმორჩილებელი. სმელი დაიხარა სტუმრისაკენ (იგი მთელი თავით მაღალი იყო) და დარწმუნებით გაანდო:

— აქ ჩვენთან ისეთი ბიჭები შეირჩევიან, რომ თუ გინდა, მთებს გადააბრუნებ. აი, ნახავ, მალე სხვებსაც ექნებათ შუქი. ყველა შეიძენს მანქანას.

— ერთი და მოზრდილი რომ აგვეგო?—შენიშნა კესოუმ.

— სწორია! — შესძახა ყმაწვილმა და ტაში შემოჰკრა.—ერთი და მოზრდილი — უკეთესია. ა?

— უმჯობესია, სმელ, ბევრად უმჯობესი. აი ერთი წლის შემდეგ ავაგებთ, და შენ მთავარი მექანიკოსი იქნები. რას იტყვი?

ყმაწვილი შეცბუნდა.

— რა თქმა უნდა, ვიტყვი, რომ თანახმა ვარ. ჯერჯერობით კი დაე, ეს...

და მან წაიყვანა კესოუ სადგურის დასათვალიერებლად.

სტუმრები ნელა იკრიბებოდნენ. ყველაზე გვიან ნიკუალა მოვიდა.

— ბოდიში,—სთქვა მან, როგორც კი ზღურბლზე ფეხი შემოდგა, — ძლიერ დატვირთული ვარ. ეს ხვნაო, ეს გეგმებიო და სხვა რამ...

იგი ცდილობდა საქმიან კაცად მოეჩვენებინა თავი. ნიკუალასთან ერთად გამოცხადდა საკენელი ექიმიც. მცოდნეებმა მაშინვე შეამჩნიეს, რომ ექიმს, რომელსაც ეჩქარებოდა ზეიმზე მისვლა, წინასწარ გადაეყლუნწა (ჩვეულება, რომელიც, ექიმის მტკიცებით, მან მხოლოდ საკენში—„ამ სოროში" შეიძინა).

— სპირიდონ, — სანახევროდ ხუმრობით უთხრა ეკუპმა, თან თითით დაემუქრა ექიმს, — ჩემი ზურგი გელოდება შენ.

სპირიდონმა გულზე დაიდო ხელი. „მზად ვარ გემსახუროთო", — ამბობდა ცერემონიალური ჟესტით.

— ურიგო არ იქნებოდა, სხვა ექიმი რომ გვყოლოდა, — ჩასჩურჩულა კესოუს კონსტანტინემ. — რაიონში როცა იქნები, დააყენე, ეს საკითხი.

— კარგი, — უპასუხა კესოუმ. — მოველაპარაკები.

ბინდი ისე სქლად ჩამოწვა, რომ საჭირო შეიქნა ლამპის ანთება, ხოლო წინკარში რამდენიმე ჭრაქის გამოტანა. ახალგაზრდები კაშხალთან ამთავრებდნენ უკანასკნელ სამზადისს ჩირაღდნების შუქზე.

კამაჩიჩი, როგორც კი შეეძლო, ართობდა სტუმრებს.

— ჩემი შვილი ამბობს, რომ აი აქ აინთება შუქი,—სთქვა მან და ხელით მიუთითა ჭერში ჩამოკიდებულ მუცელგამობერილ ელექტრონათურაზე.

კესოუ მივიდა დიასახლისთან, ხელი მოჰკიდა ხელზე.

— შენ არ გჯერა, დედი?

— ძნელი დასაჯერებელია, შვილო..

— რამდენიმე წუთს მოითმინე, დარწმუნდები.

კუთხეში მოხუცები ისხდნენ. მათ შეუერთდა ეკუპიც. როცა კამაჩიჩმა წარმოსთქვა თავისი „ძნელი დასაჯერებელია", მათ პირი მიიბრუნეს მისკენ.

— ეს რაო, დიასახლისო, — უსაყვედურა მას თმათეთრა ლამაზმა მოხუცმა, რომელსაც თოვლის ბაბუასავით წითელი ლოყები ჰქონდა.—ჩვენს საკენს არცხვენ? ღმერთმა ნუ ჰქნას, გარეშე ვინმეს რომ გაიგონოს, რას იფიქრებს?

კამაჩიჩმა სცადა შესიტყვება. ეკუპმა თავის მხრივ დასტუქსა იგი.

— აი, აი, კამაჩიჩ! რა არის აქ გასაკვირველი? ნუთუ არაფერი გსმენია ქალაქის შუქის შესახებ?.. იგი მთვარესავით ანათებს: შუქს იძლევა, სითბოს კი არა. — იგი უფრო გულდაგულ მოკალათდა და განაგრძო: — არასოდეს არ შემშურებია ვისმესი მეგობრებო, მაგრამ ეს ერთი ხანია მშურს იმ სოფლებისა, ჩვენს ქვევით რომ მდებარეობენ, უღელტეხილებს გადაღმა. მათ შუქი აქვთ. მათ ბედმა გაუღიმათ, ეშაკმა დალახვროს, მოასწრეს ომამდე ბაზის გაყვანა. აი ჩვენ კი რატომღაც ბედმა გვიმუხთლა...

— ომი ომია, — ჩაერია საუბარში კონსტანტინე, და მისმა თანაბარმა, მშვიდმა ხმამ ერთბაშად მიიპყრო იქ მყოფთა ყურადღება.—დიდიხანია შუქი გვექნებოდა, მგრამ ომმა შეგვიშალა ხელი. აი გზის მხრივაც პირდაპირ უბედურებაა... ომი რომ არ დაწყებულიყო, ჩვენთან უკვე უდავოდ იფრენდნენ თვითმფრინავები. გახსოვთ ხომ, ერთი ეშვებოდა აქ, ომის წინ?

— ფირფიცრისა ხომ არა?—იკითხა ეკუპმა.

— თქვენ ნუ გეცინებათ, — სთქვა კონსტანტინემ სერიოზულად, — ჰაი, ჰაი, რომ იგი ბრეზენტისაა, ისე კი ძლიერ საიმედოა... ისე კი ნუ სწუხართ, ჩვენც გვექნება შუქი ერთ წელიწადში, თვითმფრინავებიც მოფრინდებიან ამასთან გზასაც გავიყვანთ.—და კმაყოფილებით, თითქოს მისთვის ყველაზე უფრო საყვარელი საუბარი დაედგათ, დასძინა: — მოასფალტებულ გზას. ა?

დიახ, ეს ძლიერ კარგი იქნებოდა! კმაყოფილი მოხუცნი ახვევლებდნენ, სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდნენ. ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა...

ეზო თანდათან აივსო ცნობისმოყვარე ადამიანებით. ნიკუალა ღელავდა. მან სახელდახელოდ მოაწყო პატარა თათბირი. გადაწყდა, რომ ზეიმისათვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცათ. ეს დაჟინებით მოითხოვა კონსტანტინემ. გუდალი დაბნეული იყო. მან განაცხადა, რომ იგი არ მომზადებულა ასეთი დიდი ნადიმისათვის — ხომ ხედავთ, რამდენი სტუმარიაო! ვიღაცამ იკისრა რამდენიმე ვედრო ღვინის მოტანა. მის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს.

— ვიდრე თქვენ ხალხთან ისაუბრებთ, ჩვენ სწრაფად მოვაგვარებთ ყველაფერს, — განაცხადეს მათ.

განმკარგულებელის როლი იკისრა სკოლის დირექტორმა მუშაგმა (ცნობილმა ორატორმა და ფრანტმა). მოდაზე შეკერილი კოვერკოტის შალვარი, დაუდევრად ჩაშვებული ჩექმებში, მოწმობდა მისი პატრონის უზრუნველ დამოკიდებულებას პირადი ქონებისადმი (ეს მისი თვისება კმაყოფილებით ჰქონდათ შემჩნეული საკენელ ქალიშვილებს).

კონსტანტინეს რჩევით მან წარმოსთქვა სიტყვა გუდალის სახლში გამართული ზეიმის გამო.

— ამხანაგებო! — ალტაცებით დაამთავრა თავისი სიტყვა მუშაგმა. — დიდიხანია არსებობს ელექტროობა და ხალხი დიდიხანია სარგებლობს მისი სიკეთით... მე გთხოვთ სათანადოდ ჩაუფიქრდეთ დღევანდელ მოვლენას... ჩვენს ხელში გამოზრდილი საკენელი ბიჭუნა დამოუკიდებლად აგებს სადგურს. ომს ხელი რომ არ შეეშალა, ჩვენ დიდიხანია გვექნებოდა ნამდვილი სადგურიდან მიღებული შუქი. დღეს აინთება ნათურები გუდალისა და მისი ახლო მეზობლების სახლებში. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, ამხანაგებო, გიცხადებთ სასოფლო საბჭოს დავალებით, ორმოცდარვაში ჩვენი საკუთარი... საკოლმეურნეო... ელექტროსადგური გვექნება.

ეს სიტყვები ტაშმა და სასიხარულო შეძახილებმა დაჰფარეს. ზეიმმა ჭეშმარიტად გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ასევე სიხარულით შეხვდნენ იმ მადლობის გამომხატველ სიტყვებს, რომლებიც მიმართული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი — ყველა ზეიმთა პირველმიზეზისადმი.

— ვაშა სტალინს! — შესძახა ხალხმა და მთელმა ეზომ, ხალხით სავსემ, ერთსულოვნად ააგრიალა მქუხარე ტაში.

წინკარში მოულოდნელად შემოირბინა ხანშესულმა კაცმა. მან მოიძრო თავიდან ჩაბალახი, აღტყინებით იქნევდა მას, და შესძახა:

— ძვირფასო მეგობრებო! ჩუმად!.. ჩუმად!.. ამხანაგებო! შემომაქვს წინადადება: მთელმა სოფელმა საკუთარი თანხებით, საკუთარი ხელით ავაგოთ ელექტროობა...

— სადგური,—უკარნახა მუშაგმა.

— სადგური! — გაიმეორა მოლაპარაკემ.

— ვღებულობთ! — უპასუხა ხალხმა და საგონებელში ჩააგდო ნიკუალა. მაგრამ კონსტანტინემ დაამშვიდა იგი.

— გონივრული გადაწყვეტილებაა,— სთქვა მან,—სწორი გადაწყვეტილებაა, თუ ხალხს ასე სურს.

— მერე და რაიონი?—იკითხა ნიკუალამ.

— რა ვუყოთ, ჩვენ ვაცნობებთ ჩვეხი სურვილის შესახებ, გავაფორმებთ როგორც საჭიროა, ვითხოვთ.

სმელი და მისი ამხანაგები განაგრძობდნენ კაშხალთან ჯახირს. დაქანებული ღარის ბოლოში მიუსადაგეს ფრთებიანი თვალი. თვალიდან გაბმულია ღვედური საძრავი ელექტროულ მანქანამდე. მანქანის ახლოს არის დაფა ჩამრაზითა და ვოლტმეტრით. აი მთელი ყოვლადბრძნეობა. ცნობისმოყვარენი ამ ადგილს არ შორდებოდნენ, გაოცებული იყვნენ.

— ეი, სმელ, — გაჰყვირიან მოუთმენელი მცონარენი, რომლებიც მუდამ საკმაოდ მოიპოვებიან,—როგორაა საქმეები?

— ჭადრაკულად, — ხუმრობს სმელი და თავით იმალება არხში. იგი ფათურობს წუმპეში, სწმენდს ნიჩბით კედლებს. ხუთიოდე წუთის შემდეგ იგი ამოძვრა იქიდან ბუხრის მწმენდელივით გათხუპნული.

— ქაჯი! — ჰყვირიან ქალიშვილები და უთითებენ მასზე.—ნამდვილი ქაჯია!

მოხუცები კი უცქერიან სმელს და უკვირთ: რაღა თქმა უნდა, სწავლული ყმაწვილია ეს სმელი!

მაგრამ აი ახლოვდება კულმინაციური მომენტი — ორი ახმახი ყმაწვილი ხსნის კაშხალს, და წყალი ხმაურით ეშვება ღარში. მანქანასთან მოდიან მუშაგი და სმელი.

— იცქირეთ ზევით! — ჰყვირის კესოუ და ნათურებზე უთითებს.

აი ამუშავდა საძრავი, წვრილი ხმით აქოთქოთდა მანქანა, ნათურებში ნამცეცა ელვასავით გაბრწყინდა შუქი და... ჩაჰქრა.

— გაწყდა ღვედი! — გამოაცხადა მუშაგმა.

ადამურმა, რომელიც აჩრდილივით დასდევდა ნიკუალას, დაბალი ხმით და გესლიანად სთქვა:

— ძალიან სამწუხაროა. იჩქარეს ბიჭებმა. — და ჩაიცინა.

სამზარეულოში ქალები კერიას შუქზე მუშაობდნენ, რაც ჭრაქები იყო, სულ კაშხალზე წაიღეს, სამაგიეროდ ელექტრონის შუქს შეჰპირდნენ, რომელსაც, აფსუს! არ სურდა გამოჩენა.

თხუთმეტი წუთში ღვედი შეაკეთეს. ველავ აგუგუნდა მანქანა და ხალხის საზეიმო სიჩუმეში უეცრად აენთენ ნათურები: სახლში, სამზარეულოში,

წინკარში, ეზოში, ჭიშკართან, ბოსელში, ჭასთან. შუქი ენთო ერთ წუთს, ორს, ხუთ წუთს.

გაისმა შეძახილები:

— სმელი მოიყვანეთ!

— ყოჩაღ! ავწიოთ ზევით!

და საკენელებს უხაროდათ ის, რომ მათ შორის ცხოვრობს საზრიანი ყმაწვილი, სახელად სმელი.

უკვე დიდიხანია მიმოჰქონდათ ღვინო დოქებით, არიგებდნენ მჭადის ნატეხებს ხორცით, ბევრს შეზარხოშებაც მოესწრო, შუქი კი სულ ენთო.

— და მანამდე ენთება, — წარმოსთქვა კესოუმ, — სანამ არ დაშრება საკენი.

დიახ, ჩემო მეგობრებო, ეს ღირსშესანიშნავი ღამე იყო საკენში, საუცხოო ღამე!

17

ალბათ, ელექტროობის აღმოჩენასაც კი არ განუცვიფრებია მსოფლიო ისე, როგორც გააოცა საკენელები „ქალაქის შუქმა“, სოფლის ბიჭის ხელით მოპოვებულმა. ცხადია, ხალხს ის კი არ უკვირდა, რომ საერთოდ ასეთი სინათლე არსებობს, არამედ ის, რომ იგი საკენში გამოჩნდა. თითქოს, ვიღაცამ აჰყარა სოფელი და გადაიყვანა მრავალ ვერსის მანძილზე ქვევით, ქალაქთან ახლოს.

გლეხები წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ სმელს, და ისეთი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მას, თითქოს პირველად ხედავდნენ, თან ეკითხებოდნენ:

— მაშ, მართალია, რომ შენ მოაწყე?

— როგორ გითხრათ? — უპასუხებდა სმელი და გულკეთილად იღიმებოდა. — თუ გინდა, შენც დაგეხმარები ასეთის გაკეთებაში? — და სმელი, ჯიბეებში ხელჩაწყობილი, ამაყად მისჩერებოდა თანამოსაუბრეს.

ისიც, დამტკბარი ყმაწვილის წარმოსადეგობით, ამბობდა:

— შენ ისეთი მარჯვე ხარ, რომ უფრო მეტსაც გააკეთებ, ღმერთმანი!

ერთ დილას მოვიდა მოხუცი შაანგერი კანბაც ქალაქური შუქის სანახავად. მან ბრძანა კარები დაეკეტათ და ოთახში ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ.

— ახლა მაჩვენეთ ეს ძალა,—სთქვა მან.

როცა ოთახი ოდნავ განათდა მოციმციმე მოყვითალო შუქით, მოხუცი სიტყვის უთქმელად გავიდა წინკარში და გაემართა მანქანისაკენ. იგი დიდხანს იდგა მანქანასთან. ვერცხლის ქილებიან ძველებურ ჩოხაში გამოწყობილი, ხელში კაკლის ხის ყავარჯენით, ჭალარათმიანი მოხუცი ჰგავდა უხუცეს წინასწარმეტყველს, რომელიც ცდილობდა ეპოვნა სამყაროს საიდუმლოს ახსნა. მან მიმართა გუდალს და საზეიმო ტონით წარმოსთქვა:

— შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ.

იგი ჩამოჯდა ჯირკზე, ამოიღო ქისა, მუხლზე გააწყო კაჟი და კვესაბედი. მისმა ბადიშისშვილმა, ათი წლის ბიჭუნამ, გასჩეჩა აბედი, მოსწყვიტა ნაკუწი და მიაწოდა მოხუცს. გუდალმა ჩაიჩოქა.

შაანგერი აუჩქარებლად სტენიდა თიხის ძველ ჩიბუხს. იგი უხმოდ აცმაცუნებდა გვიმრასავით ჩაფიცხებულ ტუჩებს.

— ვინ ჩაგაგონა ეს საქმე, გუდალ?— ჰკითხა მან და თვალების მოძრაობით მიუთითა კაშხალზე.

გუდალმა ხელები დაიფშვნიტა, როგორც ამას სჩადიან ხოლმე ხელსაყრელი მორიგების წინ.

— ვაჟმა, — სთქვა მან, — ჩემმა ბიჭმა.

— რამდენი წლისაა იგი, გუდალ?

— ოცდასამისა...

— არ დაგიცოლშვილებია?

გუდალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ჯერ არა, ადრეა.

მოხუცი შეუდგა კაქით ნაპერწკლის გაჩენას. ამას ის დიდხანს აკეთებდა, გატაცებით, და როცა აბედმა ბოლი აუშვა, მას თითქოს ეწყინა ეს.

— შენმა ბიჭმა,—სთქვა მან თავის ფიქრებზე გამოდევნებით, რომლებიც თითქოს გაურბოდნენ მას.—მერე და ვინ დაარიგა ჭკუაზე?

— როგორ გითხრა, შაანგერი? მას სკოლაში ასაწვლიდნენ... მას ემარჯვება სხვადასხვა რამეების გამოგონება. ერთხელ ქალაქში წავიდა... ბევრი რამ საოცარი ნახა... ფული მთხოვა, იყიდა ნაირნაირი მანქანები. რამდენჯერმე მოუხდა იქ წასვლა, ვიდრე მთლად არ ამოზიდა რკინები...

— საოცარია, ღმერთმანი, საოცარი!—სთქვა ჩაფიქრებულმა მოხუცმა, და ჩიბუხი პირიდან გამოიღო. — როგორც სჩანს, ასეთი დროება დადგა...

შაანგერი გაჩუმდა და კვლავ შეუდგა ჩასუხის მოწევას. თამბაქოს ლურჯი ბოლი გამოხედვას უშლიდა. მოხუცს მოაგონდა თავისი ცხოვრება. ისინი ხუთნი იყვნენ — ძმები, ხუთი ლომი კანბა. შაანგერი ყველაზე უმცროსი იყო. უფროსი დაუდი, მშვენიერი ყმაწვილი, კეთილი სულის პატრონი. იგი დაიღუპა მოსისხლის ხელით — თავად აარშანის ხელქვეითისაგან. დაუდს კეფა გაუხვრიტეს... შენდობა მას! მას ათი კაცის ღონე ჰქონდა! არა, მის მეტი ასეთი ყოჩაღი ვაჟკაცი არ უხილავთ მწვანე მთის თხემებს!.. მეორეც, ლამაზი ვაჟი, ციმბირში დაიკარგა, რომელიღაც აზნაურის ცხენის გამო. ამბობენ, უდანაშაულო იყო და ტყვეობაში სანთელივით დაიწვა, დადნაო. ორი სხვა ძმა—ერთი მეორეზე უკეთესი — ქეიფის მოყვარულები იყვნენ. მათ ყველგან პატიჟებდნენ წვეულებებში, მუდამ თამადად ირჩევდნენ. ესენი ღვინომ მოჰკლა—წყალმანკი გაუჩნდათ. დედა კი სულ ემუდარებოდა — ნუ სვამთო! ისინიც დაიღუპნენ, ნათელი სულის პატრონები კი იყვნენ! თვითონ შაანგერი? ერთი მუშტის დარტყმით ხარს წააქცევდა, ისეთი ღონე ჰქონდა, რაზე მოეხმარა არ იცოდა. ოღონდ ეთქვა ვისმეს და ცეცხლს მოიტანდა საიქიოდან. მერე და რას მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე? რისთვის იცოცხლა ერთნახევარი საუკუნე?

— ეჰ, გუდალ, გუდალ, — ჩურჩულებს მოხუცი,—რა საწყენია, რა დასანანებელია...

— რის შესახებ ამბობ, შაანგერი?

— ჩემს ცხოვრებაზე, გუდალ, მეცოდება თავი, მეცოდება... აი აქ რაღაც მკაწრავს. მშურს, ყოველივე კარგზე დახარბებული ვარ. შენ ვერ გამიგებ მე... მისმინე, რას გეტყვი: აი ვცხოვრობდი მე, ვცოცხლობდი და ვცხოვრობდი, სულ ვოცნებობდი საბედნიეროდ ერთი ფიალა ღვინის შესმაზე, ბედნიერებაზე, პაწაწკინტელა ბედნიერებაზე. და აი, სიცოცხლის მიწურულში ვიხილე იგი, საბედნიერო ფიალაც... მაგრამ უკვე აღარ შემიძლია მისი აღება, ხელმა მისუსტა, აღარ მიმიწვდება...

მოხუცმა მძიმედ ამოიოხრა და წამოდგა, წასასვლელად მოემზადა. იგი დაემშვიდობა გუდალს და ნელი ნაბიჯით გასწია ჭიშკრისაკენ, დაყრდნობილმა ბადიშის შვილის ხელზე.

გზაზე მათ კესოუ შემოხვდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ახალგაზრდა ვაჟმა,—მოგეწონა გუდალისას?

შაანგერიმ ხელით მოიჩრდილა.

— ეს შენა ხარ?—ჰკითხა მან ხრინწნარევი ხმით. — ყარამანის შვილიშვილი?.. სულ ბაბუას ჰგავხარ, ბაბუას...— და მას სურდა გზა განეგრძო.

— ერთი წუთით... ძალიან გთხოვ.— კესოუ გაუბედავად გადაუდგა გზაზე მოხუცს.—არ შემოივლი ჩვენსას?

— არ შემიძლია, — გაიქნია თავი მოხუცმა. — შინისაკენ მიმეჩქარება,

რომ თავისუფლად გავიხსენო ზოგი რამ... გესმის? ეს გუდალიანთ ბაბუა... უცნაური კაცი იყო განსვენებული... შვილიშვილიც ბაბუასა ჰგავს. რაო?

კესოუმ აჩქარებით ჰკითხა:

— მე მინდა ვიცოდე, რა არის შენთვის ცნობილი იმ რუხი კლდის შესახებ, რომელიც ჩვენ სახლს უკან აღმართულა?..

— კლდის შესახებ?

— იმ კლდის შესახებ, ადამურის მიწაზე რომ არის... ყოფილ მიწაზე...

— რომელი ადამურის? ვისია იგი?..—მოხუცმა თვალები მოჭუტა. ისმოდა, თუ რა მძიმედ სუნთქავს იგი, თითქოს ფილტვების ნაცვლად მას სამჭედლოს დაცხრილული საბერველები ჰქონოდეს. — მე ბევრი კლდე ვიცი... თუ გინდა, გასწავლი, როგორ მზადდება თოფის წამალი?.. ბევრჯერ გამიკეთებია... მთის შავი კლდე, ქათმის სკორე, ნახშირი... ღმერთმანი!

მოხუცი გაჩუმდა, სული მოითქვა. კესოუმ ისარგებლა ამით და სწრაფად მისცა მეორე შეკითხვა:

— როგორი იყო,—ჰკითხა მან, — სიმინდის ყველაზე საუკეთესო მოსავალი საკენში?

— ასი!—მოხუცმა თავი გააკანტურა. — მხოლოდ ასი ფუთი. საუკეთესო მოსავლიან წელიწადს... გესმის?

— მაშ, შენ კლდის შესახებ არაფერი გსმენია?

მოხუცი თითქოს ცდილობდა რაღაცის გახსენებას, და განუწყვეტლივ აცმაცუნებდა ტუჩებს.

— მახსოვს, — სთქვა მან ბოლოს და აკანკალებული თითები წვერზე ჩამოისვა,—გუდალის ბაბუა, ღმერთო, ზუსტად მათქმევინე, მრავალ რაიმეს აკეთებდა... ერთ მოხელესთან, ძმაბიჭურ დამოკიდებულებაში იყო... როგორ არა! ამბობდნენ, თითქოს კლდესთან რაღაცას ცოდვილობდნენ... ალბათ, ზღაპრებია... შენ კი მოდი ჩემთან და თოფის წამლის კეთებას გასწავლი... როგორ არა, ვაკეთებდი, მე თვითონ ვაკეთებდი... უჰ, მოვხდარა...

და მოხუცმა მეხსიერებაში რომ ვეძებრაფერი ღირსშესანიშნავი მოსძებნა, რაც მომენტის შესაფერისი იქნებოდა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად ახალგაზრდას.

— მოდი ჩემთან შვილო, — უთხრა მას.

კესოუს თვალი არ მოუშორებია მოხუცისათვის, ვიდრე იგი არ მიიმალა.. თითქოს თვალწინ ჩაიარა საკენის მთელმა საუკუნეობრივმა ისტორიამ, რომელმაც ქვეყანას ბლომად შესძინა მაგარი, არაჩვეულებრივად ხანგრძლივი სიცოცხლით დაჯილდოებული ადამიანები. სამწუხარო ის იყო, რომ ეს ადამიანები გაჰქრენ, როგორც ლანდები მიწაზე, წყვდიადმა შთანთქა ისინი.

18

საკენელთა ერთსულოვანი აზრით, წლევანდელი გაზაფხული არაჩვეულებრივად დაიწყო. თვითონვე განსაჯეთ: საოცრად ადრე დათბა, დაირხა ხნები საკვირველი კლდის შესახებ, ელექტრონის შუქი გუდალთან — ეს ხომ არაჩვეულებრივი ამბებია. და რა გასაკვირია, რომ სოფელში რაღაც საგანგებო განწყობილება შეიქმნა? თითქოს თვითეულ დღეს რაღაც განსაცვიფრებელი რამ უნდა მოეტანა.

მაგრამ არსებობდა სკეპტიკოსი, რომელიც არ იზიარებდა, როგორც ეს თვითონ განაცხადა ადამურთან ყოფნისას დახლის წინ, არც საკენელთა აღტაცებას, არც მათ ვაისა და ვიშს სხვადასხვა შემთხვევათა გამო. ჭეშმარიტად, მას ჰქონდა არასაკენური გული! მაგალითად, გუდალისეული შუქის თაობაზე მან სთქვა, რომ საკმაოდ უნახავს ამ ამბებზე უფრო საინტერესო სიახლენი, და ასწია რა ჭიქა, იმღერა რაღაც თავზეხელაღებული შაირები. როგორც ხედავთ, სკეპტიკოსს საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ არ მიაჩნდა გაფრთხილებოდა საკენელთა თავმოყვარეობას, არ შიშობდა, რომ ისინი მისით უკმაყოფილო შეიქნებოდნენ. ეს იყო, როგორც თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, რაშიდი.

ცხადია, თანასოფლელებისადმი ასეთი აშკარა უპატივცემულობისათვის მოსალოდნელი იყო რომელიმე ფიცხი ყმაწვილისაგან სილა ეგემნა. მაგრამ რაშიდს უდავოდ გააჩნდა მიმზიდველობის გარკვეული ძალა, და მას ბევრ რაიმეს აპატიებდნენ ხოლმე. მისმა ხელმა კი, მშვენიერი მეწაღის ხელმა, მოჰხიბლა საკენელი ქალები. იგი დიდი ოსტატობით მუშაობდა, გატაცებით. ჰკერავდა ქალის ფეხსაცმელსაც, აგვირისტებდა წაღებსაც, განსაკუთრებით ფაფუკს (ისინი აბრეშუმის წინდებივით ეკვროდნენ ფეხს).

მაგრამ ეშმაკსაც წაუღია მისი ამპარტავანი ხასიათი და მთელი მისი ყოჩაღობა.

სხვის წინკარში მორყეულ საფეხურებზე ცხენით შეჭრა, მხარიღლივ ვაშლისათვის თოფის სროლა, ყველაზე მეტის დალევა სუფრასთან—იგი ყოველივე ამის ოსტატი იყო. ტყუილა როდი ამბობდნენ უფრო ხნიერნი და გამოცდილნი: დააცადეთ—კისერს მოიტეხს მაგ ვაჟკაცი. მაგრამ რაშიდს მხოლოდ ეცინებოდა, ილოკავდა ტუჩებს, და ქორივით უცქეროდა ქალიშვილებს.

ამ წუთში იგი ფრთხილად უახლოვდებოდა ღობეს სწორედ იმ ადგილას, სადაც ჭრიალა ოწინარი წაზნექილიყო ჭის წყლის ცივ ზედაპირზე. იგი გადაწვა, ღობეზე თვალი მიაპყრო კარის სინათლიან ოთხკუთხა ჩარჩოს, მისგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მანძილზე, და სიმღერა დააღღინა.

მას ხუთი წუთის ლოდინიც კი არ დასჭირდა, რომ წინკარიდან გამოვიდა ვედროებიანი ქალი. ქალმა შეუტატანა მოწკმუტუნე ძაღლებს და ჭისკენ გაემართა. როგორც კი აღლარუნდა ჯაჭვი ბადიაზე, გაისმა შემპარავი ხმა:

— კამა.

ჟღარუნი შეწყდა.

—ვინ არის?

— ეს მე ვარ, რაშიდი, — მოისმა ღობის მხრიდან. და თავისი სიტყვების დასადასტურებლად ჩვენი ვაჟკაცი უკვე აპირებდა ღობეზე გადახტომას.

— არ არის საჭირო, — შეაჩერა იგი კამამ, და ღობესთან მიირბინა. ეს „არ არის საჭირო“ თითქოს ინტიმურ ხასიათს აძლევდა ამ მოულოდნელ დარბაზობას. ყოველ შემთხვევაში რაშიდს მოეჩვენა, რომ მის გამოჩენას განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. მაგრამ მან თავი შეიკავა შემდგომი შეტევებისაგან და თავისი სხეული წინანდელ ადგილას დააბრუნა, კოხტად ჩამოხტა რა ღობიდან.

— კამა, — უთხრა რაშიდმა და მისი ყელიდან განსაკუთრებით ნაზი ბგერები გაისმა. — როგორ ცხოვრობ, კამა?

კამამ გამბედაობა მოიკრიბა, ლაპარაკის სითამამე შეიძინა, რაც ასე დამახასიათებელია საკენელი ქალებისათვის (რასაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქვეყნის სხვა მხარეებშიც არ სწუნობენ მათი დები).

— ასეთი ზრუნვა? — კამამ ჩაიცინა. — სიბნელემ ვერ შეგაშინა?

— განა არ იცი, რომ ყოველ საღამოს ვდგავარ შენ სახლთან?..

— არა, არ ვიცი.

— მე მთელი საათობით ვარ დაყუდებული ამ ადგილას!—ეს იყო ისეთი შთაგონებული სიცრუე, რომ თვითონ რაშიდმაც კი დაიჯერა.

— ამაოდ, — შენიშნა კამამ.—რა საჭიროა? დაინახავს ვინმე, რას იფიქრებს?

— მე რა მესაქმება სხვებთან?! — წამოსცდა რაშიდს და მაშინვე შეინანა თქმული.

— მაშ, მშვიდობით!—კამამ აარახუნა ბადია, ააღარუნა ჯაჭვი, წყალმა ხმაურით აავსო ვედრო.

— კამა, ერთი წუთით,—შეევედრა რაშიდი. — თორემ გადმოვხტები შენთან. გესმის?

მუქარამ გასჭრა. კამა დაბრუნდა ღობესთან.

— მე მაგის თქმა როდი მინდოდა...— რაშიდი გადავიდა სწრაფ ჩურჩულზე...—ნუ მიჯავრდები. მიყვარხარ...

— რაშიდ!

— დიახ, — განაგრძობდა ახალგაზრდა ვაჟი,—წარმოიდგინე, მიყვარხარ.

კამას ვალდებულად მიაჩნდა ეპასუხნა მისთვის პირდაპირ, ქარაგმების გარეშე.

— საბრალოვ,—სთქვა მან, გულაჩუყებულმა მისი მგზნებარე სიტყვებით. — მე მესმის შენი. მაგრამ ყველაფერი ამაოა.

— კამა, რაშია საქმე? რატომ?

უყვარს თუ არა რაშიდს კამა ისე მხურვალედ, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს? თუ აქ მოქმედებენ რაიმე სხვა მოსაზრებანი? ანდა იქნებ ქალის დაუმორჩილებლობამ გააღიზიანა საკენელი არშიყი? ჩვენ ამ კითხვას პირდაპირ ვერ ვუპასუხებთ: შეიძლება — ასეა, შეიძლება — ისეც, ვინაიდან ჩვენ ვყვებით მართალ ამბავს საკენში მომხდარი მოვლენების შესახებ, და ჩვენ არ გვსურს შევალამაზოთ ისინი.

— ჯერ ერთი... — მაგრამ კამამ გადასწყვიტა არ განეშიფრა ეს „პუნქტი“, და ერთბაშად გადავიდა მომდევნოზე— მეორე კი ის, რომ,—წარმოსთქვა მან მცირე პაუზის შემდეგ, — ადრეა მასეთ რამეებზე ფიქრი... მე უნდა ვისწავლო...

— ისწავლო?! — გაკვირვებით წამოიძახა ახალგაზრდა ვაჟმა. — განა შენ უსწავლელი ხარ?

— შვიდი კლასი დავამთავრე, რაშიდ, მხოლოდ შვიდი. ეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის [illegible] ოდესმე გიფიქრია?

— არა, არასოდეს, — გამოტყდა რაშიდი.

— მე კი ძალიან ბევრი,—ამაყად ჩაილაპარაკა კამამ.—სწავლა სინათლეა, უსწავლელობა—სიბნელე.

რაშიდმა გადიხარხარა, მეტად უსუსურად მოეჩვენა ვაჟს ქალის მოსაზრებანი. „ცბიერობს, — გაიფიქრა მან,— თავს იფასებს“.

— აქ რაღაც სხვა ამბავია! სწავლა არაფერ შუაშია! მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი არის კესოუ, ახალმოვლენილი აგრონომი. ნუ თუ ამ დამთხვეულმა დაგასხა თავბრუ?

და ვაჟმა დაცინვა დაუწყო კესოუს, ყოველნაირად ცდილობდა დაემცირებინა იგი ქალიშვილის თვალში.

— სულ ეს არის?—ჰკითხა კამამ მშვიდად, როცა მოუსმინა მას.

— დიახ.

— მშვიდობით! — და იგი გაბრუნდა სახლისაკენ.

19.

მეორე დილა ღრუბლიანი, ცივი იყო. წვრილი ძაფები აერთებდნენ ცასა და მიწას ერთ მთლიან რამედ. წვიმის სქელ ბადეს სწრაფად მიარღვევდა ეკუპის სახლისაკენ ადრიანი სტუმარი. მასპინძელი შეეგება ადამურს კართან და გასაშრობ-გასათბობად მიიპატიჟა იგი კერასთან.

— კესოუ სადღაა? — დაინტერესდა ადამური და ცეცხლს მიუჯდა.

— აქა ვარ!—უპასუხა ახალგაზრდა ვაჟმა და სამზარეულოში შევიდა.

— ზამთარი მოგვიბრუნდა, — სთქვა ადამურმა. — ეს საშინელია ჯანმრთელობისათვის: სიცხეების შემდეგ — სიცივე.

— მოგვიტანე ჭიქები, შვილო, — მიმართა ეკუპმა ნინოს, — ასეთ ნოტიო ამინდში არაყი, ადამურ, პირველი საშუალებაა გაციების წინააღმდეგ. მე ანწლის არაყი მირჩევნია. ა?

— აუცილებლად, ეკუპ, ანწლისა, ოღონდ მაგარი უნდა იყოს. იგი რევმატიზმს არჩენს, და სიცხლს, თავისთავად ცხადია, ათბობს.

ადამურს შესაძლებლობა მიეცა ეგემნა ანწლის არაყის სიმაგრე და მისი სამკურნალო თვისებები. საუზმედ მიაყოლეს ღერღილის ცივი ღომი და შემწვარი ყველი, რომელიც ცეცხლზე კარაქივით დნებოდა.

აშკარად რომ ითქვას, კესოუს სასმელად არ ეცალა. მაგრამ სტუმართმოყვარეობის კანონი საკენში არავითარ შეღავათს არ გულისხმობს. სტუმართან ჯდომა და სმა სრული უდარდელობის გამოსახულებით, მაშინაც კი, როცა, როგორც იტყვიან ხოლმე, საზრუნავი ყელთამდეა, — მასპინძლის უპირველესი მოვალეობაა. სტუმართან ჯდომა და გამასპინძლება ისეთივე სამუშაოა, როგორც ყოველგვარი სხვა საქმე (ასე ვფიქრობთ ჩვენ, საკენელები).

— სხვათა შორის, კესოუ,—თითქოს ანაზდად წამოსცდა ადამურს, სული მოითქვა რა სამსალის მორიგი ულუფის შემდეგ,—როგორაა შენს მიერ წამოყენებული საქმე?

— რომელი!

— მე შევიტყე, რომ კლდის ნგრევას აპირებ, წამალს ამზადებ ყანებისათვის. კესოუმ რაღაც გაურკვევლად ჩაიდუდუნა პასუხად. მან შეშა შეუკეთა კერას, და ათასობით ნაპერწკლები სწრაფად აიშალნენ გამქვარტლული ჭერისაკენ.

— მერე რა უშავს, კარგი საქმეა. კეთილი კლდეა, მდიდარი. ჩვენ მას თვალისჩინივით ვუვლიდით,—იცრუა ადამურმა. — როგორ არა! მახსოვს, მამაჩემი იტყოდა ხოლმე: „მოუარე კლდეს, განძია პირდაპირ და არა კლდეო!“ ეს კლდე ხომ ჩვენს ფარეულში დგას. როგორ არა!

შენიშვნამ, რაც კლდის ადგილმდებარეობას ეხებოდა, მასპინძლები აიძულა ყურადღება გაემახვილებინათ.

— წარმოდგენილი მაქვს, — განაგრძო ადამურმა, — რა შემოსავალი გელით, ჩემო ძვირფასნო...

კესოუმ გაჯავრებით ჰკითხა:

— შემოსავალი? რა შემოსავალი? და რატომ ჩვენ გველის?

— მაშ როგორ? შენ წამოიწყე, შენი მოფიქრებულია, მაშასადამე, შემოსავალიც შენია. თუ, ვთქვათ, კილოგრამობით ან ფუთობით გაიყიდა— ათასობით მანეთისა იქნება. შრომა კი როგორი დასჭირდება? სულ უბრალო. მოანგრიე წერაქვით ნატეხები და ასწონე. ხოლო თუ თვითონ ვერ მოახერხეთ გაყიდვა, სულ ერთია, რაიონი დიდ პრემიას მოგცემთ. მაშ როგორ, აღმოჩენაა!

ეკუპი უსმენდა, და ხეირიანად ვერაფერი გაეგო. რა შემოსავალი? რის ნატეხები? ამ დროს ადამურს თვალები დაეხუჭა და ანგარიშობდა მანეთებს, კაპიკებს, გამოჰყავდა გასაგიჟებელი თანხები. ადამურმა დაამთავრა გამოანგარიშება, ცამდე აიყვანა მირბას გვარის ყველასთვის ცნობილი პატიოსნება და წინასწარ აღტაცებული იყო ეკუპისა და კესოუს უანგარობით.

— გმადლობთ, გმადლობთ, — მადლობას უხდიდა ნასიამოვნები მასპინძელი.

მაგრამ კესოუს, როგორც სჩანს, არც თუ ისე ძლიერ მოსწონდა ეს ხოტბა; იგი პრაქტიკულად მიუდგა საქმეს.

— რას მოითხოვ ჩემგან? — პირდაპირ ჰკითხა მან.

ადამურს გაუხარდა, რომ საუბარმა ასეთი მიმართულება მიიღო. როგორც ვაჭარ კაცს, მას უყვარდა საკითხისადმი საქმიანი დამოკიდებულება.

— თქვენც ხომ იცით, ჩემო ძვირფასნო, — დაიწყო მან შემპარავი ხმით, — მე თქვენთვის ვიგინდარა არა ვარ. ჩვენ თითქმის ნათესავობით ვართ დაკავშირებული. მაშ როგორ? მე თქვენთვის გარეშე არა ვარ, მაშასადამე, თქვენც არა ხართ ჩემთვის ვიგინდარები. მე ვიცი, თქვენ არასოდეს არ დახარბდებით ჩემს დოვლათზე, ლუკმას არ წამართმევთ პირიდან.

მოხუცი დასტურის ნიშნად თავს უქნევდა.

— ამ მჭადის მადლს გეფიცებით, ჩემგანაც ამასვე უნდა მოელოდეთ. მაშ როგორ? ხე ფესვებით დგას ფეხზე, ადამიანი კი—მეგობრებით... როგორც თქვენთვის ცნობილია, მთელი ფართობი (ადამურმა რკალი მოხაზა მარჯვენა ხელით) მე მეკუთვნის... უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეკუთვნოდა მე... მართალია, ეს იყო დიდი ხნის წინათ. ბევრი რამ დავკარგე. მაგრამ მთავარი ეს როდია, ჩემო ძვირფასნო ადამიანები ხომ წინანდებურნი დარჩნენ. მაშასადამე, ემახსოვრებათ, ვის რა ეკუთვნოდა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ კლდიდან მიღებული შემოსავალი მეც მხვდეს წილად. მე ასე მგონია. მართალია, დიდი ჭკუის პატრონი არა ვარ, მაგრამ უფრო გამოცდილი ხალხიც ამასვე ამბობს... ერთი სიტყვით, თქვენი იმედი მაქვს. გავინაწილებთ, ერთმანეთს არ ვაწყენინებთ.

ჩამოწვა ლოდივით სიჩუმე. მოხუცი გულდაგულ ატრიალებდა მუგუზლებს კერაში და ცდილობდა ალის უფრო ღონივრად გაღვივებას. კესოუ გაცოფებით ატრიალებდა ხელში ჭიქას. აღშფოთებისაგან იგი სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალე,—დაიღრიალა მან ბოლოს,—ასეთი წინადადების მიცემა განა შეიძლება ჩვენს დროში! არაფერი გამეგება! უარს ვაცხადებ რაიმეს გაგებაზე! თუ ვინიცობაა რაიმე სასიკეთო გამოვა ჩემი განზრახვიდან — კარგი იქნება ... ელი კოლმეურნეობისათვის. ... ჩვენი ოჯახი, რა შუაშია ... ნათესავური კავშირი? გამოუძინებელი ხომ არა ხარ? ასე მსჯელობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ეძინა გამუდმებით არანაკლებ ოცდაათი წლისა! ის დრო აღარ არის, ადამურ, და ადამიანებიც აღარ არიან ისეთნი! საკენიც კი არ არის ძველებური!

კესოუ გავარდა სამზარეულოდან და კარი მიიჯახუნა.

— ხომ არ წაიჩხუბეთ?—ჰკითხა ნინომ ძმას.

— ადამური თავის წვლილს მოითხოვს კლდისათვის.

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალა! რა წვლილს?

— თვითონ მას ჰკითხე. ყური მოუკრავს სასუქების შესახებ და გადაუწყეტია საწველ ფურად გაგვხადოს, როგორც ჩერჩეტები. გაახსენდა ძველი წესები, ყეყეჩს!

კესოუმ ტანთ ჩაიცვა, მიმავალმა დას გადასძახა „სასოფლო საბჭოში მივდივარო“ და სწრაფად გადასჭრა ვრცელი ეზო. მთელი გზა ვერ მოახერხა მან დამშვიდება, სულ ფიქრობდა ადამურის სულელურ წინადადებაზე.

სასოფლო საბჭოში არავინ დაუხვდა. კესოუმ შეაღო სამკითხველოს კარი, რომელიც გვერდით იყო მოთავსებული. იქ ისხდნენ კონსტანტინე და სკოლის დირექტორი მუშაგი.

— აქ მოდი,—დაუძახა კესოუს კონსტანტინემ, — შენ მე მჭირდები. დაჯექი. ამ წუთში.—და მან განაგრძო საუბარი დირექტორთან: — მე ვფიქრობ, მუშაგ, რომ საფუძვლიანი მოხსენება და მოსწავლეთა თვითშემოქმედების საღამო კარგ სამსახურს გაგვიწევდა.

— თანახმა ვარ, — დაუდასტურა მუშაგმა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.

— რაზე ლაპარაკობთ? — და კესოუმ ახლოს მიიწია.

კონსტანტინეს აშკარად ემჩნევოდა, რომ საზრუნავს შეეპყრო, ხან შუბლს ისრესდა, ხან საფეთქელს.

— ხალხი შფოთავს, გესმის თუ არა. ამბობენ, წვიმები არასოდეს არ შეწყდება, ველარ დავთესთ, მოსავალი არ გვექნებაო. ზოგიერთი მოხუცი „ღვთის წყრომაზეც“ კი გაიძახის. უნდა მოველაპარაკოთ ხალხს. საჭიროა მოხსენება, ვთქვათ, ასეთ თემაზე: „წვიმა, როგორც ბუნების მოვლენა“.

მუშაგი დაჰპირდა, საუცხოო საღამოს გავმართავ უახლოეს კვირასო. მოხსენების წაკითხვა თვითონვე იკისრა, დასასრულ კი სკოლის გუნდი გამოვიდოდა.

— იცოდე, არ დაგავიწყდეს, მუშაგ, სად არის თქვენი რადიო?

— არ მუშაობს. დიდიხანია აკუმულატორები დაცლილია.

საუბარში კესოუ ჩაერია.

— ხომ არ შეიძლება გუდალის სადგური გამოვიყენოთ დასამუხტავად?

— მართლაც! — მუშაგმა შუბლზე ხელი დაიკრა. სულ დამავიწყდა ეს სადგური. რა თქმა უნდა, შეიძლება. მისი დენი, ხომ მუდმივია. სწორედ ეს არის საჭირო!

— აი შენც დავალება, მუშაგ: შეაკეთე რადიო და ყოველ დილით გამოჰკიდე სკოლის კარებზე ამინდის ცნობები გაიგე? დაე ხალხმა შეიტყოს, რაშია საქმე. რადიო უნდა მუშაობდეს სასოფლო საბჭოში.

მუშაგმა აღუთქვა რადიომიმღების შეკეთება.

— შენ კი როგორა გაქვს საქმეები, კესოუ?

— არც თუ ისე სახარბიელად, კონსტანტინე. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ წვიმის დარგშია გეგმები გადაჭარბებით შესრულებული. მაგრამ კარგაძალი კი მოვხანით... რაიონში მინდა წასვლა. რას იტყვი?

— ყოჩაღ. სწორედ ახლა უნდა მეთქვა და შენ დამასწარი. აი ხომ ხედავ, ვსხედვართ აქ და პატიოსნად რომ ითქვას, ბევრი რამ არ ვიცით. თან წაიღე იმ კლდის მიწა, რჩევა იკითხე,— ეს იქნება შენი პარტიული დავალება. თანახმა ხარ? ჰო და ძალიან კარგი. როცა დაბრუნდები, შედეგებს მოახსენებ კრებას. თუ საჭირო იქნება, დაგეხმარებით. არავის დავაჩაგვრინებთ შენს თავს.

კონსტანტინეს ბოხი ხმა ოდნავ მფარველურად გაისმოდა. მაგრამ იგი ლაპარაკობდა მტკიცედ, დარწმუნებით, და კესოუ მზად იყო ყოველგვარი ტონი ეპატიებინა მისთვის.

კესოუმ ამოჰქაჩა ჩექმის ყელები.

— მაშ მე მივდივარ რაიონში... — სთქვა მან.

— ძალიან კარგი. თან გაზეთებსაც ამოიტან, პლენუმის მასალები რომ არის მოთავსებული.

ისინი აივანზე გავიდნენ. წვიმა წინანდებურად ასხამდა, წვრილი, თავმომაბეზრებელი წვიმა (ასეთი შეიძლება სამარადისოდ არ შეწყდეს). მდინარის კალაპოტიდან ისმოდა ყრუ ხმაური: საკენი მოუსვენრად ჰბორგავდა თავის ქვიან კალაპოტში. მაგრამ უცებ სადღაც ახლოს იელვა და იქუხა დაბალი, ბოხი ხმა მედიდურად მოეფინა ხეობებს, მთების ფერდობთ, წვიმის თხელი ბადით დანისლულ მწვერვალებს, და გადაიკარგა სადღაც უღელტეხილებს გადაღმა, ჩაეშვა უამრავ ღრმა ხევებში.

— გესმით, მეხი გავარდა? — სთქვა კონსტანტინემ, — მაშასადამე, ამინდი მალე შეიცვლება.

და პირველი თვითონ დაეშვა ძირს კიბეზე.

20

კვირადღე კარგი ამინდით გათენდა. წინადღით კი ცა უიმედოდ მოღუშული, გარინდებული, საშინელი გაბო-

როტებით აღვსილი გამოიყურებოდა. მაგრამ, როგორც სჩანს, ბუნების მიერ მოზომილი წყლის ულუფა გამოილია, და მზეს მეტი აღარაფერი დარჩენოდა, თუ არ კვლავ ამობრწყინება ცის სილაჟვარდეში.

დილაადრიან სასოფლო საბჭოს კედელზე და სკოლის კარებზე გამოკრული იყო ფურცლები ამინდის ცნობებით. ისინი აუწყებდნენ საკენელებს, რომ ცისქვეშეთი ლივლივებდა მზის სხივებში. მზე ათბობდა არხანგელსკსა და კრასნოიარსკსაც კი. და მხოლოდ ტაშკენტში რატომღაც თავსხმა იყო. ხალხი კითხულობდა ცნობას და ხარობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მზიანი დარი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში სიხარულით ავსებდა საკენელთა გულს.

კესოუს თან უხაროდა კარგი ამინდი, თან ემზადებოდა შორეული მგზავრობისათვის. მან თბილად ჩაიცვა, გადაიგდო მხარზე მძიმე ჩანთა, ხელში აიღო ალპიური კვერთხი, საზეიმოდ გამოემშვიდობა თავისიანებს და... ნაცვლად იმისა, რომ მთებში მიმავალ გზას შესდგომოდა, დაეშვა ძირს, წყაროსაკენ, სადაც მას კამა ელოდებოდა.

ჩვენ არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა ქალი და ვაჟი განშორების წინ და იმ საალერსო სიტყვების გადმოცემას, რომლითაც ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ არსებობდა საფრთხე დამშვიდობების გახანგრძლივებისა.

— ღმერთმა გაგამარჯვებინოს. ნახვამდის, — ჩაილაპარაკა ბოლოს კამამ.

— მშვიდობით, — აღმოჰხდა ვაჟს და ქალიშვილს კინაღამ ტირილი წასწყდა.

— რატომ „მშვიდობით“?

— ნახვამდის,—გაასწორა მან თქმული.

— არა, რატომ სთქვი „მშვიდობითო“?

— ჩემო კარგო, არ დავუფიქრდი და მეტი არაფერი, უნებურად... ცხადია, რა გვაქვს დასამშვიდობებელი.

ქალიშვილმა მწუხარედ დაუშვა ხელები. და ერთხელ კიდევ, ოდნავ გასაგონი ხმით, ჰკითხა:

— არა, რატომ მითხარი „მშვიდობითო“?

— კარგი ახლა. მაპატიე... მე შენზე ვიფიქრებ, მთელი გზა ვიოცნებებ...

— ქალაქში კი?

— ქალაქშიც.

ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ვაჟი მიდიოდა ფართო, მტკიცე ნაბიჯით, ოდნავ კოჭლობდა. ქალი იდგა და ძლივს იკავებდა ქვითინს.

21.

მინაშენში, რომელიც ფარდულზე იყო მიკრული (საკენელ მოქეიფეთა საყვარელ კუთხეში) ადამური უმასპინძლდებოდა თავის სტუმრებს: რაშიდს, ანტონს და კიდევ ერთ აყლაყუდას, გვარად ენიკს. ეს უკანასკნელი გამოჩნდებოდა ხოლმე საკენში მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების წინ, რისი შემჩნევაც ძნელი არ იყო დაკვირვებული ადამიანისათვის. იგი ცხოვრობდა ხუტორ მრამბაში, ცხოვრობდა მშვიდად, როგორც ამბობენ, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდა. და მხოლოდ დროგამოშვებით დგებოდა იგი ისეთ ყაიდაზე, რომელიც უბიძგებდა მას „საგმირო“ საქმეების (მისი აზრით) ჩასადენად. მაშინ იგი სრულიად გამოიცვლებოდა ხოლმე და მიდიოდა ხუტორიდან. ყოველ შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ როგორ ეჭირა მას ღვინით სავსე მოზრდილი ფიალა, შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, დარდიმანდი ბიჭი იყო.

რაშიდი ფიქრებს მისცემოდა. იგი ხმის ამოუღებლივ სვამდა პატარ-პატარა, მაგრამ ხშირი მონთქმით, თითქოს წყურვილის მოკვლას ვერ ახერხებდა.

ანტონი ცმუტავდა ყუთზე და ელოდა თავის ჯერს, რომ დაეცალა ფიალა. პირდაპირ ადამური იჯდა. მას შიგნიდან ჩაეკეტა ფარდული და აღარაფერი უშლიდა ხელს ორიოდე საათით დამტკბარიყო მეგობრული მასლაათით.

ახლახან წარმოთქმული სადღეგრძელო მიძღვნილი იყო „ნამდვილ მამაკაცთა შორის“ მეგობრობის ხოტბისადმი. ადამურმა კვლავ აავსო ფიალა და ენა ააწკლაპუნა, რითაც ანიშნა დამსწრეთ, რომ ახალი სადღეგრძელო უნდა შევსვათო.

— ძვირფასო მეგობრებო, — სთქვა მან, — ჩვენს შორის იმყოფება კარგი ადამიანი, მე ვიტყოდი, ოქროკაცი. იგი სიცოცხლესაც არ დაიშურებს ამხანაგისათვის... ე-ე-ე... უყვარს მას მეგობრები, მეგობრებიც პატივს სცემენ მას... ვაჟკაცური საქმე განუზრახავს ამ ყმაწვილს. კეთილად აგსრულებოდეს!— ვეუბნებით ჩვენ, მისი მეგობრები. — და მან გადაჰკოცნა რაშიდი.

— მაშინვე ემჩნევა ნამდვილ მამაკაცს, — საქმიანად შენიშნა ანტონმა. — საკენი არ დაგივიწყებს შენ, რაშიდ!

— განსაკუთრებით კი, ერთი ვინმე საკენელი, — კმაყოფილებით დასძინა ადამურმა.

ანტონი უცებ აენთო. მან მუშტი დაჰკრა იმპროვიზირებულ მაგიდას და კინაღამ თავდაყირა დაამხო საუზმე.

— მე ბოროტი ადამიანი არა ვარ,— ჩაიჩიფჩიფა მან, — მაგრამ ერთ წესს ვიცავ: მეტიჩრები მეზიზღებიან. დაეიაროს კესოუმ ქალაქისაკენ, როცა დაბრუნდება, კარგი ამბავი დახვდება აქ!

მთვრალმა ამფსონებმა ერთსულოვნად გადაიხარხარეს. ანტონი განაგრძობდა:

— კესოუმ რაც დაიმსახურა, იმას მიიღებს. კამა ისეთი არამზადებისთვის როდია ნაგულისხმევი, როგორიც არის კესოუ!

— ამბობენ, — ხმას დაუწია ადამურმა და ხელით ანიშნა დანარჩენებს თავი მოეწიათ საიდუმლო ამბის მოსასმენად,—კესოუს თან ტომარა მიაქვს... ქალაქშიო.

— რა ტომარა? — ენიკმა ყურები სცქვიტა.

— ტომარა... ქონებით სავსე.

— მერე და რა არის იმ ტომარაში? — ჰკითხა ენიკმა.

— მიწა-ა-ა! — და ადამური აცახცახდა სიცილისაგან.

— რომელი მიწა?

რაშიდმა და ანტონმა განუმარტეს აყლაყუდას, რომელი მიწის შესახებ იყო ლაპარაკი — სულელური კლდის ნამსხვრევის შესახებ.

— და მან იგი ას ვერსზე წაიღო?

— ჰო.

— ჭკუიდან ხომ არ შეშლილა?

— სხვებსაც კი უპირებს ჭკუის სწავლებას.

— ხომ არ გაჰყიდის ქალაქში იმ მიწას?

— მას სურს მთელი კლდის გაყიდვა, ძირეულად და მოუმკელად, როგორც იტყვიან ხოლმე.

— კარგი მადა ჰქონია! — შენიშნა აყლაყუდამ.

შემდეგ ამას მოჰყვა მათ მიერ განზრახულის საქმიანი განხილვა.

ენიკმა წამოაყენა თავისი გეგმა. შინ მიმავალი ქალი გზად ჩაუვლის ხოლმე კვერნის ფარეხს. იქ კი მას დაელოდება კაცი ცხენებით. ნაბადში ქალის შეხვევა ერთი წამის საქმეა. შემდეგ ცხენებზე! და იმავე საღამოს — მოსწონს თუ არა ეს ამბავი ქალს — იგი გახდება რაშიდის ცოლი.

— წინააღმდეგობას ხომ არ გასწევს?—ყოველ შემთხვევისათვის იკითხა ადამურმა. და მის გასაკვირველად

ძას მოესმა „ნეფის“ საკმაოდ გაუბედავი ბლუკუნი. ამან რამდენადმე შეაშფოთა ფარდულის მასპინძელი.

— როგორ?!—შესძახა მან. — იგი უარს იტყვის ასეთ ოქროკაცზე?

ანტონმა შეაწყვეტინა მას.

— ხომ არ გაგიჟდი, — სთქვა მან.— ქალს კიდეც რომ არ სურდეს, ამას რა მნიშვნელობა აქვს... აბა დაუფიქრდით: როცა მას მოიტაცებენ, მერე ვინღა შეხედავს? ხალხი იმის გარჩევაში არ შევა, რა და როგორ მოხდა. მოიტაცეს — და საქმეც მორჩა... არა, პატივცემულნო, ქალს მეტი გზა აღარ ექნება. ბაც!—და ხაფანგიც დაიხშო. ასე ყოფილა მუდამ, ოდითვე!

— ესეც მართალია, — დაეთანხმა ადამური. — ქალს გზა არსაით ექნება... მე ვფიქრობ, საქმე ასე შორს არ წავა. რას იტყვი, რაშიდ?

რაშიდს ხმა არ ამოუღია, და შეთქმულები კვლავ შეუდგნენ მსჯელობას თავიანთ განზრახვასა და მის შესაძლო შედეგებზე.

როცა ძმაბიჭებმა დასტოვეს ბუნაგი და ჩაისუნთქეს საკენური საღამოს ჰაერის ერთი ულუფა, ისინი გამხიარულდნენ, და ვინაიდან მათთვის სულ ერთი იყო, საითკენაც უნდა წასულიყვნენ, ატორღიალდნენ სკოლისაკენ, რომლის ფანჯრებიდან შუქი მოსჩანდა (შორსაც არ იყო — გზის გადაღმა გვერდით მდებარეობდა).

— მართლა, დღეს აქ ხალხს ანათლებენ, ხომ არ შევიდეთ მოხსენების მოსასმენად? — დაცინვით მიმართა ამხანაგებს ანტონმა.

— თუნდაც ჯოჯოხეთში წამოეალთ! — გამოეხმაურა ადამური და ლონივრად ჰკრა ხელი ჭიშკარს, რომლითაც სკოლის ეზოში ჩადიოდნენ. ჭიშკარმა ტკაცანი მოიღო მისი ხელის შეხებით, როგორც ქათმის ფრთამ, შამფურზე დაბრაწულმა.

ეზოში არავინ არ იყო. ხალხი იჯდა დარბაზში, რომლის სიღრმეში სცენა იყო მოწყობილი. მას ანათებდა ნავთის რამდენიმე ლამპა. ერთი ტრიბუნაზე იდგა, საიდანაც მოხსენებას აკეთებდა მუშაგი. იგი მოუთხრობდა შეკრებილთ სამყაროს საიდუმლოებათა შესახებ, ბუნების ძალებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოქმედებენ, როგორც ერთიანი კანონი, ატმოსფერულ მოვლენებსა და სხვათა შესახებ.

აყლაყუდამ დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ოსტატურად ლაპარაკობს... თუ არ სცრუობს.

პირველ რიგში მოხუცები ისხდნენ. ყველა მათ თითქოს პირი შეეკრათ, ნიკაპი დაეყრდნოთ ყავარჯნების სახელურებზე.

კულისებიდან იცქირებოდნენ მსახიობი მოსწავლეები, რომელთაც მოუთმენლად სურდათ ეჩვენებინათ საზოგადოებისათვის თავიანთი სასცენო ხელოვნება. დამსწრენი გააფრთხილეს, რომ ოფიციალური ნაწილის შემდეგ შესდგება სამხატვრო განყოფილება— წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ავტორის პიესაო.

დაასრულა რა თავისი სიტყვა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში, მუშაგმა ასეთი შეკითხვით მიმართა ხალხს: ხომ ყველაფერი გასაგებიაო? შენიშვნა ხომ არაფერი, გაქვთო?

ყველანი სდუმდნენ.

— გთხოვთ შეკითხვებს, — გაიმეორა თხოვნა მუშაგმა.

რომელიღაც მოსწავლემ შუა რიგებიდან ხელი ასწია.

— შეიძლება? — იკითხა მან მორიდებით. — რამდენი კილომეტრია მიწიდან მთვარემდე?

— დაახლოებით ოთხასი ათასამდე, — იყო პასუხი.

მოსწავლე კმაყოფილი დაჯდა თავის ადგილზე, და მაშინვე მის გარშემო ჩურჩული ატყდა. ამხანაგები რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიგებში დირექტორის კატეგორიულ პასუხს აშკარა სკეპტიციზმით შეხვდნენ.

— ჩემო შვილო, — გაისმა ვიღაც მოხუცის ხრინწიანი ხმა, — შენი სიტყვები რომ ჩემს დედაკაცს გადავცე (სიცილი მთელ დარბაზში), იგი აუცილებლად შემეკითხება: ვინ გაზომაო?

მომხსენებლის განმარტებას თხუთმეტიოდე წუთი მოუნდა, მაგრამ, მგონი, ვერც თუ ნამდვილად დაარწმუნა მცირემორწმუნენი.

— შარშან, — უპასუხა იმავე ხმამ,— სამჯერ გაზომეს ჩემი საკარმიდამო ნაკვეთი, და ყოველთვის სხვა და სხვა ციფრი დაასახელეს.

მოულოდნელად სიტყვა ითხოვა ენიკმა.

— საიდან ჩნდება ნამი, როცა ზეცა მოწმენდილია? — შეეკითხა ის.

რაშიდმა მას კალთა მოჰქაჩა და შეეცადა ადგილზე დაესვა, ენიკმა ფეხზე დგომით მოუსმინა მომხსენებელს და დარბაისლურად ჩაახველა, პასუხით კმაყოფილმა.

იმის შემდეგ, რაც ყველა მეტეოროლოგიური გაუგებრობანი ასე თუ ისე გარკვეულ იქნა, ფარდა დაეშვა, და დარბაზი თითქოს შეირხაო — ახმაურდა, არახრახდა, ალაპარაკდა ხველად და ცხვირის ცემინებად იქცა.

მუშაგი ჩამოვიდა სცენიდან, კონსტანტინე მოსძებნა.

— როგორი იყო მოხსენება? — ჰკითხა მას მუშაგმა, თან ცხვირსახოცით გაოფლიანებულ შუბლს იწმენდდა.

— მშვენიერი, — უპასუხა კონსტანტინემ. — სასარგებლო საქმეა.

მუშაგი, ძლიერ კმაყოფილი შექებით, გაიქცა კულისებისაკენ განკარგულების მოსახდენად, რომ კვლავ აეწიათ ფარდა, — და წარმოდგენა დაიწყო.

22.

დიდხანს მოვუნდებით იმის აღწერას, რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა გზაში კესოუ მირბას. ეს ამბავი მასალად გამოდგებოდა მთელი მოთხრობისათვის. ბუნების რომელიმე მოყვარულს, რომელიც ამავე დროს დაინტერესებულია ფიზიკური მოვლენებით, რაც სხეულთა ჩამოვარდნის დარგს შეეხება, კესოუს მოგზაურობა შესანიშავ რამედ მოეჩვენებოდა. შესაძლოა, იგი მოისურვებდა კიდეც მოეხდინა ასეთი მოგზაურობა საკუთარი სიამოვნებისათვის. ოღონდ აქ ერთი შენიშვნა აუცილებელია. ის, ვინც მოისურვებს საკენში წასვლას ივლისსა ან აგვისტოში, გართობათა იმ ნახევარსაც ჰკარგავს, რაც ჩვეულებრივად მას ელის წელიწადის სხვა დროს. კესოუ ხომ აპრილის დამდეგს გაემგზავრა ქალაქში, ხოლო ეს თვე მთებში კიდევ არ ითვლება ზაფხულის თვედ. სრული შთაბეჭდილების მისაღებად საკენში უნდა წავიდეს კაცი გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. მაშინ ყველა ცხრა უღელტეხილი და მთის რვა მდინარე, რომლებიც გზას ჰკრავენ სამხრეთიდან, მთელი სისავსით უჩვენებენ ცნობისმოყვარე მოგზაურს, რის ძალა შესწევთ მათ. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ მოგზაურობის კეთილად დაბოლოებაში, თქვენ თან უნდა მიიწვიოთ ამ გასეირნებისათვის ის მეგობრები, რომელთა გართობას თქვენ მოისურვებდით, შეიძლება არც თუ ისე მოხდენილი ხერხით, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილად გაართობდით მათ. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მხიარული წრე ამხანაგებისა იმდენ დალურჯებას და ღრძობას იგემებს, ამასთან ისეთ სასაცილო ილეთებით, რომ თანამგზავრთ, რომლებიც შემთხვევით გადარჩებიან დაშავებას, სიცილით მუცელი ასტკივდებათ.

შეიძლება ითქვას, რომ საკენისათვის ბედს უმუხთლია ქვეყნის გაჩენისას. თუ დავუჯერებთ გეოლოგებს, რომლებიც ამტკიცებენ, ოდესღაც ამ ადგილებში ბობოქრობდა ზღვაო, შეიძლება დავუშვათ, რომ სწორედ საკენში შექმნილა მძლავრი მორევი, რომელსაც სულ მთლად დაუღვლარჭავს ფსკერის ის ნაჭერი, საკენელთათვის რომ იყო გათვალისწინებული საცხოვრებელ ადგილად.

საკენში მოგზაურთა ნაამბობში გზა საკენისაკენ (ან საკენიდან) დაახლოებით ასეა აწერილი:

— ჩემო მეგობრებო! (ამას მოსდევს ხანგრძლივი პაუზა—ხომ უნდა გააბოლოს კაცმა თამბაქო). ისეთი გზაა, როგორც ზღაპარში, მერწმუნეთ. ჯერ მიაბიჯებ ვიწრო ცალფიცარა-ბილიკზე, მარცხნივ — უფსკრული, მარჯვნივ — კლდე. შემდეგ გადადიხარ სამართებლის პირზე, ხოლო სამართებლის სიგრძე ერთი ვერსია — ეს არის მგლის ხახა. შემდეგ ჯამბაზი ხდები — ეს არის დათვის ეშვი. გადაუთვლი რა კბილებს ათიოდე მხეცს — მოხვდები ეშმაკის ორმოში — ნახევარი ვერსის სიღრმის ქვაბში, რომელსაც აკლია ცეცხლი და ცოდვილნი, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი ერქვას. გასცდები თუ არა კურდღლის სოროსა და ციყვის ტუჩს, თუ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგხედა, შეგორდები ჯიხვის მდელოში. კი არ შეხვალ, არამედ შეგორდები, ვინაიდან ჯერ კიდევ თავისი კეთილი სურვილით არავინ არ დაშვებულა თავდაღმართიდან, რომელსაც კარაქივით უხვად აქვს წაცხებული თიხა. ეშმაკის ხიდი იძულებულს გახდის დროებით მაიმუნად იქცე, შემდეგ კი...

ამ გამბედავ ადამიანთა ნაამბობი სახტად გტოვებთ, სისხლს გიყინავთ, თქვენ უსმენთ მათ და გრძნობთ, როგორ გიკანკალებთ მუხლები.

ამრიგად, მოიშველიეთ წარმოსახვა და შეეცადეთ დახატოთ საკენიდან ქალაქში მოგზაურობის სურათი. არაჩვეულებრივის შესახებ თქვენი წარმოდგენის შესაბამისად, და მაშინ თქვენი წარმოსახვითი მოგზაურობის ბოლოს აღმოაჩენთ კესოუ მირბას ერთ მარადუშრობ გუბესთან, რომელსაც უკვე მრავალი წელია, რაც წყევლა-კრულვას უგზავნიან გარეუბნის მცხოვრებნი. მაგრამ კესოუს გაუხარდა, როცა გუბე ჩვეულ ადგილზე დაინახა. თორემ სად გაირეცხდა იგი ფეხსაცმელს? სად გაირეცხდა წითელი ტალახით გათხუპნულ რეზინის საწვიმარს? ხოლო ტომარა? მასაც დიდი გაჭირვება გადახდა და საჭიროებდა გაკოხტავებას არა ნაკლებ პატრონისა.

გაზაფხულის თბილი მზე, საოცრად მოკაშკაშე დღე, ნორჩი, ახლადამოსული მწვანეულის სურნელი, ჭრელკაბიანი ქალიშვილები, საკინძშეხსნილი ყმაწვილები, უაღრესად წარმტაცი იმედები — განა ყველაფერი ეს ცოტაა იმისათვის, რომ შთანერგოს ახალგაზრდა ადამიანში უამრავი ოცნებანი და ვინ იცის საიდან მომდინარე გატაცება ვოკალური ხელოვნებით?

კესოუ მიაბიჯებს, წაღები ხმაურებენ ასფალტზე, ბაგეები ჩურჩულებენ გარითმულ სტრიქონებს, გონება კი თხზავს სიმღერას.

ამწვანებულ მთებზე ავდივარ —
დავეძებ შენთა ფერხთა ნაკვალევს.
ღრმა ხეობებში დავეხეტები —
იქნებ ანაზდად აქ გაიარე...

მთებზე პირდაპირ გადამივლია,
შეჩვეული ვარ ვიწრო ხეობებს,
მაგრამ ნაკვალევს ვერ მივაგენი,
ვერც შენ გიპოვნე,
ისე კი ვგრძნობ, რომ
აქვე ახლოს ხარ...

გზაში ადამიანები ხვდებიან. თითქოს ყველანი იცინიან. შეიძლება ისინი ხვდებიან, როგორი ახალი რამ მიაქვს

ახალგაზრდა მთიელს? და კესოუ ფიქრებში წარმოსთქვამს მგზნებარე სიტყვას ცხოვრების მიერ ნაკარნახევი საჭირო საქმის დასაცავად. იგი უჩქარებს ნაბიჯს და მისი წაღები კიდევ უფრო ძალუმად ხმაურობენ, თითქოს მთელი სოფელი საკენი ჩასულიყოს ქალაქში.

კესოუ მიდის ძველი, ნაცნობი ქუჩებით და ეუცხოება ისინი. ხუთი წლის წინათ დასტოვა მან ეს ქალაქი და სხვა მობილიზებულებთან ერთად აქედან გაემგზავრა ფრონტზე.

ხუთი წლის ომმა თითქოს გადაატრიალეს მთელი მსოფლიო. არ სჯეროდა, რომ ნაჭრილობევი მიწა კვლავ გაცოცხლდებოდა ოდესმე. ნუთუ კვლავ გაიფურჩქნება ამომხმარი ბაბუწვერა? ნუთუ განედლდება მსხლის ხე მყუდრო უკრაინულ ბაღში, ყუმბარით ორად გახლეჩილი? მილები კი, განმარტოებით რომ ასვეტილან ტრამალებში? კვლავ როდისღა აუშვებენ ისინი ბოლს? აბოლდებიან კი?..

მაგრამ როგორ გაოცდნენ მებრძოლნი — კესოუს მეგობრები, როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ ომის გატკეპნილი გზებით: თურმე ბაბუაწვერასაც შერჩენოდა სიცოცხლის უნარი, მსხლის ხესაც — აყვავილებისა და მილებსაც — აბოლებისა. წარმოიქმნენ ახალი სოფლები, ახალი სახლებით...

ხუთი წლის ომის მანძილზე, თითქოს, ქალაქიც — დაე ეს იყოს თუნდაც ზურგში,—უნდა დაბერებულიყო, გამქვარტლულიყო; ჩამოძენძილიყო. ვისღა სცალოდა მისთვის! მაგრამ კესოუ მიაბიჯებს მოასფალტებულ ქუჩებში პალმებისა და დაფნის ხეების ჩრდილში, და ესენი ხომ წინათ არც კი ყოფილა. ყვავილები წალკოტში. აქა-იქ ახალი სახლები. გვერდითს ქუჩებზე კამეჩებივით თბებიან მზეზე ქუჩის სატკეპნები. ქალაქი გაახალგაზრდავებული, ვაზაფხულის სხივსა და სითბოში მოცურავე შეეგება მთიელს.

უახლოეს კუთხეში ფეხის მწმენდავი იდგა, და კესოუმ გადასწყვიტა ფეხსაცმელის გაწმენდა. ეს — ძალიან საპარიკმახეროა — გაპარსვაც შეიძლება.

პარიკმახერი გულმოდგინედ საპნავდა მთიელის ქარდაკრულ სახეს და ალმაცერად გადახედავდა ხოლმე უცნაურ ტომარას, რომელიც მთიელმა შემოსასვლელში დასდო.

— ალბათ ყველი გაქვთ? — დაინტერესდა დალაქი.

— არა, მიწაა, — უპასუხა კესოუმ, და ამასთან საკმაოდ საპნის მოზრდილი ქაფი ჩაჰყლაპა.

— მიწა? — სამართებელი ოსტატურად აუსვ-დაუსვა ღვედზე პარიკმახერმა და სარკეში ცქერით თვალი ჩაუკრა, — ვითომ ჩვენც გვესმის მასეთი ხუმრობაო.

— დიახ, დიახ, მიწაა, — ენერგიულად დაუდასტურა კესოუმ. — არა გჯერათ?

პარიკმახერმა სრული კმაყოფილება გამოხატა სახეზე, რომელსაც უმშვენებდნენ განსაცვიფრებელი ულვაშები (თითქოს, ესესარის ჩიტივით აიფრთქიალებენ და გაფრინდებიანო).

— ალბათ, ძვირფასი მიწაა, — გამოსთქვა მან თავისი მოსაზრება.

— ძალიან. იგი კარგ მოხავალს იძლევა.

პარიკმახერმა ვერ გაუძლო ცდუნებას, თავი მოხსნა ტომარას, ჩაიხედა შიგ და მწარედ დაიღმიჭა: იქ მართლაც მიწა აღმოჩნდა.

23.

სოფლის მეურნეობის განყოფილებაში შესვლისას კესოუ კინაღამ წააქცეს: მას დაეჯახა ვიღაც თანამშრომელი რქის სათვალეებით, ქაღალდების ყდით იღლიაში და ბოდიშის მოუხდელად განაგრძო სირბილი.

გრძელ დერეფანში წინ და უკან მიმოდიოდნენ ადამიანები. კარი სწრაფად იღებოდა და იხურებოდა; ისმოდა მანქანების ჩხაკუნი და არითმომეტრების ხმაური, რომელთა სახელურებს, ალბათ, ძლიერ ენერგიულად ატრიალებდნენ. კესოუმ მოსძებნა კანცელარია.

— სად არის აქ მთავარი აგრონომი?

კესოუ ცდილობდა რაც შეიძლება თავაზიანად ელაპარაკნა. მის თვალებში კეთილი გამომეტყველება, თითქმის პირმოთნეობა იხატებოდა. მან ვერ გაჰბედა ტომარი იატაკზე დაედო. ჰქონდა ასეთი რიდის მიზეზი! მის წინ იყო რაღაცით ძლიერ შეფიქრიანებული მდივანი ქალი. ეს ქალი ხელებს იწვდის ხან ტელეფონის მილაკისაკენ, ხან პრეს-პაპიესკენ, აფათურებს მაგიდის უჯრაში უცებ დაკარგული მრგვალი ბეჭედის მოსაძებნად. იგრძნობა, რომ მას ახლა ვერაფრით ვერ მოულბობ გულს: ვერც ხვეწნით, ვერც მუდარით, ვერც მუქარით. ზოგჯერ იგი წამოხტება და გარბის მეორე ოთახში, გზადაგზა ვიღაცას რაღაცას ელაპარაკება, უკმაყოფილოდ იჩეჩს მხრებს. მისი საუბარი ნაწყვეტებისაგან შესდგება, როგორც ტელეფონის ზარის ხმა, და იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კესოუს. ბოლოს, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მხოლოდ ახლა შეამჩნია ახალგაზრდა მთიელი, რომელიც უკვე ნახევარი საათია, რაც თვალში ეჩხირებოდა და უგულოდ მიახალა:

— დაჯექით.

— გმადლობთ, მაგრამ ძლიერ მეჩქარება. მე მინდა ვნახო მთავარი აგრონომი.

მდივანი ქალი ისეთი ტონით ლაპარაკობს, რომ შელაპარაკება დაუშვებელია:

— მას არ სცალია და დღეს არავის ღებულობს.

მათი ცქერა ერთმანეთს ერკინება, როგორც ორი დაშნა — ფოლადისა და კალისა. და იმ ცქერამ, კალისა რომ იყო (იგი, ცხადია, კესოუს ეკუთვნოდა), ვერ გაუძლო შემოტევას, გაიღუნა, უსიტყვოდ დანებდა.

— გთხოვთ მაპატიოთ, — გაიმეორა მან იმავე მორიდებული ხმით. — ჩემთვის მაინც აუცილებელია მისი ნახვა.

მდივანმა ქალმა მკაცრად შეჭმუხნა წარბები. ტელეფონმა დარეკა და ქალის ყურადღება მთლიანად შთანთქა საუბარმა.

— გაიგე, — უყვირის ქალი ვიღაცას, — ცნობა დღეს უნდა წავიდეს, მე არ მსურს შენს გამო საყვედური მივიღო. გასაგებია? — და გულმოსული აგდებს მილაკს.

კესოუმ თავი ანება თავაზიანობას, როგორც უვარგის იარაღს, და უხეშად ჩაიბუზღუნა:

— მე გეკითხებით, სად არის აქ მთავარი აგრონომი?

მდივანმა ქალმა მძიმედ ამოისუნთქა, თითქოს ესესარის წყლიდან ამოიყურყუმელავაო.

— ოჰ, რა უდროო დროს მოაკითხეთ, რა უდროო დროს, — გაბმით სთქვა ქალმა. — გაიგეთ, ამხანაგო, დღეს ცნობების გზავნის დღეა.

— მერე რა?

— როგორ თუ რა?—განცვიფრდა მდივანი ქალი. — დღეს ჩვენ უზომოდ დატვირთული ვართ.

მან კვლავ ხელი წაავლო ტელეფონის მილაკს. კესოუმ განიზრახა ფრონტულად გაეკმინდინებინა ხმა ქალისათვის, მაგრამ ხელი ჩაიქნია და აგრონომის საძებნად გაეშურა გრძელ დერეფანში. მარჯვნივ მეორე კარი იყო აგრონომთან შესასვლელი. კესოუმ ფეხი შესდგა ოთახში.

აგრონომი მიჯდომოდა მუხის დიდ მაგიდას. წინ ვეებერთელა ფურცელი ღაედო, რამდენიმე ნაჭრისგან შეწებილი. ქაღალდის ბოლო საფარის მსგავსად ჩამოშვებულიყო მაგიდიდან. აგრონომი ატრიალებდა არითმომეტრის

სახელურს და სწერდა ციფრებს სათანადო სვეტებში.

— დღეს ცნობათა დღეა, — სთქვა მან ნელა, მაგრამ მტკიცედ. — მე არავის ვღებულობ.

კესოუს მოეჩვენა, რომ აგრონომი ამას ვიღაც სხვას ეუბნებოდა, ყოველ შემთხვევაში მას არა.

— ჯერ ერთი, დილა მშვიდობისა,— მხიარულად სთქვა კესოუმ.

აგრონომმა მძიმედ ამოიქშინა და რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა. კესოუ ნებადაურთველად ჩამოჯდა სკამზე და დასდო იატაკზე მძიმე ტომარა.

— მე საკენიდან ვარ...—დაიწყო კესოუმ, რათა სახტად დაეტოვებინა აგრონომი ესოდენ იშვიათი სტუმრის მოულოდნელი გამოჩენით.

— მე არ მცალია თქვენთან სალაპარაკოდ.

— მე კი მხოლოდ მაგისთვის მოვედი. ძლიერ საინტერესო საქმეა, ამაღელვებელი...

— მე უმაგისოდაც ვღელავ, — სთქვა აგრონომმა და თან რეზინით რაღაც შეცდომით ჩაწერილ ციფრს შლიდა.

კესოუმ თვალი შეავლო ქაღალდს, რომელსაც ალბათ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჩაჰკირკიტებდა აგრონომი, რითაც თვითონაც იწამლავდა სისხლს და სხვასაც უშხამავდა. ციფრების დანახვამ კესოუს თავბრუ დაასხა. მან ფანჯარაში გადაისროლა ჯერ კიდევ ბოლომდე მოუწეველი პაპიროსი.

ტელეფონმა დარეკა.

აგრონომი აშკარად უგუნებოდ იყო, ტელეფონის წკარუნმა კი მთლად დაუკარგა წონასწორობა.

— დიახ, დიახ, მოდით ხვალ, უკეთესი იქნება — ორშაბათს მოხვიდე,— უყვიროდა იგი ვიღაცას.—დღეს არავისთან ლაპარაკი არ შემიძლია, ხომ გესმით, არ შემიძლია!

კესოუმ ტომარა მხარზე შეიგდო და ოთახიდან გავიდა, თან კარი ისე ფონივრად მიიჯახუნა, რომ კინალამ მინები ჩაიმსხვრა.

იგი ფეხათრევით მიდიოდა ტროტუარზე და სულში მწარე სინანულს გრძნობდა. ტომარა თითქოს სამმაგად მძიმე შეიქნა. და მზე უკვე კი აღარ ათბობდა, არამედ სწვავდა. ერთი სიტყვით, კაცს საბოლოოდ წაუხდინეს გუნება.

24.

პარტიის რაიკომის შენობა ზედ ზღვის პირად დგას. მტრედისფერი ცისა და ზღვის ფონზე კირით სუფთად შეთეთრებული სახლი ხომალდის აფრას ჰგავს.

კესოუ ავიდა მეორე სართულზე და ფრთხილად შეაღო შავ მუშამბა გადაკრული კარი. წარწერა: „პირველ მდივანთან მისაღები ოთახი“.

მისაღებ ოთახში რამდენიმე ადამიანი დაბალი ხმით ერთმანეთს ელაპარაკებოდა. მხარმარჯვნივ, ზედ კართან იჯდა ნაცრისფერთვალა, მკრთალი პირისახის ქალიშვილი. იგი ფოსტას სინჯავდა და ქაღალდებს ახარისხებდა ყდებში.

კესოუმ ფრთხილად დასდო ტომარა კუთხეში და ცდილობდა რა ჩექმებით არ ებრახუნა, მივიდა ქალიშვილთან.

— შემიძლია თუ არა ვნახო მდივანი?

— დაბრძანდით, ამხანაგო. თქვენ ალექსანდრე ივანეს-ძე გნებავთ!

— დიახ, პირველი მდივანი.

— დაბრძანდით.

კესოუმ სკამი მაგიდასთან მისწია. ქალმა გამომცდელი თვალით შეხედა მას. ვაჟს უნებურად გაეღიმა. ქალის ახალგაზრდა პირისახეს სრულიად არ შვენოდა ეს საქმიანი და მკაცრი გამომეტყველება.

— მე თქვენ გისმენთ, — სთქვა ქალმა.

მისმა ხმამ ისე საოცრად გაახსენა მეორე ქალის ხმა, რომელიც საკენში დარჩა, რომ კესოუმ უცებ სათნოება და სიამე იგრძნო, თითქოს კეთილ ნაცნობებთან მისულიყოს სტუმრად. ვაჟმა გულთბილად გაუცინა.

— რა გაცინებთ?

— მაპატიეთ, — ჩაილაპარაკა კესოუმ, — რაღაც მომაგონდა...

მდივანმა ქალმა წერილზე წითელი ფანქრით რაღაც აღნიშნა.

— კარგი თუ ცუდი?

— როგორ შეიძლება ცუდი?—ცხარედ შეესიტყვა კესოუ. — განა თქვენს დანახვაზე...

— ჩუმად,—უწყინრად შეაჩერა იგი ქალიშვილმა, თან ცდილობდა შეენარჩუნებინა ოფიციალური ტონი.—მე თქვენ გისმენთ. თქვენ რომელი ორგანიზაციიდან ხართ?

— არა, მე ჩამოსული ვარ.

— საიდან?

— საკენიდან.

— აჰ, საკენიდან? რას ამბობთ?!— ქალიშვილმა გვერდზე გადასდო მთელი ქაღალდები. — ასეთი იშვიათი სტუმარი!

— დიახ, აი საჭირო გახდა...

— თქვენთვის ქაღალდთა მთელი გროვაა გამზადებული. მე შევირბენ საერთო განყოფილებაში, შევატყობინებ მათ სასიამოვნო ამბავს.

მდივანი ქალი წამოხტა სკამიდან და კარს მიეფარა. სადღაც ჭერქვეშ ზარმა დაიწკარუნა. ზარი კვლავ განმეორდა— დაჟინებით და ხანგრძლივად. კესოუ გაეშურა კარისაკენ მდივანი ქალის მოსაძებნად, მაგრამ ის იქვე შემოსასვლელში შეეჩეხა.

— თქვენ გეძახიან, — უთხრა კესოუმ.

ქალიშვილი აფუსფუსდა, მაგიდაზე ბლოკნოტი მოსძებნა.

— მე მოვახსენებ თქვენს შესახებ. რა გვარი ბრძანდებით?—სწრაფად ჩაილაპარაკა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კესოუ მირბა.

— საკენიდან,—დასძინა ქალიშვილმა და შევიდა კაბინეტში. ერთი წუთის შემდეგ იგი კვლავ გამოვიდა მისაღებ ოთახში.

— ამხანაგო მირბა!

— ვარ,—სამხედრო ყაიდაზე გამოეხმაურა კესოუ.

— ალექსანდრე ივანეს-ძე (მან თავი გაიქნია კარისაკენ) ამ წუთში მიგიღებთ თქვენ.

— გმადლობთ, — უპასუხა კესოუმ და მზად იყო გადაეკოცნა ქალიშვილი, როგორც ღვიძლი და. იგი კვლავ გალაღდა და გამხიარულდა, მივიდა ფანჯარასთან უკან ხელებშემოწყობილი.

ღია სარკმელიდან შემოდიოდა ევკალიპტისა და დაფნის სურნელება. შენობის წინ გადაშლილ ფართო ასფალტირებულ მოედანზე მოძრაობდნენ მანქანები რეზინსაფართა შარი-შურით. ცოტა მოშორებით, სანაპიროზე, სეირნობდნენ ბავშვიანი ქალები, მეთევზეებს ბადეები მოჰყავდად წესრიგზე, და რომელიღაც ბიჭუნა ველოსიპედს დააქროლებდა.

კესოუმ სიმღერა წამოიწყო, ძლიერ დაბალი ხმით — თვითონაც ძლივს ესმოდა.

— მოგწყინდათ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— არა, — გულღიად უპასუხა მან.

ეს სრული სიმართლე იყო. იგი მზად იყო ამ ოთახში დარჩენილიყო კიდევ მრავალ საათს და არ მოსწყინდებოდა. მისთვის ძლიერ სასიამოვნოა უცქიროს, როცა ასეთი შესანიშნავი ქალიშვილი მუშაობს, თავაზიანად განუცხადა ვაჟმა. მაგრამ მდივანი ქალი უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა, ვიდრე იგი ფიქრობდა: კესოუს ხომ უმთავრესად ის აინტერესებდა, თუ რა ელოდა მას ამ კარს იქით, კაბინეტში, ხომ მართა-

ლია? და ქალიშვილმა მას ხუმრობით თითი დაუქნია მუქარის ნიშნად:

— საკენში ყველა ასეთი ეშმაკია?

— არა, ყველანი არა.

მათ ორივეს გაეცინათ: ვაჟს ხმამაღლა, როგორც იტყვიან, მთელი სულითა და გულით, ქალს ფრთხილად, თან ცდილობდა ჩაეხშო სიცილი და კაბინეტისაკენ ანიშნებდა, ვითომ უხერხულია, გაიგონებენო.

— ალბათ, სერიოზული საქმე გაქვთ, — უთხრა ქალიშვილმა, რომ საუბრის თემა შეეცვალა.

— აბა როგორ გითხრათ... რა სერიოზული საქმეები უნდა ჰქონდეს უბრალო მხვნელ-მთესველს...

— თავმდაბლობთ...

კესოუ მოიხიბლა.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და იქიდან ორი ადამიანი გამოვარდა. მათ არავისთვის არ შეუხედნიათ, არავის დამშვიდობებიან, ისე სწრაფად გაიარეს მისაღები ოთახი.

— ალბათ ზურგი აუწვეს,—ხმადაბლა ჩაილაპარაკა მდივანმა ქალმა. — მიბრძანდით, ამხანაგო...

— მირბავ, — გაახსენა კესოუმ.

სუფთა, ფართო ოთახი. კედლების გასწვრივ სკამებია ჩამწკრივებული. მარცხენა კუთხეში საწერი მაგიდა სდგას. მასზე მიდგმულია მეორე, გრძელი, მწვანე მაუდგადაფარებული. მაგიდაზე გაზეთების შეკვრა, წიგნები აწყვია; მხარმარჯვნივ რამდენიმე ტელეფონია.

მთიელის შესაგებებლად წამოდგა კაცი. იგი საშუალო ტანისაა, შავი კოსტუმი აცვია. თეთრი პერანგი და ძლიერ ლურჯი ყელსახვევი. ფართოყვრიმალძვლიანი პირისახე, მაღალი შუბლი და ხუჭუჭა თმა.

ყველაფერს ამას სწრაფად მოავლო თვალი კესოუმ, როგორც კი ოთახში ფეხი შესდგა.

— მობრძანდით, გთხოვთ, — მიესალმა მას კაბინეტში მყოფი.—უჩვეულო სტუმარი ხართ. კარგია, საუცხოოა!

მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— თქვენი გვარი — მირბაა ხომ?

— სწორედ მაგრე გახლავთ! — მკაფიოდ მიუგო კესოუმ.

— სამხედრო წესზე რა საჭიროა? ჩვენ სამოქალაქო პირები ვართ,— იხუმრა მდივანმა. — თქვენ ფრონტელი ხართ?

— დიახ.

— მიამბეთ, სად ყოფილხართ? როდის?.. რას აკეთებდით?

კესოუ შეკრთა. იგი სრულიად არ ფიქრობდა, რომ მოუხდებოდა მოგონებათა გაზიარება წარსულის შესახებ. გიმნასტურას ჯიბიდან მას უკვე ამოღებული ჰქონდა ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილი იყო კოლმეურნეობის გეგმები, მათი შესრულების პროცენტები, მომავლის პერსპექტივები. კესოუმ შეუმჩნევლად ჩაიდო ქაღალდი ჯიბეში. მას რატომღაც შერცხვა თავისი ქაღალდის გამო—შეიძლება იფიქროს კაცმა, გამზადებული სიტყვით მოსულა, როგორც ნაცადი ორატორიო.

— პირველი ნათლობა როსტოვთან მივიღე. დავიჭერი. კიევიდან გავრეკეთ მტერი. იქაც გავიკაწრე. ვიყავი პოლონეთში.

— ბერლინში ხომ არ ყოფილხართ?

— ვერ მოვასწარი. ცხრა მაისმა მომისწრო.

— სამაგიეროდ სხვები იყვნენ. პარტიის წევრი ხართ?

— 1943 წლიდან.

აწკარუნდა ტელეფონი. ალექსანდრე ივანეს-ძემ მოკლედ გასცა პასუხი და კესოუს შეკითხვით მიმართა: მაშასადამე, დიდიხანია არ გინახავთ ჩვენი ქალაქი?

— ხუთიოდე წელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ დღეს შარშან შემოდგომაზე, როცა ფრონტიდან ებრუნდებოდი.

— ძლიერ მსურს ვიცოდე, ამხანაგო მირბავ, რა შთაბეჭდილებას სტოვებს თქვენზე ქალაქი?

— ძალიან გალამაზებულა, უკეთესია, ვიდრე ომამდე იყო...

ალექსანდრე ივანეს-ძემ მკლავში ხელი ამოსდო სტუმარს და მიიყვანა ნახაზთან, რომელიც კედელზე ეკიდა.

— მე თქვენ ახლა გიამბობთ, როგორაა საქმეები, — უთხრა მდივანმა, ამასთან უჩვენებდა ხან ერთ, ხან მეორე ადგილს, გეგმაში აღნიშნულს. — ათი ქუჩა წესრიგზე მოვიყვანეთ. წელს ამ ქუჩების კეთილმოწყობას ჩავატარებთ, აი აქ ახალ აბანოს ავაგებთ, და თუ მოვასწარით — კინო-თეატრსაც. მთელი ხარჯების საერთო თანხა იქნება...

ალექსანდრე ივანეს-ძე ჩაფიქრდა, შუბლი შეიჭმუხნა. როგორც სჩანს, რაღაც დიდმნიშვნელოვანი გაახსენდა, ანდა რაღაცაში ეჭვი შეეპარა. დაასახელა თუ არა ციფრი! იმავდროულად ტელეფონის მილაკი აიღო. გამოიძახა ქალაქის საბჭო, ვიღაცას ელაპარაკა მიმდინარე წლის ასიგნობებზე და ამის გამო დადგენილებათა შესახებ.

— ამხანაგო მირბავ, — განაგრძო მდივანმა, — იმ თანხას, რომელიც მე დაგისახელეთ, კიდევ მიუმატეთ ასი-ათასი — აი ჩვენი კაპიტალური მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოსაწყობ სამუშაოთა ბიუჯეტი.

ალექსანდრე ივანეს-ძე ყოველივე ამას ისე დაწვრილებით უხსნიდა, თითქოს კესოუსათვის აპირებდა ეთხოვა მშენებლობაზე საჭირო თანხა. მთიელი ვერაფრით ვერ მიხვედრილიყო, რაიკომის მდივანი რატომ აბარებდა მას ანგარიშს. ერთის მხრივ სასიამოვნო იყო, რომ მას, კესოუს, აცნობენ ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეებს, მაგრამ, მეორეს მხრივ — რა იმალებოდა ამ მოულოდნელი საუბრის იქით? საკენში ასეთ წინასიტყვაობას ტყუილუბრალოდ როდი აკეთებენ, და კესოუმ ყური გაამახვილა...

ალექსანდრე ივანეს-ძე კი ლაპარაკობდა, თან გეგმაზე უთითებდა:

— აქ ჭაობებია. მათი ამოშრობაა საჭირო... აი ამ დღეებში ახალ სკოლას გავხსნით. ამის მოლოცვა შეიძლება ჩვენთვის... თქვენში კი როგორა გაქვთ სკოლის საქმე? ხომ კარგი სასკოლო ბინა გაქვთ?—უცებ შეეკითხა მდივანი.

და დაიწყო ყველაფრის დაწვრილებით გამოკითხვა: კოლმეურნეობის შესახებ, სკოლის, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის, სასოფლო საბჭოს შესახებ, საკენელ ადამიანთა შესახებ. კესოუ პასუხს აძლევდა, ამასთან გრძნობდა, რომ ყველა მისი პასუხი როდი აკმაყოფილებდა მდივანს. და მაშინ მდივანი უკმაყოფილოდ შეიჭმუხნიდა შუბლს, თითქოს აბეზარი ბუზი დააჯდა ზედო.

— ადამიანები ჩვეულებრივნი არიან, — უთხრა კესოუმ,—არიან კარგებიც, არიან ცუდებიც.

ალექსანდრე ივანეს-ძემ თითი ჰკრა მკერდზე და ღიმილით ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, თქვენ თვითონ როგორიღა ხართ: ცუდი თუ კარგი?

— მე?..—კესოუ გაწითლდა.—მე?.. რაგორ გითხრათ...

ალექსანდრე ივანეს-ძემ გაიღიმა და მაგიდას მიუჯდა.

— აი ხომ ხედავთ, საკუთარ თავს ჯერ კიდევ ცუდად იცნობთ... მიამბეთ თქვენებურ ადამიანთა შესახებ უფრო დაწვრილებით.

კესოუმ დაასახელა რამდენიმე პიროვნება, ამასთან ცდილობდა ფრთხილად გამოეთქვა თავისი მოსაზრება თანასოფლელების შესახებ.

— მე კი ვფიქრობ...—ალექსანდრე ივანეს-ძემ ფანქრის წვერი დააკაკუნა მაგიდაზე.—მე ვფიქრობ, რომ თქვენში კარგი ადამიანები უფრო მეტია. გაცილებით მეტი!.. მაგრამ ამის შესახებ

შემდეგ. ახლა კი მითხარით, რა საქმემ მოგიყვანათ ჩემთან?

მდივანმა ისე შეხედა კესოუს, თითქოს წინასწარ იცოდა პასუხი. მის შავ თვალებში იელვა ეშმაკობის ნაპერწკალმა, როგორიც ბევრს გააჩნია ხოლმე საკენშიც.

— მე სერიოზული საქმის გამო ჩამოვედი, — დაიწყო კესოუმ. — ერთი აზრი დამებადა. (მას კინალამ წამოსცდა — სულელური აზრიო). როგორმე იქნებ გავადიდოთ მეთქი მოსავალი ჩვენს სოფელში.

— პირდაპირ გეტყვი, ამხანაგო მირბავ, რომ ეს აზრი შესანიშნავია. საუცხოოა. ხომ წაიკითხეთ ბრძანებულება?

— ბრძანებულება? რომელი ბრძანებულება?

ალექსანდრე ივანეს-ძემ მიაწოდა მას ფურცელი, სტამბაში დაბეჭდილი.

— გაეცანით. მოსავლისათვის, უხვი მოსავლისათვის ჩვენი მთავრობა ორდენებით დააჯილდოებს ხალხს, გმირის წოდებას მიანიჭებს. მაშ როგორ!

კესოუმ თვალი გადაავლო ბრძანებულებას. მან წაიკითხა ის სტრიქონები, სადაც ლაპარაკი იყო სიმინდის შესახებ, და სახე გაუბრწყინდა.

— ზორბაა! — შესძახა მან და მაგიდას მუშტი დაჰკრა. და მაშინვე გამოერკვა, ბოდიში მოიხადა.

ალექსანდრე ივანეს-ძე გულდასმით ათვალიერებდა მთიელს. მას მოეწონა ახალგაზრდა ვაჟის ცოცხალი, გაშლილი გამომეტყველება, მისი ღონიერი ხელები, რომელთაც იგი დროგამოშვებით მჯიღებად ჰკუმშავდა ხოლმე, თითქოს მათში უნდა მოამწყვდიოს მთელი თავისი ნებაო.

— მე, ალექსანდრე ივანეს-ძევ, არაფერი ვიცოდი ბრძანებულების შესახებ... საკენში ასი ფუთი ჰექტარზე სასწაულად მიაჩნდათ. ეს არაფრად არ ვარგა!

— ცუდია, ამხანაგო მირბავ, რაღა თქმა უნდა, ცუდია!

— და აი გადავწყვიტეთ ჩვენ, ამხანაგო მდივანო, სხვაგვარად ვიმუშაოთ...

— სახელდობრ რანაირად? — ალექსანდრე ივანეს-ძე უფრო მოხერხებულად დაჯდა და მოემზადა კესოუს მოსასმენად.

— ჯერ ერთი, ვხნათ როგორც რიგია, და არა ვჩიჩქნოთ მიწა. დავხნათ ორჯერ, დავფარცხოთ რიგიანად, მუსრი გავავლოთ სარეველა ბალახებს...

— დიახ, დიახ, — ალექსანდრე ივანეს-ძე რაღაცას ჰხაზავს ფანქრით ქაღალდზე და დასტურის ნიშნად თავს აქნევს. — სწორია. თუ კარგად დაამუშავებ — მოსავალსაც სამმაგად გაზრდი.

კესოუ გამხნევდა, ძალა მოიკრიბა, მუშტები მაგიდაზე დასდო.

— მაშასადამე — დამუშავება, ნამდვილი დამუშავება. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მთავარი რამ შემდეგ არის გასაკეთებელი. ჩვენ ერთი კლდე გვაქვს. უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო მდივანო, რომ ეს კლდე ცუდი არ არის. ერთი სიტყვით — სასუქი, ფოსფორიტები.

— როგორ თუ ფოსფორიტები? — ალექსანდრე ივანეს-ძემ გაოცებით შეხედა მთიელს.

— ზუსტად ასეა. ამ ფოსფორიტებით რომ მიწა გავანოყიეროთ, დიდ სარგებელს მივიღებთ. მოსავალი კიდევ ერთიორად გაიზრდება.—და თითქოს ბოდიშს იხდის საკუთარი გულდაჯერებულობისთვისაო, განაგრძო. — მე ზოგი რამ გამეგება აგროტექნიკაში კურსებზე ვსწავლობდი. მე — ახლავე...

კესოუ სწრაფად გავიდა კაბინეტიდან და დაბრუნდა საყვარელი ტომარათი. მან თავი მოხსნა ტომარას, დასდო სკამზე და მთელი მუჭა მონაცრისფრო მიწა ამოიღო.

— აი ეს მიწაც, — აღტაცებით სთქვა კესოუმ. — მე დავფშვენი იგი სანგით და ჩამოვიტანე, რათა აქ მეჩვენებინა.

კესოუ მოუთხრობდა თავის განზრახვათა შესახებ, და თან მთელი არსებით ადევნებდა თვალს, როგორ ეხმაურებოდა მის სიტყვებს მდივანი. ალექსანდრე ივანეს-ძე უსმენდა მას და არ აწყვეტინებდა. მან აიღო ერთი წება ფხვნილი, რატომღაც დაჰყნოსა და ხმაამოუღებლივ მიუახლოვდა ტელეფონს. დადგა მის მახლობლად, მილაკისათვის ხელი არ უხლია და შემდეგ მიმართა კესოუს.

— კლდე დიდია თუ არა?

— ვეებერთელა. თუნდ ურმებით ზიდე!

— იცით თუ არა, რომ ფოსფორიტებს, ასე ვთქვათ, დღისით სანთლის შუქზე ვეძებთ. სუპერფოსფატი ათასობით კილომეტრი მანძილიდან მოგვაქვს. და თუ გვერდით მოგვეპოვება ასეთი იაფი ფოსფორიტი, მეტი რაღა გვინდა?—ის კვლავ მივიდა ტომარასთან. — რომ ფოსფორიტია, ეს სჩანს. მაგრამ ხარისხი? — და ალექსანდრე ივანეს-ძემ შემკითხველად შეხედა კესოუს.

— არ ვიცი, ალექსანდრე ივანეს-ძევ, ხარისხისას ვერაფერს ვიტყვი...

— ეს კი ცუდია (კესოუს გული ჩასწყდა)... მაგრამ თუ ნამდვილი ფოსფორიტია — ბედნიერი ხალხი ყოფილხართ... მართალია, მისი დაფქვა არც ისე იოლია. საჭირო იქნება ბურთულა წისქვილები, ძრავები... მაგრამ არა უშავს—მთავარი ეს როდია.

ალექსანდრე ივანეს-ძემ ერთბაშად აიღო მილაკი.

— ალო! — სთქვა მან. — შემაერთეთ რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, სოფლის მეურნეობის განყოფილებას, და კიდევ... ჯერ საკმარისია... დიახ..: სალამი! გესმის, ხომ არ შემოივლი ახლა ჩვენთან? საინტერესო საკითხია. კარგი. არის... ალო! საიდანაა? სალამი. გესმის, საკენელებს უნდათ შენი ნახვა. სინდისს გეფიცები... მოხვალ? ხუთ წუთში გელოდებით. არის.

მან ელექტროღილს თითი დააჭირა და უთხრა შემოსულ ქალიშვილს.

— მოიწვიეთ მდივნები.

ჩაფიქრებულმა ალექსანდრე ივანეს-ძემ გაიარ-გამოიარა კაბინეტში.

— სწორედ ამისათვის ჩამოხვედით აქ, ამხანაგო მირბავ? — და ტომარაზე მიუთითა.

— დიახ.

— თქვენები რაღას ამბობენ?

— ეჭვობენ, ალექსანდრე ივანეს-ძევ.

— მაგრამ საერთოდ ხომ მხარს გიჭერენ?

— მაშ როგორ, ყველანი როგორც ერთი კაცი,—იცრუა კესოუმ.

— სჩანს ყველანი როდი გიჭერენ მხურვალედ მხარს, — შენიშნა მდივანმა და გამომცდელი თვალით შეხედა კესოუს.—თან წაიღეთ საკენში აი ეს ბრძანებულება და კიდევ ზოგი რამ... დაე წაიკითხონ...

მალე იწყეს თავისმოყრა მდივნებმა. ისინი ხმამაღლა მიესალმებოდნენ ალექსანდრე ივანეს-ძეს, ერთმანეთს.

— ბიურო ხომ არ არის? — იკითხა ვიღაცამ.

ალექსანდრე ივანეს-ძემ გულიანად გადიხარხარა.

— თითქმის, — სთქვა მან.—გთხოვთ ყველამ მოიწიოთ ამ ტომარასთან. მაგრამ ჯერ გაიცანით: ამხანაგი მირბა საკენიდან.

სიტყვა „საკენის“ ხსენებაზე ყველა გაოცდა.

— ოჰო! ადრიანად ჩამოსულან წელს ქალაქში.

— საკენიდან? როგორ მოაღწიეთ?

კესოუ ართმევდა გამოწვდილ ხელებს.

— გზა ხომ არ გახსნილა?

— საკუთარი გვერდებით ვიარე,— იხუმრა კესოუმ.

— არც თუ ისე სასიამოვნოა,—შენიშნა ვილაცამ.

— ნულარ იკითხავ!

... ერთი საათის შემდეგ კესოუ ემშვიდობებოდა ალექსანდრე ივანეს-ძეს.

— ამხანაგო მირბავ, — უთხრა მას მდივანმა,—ჩვენ ვიწონებთ თქვენს განზრახვას. ვფიქრობ, ბედმა გაუღიმა საკენს. ხვალ-ზეგ ანალიზის შედეგებს გვაცნობებენ. მაგრამ, როგორც სჩანს, თქვენ მთლიანად არ ეყრდნობით თქვენს აღმოჩენას, ხომ? და სწორადაც იქცევით. კლდე თავისთავად და თავის დროზე... დავუშვათ, რომ ანალიზის შედეგები ხელსაყრელი იქნა. ხომ გაიგონეთ? — დაგჭირდებათ წისქვილის გამართვა, ძრავის, საწვავის შეძენა. ეს უბრალო საქმე როდია. ჯერჯერობით კი თქვენს ამოცანას ხვნა შეადგენს. უფრო მჭიდროდ დაუკავშირდით პარტიულ ორგანიზაციას და საქმე გაიჩარხება. (ალექსანდრე ივანეს-ძემ შეისვენა). ჩვენ, ბოლშევიკები, თავმდაბალი ადამიანები ვართ. ერთმანეთის ქება როდი გვიყვარს. მაგრამ თქვენ ყოჩაღი ყოფილხართ. გესმით?.. ზოგს ჰგონია, რომ თქვენ ყველასაგან მოწყვეტილად ცხოვრობთ. ეს არ არის მართალი! თქვენთან ერთად არის მთელი ჩვენი ქვეყანა. თქვენ მარტონი როდი ხართ. ბოლშევიკური სულისკვეთება ყველგან აღწევს, იგი სძლევს ყველა მთას, უღელტეხილებსა და მდინარეებს. აი, შეხედეთ ამას, — ალექსანდრე ივანეს-ძემ რუკასთან მიიყვანა მთიელი. — აი საბჭოთა კავშირი. ვეებერთელა, ძლიერი, მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოა. თქვენ კი მისი ნაწილი ხართ. იცხოვრეთ და იმუშავეთ ისე, თითქოს მოსკოვში ცხოვრობთ და მუშაობთ, სტალინის გვერდით. გასაგებია?

ალექსანდრე ივანეს-ძე ხმადაბლა, დამარცვლით ლაპარაკობს. მისი მოძრაობა ნელია და ამიტომ ოდნავ გულცივად ეჩვენება ადამიანს. მაგრამ თუ გარეგნულად მდივანი არ იჩენდა განსაკუთრებულ მგზნებარებას, სამაგიეროდ თვითეული მისი სიტყვა გამსჭვალული იყო ისეთი გულთბილობით, ისეთი გულწრფელი დაინტერესებით, რომ კესოუ როცა მას უსმენდა, გრძნობდა, როგორ ეზრდებოდა მხრებზე ფრთები.

— მხედველობაში იქონიეთ, ამხანაგო მირბავ, რომ მოსავალი ყველაფერია. იბრძოლეთ მისთვის მთელი ძალღონით. არ დაგავიწყდეთ, მოსკოვს გათვალისწინებული აქვს თქვენი მარცვალიც... დიახ, დიახ! თქვენ არავის არ ავიწყდებით. გესმით? აი ამ ზაფხულზე ავიახაზს ვხსნით საკენისაკენ... მართლა, ომამდე, მგონი მოფრინდნენ თქვენთან...

— დიახ, ერთხელ მოფრინდნენ...

— თუმცა ძლიერ ხმამაღლაა ნათქვამი: ავიახაზი! თქვენთან იფრენს „უ—2“, პირველ ხანებში კვირაში ერთხელ. — ალექსანდრე ივანეს-ძემ ეშმაკურად გაიღიმა და დასძინა:—მაგრამ გაივლის დრო და შეიძლება ავიახაზიც იქნეს. როგორ ფიქრობთ?

— უავიახაზოდ როგორ იქნება, ალექსანდრე ივანეს-ძევ!

— ამრიგად, ამხანაგო მირბავ, ხვალ-ზეგ შეიტყობთ ანალიზის შედეგებს. შემდეგ გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთან... მართლა, მე მინდოდა შინ თვითმფრინავით გამემგზავრებინეთ. ხუთ-ექვსიოდე დღის შემდეგ ამის მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა.

— მაგრამ მე ძლიერ ვჩქარობ. თესვა მოახლოვდა...

— ერთი სიტყვით, შემოიარეთ, და ვნახოთ. კარგად იყავით.

კესოუ ისე გრძნობდა თავს, როგორც კარგი ქეიფის შემდეგ, როცა კაცს თავი უბეჟეს, მაგრამ მთვრალი

არ არის, როცა ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს, ფეხებზე კი მაგრად დგახარ, როცა ქვეყანა ირგვლივ ათასფრად ბრჭყვიალებს, — მაგრამ ეს სიზმარი კი არა, ნამდვილი რეალობაა!

25.

ცხოვრება საკენში თავისი გზით მიდიოდა.

კესოუს ბრიგადამ ეკუპის შეუნელებელი მეთვალყურეობით დაამთავრა ხვნა. ეკუპი მოუთმენლად ელოდა შვილის დაბრუნებას. საერთოდ, კოლმეურნეობა „ნათელ სხივში“ საქმე გაცილებით უკეთესად იყო, ვიდრე გასულ წელს.

ზოგჯერ უსიამოვნებანიც ხდებოდა.

წყალდიდობამ წალეკა გუდალის სადგურის კაშხალი, და შუქი ხანგრძლივად ჩაჰქრა.

სერიოზულად გახდა ავად მოხუცი შაანგერი. ექიმს ეშინოდა, ვაი თუ ვერ გაუძლოსო, და ყოველ საღამოს მოდიოდა მოხუცის სანახავად.

ნიკუალა წარმატებით ნადირობდა, მთელი დღეობით ხეტიალობდა ტყეში. მან დაიყოლია კონსტანტინე, რომ ჩამოეყალიბებინათ მონადირეთა სპეციალური ბრიგადა.

— შემოსავალი ხომ კოლმეურნეობისა იქნება,—არწმუნებდა იგი მას. — შემდეგში კი, ვნახოთ, იქნება გავაფართოოთ კიდეც ეს საქმე...

მოახლოვდა პირველი მაისი. კონსტანტინე და მუშაგი ადგენდნენ დღესასწაულის ჩატარების გეგმას. სანერგე მეურნეობაში ემზადებოდნენ აღენიშნათ ეს დღე კოლმეურნეობისათვის საჩუქრის მიართმევით — ორმოცდაათი ათასი ძირი ნერგი გეგმის ზევით. კამას და ნინოს, როგორც საუკეთესო მუშებს, უპირებდნენ საპირველმაისოდ დაჯილდოებას.

ადამური აყვავდა. ავდრიან დღეებში ფარდულის (მხედველობაში გვაქვს მისი მინაშენი) ბრუნვა მოზრდილ ფანხას შეადგენდა. რაშიდი კი... ო, რაშიდს სადა სცხელოდა დღესასწაულისათვის, მას საკუთარი საზრუნავი ჰქონდა.

დაუწერელი კანონი, მამაკაცის ღირსების კოდექსი მოითხოვდა გადამწყვეტ მოქმედებას ძველებურ ადათთა რაინდის მხრივ. რაშიდი გრძნობდა, რომ დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდე, თორემ მეგობრების სასაცილო გახვდებიო.

ამრიგად, დანიშნულ იქნა დღე და საათი.

შეთქმულთა შეხვედრა მოხდა კვერნის ფარეხთან. გადმოცემით, სწორედ აქ ბუდობდნენ ოდესღაც საკენელი ქაჯები. მეგობრების მოლოდინში ანტონი იჯდა კუნძზე და პაპიროსს აბოლებდა. საღამოს ბინდში იგი ჰგავდა იმ ერთ-ერთ არაწმინდას, ოდესღაც რომ ამ კუთხეში ბინადრობდნენ.

— მოხვედით?—დაიწრიპინა მან. — უკვე მეშინოდა — ხომ არ გადაიფიქრეს მეთქი.

აყლაყუდა და ანტონი ტყეში ღრმად შევიდნენ, ხოლო ანტონის ადგილი კუნძზე, დაიკავა შეყვარებულმა რაშიდმა. მას ეცვა ახალი შალის ხალათი, კავალერისტული შალვარი და თბილი ქურთუკი. ჩექმები, როგორც რაინდს შეჰფერის, ჭრიჭინებდა, თავზე კი კრაველის ფაფახი, რომელიც ადამურისაგან ითხოვა. იგი იჯდა კუნძზე, ხოლო მისი ფიქრები ჰქროდენ საკოლმეურნეო სათბურებისაკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიკზე. ბილიკზე კი ამ შავგნელი ფიქრების შესახვედრად კამა მოდიოდა. გზის მოსახვევში იგი დაემშვიდობა ნინოს და მარტო გამოემართა სახლისაკენ.

რაშიდს რომ ქალი არ შეეშინებინა,

გაეშურა მის შესახვედრად ნელი ღიღინით.

კამას არც თუ ისე გაუკვირდა, როცა რაშიდ დაინახა. ქალი მიესალმა მას და უნდოდა გზა განეგრძო. მაგრამ რაშიდმა გზა გადაუღობა მას.

— მე კი შენ გელოდებოდი, შინამდე რომ გამეცილებინე, — უთხრა მან.

— მადლობელი ვარ.

მან ხელი მოუჭირა ქალს იდაყვს ზემოთ და კბილის ღრჭიალით განაგრძო:

— როგორ ფიქრობ? ნუ თუ აღარ კმარა ჩემი ტანჯვა... დიახ, დიახ... მე მგონი, კამა, უკვე აქამდე მოაღწია... სიყვარულმა (მან ხელით აჩვენა ხვანჩზე). ნუ გეცინება. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს.

ქალი ხუმრობის კილოთი აძლევდა პასუხს, მაგრამ რაშიდი, როგორც სჩანს, არ იყო ხუმრობის გუნებაზე.

საუბარი სულ უფროდაუფრო მწვავდებოდა. რაშიდის სიტყვებში აშკარად სჩანდა მუქარა. ქალიშვილს შეეშინდა, მაგრამ ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა ეს და ელაპარაკნა ხუმრობის კილოთი.

რაშიდს მოთმინება დაეკარგა.

— შენ გამყვები ცოლად, მორჩა და გათავდა!—გაბრაზებით შეჰყვირა მან.

— არა, ეს არ მოხდება!

რაშიდმა მოკლედ დაუსტვინა და ხმის ამოუღებლივ მოჰხვია ხელი. მაშინვე, თითქოს მიწიდან ამოძვრენო, გაჩნდნენ ანტონი და ენიკი; თვალის დახამხამებაში ქალი შეახვიეს ნაბადში და შესდეს ცხენზე. ამრიგად, კამა მოიტაცეს!

უნდა აღინიშნოს, რომ გატაცების ასეთი მეთოდი მოკლებულია ნამდვილ რომანტიკას. თვითონვე განსაჯეთ. კამას გრძნობა არ დაუკარგავს, ხოლო რაინდებს არ გამოუჩენიათ ის ნაზი სიფრთხილე, რომლის დროსაც ქალიშვილი ვერც კი გრძნობს, რომ მას ცხენზე სდებენ. ცხენები, თავის მხრივ, არ მიაქროლებდნენ, ქარის მსგავსად, ძვირფას ტვირთს. არა, ისინი ნაბიჯით მიდოდავდნენ და ძლივს აგნებდნენ ბილიკს. ხოლო ცხოველის კისერზე ტომარასავით ჯაგჯაგი საშინლად მძიმეა.

ნაკლებ გაჭირვებას არც გამტაცებელი განიცდიდა. მას ხელები შეუშუბდა, ფეხები გაუჭრუვდა, კისერი კინაღამ გვერდზე მოეღრიცა. არა, რაშიდი იმ ნეტარების მეასედსაც კი ვერ განიცდიდა, რაც, თუ მოთხრობებს დავუჯერებთ, თან ახლავს ქალის წარმატებით მოტაცებას.

ორიოდე საათის შემდეგ კამა იჯდა გრძელ სკამზე რომელიღაც უცხო სახლში. ოთახში სიჩუმე იყო, გვერდით კი, ხის თხელი ტიხარიდან ისმოდა მამაკაცის ხმები. ქალიშვილი კისერს ძლივს აბრუნებდა. მთელი სხეული სტეხდა, თითქოს ჯოხებით სცემესო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალი მზად იყო თვალები ამოეჩიჩქნა ყველასათვის, ვინც კი ახლოს მიეკარებოდა.

კარებმა გაიჭრიალა და ზღურბლზე გამოჩნდა მოხუცი ქალი თეფშით ხელში.

— ჩემო შვილო, — მიმართა მან ალერსით ქალიშვილს, ნუ ღელავ. ნუ სწუხარ. შეურიგდი... ასეთია ჩვენი, ქალების ხვედრი. ყველა ჩვენგანს ადრე თუ გვიან იტაცებენ ხოლმე. ჯერ ესენი (მოხუცმა თითი გაიშვირა ტიხარისაკენ), შემდეგ კი სიკვდილი — აუცილებელია. — მოხუცი შეკრთა და კაუჭა ცხვირი აუკანკალდა. იგი ძლივს აცმაცუნებდა გამოფიტულ ტუჩებს. თვალები ღრმად ჩამჯდარიყვნენ ორბიტში—მისი მხცოვანი ასაკისათვის ძლიერ ცოცხალი თვალები.

კამა წამოდგა სკამიდან. იგი ძლივს იდგა ფეხზე: მოხუცმა მაინც სიფრთხილე იხმარა და გვერდზე დაიწია.

— ეს რაო, დიდედავ, როგორ საქმეებს შესდგომიხარ? სულელებს აჰყე-

ეი?—მრისხანედ შეუტია მას კამამ.— მე ველარ მკითხე, მსურს თუ არა ცოლად გავყვე ამ თავზეხელაღებულს?

მოხუცმა ქალმა ხელები გაასავსავა.

— რას ამბობ, რას ამბობ, შვილო. მითხრეს, ცოლით მოვალთო. განა ჩვენ ადამიანები არა ვართ?—მობრძანდით...

კამა ჩამოჯდა ბუხრის ახლოს, რომელშიც შეშა იფერფლებოდა.

— გრილა, — სთქვა მან,—კარგი იქნებოდა ერთი რიგიანი ცეცხლის გაჩაღება.

— ჩემო შვილო, — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა, — მე დავანთებ...

— თვითონ მე. შენ კი, ბები, თუ დიდად არ შეწუხდები, იქნებ საჭმელი მომიტანო, მშია... ის დამთხვეულები სადღა არიან?

— სამზარეულოში, — დარცხვენით უპასუხა ბებრუხანამ.

— დაიცა! კამამ კედლიდან ჩამოიღო ძველებური კაჟიანი თოფი.—ისვრის?

— რას ამბობ, გეთაყვა, ნახევარი საუკუნეა, რაც სდუმს.

— არა უშავს, კეტის ნაცვლად გამომადგება. შენ კი არ გამცე — უთხარი მათ: გატენილია-თქო.

მოხუცმა მორჩილად დაუქნია თავი და კარებისაკენ ალასლასდა.

— ის კი... მომტაცებელი ჩემთან გამოგზავნე, — მიაყვირა მას კამამ. იგი გაცოფებული იყო. ღმერთმა დაიფაროს ყველა გაბრაზებულ საკენელ ქალთან შეხვედრისაგან — დათვთან შეხვედრა უმჯობესია.

კამამ გაიმართა ფეხები, დაიზომა ტანზე კაჟიანი თოფი. ვერცხლით მოსევადებული თოფი ძლიერ მოეწონა. ქალმა სცადა მისი დამიზნება კარის სახელურისათვის.

ამ დროს კარი გაიღო და ზღურბლზე რაშიდი გამოჩნდა — ფერწასული, აღელვებული. ქალიშვილის ხელში რომ თოფი დაინახა, ვაჟმა უკან გადასდგა ნაბიჯი.

— რას სჩადიხარ, რას სჩადიხარ?— ჩაიბურტყუნა გაცბუნებულმა რაშიდმა.

— არაფერს,—უდარდელად უპასუხა კამამ, — აი თოფს ვსინჯავ. კარგი თოფია! ოღონდ, ნეტა ვიცოდე, სადაიკარგა დიასახლისი—მშიერი ვარ.

„რა ჯანდაბაა, — გაიფიქრა რაშიდმა, — ან ჭკუაზე შეიშალა, ან შეურიგდა მდგომარეობას“... და ვაჟი გავარდა, რომ დაეჩქარებინა საჭმლის მოტანა. მალე იგი მობრუნდა და წყნარად მიჯდა კუთხეში.

— შენი ამხანაგი სადღაა?

— იგი აქ არის, სამზარეულოში.

— რატომ არ შემოდის? ერთი დამანახვა მაინც!

— თავი დაანებე მას, კამა... — ვაჟმა სცადა ქალს მიახლოებოდა.

— ბიჯი არ წამოსდგა. გაიგე?

რაშიდი დაემორჩილა.

—გამიგონე, — დაიწყო ვაჟმა დუმილის შემდეგ,—მე ვფიქრობ, რომ შენ ყველაფერი გესმის. და ღირსეულადაც შეაფასებ ამ ამბავს. ჩემი დამოკიდებულება. სიყვარული. სიგიჟე. მე მოსვენება დამეკარგა.

კამამ ზიზღით შეხედა მას.

— ძალიან მინდა ვიცოდე, — სთქვა კამამ და ფეხი დააბაკუნა, — რომელ დროში ვცხოვრობთ? ორმოცდამეშვიდე წელია ხომ? ხომ? ისეთ კუთხეშიც კი, ისეთ დათვის ბუნაგშიც, როგორიც არის საკენი, ყოველივე ეს სულელურ ტაკიმასხარულ წარმოდგენას ჰგავს.

— მე არაფრით არ შეურაცხმყოფია მამა-პაპური ადათები.

— ო, შენ არა!—შესძახა კამამ. — მათ შეურაცხგყვეს შენ, იმ ადათებმა.

რაშიდმა გაიარ-გამოიარა ოთახში იმ განზრახვით, რომ უფრო მიახლოვებოდა ქალიშვილს.

— არ მომიახლოვდე. — და თოფი თვალის დახამხამებაში დაუმიზნა ვაჟს,

— იგი როდი ვარგა სასროლად,— შენიშნა მან დაცინვით.

- სამაგიეროდ მას მაგარი კონდახი აქვს!—და კამამ თოფი მოიქნია.

— გიჟო! — სთქვა გულმოსულმა რაშიდმა და თავის ადგილას ჩამოჯდა. — რა გაეწყობა, ვითამაშოთ კატა-თაგვობია დილამდე. ოღონდ ვერ გამიგია, რა აზრი აქვს ყოველივე ამას.

— ის, რომ განთიადზე შენ ცხენს მომიმზადებ, მე კი გავემგზავრები.

რაშიდი კინაღამ შეხტა გაბრაზებისაგან. კარებში იდგა მოხუცი ქალი თეფშებით ხელში. მან გაიგონა კამას სიტყვები.

— როგორ? — გაიკვირვა მან.—შენ წახვალ? მარტო?

კამა წამოდგა უფროსისადმი პატივისცემის გამო.

— მარტო, თუ ვერ მოისაზრებენ ჩემს გაცილებას.

— შენ დაბრუნდები საკუთარ სახლში?

— მაშ სად უნდა წავიდე?

— ჯერ დაფიქრდი, კამა. ჩვენ ხომ ახლა ცოლ-ქმრის მსგავსად ვართ.

— ვითომ, რატომაო?—აღშფოთდა ქალიშვილი.

— მე ვამბობ—მსგავსად "მეთქი,— გაასწორა ვაჟმა. — რაკი ღამე ვაათენე ჩემთან ერთად ერთ ჭერქვეშ, ვფიქრობ, რომ საკენისათვის ეს საკმარისია.

— მე კი არ ვფიქრობ, — შეესიტყვა კამა.—მაგრამ, დახე, რა... არამზაღა ყოფილხარ თურმე.

— გეფიცები... — დაიწყო რაშიდმა. მაგრამ ქალმა აღშფოთებით ზურგი შეაქცია.

— პირველი კესოუ აიღებს შენზე ხელს,—ბრაზით წარმოსთქვა ვაჟმა.

— კესოუ?

— ეჰ, შვილო,—ჩაერია ლაპარაკში მოხუცი ქალი, და თან სუფრაზე საჭმელს აწყობდა.—შენ ვერ იცნობ მამაკაცებს. აბა, ვის რად უნდა სხვისი ქალი?

კამა ამაყად გაიმართა და გამომწვევად ასწია თავი მაღლა. ბებრუხანა უნებლიედ ტკბებოდა მისი შეხედვით— მისი თვალის ისედაც წვრილი უპეები სულ დავიწროვდნენ სწორ, მოწითალო ხაზად.

— და, თუ კესოუ თუნდაც იოტის ოდენად შენი მსგავსი აღმოჩნდება — მე მასზე უარს ვიტყვი. ღმერთმა გზა დაულოცოს! უმისოდაც გავძლებ როგორმე.

მოხუცი ქალი მივიდა კამასთან, მოჰხვია წელზე ხელი, და აკოცა მას. (კამას მოეჩვენა, რომ ლოყაზე ქვა მომადესო).

რაშიდმა ჩამოიფხატა ფაფახი წარბებამდე და ეზოში გავიდა, თან დაუდევრად წამოიძახა:

— კარგი. ვნახოთ, რა ჰანგზე ამღერდები დილით.

ამ თავხედურმა სიტყვებმა აღაშფოთეს მოხუცი ქალი.

— როგორ არა გრცხვენია, რაშიდ!— უსაყვედურა მან ვაჟს.—არ მომწონს, როდესაც ჩემს სახლში სტუმრები კადნიერებას იჩენენ. აბა, წადი სამზარეულოში, დაიძინე, ჩვენ კი აქ დავრჩებით. უმჯობესი იქნებოდა, მამაკაცური საქმისათვის ხელი რომ არ მოგეკიდნა...

რაშიდი პაპიროსის ბოლებით გაიშხლართა ტახტზე (იგი უზომოდ დაიჭანცა!), და კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა, კამა საქციელს შეიცვლისო.

ბოლოს, როცა ინათლა და რაშიდმა ოდნავ შეაღო კარი, სადაც ქალები იმყოფებოდნენ, მან დაინახა ისინი—კამა და მოხუცი ქალი—ტკბილ საუბარში იყვნენ გართულნი.

ასე დამთავრდა საღამოს საძრახისი მოტაცება.

26.

აპრილის ერთ მზიან დღეს, როცა ქვეყანა ნებივრობდა გაზაფხულის

ალერსიანი მზის სხივებში, საკენში მოხდა დიდმნიშვნელოვანი ამბავი.

ცაში წერტილი გამოჩნდა, იგი თანდათან გაიზარდა და, ბოლოს, თვითმფრინავად იქცა. მან იტრიალა სოფლის თავზე და დაეშვა მაჩვის მდელოზე. სწრაფად შეგროვდა ხალხი მაჩვის მდელოზე, შემოეხვივნენ თვითმფრინავს, როგორც ისეთ სტუმარს, კარზე ფეხის გადმობიჯებისა რომ რცხვენია.

თვითმფრინავიდან გადმოვიდა ყმაწვილი, რომელსაც ყველაფერი ტყავისა ეცვა: წაღებიც, შალვარიც, ქუდიც ტყავის ეხურა. ეხვეოდნენ მას, გულში იკრავდნენ, სულ ერთიანად დასრისეს. ყმაწვილმა მოიძრო მინის სათვალები, მიმოიხედა ირგვლივ.

— მაშ, ეს არის საკენი? — იკითხა მან.

— სწორედ ეს არის, — უპასუხეს მას, — ნამდვილი, ურიოშო საკენი.

— ვიმედოვნებ, მე ვარ პირველი საჰაერო სტუმარი? — სთქვა მფრინავმა თავისთავზე მეტად დიდი წარმოდგენით.

— არა, — უპასუხეს მას,—სცდები. ცოტათი დააგვიანე. ომამდე მოფრენილან ჩვენთან შენისთანები.

ძმები დაუდ და დამეი ალანები რაღაცით უკმაყოფილონი არიან.

— შვიდიოდე წლის წინათ, — ამბობს დაუდი, — ჩვენთან სწორედ ასეთი მანქანა მოფრინდა. ჰო, ასეთივე ქსოვილის ფრთები, ასეთივე ფირფიტარი... დალახვროს ეშმაკმა, ომის შემდეგ, ასე მეგონა, უკეთესი ფრინველები გვეყოლება მეთქი. ა?

მფრინავმა ოდნავ დაიცხვინა.

— რაც მართალი, მართალია, — იმართლებს იგი თავს,—მანქანა შესახედავად ვერაფერი შვილია, მაგრამ საიმედოა. არასოდეს არ გიმტყუნებს, განსაკუთრებით მთებში. მაგრამ მალე, ძალიან მალე თქვენთან სხვები მოფრინდებიან. სწრაფმავალნი, ძლიერ ლამაზნი და მოხერხებულნი — მე ისინი ჩვენს აეროდრომზე ვნახე.

მფრინავმა გაუზიარა იქ შეკრებილთ თავისი შთაბეჭდილებანი. თურმე, იქ, ზევით, ყველაფერი თეთრად ქათქათებს, შენს ქვევით ღრუბლები გაპენტილი ბამბასავითაა, მთები უფრო მომცროდ სჩანან, ვიდრე კვლები მოხნულ მინდორზე.

— თქვენთან მომავალი საჰაერო გზა სახმელეთო გზის შესაფერისია, — სთქვა მან, — მიფრინავ და თითქოს ღრანტეებზე მგზავრობდე — განაგრძრევს.

მფრინავმა ჯიბიდან წერილი ამოიღო. წაიკითხა მისამართი და იკითხა.

— სად არის კესოუ მირბა?

— ქალაქშია,—უთხრეს მას.

— არა, — პასუხობს მფრინავი, — იგი უკვე ხუთიოდე დღეა, რაც წამოვიდა.

— მაშ თუ, ასეა, ყოველ საათს მოსალოდნელია მისი მოსვლა!

ხალხი კი ისევ შეჯგუფულიყო თვითმფრინავთან. შაანგერი ირგვლივ ისე უვლიდა მანქანას, როგორც თოფის წამლით სავსე კასრს. გუდალმა განიზრახა მოხუცისათვის განათლების შეძენა. მან მიიყვანა შაანგერი თვითმფრინავის ცხვირთან და უთხრა:

— ეს მოტორია. ხრახნს აბრუნებს... თვითმფრინავი კი განთქმულია — „უ—2“.

— ეგრე, ჩემო შვილო, ეგრე,—უკვირს შაანგერის. — მაშასადამე, კარგი რამ არის, ხომ?

— არა უშავს. შეხედე ფრთებს: ორი წყვილი აქვს. არწივსაც კი არა აქვს ერთ წყვილზე მეტი!

იგი ისე აქებდა თვითმფრინავს, თითქოს ბაზრობაზე გასასყიდად ჰქონდა გამოტანილი. მოხუცს ხან კუდთან მიიყვანდა, ხან მოტორთან, ხან ისევ კუდთან. მას კვალდაკვალ დასდევდა ათამდე გლეხი. ყველა ცდილობდა გუდალთან ახლოს დადგომას, რათა

კარგად მოესმინა მისი განმარტება. გუდალი კი ისე სხლავდა, რომ მისი თვითეული სიტყვა ყველას აოცებდა, თითქოს თვითონ მას აეგოს ეს ფრინველი თავისი საკუთარი ხელით. მოხუცმა ბოლომდე მოუსმინა გუდალს და ჰკითხა:

— მაშ, როგორც სჩანს, იგი დაფრინავს?

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა, საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება. გუდალმა სთქვა, ყელი გამიშრაო.

— მოდი, სიმონს დავუძახოთ,—წამოაყენა ვილაცამ წინადადება.

— სწორია! — მზარი დაუჭირეს მას.—სიმონი ფრონტელია, ყველაფერს დაწვრილებით აგვიხსნის.

— ეი, სიმონ, ჩამოდი ფრთიდან!

ხალხი გვერდზე მიდგა. წინ გამოვიდა სიმონი—კოლმეურნეობის ბრიგადირი, ყოჩაღი ყმაწვილი, რომელსაც მარცხენა ხელის სამი თითი ფრონტზე დაეტოვებინა. ასეთი მარდი და მოხერხებული რომ არ ყოფილიყო, ცოცხალს რა გადაარჩენდა — ისეთი უბედურება აქვს გადატანილი. მან იკითხა, რას მოითხოვთ ჩემგანო.

— აი რას, — უთხრეს, — აგვიხსენი, რაშია საქმე.

— რა უნდა აგიხსნათ?.. რა დიდი ამბავი მაგ არის! სიმინდის ფარვანა!— და მან ათვალწუნებით დაღრიჯა პირისახე.

— გახსოვს, სიმონ,—გაისმა ხალხიდან ვილაცის ხმა,—ჩვენ მათ ქუდებს ვესროდით: ისე დაბლა ფრენდნენ. ერთი სიტყვით—სიმინდის ფარვანაა!

სიმონი მხრით მიეყრდნო თვითმფრინავის ქიმს. მან თითი დაუკაკუნა კედელს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა:

— ფირფიცარია. ხოლო იქ, უფრო ახლოს კუდთან — ტილოა. სულ სხვა რამ არის—გამანადგურებლები, მოპიკრენი. იქ, ძამია, თავი ფრთხილად უნდა გეჭიროს, თორემ სისწრაფე წაგაცლის...

სიმონი ფრთოსან სტუმარს არც თუ ისე სახარბიელოდ ახასიათებდა, შაანგერს ეწყინა. რაც არ უნდა იყოს, დაე, თუნდაც ცუდია, მაინც სტუმარიაო.

— ჩემო შვილო, — სთქვა მან ისე, რომ სიმონისათვის არც კი შეუხედავს. — ხომ არ ატყობ, რომ შენი სიტყვებით შეიძლება ვინმემ შეურაცხყოფა იგრძნოს?—შაანგერიმ ალმაცერად გადახედა ქედმაღალ ყმაწვილს, როგორც წინასწარმეტყველი ღვთისმგმობელს შეხედავდა. — მასე როდი ვარგა, ჩემო შვილო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ...

მოხუცი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს ხალხი (იგი მათ ბავშვებს ეძახდა) საკენში ასე კადნიერი და გულდაჯერებული გახდა. ქალაქის შუქი არაფრად მიაჩნიათ, თვითმფრინავი, რომელიც ღრუბლებს ზევით ჰფრენს, — ჩვეულებრივი საქმე ჰგონიათ. მოხუცის ყველაზე უფრო საუკეთესო გრძნობები შეურაცხყოფილი იყო, ვინაიდან ეს დღე მას არაჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა თავის ცხოვრებაში (ასევე სთქვა მან გუდალისას, როცა ელექტროსადგური დაათვალიერა).

— დიახ, — მოღუშვით ჩაიჩიფჩიფა მან,—გამოიცვალა ხალხი... არ შეიძლება სტუმრის შესახებ ამნაირად ლაპარაკი, არ შეიძლება, ეს ჩვეულებებს ეწინააღმდეგება. — და გულნატკენი გასცილდა ხალხს, ჩამოჯდა მოშორებით ისე, რომ უფრო უკეთ დაენახა ვერცხლისფერი თვითმფრინავი.

. ახალგაზრდები მალულად დასცინოდნენ მოხუცს. მაგრამ მუშაგმა, სკოლის დირექტორმა, შაანგერის მხარე დაიკავა.

— ტყუილა აწყენინეთ მოხუცს, — სთქვა მან.—მართალია, მე თვითონ არ ვყოფილვარ ფრონტზე, მაგრამ გაზეთებს გულდასმით ვკითხულობდი, არც

ერთი არ გამომიტოვებია. თვითმფრინავი, მართალია, უთვალტანადოა — „უ—2“. სარგებლობა კი ძალიან დიდი მოგვიტანა. ვთქვათ, ღამით მოწინააღმდეგის წინა ხაზი იყო დასაბომბი, ან პარტიზანებთან გაფრენა იყო საჭირო — პირველი შემწე ეს თვითმფრინავი გახლდათ.

საკენელებს გაუხარდათ, რაც არ უნდა იყოს, მათთან მაინც მამაცი თვითმფრინავი გამოუგზავნიათ, სახელოვანი მანქანა, თუ კი მას ღამღამობითაც უფრენია, მტერი დაუბომბავს. და პარტიზანებსაც დახმარებია, რითაც კი შეეძლო. ერთხელ კიდევ შემოუარეს თვითმფრინავს ირგვლივ, კუდიდან პროპელერამდე ყველაფერი უშუალოდ ვაუსინჯეს.

ვიდრე თვითმფრინავის შესახებ ჰქონდათ სჯა-ბაასი, არავის არ შეუმჩნევია, როგორ გამოჩნდა მინდორში კესოუ. დაღლილი, გაბურძგვნილი კესოუ მიესალმა თანასოფლელებს და სრულიადაც არ გაჰკვირვებია, როცა ფრთოსანი შიკრიკი დაინახა.

— მანქანები მოიტანეს? — იკითხა მან.

— მას აჩვენეს რაღაც რკინის ნაწილები, რომლებიც უკვე გადმოეტვირთათ თვითმფრინავიდან.

— ძალიან კარგი, — სთქვა კესოუმ, — კიდევ მალე მოიტანენ... მე ხუთ დღეს მოვალაჯებდი, ეს კი?..

27.

საღამოჟამს მთებში, მაშინაც კი, როდესაც თბილი აპრილი დგება, გრილა. თუ ის სახლი, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ, მაღლობ ადგილას მდებარეობს, პარმაღზე გამოსვლისას შეგიძლიათ დაინახოთ თოვლიანი მწვერვალების მთაგრეხილი, მთვარის მოცისფრო შუქით განათებული. ნიავი ჰქრის მთებიდან და ცივდება ქროლვისას — აი ამიტომ არის სიგრილე.

თქვენ ტანში გბურძგლავთ თოვლიანი მთის ქედის მარტოოდენ დანახვაზე, ქედისა, რომელიც უერთდება ღამეს მომწვანო სიბნელეს. ისინი, მთის მწვერვალები მდუმარედ აღმართულან, გარინდებულნი სამარადისოდ თოვლის საფარქვეშ. ხოლო მათ ქვემოთ—მარტო პირდაღრენილი სიცალიერეა, ნაბადივით შავი. და თქვენ გული უნებურად მიგიწევთ კერის მცხუნვარე ალისაკენ, რომელიც სამზარეულოს სიღრმეში გაუჩაღებიათ.

ეკუპის სახლში კერასთან თავი მოუყრიათ მასპინძლებსა და სტუმრებს. თვითონ ეკუპი ტახტზე მოკალათებულა. კესოუ ოდნავ მოშორებით ზის. ნინო კუთხეში ფუსფუსებს, ფქვილსა სცრის. კონსტანტინე ისმენს კესოუს ნაამბობს და ხმაამოუღებლივ ატრიალებს ჩამქრალ მუგუზალს ნაცარში. ანტონი ჩრდილში იმალება, გუდალის ზურგს უკან. კესოუ ცდილობს თვალით გამოსტაცოს იგი სიბნელეს.

კესოუ დაწვრილებით ჰყვება თავისი მგზავრობის შესახებ (საკენში აღმერთებენ დაწვრილებით მოყოლას). მისი საუბარი აჭრელებულია შორისდებულებით, შეძახილებით და უაღრესად მომხიბლავი ეპიტეტებით, როცა იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, როგორ შეხვდა მას მდივანი, რა დახმარება აღუთქვა მან.

— მაშ მიგიღეს ისე, როგორც რიგია, — ამბობს კონსტანტინე.

კესოუ ერთი წუთით სწყვეტს ლაპარაკს, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— რაღა თქმა უნდა, მშვენივრად მიმიღეს! — განაგრძობს იგი ხმის დაწევით.—ალექსანდრე ივანეს-ძემ თათბირი მოიწვია. იმსჯელეს. შემოწმება მოახდინეს. ძლიერ მოეწონათ ჩვენი კლდე. მირჩიეს, როგორ მოვქცეულიყავი, და აი ეს დადგენილებანი... მოსკოვიდანაა გამოგზავნილი, კრემლიდან.

იგი მუხლებზე ასწორებს ქაღალდს, გვერდის ჯიბიდან იღებს წიგნაკს.

— აქ მოთავსებულია ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალა, ბრძანებულებაც არის...

— წაიკითხოთ!—მიმართა კონსტანტინემ დამსწრეთ.

გუდალმა სკამი მიიწია კესოუსთან და მხარიღლივ ჩააცქერდა ქაღალდს.

— ბ—რ—ძ—ნ—ებ—ულ—ბ—ა, — ჩურჩულებს იგი.

ძლიერი სიჩუმე ჩამოწვა. ისმის მხოლოდ შეშის ტკაცანი და შიშინი მათი სისველისაგან, რასაც გარეთ ერეკება ყოვლისმძლე ცეცხლი.

ეკუპი ყავარჯენს დაყრდნობია. ალი უნათებს პირისახეს, მზისა და ქარისაგან შემუქებულს. ყაბალახი კეფაზე ჩამოჰშლია.

გუდალი დაძაბვით ისმენს წაკითხულს. მას ისე იზიდავს ნაბეჭდი სიტყვა, როგორც ბავშვს ტკბილეული, რომელიც საღღაც მაღალ თაროზე ჩამოუდევთ.

ანტონი ფრთხილად ისრესს დაწითლებულ თვალებს. მას ხველა ახრჩობს, მაგრამ ცდილობს შეკავებას, „კუჭში ჩადენას“, როგორც იტყვიან ხოლმე საკენში.

კონსტანტინეს ფართოდ გაუჩაჩხავს ფეხები, თავი ხელებზე დაუყრდვნია, ღრმად ძლიერ ღრმად ჩაფიქრებულა.

ნინომ თავი ანება ფქვილის ცრას, სკამზე ჩამოჯდა.

ძმები დამეი და დაუდ ალანები მხარდამხარ სხედან, ხელს ითბობენ და ტკბილად იზმორებიან.

მთელ სამზარეულოში გაისმის ბრიგადირის განზომილი ხმა. ხალხი ხარბად უსმენს, ეშინიათ სიტყვა არ გამოგვრჩესო. მხოლოდ ის არის დასანანებელი, რომ ამ დროს მახლობლად არსად აღმოჩნდა ფოტოგრაფი, რომელსაც შეეძლებოდა საკენელ მიწის მუშათა სურათის გადაღება კრემლის ბრძანებულების კითხვის დროს...

დაე საუკუნეების განმავლობაში სცოცხლობდეს ეს შესანიშნავი საათი, აღსავსე ღრმა გულისყურითა და ყოველიადით. დაე ნურასოდეს ნუ წარეცლება ჯავარი იმ სიტყვებს, რომელთაც გმირულად დარაზმეს მილიონობით გლეხები მგზნებარე შრომისათვის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ! ჰკითხულობენ ჩემი თანამემამულენი ბრძანებულებას, და მათი გაშლილი გული ეგებება საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას ხალხისადმი, გლეხობისადმი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისადმი, ქვეყნისა, რომელმაც განიცადა მტრის შემოსევის საშინელებანი, რომელმაც გააცამტვერა მტერი, და ახლა კვლავ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ. ასე გაიგო ბრძანებულება მთელმა ჩვენმა თვალუწვდენმა, მძლავრმა სამშობლომ, ასე გაიგეს იგი საკენშიც...

ეკუპმა შესძახა:

— ეს დიდი, ძლიერ დიდი საქმეა, მეგობრებო...

— კესოუმ შეაწყვეტინა მას:

— ჩვენ საკენში მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქრეთ, ხოლო სტალინმა მთელი ქვეყნის სასარგებლოდ სთქვა.

— ესეც მართალია, — დაეთანხმა მოხუცი.

კესოუმ დაამთავრა კითხვა და ქაღალდები გვერდზე გადასდო.

— რაები ხდება, — სთქვა მან. — საკვირველი რამ, მე ვიტყოდი. იქ, დაბლობში, ჰექტარზე ათასფუთობით იღებენ... თუნდაც ნახევარი რომ ჩვენ გვღირსებოდა, ა?

— შეხე, რა ხარბია,—გაიცინა გუდალმა.

— კესოუ, — მიმართა კონსტანტინემ, — მაშასადამე, სიმინდს ვკიდებთ ხელს?

— აუცილებლად.

— რაღას უცდი, სთქვა, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ყველას აინტერესებს ამის გაგება.

— კეთილი. — კესოუმ გააბოლა ქალაქური პაპიროსი. — ჩვენი ბრიგადის გეგმა ასეთი იქნება. სამ ჰექტარს მივიზომავთ. მათზე ავიღებთ ხუთას-ხუთასს... სიტყვას ვიძლევი!

ძმებმა ალანებმა ღონივრად ამოიოხრეს. ანტონმა ამოიხვნეშა. გუდალმა, შეიძლება სიხარულისაგან, ნაცრის ქექვა დაიწყო. კერას მოსწყდა ოქროსფერ ნაპერწკალთა კონა.

— მთავარი საქმეა, ამხანაგებო,— განაგრძო კესოუმ, თან თვალები მოიშუტა კაშკაშა სინათლისაგან, — ამის შესახებ ალექსანდრე ივანეს-ძემ მტკიცე დარიგება მომცა, მთავარი საქმეა ხვნა, ფარცხვა, მარგვლა. ყველაფერი ეს ვადაზე უნდა მოხდეს, წესების მიხედვით... კლდე კი პირველხარისხოვანი რამ გაგვაჩნია. ფოსფორიტები ეწოდება. მასში ხალხი ფულს აძლევს, ცხრამთას იქიდან ეზიდებიან, ჩვენ კი მზამზარეული გვაქვს, ცხვირწინ. ბურთულა წისქვილს მოგვაწვდიან, აგრეთვე ძრავსა და საწვავს... დავფქვავთ, მოვაბნევთ მიწაზე —ნახავთ, რა იქნება!.. თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მომცილდა, როცა ანალიზი ვნახე. ალექსანდრე ივანეს-ძევ ვეუბნები, რა იქნებოდა, რომ კლდეს ეღალატნა — ხომ დავიღუპებოდი მეთქი. ის კი იცინის... თქვენ იქ საკენში უკლდეოდაც არ დაიღუპებოდითო, მეუბნება, ომამდეც ხომ არც ისე ცუდად გქონდათ საქმე...

— ესეც მართალია,—დაეთანხმა გუდალი.

— მაგრამ ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა. ფოსფორიტებს მოვიპოვებთ — ეს რაღაც კაპიკები დაგვიჯდება. აი, როცა აქეთკენ გზას გაიყვანენ, მაშინ სხვა კოლმეურნეობებსაც დავეხმარებით. მაშ როგორ?.. ოღონდ ჯერჯერობით... ჯერჯერობით ჩვენ გვჭირდება დახმარება, ძვირფასო კონსტანტინევ.

— კრებაზე დავაყენებთ საკითხს,— სთქვა კონსტანტინემ.—ეს ერთი. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე განვიხილავთ—ესეც მეორე. საერთო საქმეა. ხომ მართალია?

— ნიკუალასი არაფერი მჯერა, — სთქვა დამეიმ,—ყველამ იცის, რა შვილიც ბრძანდება...

— მართლა, კონსტანტინევ, — დაიწყო კესოუმ, მაგრამ ამაზე შემდეგ... ნიკუალას შესახებ მინდოდა მეთქვა... რაიონში მასზე გარკვეული აზრი აქვთ შემუშავებული.—მან გაიმეორა:—გარკვეული...:

— გასაგებია, კესოუ.—კონსტანტინემ ჩააჩველა იმის ნიშნად, რომ გავიგე რის თქმაც უნდა კესოუსო. კესოუმ კი ქარაგმულად სთქვა, რომ საჭიროა ნიკუალას ნაცვლად ვინმე სხვა, საზრიანი და ენერგიული ადამიანი შევარჩიოთო.

შეფიქრიანებულმა კესოუმ განაგრძო:

— კლდე ფხვნილად უნდა ვაქციოთ. იმ ფხვნილით მიწას გავანოყიერებთ. მოსავალი რომ უხვი იქნება, ამის თავმდებია მთელი მეცნიერება.

დამეიმ ულვაშზე გადისვა ხელი და მედიდურად ჩაახველა.

— შესანიშნავი წამოწყებაა, — ჩაურთო მან,—ღმერთმანი, ძალღონე არ მენანება ამ საქმისათვის. თითქოს თოფის წამალს ვიგონებთ. ა? რაიონს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დახმარება აღმოგვიჩინა.

ეკუპი მძიმედ გადაბრუნდა თავის ტახტზე, ხვნეშის, ოხრავს, ხან მარჯვენა გვერდს მიუშვერს ცეცხლისაკენ, ხან მარცხენას.

— ვნახოთ, მოხუცებო, რა გამოუვათ ამ ახალგაზრდებს,—წარმოსთქვა მან,— ჩვენ კი—განსასვენებლად...

— არ შეიძლება,—დარცხვენით ამბობს ანტონი,—ქხა, ახლა სხვა დროა, ქხა... ხომ მართალს ვამბობ?

კესოუმ მას გამგმირავად შეხედა — თითქოს ცელი მოუსვა ბალახსო. მოიბუზა ანტონი. „ყველაფერი იცის, უთხრეს ალბათ“, ფიქრობს თავისთვის ანტონი, თან გულში რაშიდს წყევლის.

— შენს მოხსენებას, კესოუ, ხვალ პარტიულ კრებაზე განვიხილავთ, — ამბობს კონსტანტინე. — ხმამაღლა წავიკითხავთ დადგენილებას და ბრძანებულებას. კლდე, ჩემო ძმაო, საიმედოა, ეს ცხადია. ხალხს გამოვყოფთ, ურმებს მოგცემთ. სასოფლო საბჭო დაგვეხმარება...

კონსტანტინე წამოდგა.

— შენ საით? — ჰკითხა მას გაკვირვებით ეკუპმა.—აბა, შვილო, გააწყე სუფრა!

როცა მასპინძელი ოჯახის წევრი ქალებისადმი მიმართულ ამ სიტყვებს წარმოსთქვამს, და როცა სტუმრები კვლავ სხდებიან თავიანთ ადგილებზე, ჩვეულებრივად მცირეოდენი შეფერხება იგძნობა საუბარში. და ეკუპმა, იგონებდა რა ახალ თემას საუბრისათვის, რამდენჯერმე ზედიზედ გაიმეორა სიტყვა „დიახ“.

მოულოდნელად დამეიმ გამოასწორა მდგომარეობა.

— აბა, კესოუ, — ამბობს იგი,—რა ისმის ახალი ქვეყნად? ახლა რაღაზე აქვთ ლაპარაკი? იმედია, დაშოშმინდნენ?

— გააჩნია, ვინ,—გაურკვევლად შენიშნა კესოუმ.—საერთოდ კი არა სავსებით...

მას ეკუპმა შეაწყვეტინა:

— გამიგონე, როცა ჩვენი მეზობლები გადარა და განა წაიჩხუბნენ, და როცა ისინი შევარიგეთ, ამის შემდეგ ნახევარ წელიწადს კიდევ თავს არ უკრავდნენ ერთმანეთს — გადავეჩვიეთო, ამბობდნენ. ესენი ხომ კიდევ რაც არ უნდა იყოს თავისიანები იყვნენ. თქვენ კი გსურთ, რომ მსოფლიო ასე ერთბაშად დაწყნარდეს!

— მათო, ამბობენ, ახალი ბომბები აქვთო, — სთქვა დაუდმა, — ცქერით ვერ ძღებიანო.

კესოუმ გაიღიმა:

— ჩვენი ქვეყანა საკენსავით მიუდგომელია! აი, ინდონეზიაში კი ცუდად არის საქმე,—მოულოდნელად განაცხადა მან. — რესპუბლიკას ღალატობენ.

ეს ამბავი მსმენელებმა მწუხარებით მოისმინეს.

— ინდონეზია, ამბობ?—ჰკითხა დამეიმ.—ეს რაღა არის, ქალაქია თუ ქვეყანა?

— ქვეყანა.

— ინდონეზია? ა?—განაგრძო დამეიმ.—ვინ არიან ისინი, რესპუბლიკას რომ ღალატობენ?

— სულ ისინი,—უთხრა კესოუმ,— ამერიკა და სხვები.

— ჩვენ კი, ჩვენ რას ვშვრებით? — დაინტერესდა ეკუპი.

— საბჭოთა კავშირი? ჩვენ ინდონეზიის მხარეზე ვართ.

— აჰ, მასეა საქმე?—ეკუპი წამოხტა ადგილიდან.—მაშინ გამიგონეთ: მაგ შენ ამერიკას ინდონეზიაში არაფერი არ გამოუვა. აი ნახავთ!

და ეკუპმა ამაყად გადახედა თავის სტუმრებს: იგი კმაყოფილია, რომ შეუძლია თავისი აზრი გამოსთქვას ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გამო.

კესოუ ცდილობს ანტონი გამოხედვაზე შეისწროს, მაგრამ იგი ჯიუტად ჰმალავს თვალებს. „არამზადა ხარ!“— ფიქრობს კესოუ და ზიზღით იბრუნებს პირს ანტონისაგან.

— მე კი მაინც არ მესმის,—სთქვა დაუდმა,—რატომ ალაპარაკდნენ კვლავ ომის შესახებ?

— როგორ თუ რატომ?—კონსტანტინე მთელი ტანით შეტრიალდა მისკენ.—ეს ისინი ალაპარაკდნენ, იმპერიალისტები. ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება მათ ყელში ეხირებათ.

დუმილი. სიწყნარე გამეფდა. და ამ სიჩუმეში დაუდი—ვეებერთელა, ჩასკვნილი მამაკაცი—ლაპარაკობს აუღელვებლად და შთამაგონებლად:

— ხომ არ უყვართ მათ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება? მით უარესი მათთვის!

უკვე მოართვეს ღვინით სავსე ჭიქები, და ეს ისე კარგ დროს მოხდა, რომ ყველამ ერთდროულად შესძახა:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

შენ გაუგებ, მკითხველო, უბრალო საკენელ ადამიანებს, რომლებიც წარმოსთქვამენ თავიანთი ხელისუფლების სადღეგრძელოს, უფრო ადრე, სანამ ნათესავების — დედ-მამის სადღეგრძელოს იტყოდნენ. დაუფიქრდი და ეავითონვე განსაჯე: ყველაფერი, რაც კი მოეპოვებათ ამ გლეხებს—თავისუფლება, უზრუნველყოფილი ცხოვრება, საერთო შრომა, სიამაყის გრძნობა საკუთარი სამშობლოს გამო, დღევანდელი დღის ბედნიერების დიადი შეგრძნობა, მომავლის რწმენა,—ყველაფერი ეს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მათ. როგორ არ უნდა აფასებდენ ამ ხელისუფლებას, როგორ არ უნდა უყვარდეთ იგი? ამ ხელისუფლებისადმია მიმართული ყველაზე უფრო დიდი, ყველაზე უფრო მთავარი პატივისცემა, ეინაიდან მის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ცხოვრება!

გვიან ნაშუალამევდე ისხდნენ სტუმრები, და როცა ისინი ეზოში გავიდნენ, თავზე დაჰყურებდათ დიდი, ურმის თვალზე უფრო დიდი, მთვარე, და იგი ყველას მოეწონა. უცებ სადღაც ბუჩქებში ნაზი ხმით ამღერდა რომელიღაც ჩიტუნა. ძალიან უცნაური იყო: ასეთი ვეებერთელა ქვეყანა და ასეთი პატარა, მაგრამ მკაფიოდ მჟღერი ამ ქვეყნად, პაწაწა ხმა.

— ჩუმად, — სთქვა კესოუმ. — გალობს.

სტუმრებიც და მასპინძლებიც უსმენდნენ ჩიტის გალობას, მთვარე კი დაუსრულებლივ აფრქვევდა დედამიწას კაშკაშა სხივთა ნაკადულს...

... კესოუ დასასვენებლად ემზადებოდა, დაქანცული მგზავრობით, საუბრებითა და საკუთარი აზრებით.

თავისი ოთახის კარებში და დაინახა. ვოგონა რაღაცაზე სწუხდა. კესოუმ ხელი მოუცაცუნა მხარზე.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მან.

— იგი არ არის დამნაშავე,—სხაპასხუპით ჩაილაპარაკა ნინომ.—მე ყველაფერი ვიცი.

ვაჟი ჩამოჯდა საწოლზე, უდარდელად გააზმორა და შენიშნა:

— იცი, რა? მას, ვისაც ეს არ სურს, როდი იტაცებენ. რას ნიშნავს ეს?!— გაბრაზებით შესძახა მან.—თავის მოტაცება დაანებო? და მერე ვის?

ნინო წასვლას არ აპირებდა. იგი იდგა გულხელდაკრეფილი, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ არაფერი დაეთმო.

— მან ბევრი იტირა,—სთქვა ნინომ და ძმას მკაცრად მისჩერებოდა. — და ახლაც სტირის. ნუ გეცინება. იგი კარგი ქალიშვილია. ყველაფერში რაშიდია-დამნაშავე—აკი იმიტომაც მიიმალა...

— მაინც, რა გსურს ჩემგან?

— რომ შენ მოელაპარაკო მას.

— სიამოვნებით.

— კი ნუ ხუმრობ. მე სერიოზულად გეუბნები.

— და მე კი ვითომ არა?

— შენც მამაკაცი ხარ, რაღა!—განაგრძობდა ნინო. — თვითონ სხვებს უსაყვედურებ ხოლმე ჩამორჩენილობას. შენ კი თავათ როგორ ირჯები? ა?

იგი არ მოელოდა დისაგან ასეთ რამეს, რადგან მას ისე უცქეროდა, როგორც ვოგონას.

— აბა, კიდევ სთქვი რაიმე,—უთხრა ძმამ სიცილით.

— არაფერსაც არ ვიტყვი.—ნინომ ტუჩი აიმრიზა.—ხომ არ ვგონია, კამა-

თავის გზას ვერ მონახავსო? ან იქნებ უშენოდ დაიღუპება? არა, ჩემო კარგო! მე ვიცი... ხელიდან გაუშვებ—და ველარ დაიბრუნებ! ძველი დრო აღარ არის!

— ეგრე, ეგრე!

— თუ ერთმა არამზადამ შეურაცხყოფა მიაყენა ქალიშვილს, შენ როგორ გგონია, მეორე როგორ უნდა მოიქცეს?

— არამზადა?

— არა, მეორე მამაკაცი, თუ მასში სინდისის ნატამალი მაინც არის.

— არ ვიცი.—კესოუ სიამოვნებით ისმენდა დის მრისხანე სიტყვებს. „ყოჩაღ, დაიკო!“ — ამბობდა იგი გულში და უნებურად ტკბებოდა მისი ცქერით.

ნინო გავიდა მეორე ოთახში, შემდეგ მობრუნდა და ზღურბლზე ფეხგადმოუდგმელად სთქვა:

— ახლანდელი ქალები ძველებს როდი გვანან. ქათმები ხომ არ არიან, რომელთათვის შესაძლებელია თავის წაგლეჯა ტყუილუბრალოდ. ვერ მოგერთვეს!—და გავიდა, თან კარი მიიჯახუნა.

კესოუმ დაიძინა იმ განცდით, რომ ყველაზე მთავარი, რისთვისაც მან მოიარა ქალაქი, დაძლეულია. მაგრამ რაღაც არასასიამოვნო ფიქრი აშფოთებდა, უშხამავდა სიხარულს.

— წყეულო რაშიდ!—კბილებში გამოცრა მან სიტყვები, მუქი წაბლის ხის კედლისკენ მიმართული, და თავით ფეხამდე საბანში გაეხვია.

28.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ წყაროსთან ისე სასიამოვნო არ იყო ყოფნა, როგორც ახლა. გაცილებით უფრო ცივილოდა, და წყლის სარკესავით ზედაპირი იზიდავდა ადამიანს. მალე გახდება ეს წყარო საყვარელი ადგილი იმათთვის, ვინც სიგრილეს ეტანება, ვის მკერდშიც ჰფეთქს მეტად მხურვალე გული. ხოლო ივნისის მთვარიან საღამოებში მწვანე ხავსით შემოსილი ეს კლდეები გახდებიან მოწმენი ხან მოკრძალებული ჩურჩულისა, ზოგჯერ კიდევ სიყვარულის გულახდილი გამქღავნებისა.

კვირადღეა. კესოუ და კამა ქვებზე სხედან ერთმანეთის პირდაპირ. ქალს აცვია თეთრი აბრეშუმის კაბა. თავი ცისფერი მანდილით აქვს წაკრული. მას საუკეთესო ფეხსაცმელი და ისრიანი ძვირფასი წინდა აცვია (ასეთი წინდა დიდ მოწონებაშია საკენში). საამურია მისი ცქერა და მისით დატკბობა! ნაწნავები მკერდზე დაუყრია — ორი მკვრივი, შავი ნაწნავი.

კამა ყოველი წვრილმანის გამოუტოვებლად ჰყვება თავისი „მოტაცების“ ამბავს. ო, მან გამოამქღავნა იმ ღამით, რას ნიშნავს საკენელი ქალიშვილი!

კესოუ ჩაფიქრებულა, იგი ქვიშაზე ჰხატავს უცნაურ ნიშნებს.

— დაამთავრე?

— ჰო, დავამთავრე.

ჩამოწვა ლოდივით სიჩუმე. შემდეგ ქალმა ყრუდ წარმოსთქვა:

— მივემგზავრები. უკვე ცოტა დროღა...

ვაჟი მკვეთრად შეტრიალდა მისკენ. იგი ჰხედავს ქალის სევდიან თვალებს, რომლებიც ისე უცქერიან, როგორც დაბინდული მინიდან. პირველივე, რაც ვაჟმა გაიფიქრა ის იყო, რომ მიალერსებოდა ქალს, გაემხნევებინა იგი. „დალახვროს ეშმაკმა,—გაუელვა მას აზრმა,—ხომ უნდა გაიგოს, რომ მე რაშიდი არა ვარ“. არა, კამა კარგი ქალიშვილია, ძლიერ კარგი. მაგრამ კესოუს აინტერესებს, კიდევ რას იტყვის ქალი.

— საით აპირებ გამგზავრებას, კამავ?

— ქალაქში.

— იგი გაკვირვებით მიაშტერდა ქალს.

— განა მე არ შემიძლია წასვლა? განა მარტო შენ შეგიძლია? სასწავლებელში მივდივარ.

ქალი მოულოდნელად აღეგზნო თავისი იდეით, თვალი მიაპყრო მდინარე საკენის ცისფერ ხეობას და ფიცის მსგავსად წარმოსთქვა:

— წავალ. ვისწავლი. მადლობა ღმერთს, სკოლები ყველგან საკმარისად მოიპოვება. დამეხმარებიან. მე არაფრისა არ მეშინია... მე მხოლოდ მსურდა დავბრუნებულიყავ აქ სამიოდე წლის შემდეგ და შემეხედნა თქვენთვის ყველასათვის,—და, კამა აქვითინდა, გაიქცა. იგი შეუდგა დაღმართზე შეჭრილ ბილიკს, წაიფორხილა და კვლავ გაექანა მაღლა. აი იგი უკვე თხემზეა, თვალის დახამხამება!—და მიეფარა ბუჩქებს.

კესოუ მოსწყდა ადგილიდან...

მაგრამ იგი ვეღარ დაეწევა ქალს აი რა მაღლა სჩანს მისი თეთრი კაბა!

კესოუ მარტო დარჩა, მარტოდმარტო თავის ფიქრებთან და მთელ ქვეყანასთან. ახალგაზრდა მთიელი იმავე ქვაზე ზის, იმავე წყاროსთან, ერთი თვის წინ რომ იჯდა. ზევით კი მისცურავს ფიცხი გაზაფხულის დღე. გუაგუასა და კლიჩს ნისლი შემოჰხვევიათ, მთებს ნისლი ისე ასდიოდათ, თითქოს მათ მწვერვალებზე კოცონი ანთია ნედლი შეშისაგანო. ქვემოდან ისმის საკენის ჩხრიალი. მხარმარჯვნივ — ვერცხლოვანი მდელოა, მხარმარცხნივ—კაკლის ხევი და მრამბა. თითქმის თვითეული სახლის თავზე ხუტორებში კვამლი აღმართულა. და თეთრ მთებს, რომლებიც თვალისმომჭრელად ბრწყინავენ ცის ლაჟვარდოვან ფონზე, რომ შეეძლოთ ადგილიდან დაძვრა, ისინი შეჰქმნიდნენ ძლიერ ხალისიან ფერხულს...

კესოუ წამოდგა. იგი ჰხედავს წვრილ ქვიშაზე პატარა ფეხის ნაკვალებს, და მათ გვერდით მტკიცედ აღბეჭდავს სხვა უფრო მოზრდილ ნაკვალევს, რომლის დანახვა ჯერ კიდევ შორიდან შეიძლება...

აპრილი მიიწურა. დადგა ცხელი დღეები. გზაზე მტვერი გაჩნდა. როგორც შუა ზაფხულში, ისე წამოჰშლის ხოლმე მას ქარი და სადღაც მიმოჰფანტავს.

მცენარეულობა დაიკვირტა, წვენით აივსო. საკმარისია ფრჩხილით გაჰკაწრო რომელიც გინდა ღერო და ისე გადმოსქდება იქიდან სითხე, როგორც წყارო მიწიდან.

ჰაერში ფრინველთა დაუსრულებელი, მხიარული ჟრიამულია. საძოვრებზე ძროხები ზმუიან, ხოლო დილდილობით ცხარედ ჰყივიან მამლები.

დილიდანვე მთელი სოფელი სამუშაოდ მიდის. ზლაზვნით მიჭრიალებენ ურმები, და მათი ჭრიალი მთელ მიდამოს ეფინება.

დიახ, ჩემო მეგობრებო, მე მიყვარს საკენი გაზაფხულზე, მიყვარს განსაკუთრებული სიყვარულით, შეიძლება იმიტომ, რომ სწორედ გაზაფხულზე წარმომიდგება იგი მე ასე ახალგაზრდულად და აღსავსე ძალღონით.

კარგია თბილ გაზაფხულის ღღეს სოფლად ხეტიალი, და კიდევ უკეთესია მდინარის პირად წასვლა. იქ ყველა მოსძებნის თავის შესაფერ გასართობს.

მე ვზივარ საკენის პირას. ამ ადგილას მდინარე მკვეთრად უხვევს და გედის კისერივით არის მოღერებული.

ნაპირი ციცაბო და მაღალია. მის ძირში ქვებია, მომცრო და მოზრდილნი. მე ფეხს ვარხევ და მიწა ძირს სცვივა.

ჩემს ქვემოთ გაცოფებით მიშხუის წყალი, და ნაპირს ჰხრავს. ხოლო გაღმა მხარე მშვიდია, დაბალი ნაპირით, ქვიშიანი. მოყვითალო მეჩეჩის იქით ფიჭვნარი შრიალებს. წყლის ახლოს ძეწნებია. მწვანე უღრანი ტყის იქით თოვლიანი მთები აღმართულან.

ოციოდე ნაბიჯზე წყნარი ყურეა.

წითელპერანგა პატარა ბიჭუნა თევზაობს. მას მოთმინებით უჭირავს ხელში ანკესის ჯოხი, დროგამოშვებით ერთბაშად აისვრის ხოლმე ანკესს წყლიდან. მაგრამ ნემსკავი რატომღაც ცალიერია, სატყუარა სადღაც გამქრალა. ბიჭუნამ კვლავ წამოაგო ჭია და ანკესი წყალში ჩაუშვა.

მის გვერდით მოუკალათნია შაანგერი კანბას. მას, მგონი, ჩასძინებია (ეს იოლი საქმეა აპრილის მოალერსე მზეზე). მაგრამ შევცდი. აი მისი ყურადღება მიიპყრო ჩემმა საეტიუდომ. იგი ნელა მიახლოვდება და ჩემს ზურგს უკან დგება.

მე უკანასკნელად ვავლებ ფერადებს. ეტიუდი გამოჰხატავს მდინარე საკენს მისი გედისებური ხვეულით, მოშორებით—სასოფლო საბჭოს და სკოლის შენობებია. კიდევ უფრო შორს—მთაგრეხილი და ძლიერ ლამაზი ღრუბლები (უნდა გამოვტყდე, რომ ეტიუდი წამოწყებულია უმთავრესად მათ გამო). მე მესმის, როგორ ფშვინავს შაანგერი, ვგრძნობ, რა დაეინებით მომჩერებია. პირი მივიბრუნე მისკენ და ვხედავ ცნობისმოყვარეობით აღსავსე მის თვალებს.

— ჩემო შვილო,—მეუბნება შაანგერი,—შენი ქუდი ძალიან კარგია. (მე ვიცი, რომ ქუდი მას უცნაურ თავსამკაულად მიაჩნია). ამბობენ, თითქოს ჩაბალახიცა გაქვს.

— დიახ, ჩაბალახიცა მაქვს.

— ნუთუ ნაბადიც გაქვს, ალექსანდრე?

— დიახ, მე შევიძინე ნამდვილი ყაბარდოული ნაბადი.

— აბა მაჩვენე...—და მოხუცი ხელს იშვერს ჩემი ქუდისაკენ. იგი ყოველი მხრიდან აბრუნებს მას, ჩაჰხედავს შიგ.

— აბრეშუმია? — მკითხა მან და სარჩული მოსინჯა.

— დიახ, ეს აბრეშუმია.

მოხუცმა ღონივრად მოსწია ჩიბუხი და სთქვა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ!..მე ვიმეორებ შენი ქუდი, ამბობენ, ასეთ ქუდს მეცნიერი ხალხი ატარებსო... მაშასადამე, ჩვენს საკენელსაც დაუხურავს იგი... ყოჩაღ!..—ახლა უკვე დრო დადგა ჩემი ნახატის შექებისა. იგი, როგორც სჩანს, არ აკმაყოფილებს მოხუცს, თორემ პირდაპირ მისგან დაიწყებდა.

მან შენიშნა!

— ძალიან ლამაზია, მე ვიტყოდი... მაგრამ რატომ არ არიან ადამიანები შენს ნახატში? ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს... ძეწნები ამართულან. ისინი ადამიანმა დარგო. აი სკოლა. ისიც ადამიანის მიერ არის აგებული. ნუთუ არ გიყვარს ადამიანი?

— როგორ არ მიყვარს, შაანგერ?

— თუ ასეა, მაშ მიახატე იგი აი აქ.—იგი თითით მაჩვენებს მეჩეჩზე, და მისი თითი ყვითელი საღებავით გაისვარა.

აღვუთქვი, რომ შევასრულებდი მის მითითებას და იგი გაეშურა თავისი ბადიშის შვილისაკენ, რომელსაც როგორც იქნა დაეჭირა რაღაც პატარა თევზი. მოხუცი მიაბიჯებს განზომილი ნაბიჯით და მისი ყავარჯენი წვეტიანი ბოლოთი ზარივით ურაკუნებს წკარუნა ხვინჭკას...

აპრილის უკანასკნელი დღეა. მზეს ზენიტისათვის მიუღწევია. ცა ლურჯად ხასხასებს (თუნდაც ნამდვილი ულტრამარინი შეიძლება ჩამოაცალო მას). საკენის ამწვანებულ მიწაზე ყვითელი და მიხაკისფერი განაკაფი ადგილებია—ესენი ხნულებია (აიღე ასეთი მიწა და ჟანგმიწა დაამზადე). მდინარე დაუსრულებელ ვერცხლოვან არშიად მიიკლაკნება. მე თავს ვანებებ საეტიუდეს და უცქერი მდინარეს — ძლიერ მომწონს მისი მჭვირვალობა... მე ვფიქრობ ჩემ საკენელ მეგობრებზე...

ერთ თვეზე ცოტათი მეტმა დრომ განვლო იმ დღიდან, როცა ჩვენ პირველად შევხვდით წყაროსთან ორ ახალგაზრდა ადამიანს—კამას და კესოუს. თვე დიდი დრო არ არის, მაგრამ არც ისე მოკლე ვადაა. (ბევრი რამ ხდება ერთ თვეში). საკენისათვის წლევანდელი აპრილი არ იყო ჩვეულებრივი, და მე წარმოდგენილი მაქვს არაჩვეულებრივი შემოდგომა.

მე ახლოს მივიწიე საეტიუდე, და აი ვხედავ საკენური პეიზაჟის ფონზე კესოუს. იგი დგას კლდის წინ, თითქოს სურს ღონე მოსინჯოს მასთან ერთადო. ასეთი ვინმე თავისას მიაღწევს! რა ვუყოთ, შეიძლება, ყმაწვილმა კაცმა ოდნავ გადაამლაშა, აჩქარდა, როცა ათას ფუთობით ითვალისწინებდა. მაგრამ დაე ნაკლები იყოს, მოსავალი კი მაინც არნახული იქნება!.. მე ვხედავ კონსტანტინეს, აუჩქარებელ კონსტანტინეს, რომელიც, მიუხედავად ამისა, ყველაფერს მტკიცედ და საგულდაგულოდ აკეთებს... გუდალი კი? არა, იგი არასოდეს არ ჩამორჩება სხვებს. ხოლო სმელი? მე მას ვხედავ, ქალაქისაკენ რომ მიფრინავს, — იცით, იქ ერთი სახლია, რომლის კარებზე დაფაა მიკრული: „ელექტროტექნიკური ინსტიტუტი“. კამა... რა ითქმის კამას შესახებ? შეგეძლოთ დაგეჯერებინათ, რომ მეთქვა, ბედმა დააშორა იგი კესოუს მეთქი? რა თქმა უნდა, არა—და თქვენ სავსებით მართალი იქნებით... მე ასე მგონია აგრეთვე, რომ ნინო შორს წავა—რადგან ძლიერ ბეჯითია მუშაობაში... ხოლო რაშიდი? იგი რა სადარდებელია,—იპოვნიან სადმე...

ალბათ, აპრილმა ჩემზე კიდევ იმიტომაც მოახდინა შთაბეჭდილება, რომ მე საკენელი ვარ. არ ვიცი. მაგრამ წყეული საკენური აწრიალება, ის, მთხრობლებს რომ მოსვენებას არ აძლევს ზამთრის გრძელ საღამოს, მექაჩება მელნისა და ქაღალდისაკენ... და აი ახლა, როცა მდინარეს ვუცქერი, მგონია, უკვე ვხედავ იმ სტრიქონებს, რომლებიც ამცნობენ ქვეყანას შარშანდელი საკენური გაზაფხულის არაჩვეულებრივი დასაწყისის შესახებ, იმ ამბების შესახებ, რომელთა უნებური მოწმეც მე გავხდი...

ამრიგად, მოდის გაზაფხული, საკენიც ცოცხლობს და დღეგრძელობს!

რუსულიდან თარგმნა **პეტრე გახტურიძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

რიგა

★

შენს მარადმწვანე ბაღებს შევები,
დავდივარ, გზებმა ველარ დამღალა...
გუნდი და გუნდი არყის ხეები
შემოგპარვია, როგორც ჭაღარა.

იქნებ ქალაქი არც ხარ სრულიად,
ვარდის კალათა ფერიებს დარჩი
და ცისარტყელა სახელურია,
რომ აგიტაცონ მტრედებმა ცაში.

რა მოვიგონო ხერხი უჩვევი,
როგორ ჩავტიო ლექსში ყოველი,
აჟღერებული შენი ქუჩები,
შენი მაღალი სამრეკლოები.

შენი ქალების წკრიალა ხმები,
თვალები ლურჯი, როგორც სურვილი,
და ქერა თმები—მზის ბულულები,
ქერა კი არა—ოქროცურვილი.

რაღაც იდუმალ ფიქრში რომ დრტვინავს
გულდინჯი დვინა...
როგორ ჩავტიო ლექსში ყოველი,
შველას მე ისევ შენგან მოველი.

ო, არ იფიქრო, ჩემმა თბილისმა
ვერ ამათრთოლა სიმღერის ეშხით
და მოველ შენთან—იქნებ ტკბილი ხმა,
ლექსის თილისმა ვიპოვო შენში.

საქართველოში იტყვიან ხშირად:
დაი ჰყავს თბილისს ბალტიის პირად.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗᲝ ᲘᲒᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲥᲐᲯᲔᲑᲡ
ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕᲓᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚ ᲨᲘᲒᲐᲜ
ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲖᲘᲡ ᲐᲬᲐᲛᲔᲡ, ᲡᲢᲐᲜᲯᲔᲡ,
ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲢᲔᲮᲔᲡᲝ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲠᲘᲒᲐ.

ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲔᲡᲕᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲡ,
ᲛᲝᲡᲞᲔ, ᲐᲝᲢᲔ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ.
ᲓᲐ ᲠᲝᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲡ, —
ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲒᲔᲡᲛᲝᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲐᲨᲐᲪ.

ᲐᲡᲔ ᲒᲐᲓᲣᲠᲩᲘ ᲥᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲡ,
ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲘ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲒᲐᲥᲕᲡ...
ᲧᲚᲝᲠᲢᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲤᲔᲡᲕᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ
ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲔᲠᲒᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ.

ᲛᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲕᲘᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲘᲒᲐᲕᲡ,
ᲩᲔᲛᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲚᲔᲥᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲔᲛ, ᲠᲘᲒᲐ,
ᲠᲝᲛ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲜᲔᲠᲒᲘᲕᲘᲗ ᲕᲠᲒᲐᲕᲓᲔ
ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲛᲓᲔ.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

მაისის განთიადი

რომანი *

★

*
* *

დივიზიის ნაწილები ხელჩართული ბრძოლით იხევდნენ უკან. ზოგნი გაუვალ ადგილებში ემწყვდეოდნენ.

შალვა ყიფშიძემ ამ დღეს თავისი მებრძოლნი ექვსჯერ წაიყვანა კონტრიერიშზე მიუხედავად იმისა, რომ მტერი ბევრჯერ უფრო ძლიერი იყო. ამ თავგანწირული იერიშების დროს სხვებთან ერთად ბრძოლის ველზე დაეცნენ კაპიტანი ჯაფარიძე და უფროსი ლეიტენანტი ფერაძე.

ერთ ბატალიონს მეტისმეტად გამძაფრებული მდგომარეობა შეექმნა; მას სხვა გზა არა ჰქონდა, ღია ადგილებზე და ყინულით დაფარულ წყლებში უნდა დაეხია უკან.

მესამე ასეული მტერს პირისპირ ედგა და სისხლისაგან იცლებოდა. მაინც არ გატყდნენ, მოწინააღმდეგეს არ მისცეს საშუალება, რომ ბატალიონისათვის ალყა შემოერტყა.

— სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! — გაშმაგებულად იძახოდა ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი შალვაშვილი: — ერთხელ დავბადებულვართ, ერთხელ მოვკვდებით!

შალვაშვილს მხარს უმშვენებდა ზემდეგი ჯიბლაძე, რომელმაც საშინელ ცეცხლში გაიყოლია მეომრები.

* გაგრძელება. „მნათობი" № 8.

თებერვლის სხივდამცხრალ დღეს დასასრული არ უჩანდა...

აგერ, იმ ზოლზე უნდა გავიდნენ, მაგრამ იქ განუწყვეტლად ურტყამს მტრის ტყვიამფრქვევი; რამდენიმე კაცი უკვე წევს უსულოდ.

მახლობლად ჭაობზე გადაკრული ყინული დასერილია და ზედ ტორფისფერი წყალი ტივტივებს.

ბატალიონის მეთაურმა თავისთან მიიხმო იმ წამს დასახმარებლად მისული მეავტომატეთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი მანჯავიძე.

— გასწი, ტყვიამფრქვევს მარცხნიდან შემოუარე!..

მანჯავიძემ თავისი მეავტომატენი გაიყოლია. თითქოს ალალბედზე მიდიოდა, მაგრამ მამაცმა ჭაბუკმა იმდენი მოახერხა, თავისიანებს გზა გაუხსნა.

*
* *

ბატალიონი, რომელშიაც სამსონი და მისი თანამებრძოლნი იყვნენ, კიდევ უფრო სასტიკ ცეცხლში მოხვდა. მებრძოლნი ჩაწვნენ. მაშინ წამოიმართა კაპიტანი კოტე ტაბიძე და შეუპოვარი ხმით დაიძახა:

— მომყევით!..

მეომრები დაიძრნენ.

კოლია ბარბაქაძე ძლივს მიხოხავდა. არასოდეს ასე გამოფიტული არა ყო-

ფილა. გული მალიმალ უცემდა. რამდენჯერაც ასწია თავი, ტყვიამ წივილით გადაუარა.

„ნუ წახდი, ბიჭო, თავი ნუ მომჭერი!“ — არცხვენდა თავის თავს და უკანასკნელ ძალღონეს სჭიმავდა, რომ ამხანაგებს არ ჩამორჩენოდა.

სამსონი, დავითი და ვალიკო წინ იყვნენ; კოლიას გვერდით ნესტორი მიხოხავდა.

— რავა, ატყობ, ვრჩებით აქ ხომ? — გადაულაპარაკა კოლიას ნესტორმა.

კოლიამ არ უპასუხა, თითქოს არ გაუგონიაო. ნესტორი უფრო ახლოს მიჩოჩდა და მავედრებელი ხმით უთხრა:

— თუ ძმა ხარ, კოლია, ცოტა შევიცადოთ... სიკვდილი მაინც არ აგვცდება, ბარემ აქ ვიყოთ.

კოლიას ნესტორის არც ხმა მოეწონა და არც სიტყვები; ირიბად გაჰხედა.

— რას ბოდავ!.. მომყევი!.

— ე, ბიჭო, იწამე ღმერთი, ძალა გამომელია...

ამ სიტყვებში რაღაც ისეთი მუდარა იყო, კოლიას ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, უთუოდ შეჩერდებოდა, კოლია კი უფრო აენთო, უნდოდა მკაცრი რამე ეთქვა ნესტორისათვის, მაგრამ იმ წამს სახეზე თვალი შეავლო და შეეცოდა:

— მიკვირს შენი ამბავი... რამ წაგახდინა, კაცო, დღეს?

„რა ვქნა? — სასოწარკვეთილებით გაიფიქრა ნესტორმა: — გავუმხილო, ვაი თუ დამტოვოს... არა და, გული მეხუთება...“

ერთხანს თვითონაც არ გაუგია ნესტორს, რომ დაჭრილი იყო, მერე კი ჭრილობა იმდენად როდი აწუხებდა, რამდენადაც მარტოდ დარჩენის საშიშროება.

ამიტომ კოლიას საყვედურზე არაფერი უთხრა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მიჰყვა.

„ჭრილობა საშიში არ უნდა იყოს, — ფიქრობდა ნესტორი, — მარა თუ არ შევიხვიე, სისხლიდან დავიცლებიო.“

ამ დროს ნესტორს ისეთი საშინელი რამ წარმოესახა, რომ მოთმინება დაჰკარგა და კოლიას გამოუტყდა:

— ე, ბიჭო, მომხედე!.. ვერ გაიგე, დაჭრილი რომ ვარ?

კოლია წამსვე შედგა.

— რას ამბობ?

— რამდენი ხანია, მარა ვერ გითხარი, ვაი თუ...

— ჰატ, შე გლახა!.. აბა, მიჩვენე!

ჭრილობა მარცხენა ფეხზე ჰქონდა, საშიში არ იყო, მაგრამ სისხლი კი ბლომად დაეღვარა.

კოლიას უცებ ძალ-ღონე მოემატა, ნესტორს ჭრილობა სწრაფად შეუხვია.

— აწი ნუ გეშინია, ჩემით მოგყვები! — უთხრა სულმოთქმულმა ნესტორმა.

ამ დროს მოწინავენი მტრის ტყვიამფრქვევის ცეცხლქვეშ ჩაწვნენ.

ეს ტყვიამფრქვევი გაყინული ლიმანის გაღმა იდგა შეხამებულად და ერთადერთ გასასვლელს ჰკეტავდა.

კაპიტანმა კოტე ტაბიძემ რამდენიმე მებრძოლი გამოჰყო და პირადად გაუძღვა. მალე მტერს ზურგიდან მოუარეს და მოსპეს.

ახლა ღია ზოლის უკანასკნელი უბანი უნდა გაევლოთ.

გერმანელებმა გადასწყვიტეს საკვლევით გაეჟლიტათ ქართველი მეომრები, რომლებიც ასე უშიშრად შეიჭრნენ მათ ზურგში. ცდილობდნენ ყველა რაზმისათვის გზა მოეჭრათ, ჩიხში მოემწყვდიათ.

ამიტომ ამ უკანასკნელ ზოლზე ტყვიებს სეტყვასავით აყრიდნენ.

კოტე ტაბიძემ მდგომარეობა ასწონ-დასწონა.

„ვაზნები გველევა... აქ რომ ჩავწვეთ, მთლიანად გავიჟლიტებით“. — გადასწყვიტა გუნებაში და კვლავ წა-

მოდგა. სამსონსა და კაპიტან არჩილ მაჩხანელს გასძახა:

— აბა, წინ!..

სამსონმა თავისიანებს თვალი მოავლო. რამდენიმე კაცი აკლდა. ამათგან კი, ვინ იცის, ვინ გააღწევს... კოლიას რა მოუვიდა? რატომ ჩამორჩენილა?

— დავით, კოლიას და ნესტორს მიხედე!

დაიძრნენ. სრულიად შიშველ ყინულიან ველზე გავიდნენ.

მტერს სურს გული იჯეროს და ტყვიას არ ზოგავს. აქა-იქ დაეცა დაჭრილი. ყინული სისხლით შეიღება. აქ შეჩერება არ შეიძლება, ყველანი წინ მიისწრაფიან.

აგერ უკვე გამოჩნდა ლელიანი, ხმელი ლაქაშები. იქ ვინც მიაღწევს, გადარჩება.

— კოტე, ჩვენ ყველანი შენთან ვართ! — გასძახა წინ მიმავალ ტაბიძეს არჩილ მაჩხანელმა.

საოცარია: გულმა ხომ არ უგრძნო: სწორედ იმ წამს მოხვდა კოტეს მტრის ტყვია და არჩილის ხმა აღარ გაუგონია.

არჩილს თვალი კოტესკენ ეპყრა და ნათლად დაინახა, თუ როგორ მოწყვეტით დაეცა იგი. უნდა მიუსწროს, უნდა მიეშველოს,—მხოლოდ ამ გრძნობით იყო შეპყრობილი არჩილი, როცა კოტესაკენ გაეშურა, მაგრამ ვეღარ მიაღწია, მეგობრის მახლობლად დაეცა გულგანგმირული.

დივიზიის მთავარმა ძალებმა გარემოცვას თავი დააღწიეს და კალაბატკის სამხრეთ-დასავლეთით გამაგრდნენ.

XI

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

მიიწურა ცხარე ბრძოლის დღე. მეომრებმა, სადაც კი შესაძლებელი იყო, სანგრები ამოთხარეს, მიწას თავი მიადვეს.

სადღაც, ქვეყნის დასალიერში, აენთნენ პაწია ვარსკვლავები, თითქოს უხილავ სივრცეში გაპკრა ვიღაცამ ტალვესი და ნაპერწკლები მიმოაფრქვია.

ხოლო ირგვლივ — თვალი ეფარა წვდება მდუმარე ველსა და ლელიანებს, რომელთაც თითქოს შავ-თეთრნარევი სუდარი გადაჰფენიათ.

მძიმედ დაეშვნენ ღამის კალთები; ყინვა ძვალ-რბილში ატანს...

კოლია ბარბაქაძემ ლაქაშების მახლობლად, ბორცვზე ამოთხრილ სანგრამდის ძლივს მიაღწია, დავითს ჩალა მიაწოდა.

— ნესტორს გაუშალე...

ეს უთხრა დავითს და იქვე მოირთხა ფეხი, რომ სული მოეთქვა.

პირველად ეთაკილა ასეთი სისუსტე, მაგრამ შემდეგ თავის თავს უთხრა:

„ქვა ხომ არა ვარ, მეც ადამიანი ვარ“...

ამ სიტყვებმა უცნაურ გუნებაზე დააყენა; ასე არასოდეს არ შებრალებია თავისი თავი. მუდამ რაიმეს გულს გადააყოლებდა, მეგობრისათვის ზრუნვაში დიდ კმაყოფილებას გრძნობდა; ახლა კი თითქო ყველაფერმა უსულგულო მხეცის სახე მიიღო. შენ ვის რას ენაღვლები, თუ გინდა მოკვდი ამ ყინვაში, ძალგამოლეული... რამდენი მომაკვდავია ახლა უპატრონოდ დარჩენილი, რამდენი დაჭრილი, რამდენი მიცვალებული... ნესტორი აქამდის ძლივს მოიყვანეს. ვალიკოც ძლივს ათრევს ფეხს. ხვალ ისევ შემოგვიტევენ, მაშინ რაღა ეშველებათ.. „არა, კოლია,—მიუსამძიმრა თავის თავს:— ცუდ დღეში ჩავარდით, საშველი აღარაა“..

— რას აკეთებ, კაცო, მაქ? ჩამოდი ჩვენთან! — მოესმა დავითის ხმა და გამოერკვა, გასვრილ სახეზე ხელი მოისვა, წელი ძლივს ასწია, სანგარში ჩაჩოჩდა.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ამხანაგების სახეებს მაინც არჩევდა. ნესტორი და ვალიკო ფეხგაშლილად ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ.

კოლიამ დუმილი ვერ აიტანა, ძალა მოიკრიბა და იმედის მომგვრელი ხმით იკითხა:

— რავა ხართ, ბიჭებო?

ნესტორმა შუბლი შეიკრა და გაბუტული ბავშვივით განზე მიიხედა, ხოლო ვალიკო კოლიას ხმის სითბომ დასძლია:

— რა გიშავს, რა, გადაგვაყოლე ნატვრას — ერთი თქვენი თავი ჩემს ოჯახში მანახაო; ახლა მე და ნესტორს ფეხი აღარ გვივარგა და რაღა ეშმაკით მოვალთ?

ნესტორმა ნაძალადევად გაიღიმა და ვალიკოს ხმა შეაწია:

— ნეტა იმ დღეს მოვესწრებოდეთ, თვარა კოლიას გორებზე რა გინდათ, მე უფრო ახლოს არ ვარ?

დავითსაც უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ იგრძნო, რომ იმისი გამოსათქმელი ენერგია, რაც ახლა გულში ჰქონდა, არა ყოფნიდა, ამიტომ დუმილი არჩია.

ნესტორმა ტყვიასავით დამძიმებული ფეხის გადაჩოჩება სცადა, მაგრამ მწვავე ტკივილი იგრძნო და კვნესა აღმოხდა. წელან, სანგარში რომ ჩაიყვანეს, თავი ბედნიერად ჩასთვალა, რაკი მარტოდ დარჩენას გადარჩა, მაგრამ ახლა უცებ გაითვალისწინა, რა ყოფაშიაც იყო და ზაფრა მოერია. ყველაფერი, მთელი ეს გარემო, ეს ველი, ეს ლელიანები, ეს გაყინული ჭაობი, ეს უცხო სუნი, რომელიც აქაურ ტორფს ასდის, ყველაფერი შეეზიზღა და გული აერია.

სამეთაუროდან სამსონი მოვიდა.

— ბიჭებო, კარგი ამბავი მოგიტანეთ. — სთქვა და კოლიასა და დავითს შუაში ჩაუჯდა. — არმიის მოწინავე ნაწილმა მოგვისწრო. ხვალ კალაბატკა ისევ უნდა ავიღოთ...

— გენაცვალე სულში! ახლა კი გვეშველა, აი! — წამოიძახა კოლიამ და დავითს ხელი მოხვია: — რას გაჩუმებულხარ? სთქვი რამე, ჩვენო ფილოსოფოსო, გვაიმედე! მხოლოდ შენებურად არ აურიო, სიკვდილშიც სიცოცხლე არისო, თუ რაღაცა ვაიუბედურება!

რამდენი ხანია თვალსაჩინოდ უფრთხილდება კოლია საცვლებში გახვეულ თუნუქის მათარას. ამაზე დიდი გაჭირვება რაღა იქნება? ნესტორი დაჭრილია, ვალიკოსაც ფეხი გაუმიზეზდა. დილას კიდევ იერიშზე უნდა გადავიდნენ.

ზურგს უკან ხალთას ხელი მოუფათურა, ჩაფიქრდა. „ვინ იცის, წინ რა დღე გველის“, — შეეკამათა თავისთავს, მაგრამ ვერ დაარწმუნა და ხალთა წინ დაიდო, მათარა ამოიღო.

— თქვენს ხელში კაცი რამეს შემოინახავს! — საყვედურით ჩაილაპარაკა და ყანწი მოიხსნა, თითი ამოუსვა, მერე სული ჩაუბერა.

— რა არის, კაცო? — იკითხა ნესტორმა.

— სულ შენ მიშობი ახლა ამას, — უპასუხა კოლიამ: — შენი ხათრისთვის ვხსნი თავს, დაჭრილი ხარ აგერ, თვარა... აგი რომ შევინახე, ჩემი ბავშვები დავიფიცე, უკიდურეს გაჭირვებამდე ხელი არ მეხლო.

კოლიამ ყანწი ჯერ ნესტორს მიაწოდა:

— დალოცე, უფროსი კაცი ხარ...

სამსონი კვლავ სამეთაუროში წავიდა. ვალიკოს უცებ ჩაეძინა. ნესტორს კი ჭრილობა დაავიწყდა, რაღაცამ აიტაცა და მგზნებარედ წამოიწყო:

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა! კაცი ვარო, შენ უნდა სთქვა! რა დროს მომათქმევინე სული! ე, ბიჭო, კაცობა ესაა, თვარა რამდენი ღორმუცელა დაიარება ქვეყანაზე, ყველა ჭირს წაუღია!.. ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ აგერ. დილას თქვენ შეტევას დაიწყებთ, მე კი, ვინ იცის, გავაღწევ თუ არა სადმე... მარა რაა იცით? რა იქნება, ბიჭო, რომ ყველა ადამიანი ისე ზრუნავდეს ერთმანეთისათვის, როგორც ჩვენ ვართ აგერ, როგორც ეს

ჩვენი კოლიაა? რას დაემსგავსება მაშინ ჩვენი ცხოვრება? მერე რაა ამაზე ადვილი, ოღონდ კეთილი გული იყოს და ერთმანეთის სიყვარული... მარა ამისთვის, იცით, თურმე რაა საჭირო? აგერ ჩვენ რომ ვართ, ასეთ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს ადამიანი, რომ ეს დაინახოს...

— ეჰ, ჩემო ნესტორ, — შეესიტყვა დავითი: — რა ძველი ამბავია ეგ, რასაც შენ ლაპარაკობ! რომელი დიდი ადამიანი არ ოცნებობდა მაგაზე, მაგრამ რა გამოვიდა მერე? ხომ ხედავ, რა კაციჭამიებს ვებრძვით? დიდი ადამიანური სიყვარულით გატაცებული გული უსაზღვრო სიძულვილით ივსება, რომ ეგენი მოსპოს, მარტო ახლა და აქ კი არა, ყველგან და სამუდამოდ.. აგერ კოლია დამცინის ხოლმე, მაგრამ უსვინდისო ვიყო, თუ მართალი არ ვიყო: ჩვენ სიცოცხლე მიგვაქვს ყველგან, სიკვდილს ვამარცხებთ! კეთილი საქმისათვის თავდადებულებს **რომ** არ ებრძოლათ, ქვეყნად მხოლოდ ბარბაროსობა იქნებოდა, ველურობას თავს ვერ დავაღწევდით. ჩვენ კი წინ მივდივართ, გესმის, წინ მივდივართ არა მარტო ტექნიკური მიღწევებით, არამედ სულიერად... ჰო-და, **ვინც** ამ ბრძოლაში დაეცემა, მის **სიკვდილში** სიცოცხლე იფურჩქნება...

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, დავით... მე კი არ გედავები, შენს პირს შაქარი.. მხოლოდ მე აგერ ჩვენი ბიჭები მომაგონდა... გახსოვს ჩვენი ლადიმე გიორგაძე? რა გულის პატრონი იყო, რა ვაჟკაცი!.. ნეტავი ახლა მე. რომ იგი სიყვარულით მოვიგონე, ისე ჩვენც მოგვიგონებდეს ვინმე... ესეც კაი ნუგეშია, არა, ნესტორ?

ნესტორს ისევე უცებ ჩასძინებოდა, როგორაც უცებ **აეგზნო**. დავითი კი ძილთან ერთად რაღაც დიდ აზრს ებრძოდა, უნდოდა დაეძლია იგი, სიტყვებით გამოეხატა, მაგრამ გრძნობდა, რომ ძალა არ შესწევდა.

* * *

იმ ღამეს შიო ბერიშვილს წამითაც არ შეუსვენია, კონტრდარტყმის გეგმას ადგენდა. არმიის მოწინავე ძალების ავანგარდი მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მას მაინც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე შიოს ღრმად სწამდა თავისი მეომრების მორალური სიძლიერე.

განაყოფებს ღამითვე დაეგზავნათ საბრძოლო ბრძანება.

გერმანელებმა კარგად იცოდნენ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ქართველი მეომრები, ამიტომ იმ დღეს კონტრიერიშს სრულიად არ მოელოდნენ. ხოლო როდესაც განთიადისას წარმოუდგენელი მძვინვარებით დაიძრნენ სასტიკ დღეებში გაწამებული მებრძოლნი, მტერი გატყდა და კალაბატკა დატოვა.

დილით ადრე შევიდნენ ჩვენები სოფელში, თავდაცვის ზღუდეები დაიკავეს, ძალთა გადაჯგუფებას შეუდგნენ. ყველა ბატალიონს დიდი დანაკლისი ჰქონდა, დაჭრილები ჯერ კიდევ არ იყვნენ თავმოყრილი.

საოცრად გამოიყურებოდა მრავალგზის ხელიდან ხელში გადასული მეთევზეთა სოფელი, მილეწილ-მოლეწილი, გაპარტახებული; ყოველ ხახლში თითქოს თვალღიად დარჩენილი მიცვალებულის აჩრდილი იდგა.

კალაბატკას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წითელი არმიის წინსვლისათვის ტემრიუკისა და აზოვის ზღვისაკენ. ეს კარგად იცოდა გერმანიის ჯარების მეთაურმა გენერალ-პოლკოვნიკმა იენეკემ, რომელმაც სწორედ წინა დღით დასძრა დამხმარე ძალები კალაბატკისაკენ.

რამდენიმე საათიც არ გასულა, რომ მტერმა კალაბატკაში შეჭრილ ჩვენს ნაწილებს ქვემეხთა ძლიერი ცეცხლი დაუშინა. ეს იყო ახალმისული ოცდახუთი მძიმე ტანკი. წინანდელ ძალებ-

თან ერთად შეტევაზე გადმოვიდა აგრეთვე ორი მოტორიზებული ბატალიონი.

წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

გერმანელები ახლა დარწმუნებული იყვნენ, მოწინააღმდეგეს მოსპობდნენ. ამიტომ მათი ძირითადი ნაწილები მარჯვენა და მარცხენა ფრთებისაკენ გამოემართნენ, რათა კალაბატკისათვის ალყა შემოერტყათ და ქართველი მეომრები შიგ მოემწყვდიათ.

შიო ბეროშვილმა ეს გაითვალისწინა და გასცა ბრძანება, რომ ბრძოლით უკან დაეხიათ.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. მოწინააღმდეგე გააფთრებით მოიწევდა, ცდილობდა დაექსაქსა და გაეჭლიტა დივიზიის მთავარი ძალები. აქა-იქ ტანკებით გადმოსხეს მეავტომატენი. ერთ პოლკს ნაწილობრივ ალყა შემოარტყეს, თანაც სოლივით შეიჭრნენ მის საბრძოლო წყობაში.

თავგანწირული ბრძოლის ცეცხლში წრთობილმა მეომრებმა არა მარტო თავდაცვა მოაწყვეს, არამედ შეტევაზედაც გადავიდნენ და უზრუნველჰყვეს ურთიერთმოქმედება განსაცდელში ჩავარდნილ ნაწილებთან, შემდეგ მოხერხებულად დაიხიეს უკან და ლაქაშებს მიეფარნენ.

მტერს ბრაზი ახრჩობდა, როცა ხედავდა, ცოცხლადდარჩენილი ქართველი მეომრები რომ ხელიდან უსხლტებოდა. უკანასკნელ ჟამს დასძრეს მძიმე ტანკების ძლიერი ჯგუფი, რათა დივიზიისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ.

შიო ბეროშვილმა მესანგრეთა ბატალიონი გამოიძახა:

— ააფეთქეთ ხიდი, დანაღმეთ გზა!..

ბატალიონის მეთაურის მოადგილე აკაკი კაჭარავა ადგა და თავის თანამებრძოლთ თვალი მოავლო.

იდუმლად ყველამ იგრძნო, რომ აკაკი საბედისწერო განსაცდელში მიდიოდა, მაგრამ გული მაინც არ ეთხოვებოდა ჭირსა და ლხინში განუყრელ შეგობარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიჭურვნენ, ნაღმები მოამზადეს.

თავისი თანაშემწე პლეშკოვი და თოთხმეტი ქართველი მესანგრე გაიყოლია აკაკიმ.

პატარა ხიდი, სადაც მტრის ტანკებს უნდა გამოევლოთ, ჭაობის პირად იყო. ამ არეს გერმანელები სასტიკი ცეცხლით უახლოვდებოდნენ. ხოლო ჩვენი მხრიდან მესანგრეთა ჯგუფს მხარს უჭერდნენ ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების სროლით.

მესანგრეებს ბევრი არ დაჰყოვნებიათ, ხიდთან მიხოხდნენ, ნაღმები შეუწყვეს, მისასვლელიც დანაღმეს.

მძიმე ტანკები ხიდს შეუწყვეტელი სროლით მიუახლოვდნენ... შეჩერდნენ. მეავტომატენი გადმოსხეს.

აკაკი კაჭარავამ თავისთან ერთად ჩაყაფრებულ მესანგრეებს ნიშანი მისცა და გერმანელ მეავტომატეთაგან ცოცხალი ერთიც არ დარჩენილა...

ბევრი ქართველი მეომარი იყო მოწმე მესანგრეთა თავგანწირული ბრძოლისა.

— ხედავთ, ტანკები შეშინდნენ!.. — გაისმა აქა-იქ ხმა.

— ტანკები უკან იხევენ!..

— ვაშა, ბიჭო, აკაკი, ვაშა!..

ეს ძახილი თითქოს ესმოდათ სიკვდილის პირად მყოფ ვაჟკაცებს, ესმოდათ და შეუდრეკელად ერკინებოდნენ ჯავშნიანებს.

*
* *

ვინ წარმოიდგენდა, თუ ქეთო, მარიკა და ნატალია გრიგორევნა იმდენ ტანჯვა-წამებას აიტანდნენ, რაც მათ იმ დღეებში ხვდათ წილად! მაგრამ შესაძლოა განსაცდელის ჟამს ქალს უფრო მეტი გაჭირვების ატანა ძალუძს, ვიდრე მამაკაცს.

ვერც სიცივემ, ვერც უძილო ღამეებმა, ვერც დაჭრილთა საშინელმა წუხილმა ვერ გასტეხეს მარიკა, ქეთო და ნატალია.

ყველაზე მძიმე იყო დაჭრილების ადგილიდან ადგილზე გადაყვანა, უცებ, მოულოდნელად წამოჭრილი საფრთხე, მაგრამ ერთხელაც არ დაუყრიათ ფარხმალი, ხოლო ხანდახან თუ უნებლიე ცრემლით დაენამებოდათ უძილობისაგან გაწითლებული თვალები, ეს თითქოს ძალღონეს უორკეცებდათ, მხნეობას მატებდათ.

ნატალია გრიგორევნამ იმ დილას ქეთოსა და მარიკას უთხრა:

— დებო, აქ საქმეს უჩემოდაც გაწვდებით. მე კი... ხომ გაიგეთ, რა ბრძოლაა იქ, ტანკებთან? ცეცხლქვეშ დაჭრილები იქნებიან, წავალ, მივხედავ.

ჩექმების ყელები ამოიწია, მაზარაზე ქამარი უფრო მაგრა შემოიჭირა, წელზე რევოლვერი გაისწორა, სანიტარული ჩანთა გადაიკიდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა. ამხანაგებს არ დამშვიდობებია, თითქოს უბრალო საქმეზე მიდიოდა და მალე დაბრუნდებოდა.

მიდიოდა სიცოცხლით სავსე, შეუდრეკელი. მრგვალ სახეზე სიყვითლე გადაჰფენოდა, მაგრამ მის ცისფერ თვალებს ელვარება მაინც არ მოჰკლებოდა, არც დაღლილობა ემჩნეოდა...

...აგერ ყინვიან მიწაზე, ოდნავ სველზე, დაწვა, ჩანთა და ქუდი გაისწორა, გახოხდა.

ეს ის დრო იყო, როცა აკაკი კაჭარავას მესანგრეებმა ტანკებიდან გადმომხტარი მეავტომატენი გაჟლიტეს. მაშინ ტანკებში მყოფი გერმანელები დააცხრნენ თავზე ერთ მუჭა მებრძოლთ. რამდენიმე კაცი უკვე დაიჭრა.

ნატალია გრიგორევნა შეუჩერებლად უახლოვდებოდა მათ. შხუოდნენ მის ირგვლივ ტყვიები, მაგრამ ნატალია უკან არ იხევდა, დაჭრილისაკენ მიიწევდა. აგერ ერთთან უკვე მიჩოჩდა, გვერდით მიუწვა, ერთ წამს შეისვენა, სული მოითქვა, მერე სწრაფად შეუდა ჭრილობის შეხვევას.

არაფერზე არა ფიქრობდა ნატალია, თვითონ და მთელი გარემოც ცეცხლად იყო ანთებული და საჭირო იყო სისწრაფე, მხოლოდ სისწრაფე.

ანაზდად ხელი შეუჩერდა, დაჭრილს დაჰხედა; იგი უკვე აღარ სუნთქავდა; შეხვევის დროს ოდნავ რომ წამოიმართა, მაშინ მოხვდა მეორე ტყვია და ბოლო მოუღო.

ნატალია მარცხნივ გაცურდა. აგერ ბექობთან წევს ვიღაცა. ნაცნობი ხომ არაა? სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, მაგრამ ნატალიას რატომღაც მეტად ახლობელი, მეტად მიმზიდველი სახე მოეჩვენა...

სული ეხუთება სისწრაფეში ნატალიას, მაგრამ მაინც არ ისვენებს, იჩქარის. ოღონდ მიუსწროს, დროზე უშველოს, მაშინ თვითონაც გადარჩება, სიკვდილს თავს დააღწევს...

აღარ დასცალდა. პირველი ტყვია რომ მოხვდა, არ გაუგია, მხოლოდ უფრო მწვავედ აენთო მის არსებაში მფეთქავი ცეცხლი; ხოლო როცა მეორე ტყვიამ გასწვა გულის არე, უცებ მოწყდა, მოეჩვენა, თითქოს იმ მშობლიური, საყვარელი სახისაკენ გადაეშვა და უცნაურმა ტალღამ მოიტაცა...

აკაკი კაჭარავა ოდნავ შემაღლებულ ბექობთან იწვა, ავტომატი ხელიდან დავარდნოდა სასიკვდილოდ დაჭრილს. ყველაზე მეტად ერთი გრძნობა აწამებდა: უნდოდა როგორმე აეღო ავტომატი და ტყვია მკერდში დაერტყა, რომ აღარ ეწვალნა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საოცარია, თითქოს გულიც არა წყდებოდა, რომ სიცოცხლეს ეთხოვებოდა; სჯეროდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ახლა შეუძლია მოისვენოს, მაგრამ ავტომატი ვერ აუღია და ეს აწუხებს. ამ დროს მოჰკრა თვალი ნატალიას, მიხვდა, რომ იგი მისკენ მიხოხავდა.

ყოისვე გაჰქრა ისე მაცდურად ზმანებული აჩრდილი სიკვდილისა, გაჰქრა და დილის მზესავით ამოანათა უჭკნობმა სიცოცხლემ, უანგარო სიყვარულით გასხივოსნებულმა სიცოცხლემ.

„ვაშა, ქალო, ვაშა შენს ვაჟკაცობას, შენს თავდადებას, ქალო!"—შესძახა გუნებაში აკაკიმ. ახლა ავტომატის აღება აღარ აინტერესებს, ძალას ნატრობს, რომ ნატალიას მიეგებოს, მაგრამ ნატალიას რომ მეორე ტყვია მოხვდა და თავი მიწაზე საცოდავად დაუვარდა, აკაკის თვალები გაუშტერდა, მის გონიერ სახეზე მწველი ფიქრი აიხატა; იმ წამს მის წარმოდგენაში სრულიად ახალი შინაარსით აივსნენ ძველთა ძველი სიტყვები: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი"...

*

* *

შალვა ყიფშიძემ რამდენჯერმე გააღილა თვალი, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა, არც იცოდა, სად იწვა, ან როდის მოიყვანეს აქ. მწვავე ტკივილსაც არა გრძნობდა, მხოლოდ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს საკუთარ სხეულსაც კი განშორებულიყოს და ობლად დაბორიალობდეს სავსებით უმწეო. ხანდახან ნაპერწკალივით იელვებდა მის ცნობიერებაში ის წამი, ლაქაშებში რომ დაეცა, მერე ვიდრე ეს ნაპერწკალი ჩაჰქრებოდა, სამსონი გამოჩნდებოდა ლანდივით და მყისვე მღვრიე სივრცეს მიეფარებოდა.

ჯერ კიდევ დღის პირველი საათი არ იქნებოდა, როცა შალვასა და სამსონის რაზმებმა ალყის საფრთხეში მყოფ დანაყოფებს მიუსწრეს და გზა გაუხსნეს, ხელჩართული ბრძოლით დაიხიეს უკან, ლაქაშებს მიეფარნენ. მაგრამ აქ მალე მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა და ძალები დაიქსაქსნენ.

მტრის პირისპირ, მთავარ ცეცხლში, შალვა და მისი თანამებრძოლნი მოექცნენ.

შალვა მაინც არ გატყდა, დარჩენილი ძალები გადააჯგუფა და მოძალებულ მტერს სასტიკი ცეცხლი შეაგება.

სამსონს არ დაუნახავს, მხოლოდ გულმა უაზრა, რომ შალვა ჩიხში ემწყვდეოდა. ახლა კიდევ გაღმიდან ცხენოსნები ახლოვდებოდნენ.

თავის მეომრებს თვალი მოავლო... აქედან ახლა ადვილია სამშვიდობოზე გასვლა, მაგრამ...

— ბარბაქაძე! — მკაცრი ხმით გასძახა: — ტყვიამფრქვევს მიხედე!.. დავით! რას აკეთებ მაქ? დაანებე დაჭრილებს თავი, მერე მოვიკითხავთ!.. მომყევით!

ძნელად თუ იცნობდით ახლა სამსონს. ქურქი გვერდებზე გარღვეოდა, გამოჩენილ მატყლსაც ისეთივე ტალახის ფერი ჰქონდა, როგორც მთელ მის სამოსს. გასვრილ სახეზე თითქოს ნიღაბი აქვსო აფარებული. იმდენად გამხდარი იყო, რომ დახეთქილი ტუჩები და მაღალი ცხვირი მეტისმეტად აუშნოებდა. მხოლოდ მის დიდრონ თვალებს შერჩენოდათ ის განსაკუთრებული სხივოსნობა, რომლითაც მას მრავალთა შორისაც გამოიცნობდით.

დავითმა დაჭრილები რამდენიმე კაცს ჩააბარა, მათი ვაზნები მებრძოლთ გაუნაწილა და სამსონს მიჰყვა.

ყველაზე დიდ გასაჭირში კოლია ბარბაქაძე ჩავარდა, რადგან ტყვიამფრქვევთან სამი კაცი-ღა დარჩა. ამათ ტყვიამფრქვევიც უნდა ეთრიათ და ვაზნებიც.

სამსონი ალღომ არ მოატყუა, შალვას სულზე მიუსწრო. მოახლოებულ ცხენოსნების მოგერიება ბარბაქაძეს მიანდო, თვითონ კი მტრის ცეცხლში მყოფ შალვას მიაშურა.

გერმანელები გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ. აუჩქარებლად მიიწევდნენ წინ, ყოველი ნაბიჯი გამოზომილი ჰქონდათ.

შალვამ მის გვერდით ჩაწოლილ ბიჭებს გამამხნევებელი ხმა მიაწვდინა, მერე ადგილი გამოიცვალა, ძირმოყინულ ლაქაშებთან მიწვა, ავტომატი მომარჯვებულად დაიდო წინ. ერთი დისკო-და აქვს სავსე. არაფერია, გამოიზოგავს.

ამ დროს მარცხნიდან ფაჩუნი მოესმა. დააყურა. რა ახლოს მოსულან! არა უშავს რა, კიდევ უფრო მოიწიონ, გარკვევით დაინახავს.

სხვა უბანში ცხარე ბრძოლაა, ტანკებიდან ქვემეხებს ისვრიან, იხუვლებს ყუმბარა და მთელი დაბლობი ბოხი გუგუნით ეხმაურება, მაგრამ აქ, ამ პატარა მანძილზე, სადაც ახლა შალვა მტრის პირისპირ არის გალურსული, საოცარი დუმილია; აქა-იქ ლაქაში რომ გაფაჩუნდება, ეს თითქოს კიდევ უფრო ამძიმებს ამ სასტიკ დუმილს. მთელი ქვეყნიერება ახლა ამ პატარა მანძილშია მოთავსებული, ამიტომ ვერ აღწევს აქ შემოგარენის ხმაური.

უცებ თითქოს მახლობლად გველი გასრიალდაო, ისე გაისმა მტრის ხმა:

— რუსო, დაგვნებდი!

— ჰაი დედასა, რა დღეში ხარ, შალვა ყიფშიძე! — მიუსამძიმრა თავის თავს: — ხედავ, რას გიბედავენ! დაგვნებდიო!.. მობრძანდით, უფრო ახლო მოიწით"...

თავი ასწია, თანამებრძოლთ ანიშნა — მე მაცალეთო.

ამ გამძაფრებულ მოლოდინში სულ ახლოს, ხელმარჯვნივ ტყვიამფრქვევი აჭახჭახდა, შაშხანებისა და ავტომატების სროლაც გაისმა. შალვა მყისვე მიხვდა, რომ ეს დამხმარე ძალა იყო. ამან იმდენად აღაფრთოვანა, რომ თავი ვერ შეიკავა და მეომრებს ძველებურად გასძახა:

— აბა, ვაქკაცებო, ჰკა მაგათ!..

გერმანელებისათვის ეს შეტევა სრულიად მოულოდნელი იყო, დაიბნენ, გატყდნენ.

სწორედ ამ დროს მოხვდა შალვას სნაიპერის ტყვია. ჩაიჩოქა, ავტომატს დაეყრდნო.

ბიბლიოთეკა

სამსონი ახლოს იყო, არხის ნაპირთან. ანაზდად თითქოს რაღაცამ ხელი ჰკრა და შალვასაკენ მიახედა. ვინ იცის, იქნება შალვას ხმა გაიგონა. ადგილიდან მოწყდა, პირქვე ჩამხობილ შალვას ხელი მოხვია.

— სამსონ, შენა ხარ? — უცნაური შვებით ჩაილაპარაკა შალვამ და სამსონის ხელებს მიენდო.

სამსონმა მებრძოლი მოიხმარია და შალვა მიფარებულ ადგილას გაიყვანა. ჭრილობა ნაჩქარევად შეუხვია, შემდეგ სანიტარულ პუნქტში წააყვანინა.

გერმანელები მალე გონს მოეგენ, შედგნენ. ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს და ქართველ მეომრებს სასტიკი ცეცხლი გაუხსნეს.

სამსონმა მდგომარეობა ასწონ-დასწონა. „საცაა მტერი ისევ შეტევაზე გადმოვა. ჩვენ კი ვაზნები გველევა... რამდენიმე კაცს დავიტოვებ, დანარჩენს ზურგში გავისტუმრებ"...

კოლია ბარბაქაძესთან მიცოცდა.

— როგორ გაქვს საქმე?

— ერთი ლენტი დამრჩა.

— აბა, იცი, რა უნდა ჰქნა?.. დაშალე ახლა ეგ... სხვა ბიჭებიც წამოვლენ... დროს ნუ კარგავ, იჩქარე!

წასვლის წინ კოლიამ სამსონს დამნაშავესავით მოსწყვიტა თვალი, დავითს მიუახლოვდა და მღელვარე ხმით უთხრა:

— ა, ბიჭო, გამომართვი ეს ვაზნები... აბა, შენ იცი...

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ გული ყელში მოაწვა და ხელი ჩაიქნია.

სამსონმა ათი მებრძოლი დატოვა. ვაზნები იმდენი ჰქონდათ, რომ საკმაო დროს მოიგებდნენ.

გერმანელებმა აღარ დააყოვნეს, წინ წამოწევა სცადეს, მაგრამ სამსონმა

ისეთი ცეცხლი გაუხსნა, წამსვე ლელში ჩაწვნენ.

„ახლა ჩვენებს ხუთას მეტრზე მეტი ექნებათ გავლილი“, გაიფიქრა სამსონმა და გადასწყვიტა თითო-თითოდ გაეშვა დარჩენილი მებრძოლნი იმავე მიმართულებით.

ბოლოს მასთან მხოლოდ დავით ჯანაია დარჩა, სხვები თვალს მიეფარნენ.

უკვე დრო იყო, თვითონაც უნდა დაძრულიყვნენ, მაგრამ სწორედ იმ წამს გაიგონეს მიახლოვებული ტანკის ხმა...

აგერ მობობღავს იგი. სწრაფი სვლა არ შეუძლია, ირგვლივ ჭაობებია. ამაღლებული ადგილით მოიწევს. ზედ გერმანელი მეავტომატენი სხედან და ბანუწყვეტლად ისვრიან. ახლა უკვე მოახლოვებულია, თავის აწევა აღარ შეიძლება, სამსონი და დავითი ჯვარედინ ცეცხლში არიან მოქცეული.

სწორედ ამ დროს მათთან ახლო საიდანღაც გამოსროლილი ნაღმი აფეთქდა და სამსონი და დავითი მიწითა და ტალახით დაჰფარა.

მცირე ხნის შემდეგ, როგორც იყო, წამოიხედეს. ტანკი მარჯვნივ მიდიოდა. ხმა არ ამოუღიათ. წინ სამსონი გახოხდა. იქვე ახლოს წყალ-ყინულით სავსე არხი იყო, ზოგან მუხლამდე, ზოგან წელამდე წვდებოდათ. ამ არხით განაგრძეს სვლა. ტყვიები თავზე დაზუზუნებდათ. მარცხნივ მტერია, ხოლო უკან სულ ახლოს და ახლოს ისმის სროლა. გადასწყვიტეს მარჯვნივ ჭაობებში გასვლა, რადგან იქიდან უფრო მოკლე მანძილი იყო.

აცოცდნენ, ცოტა წინ წაიწიეს, მაგრამ ამ დროს გერმანული ავტომატი აკაკანდა.

მიმართულება კვლავ შესცვალეს. უსიტყვოდ განაგრძეს ხოხვა. მაგრამ მალე ძალა გამოელიათ. მოძრაობა აღარ შეეძლოთ. პატარა კუნძის ძირას შეისვენეს.

თებერვლის ეს პირქუში დღეც ილეოდა. სამსონისა და დავითის წარმოდგენაში გარემო ისე [illegible] ბოდა, თითქოს იგი რაღაცას გულჩახვეულად გლოვობსო.

სამსონმა დავითს მიაყრდნო მხარზე თავი და თვალი დახუჭა. დავითმა მხარი შეუსწორა და რატომღაც ჩურჩულით უთხრა:

— მოისვენე, სამსონ... მე აქა ვარ...

XII

სიყვარულის მადლი

შალვას, როცა სულ მცირე ხნით ცნობიერება უბრუნდებოდა, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ვერაფერს ვერა ხედავდა, არც არა ესმოდა რა. სადღაც თითქოს მეტად პატარა საკანში იყო მოთავსებული, ბნელ საკანში. აქ არც ქვეყნიერების გუგუნი აღწევდა, არც დღის სინათლე. ახლა კიდევ რაღაცამ თითქოს შებოჭა და ამ პატარა სივრცეში ჩაჰკეტა, ფიქრშიაც არ ძალუძს განშორდეს მას. ეს უთუოდ იმ კრული სიკვდილის მიერ შეკერილი სუდარაა, რომელსაც შალვა მუდამ ამარცხებდა.

დღეს კი... ნუ თუ ისე მოწყდა ქვეყნიერებას, რომ ვერავის ხმას ვერ გაიგონებს? მაშინ რატომ აქვს შეგრძნება იმისა, რომ გული კვლავ სძგერს, კვლავ სუნთქავს?

ბოლოს, როგორც იყო, მცირეოდენი შუქი იპოვა შალვამ, მიჰყვა ამ შუქს და, საოცარია, თავისი ბავშვობის ის ჟამი დაიჭირა, როცა დედამ მხარზე შეისვა და შალვამ გარემოს მაღლიდან გაჰხედა. მაშინ ზაფხულის ბრწყინვალე დღე იყო. მაღალი ხეების ფოთლები თავიანთ ჩრდილებს ეთამაშებოდნენ. შორს კავკასიონის მწვერვალები კაშკაშებდნენ და ქვეყნიერება იმდენად დიდი იყო, რომ ის მწვერვალებიც ვერა წვდებოდნენ. შალვა დედის მხრებზე იჯდა და ყველაფერი

ისეთივე სანდო იყო, ისეთივე ახლობელი, როგორც აი ეს ლოყა, დედის ლოყა, რომელსაც შალვამ ხელი მოუსვა.

უცებ თითქოს საიდანღაც კვლავ ის ბნელი სუდარა გამოსცურდა და ბავშვობის ნეტარ წამში ხილულ ქვეყანას გადაეფარა. შალვამ სადღაც, მოცახცახე გულის მახლობლად, მეტად მწვავე ტკივილი იგრძნო, უნდოდა დაეკვნესა, მაგრამ ძალა არ ეყო და სული შეეხუთა...

არ იცის, რამდენი დრო გავიდა სასტიკ ბრძოლაში, რამდენჯერ ჩაიხედა შემზარავ უფსკრულში, ან გულმა როგორ გაუძლო მანამდის, ვიდრე იქიდან ამოაღწევდა და ცოცხალი ადამიანის ხელის შეხებას იგრძნობდა.

საუცხოოდ გრილია ეს თითები და საამო, მათში თითქო წყაროს ცვრები ჟონავენ და შალვას ასულიერებენ....

ეს წყარო თავისი სახლის მახლობლად, მთის ძირას მოჩუხჩუხებს. ორი დიდი კაკლის ხეა იქ და ხავსნარევი მოლი. სიცხიან დღეში მამა წამოწვება ხოლმე იქ მხართეძოზე, ყალიონს მოუკიდებს... ნეტავი შეეძლოს ხმის მიწვდენა!..

„ეჰ, დაბერდი შენ, საწყალო მამავ, თორემ გული მაინც გიგრძნობდა, თუ რა დღეშია შენი ბიჭი“...

ამ ფიქრმა იმდენი ძალა შემატა შალვას, რომ ღრმად ამოისუნთქა, თან თვალებშიაც ცოტაოდენი სინათლე მოუვიდა და ბუნდოვანად დაინახა ვიღაც ახლობელის სახე...

ვინ უნდა იყოს? იქნებ ერთერთი დაი არის? არა, დები გათხოვდნენ, თავიანთი ოჯახი გაიჩინეს... მაინც ისე მოეწყო შალვას საქმე, რომ საბოლოოდ არავინ არ შერჩა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლად იწყო ცხოვრება. არმიაში ყოფნის დროს მთელი რუსეთი შემოიარა. თავს ყველგან კარგად გრძნობდა. ხანდახან ძალიან მოენატრებოდა მშობელი მხარე, შინაურები, სიყრმის მეგობრები, მაგრამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკი იყო და ქალთა საზოგადოების დიდი მოყვარული. მათ შორის — ყველთვის ჰყავდა თითო გულითადი მეგობარი. გამოიცვლიდა ადგილს, ეს მეგობარიც იცვლებოდა, მაგრამ ბოლონდელი უფრო მშვენიერი იყო და მიმზიდველი...

ახლა კი ისინი ყველანი შორს არიან.

...არა, არ უწერია ჯერ შალვას სიკვდილი, რაკი ის მასთანაა, რადგან სიყვარული სიცოცხლეა... ახლა მხოლოდ ის აწუხებს, რომ უნდა სთქვას მისი სახელი და ვერ ახერხებს... რამდენჯერმე შეარხია უმწეოდ ტუჩები, ბოლოს, როგორც იყო, ამოსთქვა:

— ეთ... ეთ...ერ...

„გონს მოდის“.—აღფრთოვანდა ქეთო და შალვას ალერსით მოუსვა შუბლზე ხელი. თან მღელვარე ხმით ჩასძახა:

— შალვა... ძვირფასო შალვა!

ღამე იყო. ბნელ სადგომში იყვნენ. მახლობლად იატაკზე დაჭრილები იწვნენ. ზოგს მძიმედ ეძინა, ზოგი შფოთავდა.

ქეთომ ამ უკანასკნელ დღეებში იმდენი წამება გამოიარა, იმდენად გამოფიტული იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. მაგრამ შალვა რომ მიიყვანეს, უცებ გაკაჟდა, დაავიწყდა, თუ რაიმე განსაცდელი გამოეევლო. მხოლოდ როდესაც ექიმს ჭრილობის შეხვევის დროს სახეზე უიმედობა შეამჩნია, მაშინ დაჭკრა რაღაცამ თავში და გული კინაღამ წაუვიდა. კუთხეში მიბარბაცდა. ჩაიკეცა, თავი მკლავებში ჩასდო და უმწეოდ ატირდა. ისევ ამ მდუღარე ცრემლებმა უშველა, ღონე მოიკრიბა.

შალვა აქ არის, მოვლას საჭიროებს... ახლა უნდა გამოიჩინოს ქეთომ თავისი უთქმელი სიყვარული, ძალა, მაცოცხლებელ წყაროდ უნდა იქცეს, რომ შალვას ტანჯვა შეუმსუბუქოს, სიცოცხლის გზაზე გამოიყვანოს.

მარიკა ნაკაიძეს სადღაც მოხარშუ-

ლი სიმინდი ეშოვნა, ქეთოს პეშვით გაუწოდა და უთხრა:

— ა, ცავ, ჭამე, თვარა წაიქცევი...

ქეთომ სიმინდს უაზროდ დახედა.

— რამ გაგაშტერა?.. გამომართვი!

რამდენიმე კაკალი ჩაიდო ქეთომ პირში, დანარჩენი ხალათის ჯიბეში ჩაიყარა. ჭამის დროს მდუღარება ყელში მოაწვა, ცრემლები ვერ შეიკავა... შეთბა, ღონე მოემატა. შალვასთან მივიდა და სახეზე დახედა.

„არ სძინავს, — გაიფიქრა ქეთომ,— ვინ იცის, იქნება გული უწუხს, იქნება რამეს ნატრობს, მაგრამ ვერ ამბობს“...

სასთუმალთან დაუჯდა, თვალმოუწყვეტლად უცქირა დიდხანს, მერე შუბლზე ხელი შეახო და თავისთვის ჩაილაპარაკა იდუმალად:

— მოისვენე, გენაცვალე... ჩემო ერთად-ერთო...

ამ სიტყვებმა ქეთოს ჯერ განუცდელი სიამე მოჰგვარა. თავის სიცოცხლეში პირველად შეახო ალერსით ხელი საყვარელ ვაჟს...

არასოდეს არ დაავიწყდება ქეთოს ლიახვის ნაპირი, ჩამავალი მზის სხივებში მოელვარე ვერხვების წვეროები და ის ბრწყინვალე წამი, როდესაც შალვა ყიფშიძე პირველად ნახა. მაშინ ვიღაცამ უთხრა ქეთოს: აი, ეს არის ის, ვისაც ელოდი, ამას უნდა მიჰყვე. ეს ძლიერია, ეს გაგიყვანს სამშვიდობოზე... მერე კი, ფრონტზე წასვლის წინ რომ შალვამ მხარზე ხელი დააყრდნო და თავისი ბასრი თვალებით მიუალერსა, ქეთოს გულში სამუდამოდ დამკვიდრდა იგი; თვითონაც გაიზარდა თავის თვალში, რომ ძლიერ ვაჟკაცს გატოლებოდა. მართალია, მოკრძალება დასჩემდა შალვას მიმართ, ვერ შესძლო თავისი სიყვარულის გამჟღავნება, მაგრამ დღემდე ხომ ამისი შესაძლებლობაც არა ჰქონდა. ახლა კი აქ არის... რა მძიმედ სუნთქავს! გული თუ უღონდება... ნეტავი მალე მაინც გათენდებოდეს, იქნება აქედან გაყვანა მოხერხდეს!..

ამ დროს ძლივს შეახო შალვამ ტუჩები და ეთერს უხმო. ქეთოს სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ მისი მხოლოდ ხმა გაიგონა, მარცვლებს არ ჩაჰკვირვებია.

თავზე ხელი შეახო.

— შალვა... ძვირფასო შალვა!..

შალვა იმ წამს დარწმუნებული იყო, რომ თავს ეთერი ადგა. მარცხენა მკლავი მძიმედ ასწია, ქეთოს ხელი იპოვნა, ნიკაპთან მიიტანა და ძლივს გასაგონი ხმით სთქვა:

— კარგია ასე... დავიღალე...

ქეთოს გული დაუამდა, ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქო არც შალვა იყოს დაჭრილი, არც თვითონ გამოევლოს მძიმე წამება, სადღაც განმარტოვებით შეხვედროდეს თავის სანატრელს და მისგან პირველად მოესმინოს სიყვარულით ანთებული გულის პასუხი.

დაიხარა, შალვას შუბლზე ეამბორა, მერე მის სუნთქვას დაუგდო ყური.

„ახლა კი სძინავს... გულის ხუთვამ გაუარა“. — გაიფიქრა შვებით და ფეხები მოირთხა, შალვას მხართან თავი დააყრდნო და მყისვე მოეშვა; ძალა აღარ ეყო, რომ ძილს შებრძოლებოდა.

*
* *

მარიკა ნაკაიძეს არ ეძინა. მბორგავ და მწუხარე დაჭრილებს უვლიდა. ხან ერთს მიხედავდა, ხან მეორეს. ყველაზე მეტად ფიქრის ეშინოდა, მარტოობას გაურბოდა. მხნეობას მხოლოდ მაშინ იძენდა, როდესაც ვისმეს ემსახურებოდა და ტანჯვას უმსუბუქებდა. ამ დროს თითქო თავისთავს აღარ ეკუთვნოდა, უფრო დიდ მოვალეობას გრძნობდა და ძალა ემატებოდა.

— არ მინდა, არა!.. გამანებე თავი! — რაღაც უცნაური ხავილით უთხრა მარიკას მძიმედ დაჭრილმა სერ-

ჟანტმა, რომელთანაც ის იყო მივიდა და სანუგეშებლად ხელი შეახო. — რა მოხდა, ნუთუ არ შეგიძლიათ მოასვენოთ კაცი? — განაგრძო მერე: — რამე გექნებათ ისეთი, დამალევინეთ და მოვისვენებ... გეხვეწები, ქალო, ადამიანის შვილი არა ხარ?.. ხომ ვკვდები მაინც... რაღას მაწვალებთ?..

მთელი ღამეა ამას იმუდარება ეს სერჟანტი და მარიკას გული მოსდის, უნდა გაუწყრეს, დატუქსოს, მაგრამ უმალვე შეებრალება და დაუყვავებს:

— კაი ახლა, ძმაო! დამშვიდდი.. ხომ ხედავ, აგერ სხვებიც არიან შენს მდგომარეობაში, მარა სიკვდილს არ ნატრობენ.

— მე სიკვდილს არ ვნატრობ, მოსვენება მინდა. — შეესიტყვა სერჟანტი. — თუ სიკვდილი მოსვენებაა, იყოს სიკვდილი...

„სუსტი კაცი ყოფილხარ, ძამია, ნამდვილი ვაჟკაცი ისაა, ვინც, სანამ სული უდგას, სიკვდილს მუდამ ამარცხებს“...

განთიადი მოახლოვდა. ვიღრე დღის სინათლე სადგომში შეატანდა, თითქმის ყველას ჩაეძინა. მარიკამაც მისდო მცირე ხნით თავი, დაწითლებული თვალები მოასვენა.

*
* *

შალვამ იგრძნო, რომ სადგომში სინათლე შედიოდა. თვალი მძიმედ გაახილა. კარგა ხანს უცქირა პატარა სარკმელში შემავალ სინათლეს, მერე თანდათან გონს მოეგო, ნაწილ-ნაწილ მოაგონდა გუშინდელი დღე, უკანასკნელი ღერიში... აი ლაქაშებში ჩაიჩოქა და სამსონის მკლავს დაეყრდნო... ამის შემდეგ აღარ ახსოვს, როგორ წამოიყვანეს, სად იმყოფება...

ოდნავ შეირხა და მწვავე ტკივილმა სავსებით გამოაფხიზლა.

„მძიმედ ვარ დაჭრილი... ვაი თუ“...

შუბლი შეიკრა, არ გაჰყვა ამ ფიქრს, კვლავ სარკმელს მიაპყრო თვალი. ცის ნაჭერზე მღვრიე წყლისფერი ღრუბელი მისცურავდა.

არ მოეწონა. თავი ოდნავ გადასწია და სადგომს დააკვირდა. რამდენი დაჭრილია იატაკზე, რა მძიმე სუნი დგას... თვითონ კედელთან წევს ტახტზე, პირაღმა არის და განძრევის ეშინია.

იცის შალვამ, რას ნიშნავს ეს. ერთხელ უკვე გამოსცადა. მძიმე გზაა... შესაძლოა ახლა უფრო გაჭირდეს საქმე... ჰოსპიტალი შორსაა...

ქეთომ ძილში ამოიოხრა.

შალვამ ირიბად დაჰხედა. ეუცხოვა, ასე საცოდავად მკლავზე თავდაყრდნობილი ქალი, დააკვირდა... ჰო, ეს ეთერი არ არის... ან კი აქ საიდან გაჩნდებოდა, ავადაა... რამდენი ხანია გულიდან ამოიღო, მხოლოდ მისი ანარეკლი-ღა დარჩა. მაინც რა ცხოვლად დააჩნდა სულს! წუხელ მისი ხმაც კი გაიგონა. იმ ხმამ ჩააძინა... თურმე აგერ ეს ყოფილა!.. ცოდოა, იძინოს.

ვიღაცამ დაიკვნესა და რამდენიმე დაჭრილი ერთსა და იმავე დროს შეირხა. მერე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

შალვამ მის გასწვრივ კედელზე ზურგით მიწოლილი მებრძოლის მზერა დაიჭირა. ნაცნობი სახე წარმოუდგა, მაგრამ ამ წამს ეს კაცი თითქოს იმდენად შორს იყო, რომ ხმის მიწვდენა არ შეიძლებოდა. არც უნდოდა შალვას სადგომში გამეფებული დუმილის დარღვევა, რადგან გრძნობდა, რომ მასავით სხვებსაც ეღვიძათ, მხოლოდ გარინდული იყვნენ ახალი ტკივილების მოლოდინში.

ქეთო შეიშმუშნა, თავქვეშ დადებული მკლავი შეარხია.

შალვამ კვლავ დახედა; ჯერ რაღაც ნაზი სიამე იგრძნო, მის თავთან რომ ასე გულდანდობილად ეძინა ამ ფერმკრთალსა და დაღლილ ქალიშვილს, მერე ისეთი სიბრალული აღეძრა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმი, თითქო უმცროსი დაი მოჰყოლოდეს აქ და ასე უხერხულად ჩასძინებოდეს.

მარცხენა მკლავი ასწია შალვამ, ფრთხილად შეახო ქეთოს თავზე თითები.

ქეთომ თვალი გაახილა; მაგრამ ვერ გაინძრა, რადგან შალვას ხელის სითბომ ისეთი ნეტარება მოჰგვარა, თითქო ამ წამისათვის გაჩენილაო ამ ქვეყნად.

ასწია თუ არა შალვამ ხელი, ქეთო მუხლებზე წამოიმართა, შალვას დაჰხედა.

— შალვა... ძვირფასო... — უთხრა აღტაცებულმა და ნაზად მოუსვა ლოყაზე ხელი.

XIII

თანაზიარი

ციხისძირის ბაქანზე მატარებელი თითქმის შეჩერდა, წამსვე ნელა დაიძრა და სვლას უმატა.

ერთი ხანში შესული მგზავრი, მომაღლო, მხრებგაშლილი, კლდის პირად შედგა, ჩემოდანი ძირს დადგა და ზღვას გაჰხედა. შავი, ფართო ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ნაცრისფერი პალტო ეცვა. ფერმკრთალ სახეზე ემჩნეოდა, რომ გამოძინებული არ იყო.

მარტის პირველი რიცხვები იყო, მაგრამ გორაკები უკვე დამშვენებულიყვნენ გაზაფხულის ელფერით. მარადმწვანე დეკორაციული მცენარეებიც ნორჩად ჟუჟუნებდნენ.

ყველგან და ყველაფერში ნაზი სითბო და უდრტვინველი მყუდროება სუფევდა.

ამ მომჯადოებელმა სიმშვიდემ გააჩინდა მგზავრი კლდის პირად.

მატარებელში დასაწოლი არ იყო; საღამოს რვა საათზე გამოვიდა თბილისიდან და მას შემდეგ თითქმის სულ არ უძინია. ამ ხნის განმავლობაში სხვა რაზე უნდა ეფიქრნა, თუ არა ომზე. მის გვერდით ქალი ამოიოხრებდა, ომში მყოფ შვილზე დარდობდა, მგზავრი მგზავრს გაესაუბრებოდა, ომის ამბავს ყვებოდნენ, ყველგან ომი მძვინვარებდა...

აქ კი რა გულდაჯერებული სიმშვიდეა, რა დამტკბარი დილაა!..

ხმა არ გაუგონია, ხელის შეხება იგრძნო. ირიბად დაჰხედა.

— აჰ, თინა, შენა ხარ?.. საიდან გაჩნდი აქ?

— მეც ამ მატარებლით მოვედი, ბატონო ეგნატე! ქობულეთში ვიყავი, არტილერისტებთან.

ეს უპასუხა თინამ და ჩემოდანს დაწვდა.

— არა, ნუ წუხდები, ჩემო კარგო! — შეეპატიჟა ეგნატე, მაგრამ თინამ მაგრა ჩასჭიდა ჩემოდანს მარჯვენა ხელი, მარცხენა ეგნატეს მკლავში გამოსდო და ლიანდაგისაკენ გაიყოლია.

ძალიან მარჯვე ქალიშვილი იყო თინა ბოკერია. მისი პატარა ტანი ალვასავით იყო ჩამოსხმული; შავგვრემანი იყო, შავთვალწარბა; მის მოგრძო სახეში თითქო რადაც სევდა გამოსჭვივოდა, ღიმილშიაც ამ სევდის ანარეკლი კრთოდა. ომი რომ დაიწყო, იმ წელს დაამთავრა საფერშლო სკოლა, იქედან პირდაპირ სამხედრო ნაწილში გაიწვიეს. რამდენიმე თვეს იყო ფრონტზე, ჩრდილოეთ კავკასიაში.

ვიდრე ეგნატე შეეკითხებოდა, თინამ დაასწრო:

— თქვენ რომ წახვედით, მერე ეთერმა ძალიან მოიკეთა. ახლა ეზოშიაც გამოდის.

— მართლა? — გაუნათდა სახე ეგნატეს. წამსვე თინას დაჰხედა, რომ გაეგო, ადასტურებდა თუ არა მისი გამომეტყველება ამ სასიხარულო ამბავს.

თინა მიუხვდა, თვალი მშვიდად შეაგება, გაუღიმა.

— ხანდახან მეტისმეტად რომ არ დარდარდობდეს, მშვენივრად იქნება. ექიმმა პირდაპირ უთხრა, შენზეა ახლა ყველაფერი დამოკიდებულიო... იცით, ბა-

ტონო ეგნატე, არის შემთხვევა, როცა ადამიანი თვითონ არის თავისი თავის მკურნალი; თუ თვითონ არ მოინდომა, ვერავითარი წამალი ვერ მოარჩენს.

ეგნატემ იცოდა, რომ ეთერს მეტად მწვავე შინაგანი ტკივილი არ ასვენებდა, ნაღვლიანი ფიქრი და ჯავრი არ შორდებოდა, მაგრამ ახლა თითქო პირველად გაიგო ეს თინასაგან და გული ეტკინა, სახე მოეღრუბლა. ერთი თვეა არ უნახავს. სულ ნატრობდა: ნეტავი ისე მანახა, მის სახეში ის შავი ნაღველი არ გამოსჭვივოდესო.

ლიანდაგის პირს მიჰყვებოდნენ. ხელმარცხნივ გორაკების შეფენებაზე საუცხოო ბაღი იყო; მწვანე ფოთლებს დილის მზის სხივები დაელვარებდნენ.

გულჯავრიანმა ეგნატემ თავი ასწია, ფერდობს აჰხედა, მაგრამ შემოგარენის წარმტაცი სილამაზე თითქო არც კი შეუშჩნევია, ხოლო ეს გულგრილი მყუდროება მის სევდას კიდევ უფრო ამძიმებდა.

კონცხზე წამოდგმულ დიდი სახლის ეზოში შეუხვიეს, მცირე აღმართი აიარეს და მეორე სართულში ავიდნენ. ოთახები თითქმის ცარიელი იყო, ავადმყოფები მხოლოდ აქა-იქ მოსჩანდნენ.

თინა დაწინაურდა, ეთერს მამის მისვლა ახარა.

მძიმედ წამოდგა ეთერი, თოვლივით თეთრი ხალათი გაისწორა, მეტისმეტად მკრთალი ღაწვები ქარვასავით აუელვარდნენ. კართან მიეგება მამას, მოეხვია.

ეგნატემ გვერდით მოისვა თავისი ასული, სახეზე თვალი შეავლო, მერე ფანჯრიდან ზურმუხტოვან გორაკებს გაჰხედა.

„ისევ ის გამომეტყველება, ისევ ის სევდა“, — გაიფიქრა ეგნატემ და ახლა უფრო ეტკინა გული, რადგან აქ მოსვლამდე რომ იმედი უღვივოდა, იგი თითქმის გაუქარწყლდა.

ეთერი გრძნობდა, თუ რა აწუხებდა ეგნატეს, მაგრამ იმდენი ძალა არა ყოფნიდა, რომ თავი მოემზადებინა, თავის არსებაში ჩაგუბებული ნაღველი არ გამოეჩინა. მაინც ღიმილი მოიშველია, ალერსიანი ხმით ჰკითხა მამას:

— როგორ იმგზავრე, მამა? ძალიან გაგიჭირდა?

ეგნატეს გულში ჩაწვდა ეს ალერსი, ქვედა ტუჩი ოდნავ შეუთრთოლდა.

— მე, შვილო? მე რა მიშავს, ჩემო კარგო.

ეს რომ სთქვა, კვლავ სახეზე დააკვირდა ეთერს. ერთი ნაკვთიც ვერ იპოვნა იმ ცხოველმოსილებისა, რომელიც მას ომამდე ამშვენებდა. მაშინ რომ გაიღიმებდა, მისი ღაწვები ვარდივით იფურჩქნებოდნენ, ტუჩებზე თითქოს სხივები დასთამაშობდნენ, ახლა კი სულ მცირე ნაპერწკალიც არ კიაფობს მის სადაფივით დაწმენდილ სახეში.

ეთერს უნდოდა მამისათვის სამსონის ამბავი ეკითხა. განშორების შემდეგ მხოლოდ ერთი წერილი მიიღო, მას უკან აგერ სამი თვეა და ახლა ვინ იცის, სადაა...

„რამე რომ იცოდეს, თვითონ მეტყოდაო“, გადაწყვიტა და ადგა, მკერდზე, მარჯვენა მხარეს რატომღაც ხელი დაიფარა.

— წამო, მამა, ხელ-პირი დაიბანე, ისაუზმე.

*
* *

ძალიან იუარა ეგნატემ, მაგრამ ეთერი არ მოეშვა, საუზმის შემდეგ დააწვინა, მანამდე არ მოშორდა, ვიდრე არ ჩაეძინა. მერე თვითონაც მისდო თავი ბალიშზე და თვალები გაუშტერდა.

არაფერი აღარ ტკიოდა, არც დაღლილი იყო, მხოლოდ თავს ისე გრძნობდა, თითქო სავსებით გამოფიტული

ყოფილიყოს. არაფერი აღარ იტაცებდა. სამსონზე ფიქრსაც გაურბოდა. ცდილობდა, არ მიეახლოვებინა მისი სახე, შორიდან, ძალიან შორიდან ეცქირნა.

ყველაზე მეტად იმ იშვიათ წუთებში ისვენებდა, როცა უცნაურად განმარტოვდებოდა და მოეჩვენებოდა, თითქოს ქვეყნიერებას არავითარი მიმზიდველობა არ გააჩნიაო.

პირველად ასეთი რამ კავკასიონის მთებში იგრძნო. სადღაც კლდის პირად დაასვენეს თოვლში. აღმართში მსვლელობის დროს საკაცე ირხეოდა და მწვავე ტკივილებს გრძნობდა; ამავე დროს სამსონის ცრემლჩამდგარი თვალები ეჩვენებოდა, ის გულისმომკვლელი მზერა, რომელიც განშორებისას გამოაყოლა; უნდოდა აერიდებინა მისთვის თვალი, სული მოეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა და აუტანელად იტანჯებოდა.

ხოლო როცა საკაცე თოვლში ჩადგეს და ქეთომ შუბლზე ხელი მოუსვა, ჯერ თითქოს თეთრად შესუდრული მთები დაეშვნენ უცნაურ სიღრმეში, მერე თვითონაც შემსუბუქდა და იმდენად განმარტოვდა, რომ მხოლოდ საკუთარი გულის ძგერა ესმოდა...

მძიმეა ასეთი მარტოობა, მაგრამ განა უფრო მძიმე არაა, როდესაც იცი, რომ სავსებით დავრდომილი ხარ, არავისთვის საჭირო აღარა ხარ? ომში სიკვდილის მოლოდინი კი არ არის მთავარი, შემზარავი ისაა, თუ ამ ქვეყნად ზედმეტი ბარგი გახდი...

ეს აზრი გაუჯდა ძვალრბილში ეთერს, ეს აწამებდა, თორემ ისე უკვე მორჩენილი იყო, ცალი ფილტვი ჰქონდა მხოლოდ დახურული და მარჯვენა ძუძუს ნაცვლად მოხარშული ვაშლისფერი ნაჭრილობევი აჩნდა.

შუბლი შეიკრა ეთერმა, სამსონზე ფიქრი გაუცხოველდა. როგორმე არ უნდა აჰყვეს გრძნობებს, ძველი წყლულები არ განიახლოს, მაგრამ ვერ ახერხებს. ახლაც ამაოდ ათრიდა თვალი, კვლავ ნათლად ხედავს, მხოლოდ ისეთს, უკანასკნელად რომ გამოეთხოვა. როგორ უნდა გაუმართლოს იმედი, როგორ უნდა ეჩვენოს ასეთი დასახიჩრებული, ასეთი დავრდომილი?.. ნეტავი მას არაფერი მოუვიდოდეს, ცოცხალი გადარჩებოდეს და ეთერი წყალს წაუღია... კი, მაგრამ, რომ მოხდეს სასწაული და... აჰ, არა, — გააჟრჟოლა ეთერს,—უმჯობესია ადრე მოკვდეს, ვიდრე სამსონის თვალებში სიყვარულის ნაცვლად მარტოოდენ სიბრალულს ამოიკითხავდეს... მერე კიდევ ვინ იცის, ეს სიბრალული რად გადაიქცევა...

კარგა ხანს უმზირა გაღვიძებულმა ეგნატემ ეთერს, მერე გულმა არ მოუთმინა, ადგა და გვერდით მიუჯდა, თავზე ხელი მოუსვა:

— რაღაც გტკივა, შვილო, შენ!

— არაფერი, მამა...

— მე რად მიმალავ, ჩემო კარგო? განა ვერა ვხედავ, რომ სული გიწუხს?.. მითხარი, იქნება ორივემ უფრო გამოვნახოთ გამოსავალი.

ეთერს უცებ მოესურვა, მამისთვის გული გადაეშალა, ეთქვა, რაც აწამებდა, მაგრამ უმალვე შეკრთა, შენს სადარდელს შენ თვითონ მოუარეო, უთხრა თავის თავს. მამას კი ეს უპასუხა:

— შენ ნუ სწუხარ, მამა! მე ახლა მორჩენილი ვარ. მალე...

— კარგი, შენი ნება იყოს. — ნაღვლიანად სთქვა ეგნატემ და ადგა.—გავიაროთ, თუ არ გეზარება.

ეზოში მამა-შვილს თინა, მთისჩიტა და მარო კაიშაური შეუერთდნენ.

პირმრგვალი, შავგვრემანი მთისჩიტა არ შეცვლილიყო, ისეთივე იერი შერჩენოდა, როგორიც ბაქსანის ხეობაში

ჰქონდა, მხოლოდ ახლა უფრო მეტად ბრწყინავდა სიცოცხლის ხალისი მის შავ თვალებში. მარო კაიშაურს კი ჭაღარა უფრო ემჩნეოდა, მაგრამ სამაგიეროდ ფერი მოსვლოდა.

კბოდესთან დასხდნენ, ლაღად მოლივლივე ზღვას დაჰყურებდნენ.

ადრიანი გაზაფხულის მზიანი დღე იყო, ისეთი მშვიდი და წყნარი, როგორიც ამ ლამაზ მიდამოებში იცის ხოლმე.

მარო კაიშაურმა მცირე საუბრის შემდეგ ბაქსანის ხეობა მოიგონა.

— რა დღეში ვიყავით, გოგოებო, ამ ოთხი თვის წინათ და ახლა სადა ვართ!.. აბა მაშინ თუ წარმოიდგენდით ასეთ სიმშვიდეს!

— დღესა ვართ ასე, ხვალ კი, ვინ იცის, სად ვიქნებით, ომი ხომ არ დამთავრებულა. — გაეხმაურა მთისჩიტა.

— არა, მაგრამ ახლა მდგომარეობა ნათელია, მაშინ კი ყველაფერი ბეწვზე ეკიდა...

ამ დროს ეგნატეს მისი ყოფილი მოწაფე, ახალგაზრდა ქირურგი შოთა ცეშლაძე მიესალმა, ხელი მოხვია და გვერდით მიუჯდა.

ეგნატეს ძალიან ესიამოვნა მისი ნახვა; ის დრო მოაგონდა, როცა შოთა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იყო და ეგნატე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

— შენ მაშინაც გემჩნეოდა, რომ კარგი პატრიოტი იყავი, ოღონდ ექიმი თუ გამოხვიდოდი, .ეს კი არ მეგონა.— უთხრა ეგნატემ. — გახსოვს, როგორ გიტაცებდა ლიტერატურა? მგონი ლექსებსაც კი სწერდი.

შოთას ქერა სახე ოდნავ შეეფაკლა, თვალები მორცხვად დაჰხარა, ყმაწვილური გატაცებისა თუ შერცხვა.

— შოთა ჩვენი წამყვანი ქირურგი გახლავთ, ბატონო ეგნატე.—განუმარტა თინა ბოკერიამ. — რამდენმა დაჭრილმა გამოიარა მის ხელში, რამდენს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ეგნატე ყურს უგდებდა ომში ნამყოფთა საუბარს და თან გუნებაში ფიქრობდა: „არავითარ სულიერს არა აქვს იმდენი გამძლეობა და ისეთი შეგუების უნარი, როგორც ადამიანს... ეს ძლიერება რომ მხოლოდ ადამიანის საკეთილდღეოდ წარიმართოს, რა დიდებული სანახაობა იქნება“...

*
* *

საღამოს ოფიცერთა სასადილოში მოიყარეს თავი. თინა ბოკერიამ ფანდურს დაამღერა. მსმენელნი, სამხედრო ექიმები, ფერშლები, მედიცინის დები, სანიტრები, სიამოვნებით უგდებდნენ ყურს. სამი თუ ოთხი თვის წინათ მათ საშინელ ქარცეცხლში გამოიარეს და ახლა გულს სიხარულით ავსებდა ეს მშობლიური ჰანგი და ზღვის-პირის მყუდროება.

შემდეგ მეგობრები მთისჩიტას შეუჩნდნენ და საიათნოვას ლექსი ამღერეს, სხვა აღმოსავლური სიმღერებიც მოიგონეს. ფრონტზე ყოფნის დროსაც მოუსმენიათ ეს სიმღერები და ახლა ამიტომ არიან ისინი ასე ტკბილი და მრავალმეტყველი.

ბოლოს ფანდური ერთ კახელ კოლმეურნეს გადასცეს. ტანბრგე ვაჟკაცი იყო ეს მებრძოლი, მეტად მკვეთრი ხმა ჰქონდა, დაუმორჩილებელი; სამაგიეროდ ისე ძლიერად ჟღერდა იგი, რომ უნებლიედ აგიყოლიებდათ.

„შირაქში ერთმა მეცხვარემ“... — დაიწყო მან და ეგნატეს ჟრუანტელმა დაუარა. რა არის ეს? უძირო კაეშანია, თუ დაჭრილი გულის წუხილი? არა, მასში იმედიც ღვივის, მებრძოლი ხალხის იმედი...

ეგნატემ ეთერისაკენ მიიხედა, გვერდით ეჯდა იგი, ჩვეულებრივად ფერგამკრთალი და დაღვრემილი.

„რა ვუყო, რა საშუალებით გამოვაბრუნო, — გაიფიქრა ეგნატემ. — ისეთი რა სიმწარე ჩაუდუღდა გულში, რომ არაფერი აღარ ახარებს? ასე თუ გაგრძელდა, მართლა დაჭლექდება“...

ეთერმა მამის დაკვირვებული ცქერა იგრძნო, ფიქრებიდან გამოერკვა და ეგნატეს ნაძალადევად გაუღიმა. უნდოდა გამოცოცხლებულიყო, მამისათვის ესიამოვნებინა, მაგრამ ვერ შესძლო; ღიმილი ისე ჩაუქრა, თითქო იგი მისი გულიდან არც კი დაძრულიყოს...

სავსე მთვარე მთებს უკვე გადმოშორებოდა, როცა ეგნატე ნაცნობ ექიმს გაჰყვა ბინაში დასაძინებლად.

აღმართში ვიწრო ბილიკით ადიოდნენ. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, ისეთი სიწყნარე, როცა თითქოს ბუნება გულგრილი როდია, შენი ფიქრების, შენი მისწრაფების თანაზიარია; ამავე დროს თავისი სიმშვიდით გაგრძნობინებს, რომ შენც მისი ნაწილი ხარ.

ნორჩკვირტებიან შტოს შეახო ხელი ეგნატემ, შესდგა, ზღვას გადახედა.

რა დიდებული სიწყნარეა, რა ნაზი ფერები! ზღვის გულმკერდსა და გორაკების ფერდობს გამსჭვირვალე მარმაშივით დაჰქათქათებს მთვარის შუქი; კლდის ძირას ნარნარი ტალღები შრიალებენ. რაღაც იდუმალი ქსელია თითქო გაბმული აი ამ ნორჩკვირტებიან შტოსა და მთელ გარემოს შორის.

ერთ წამს დაუყუჩდა ეგნატეს ეთერის ავადმყოფობით გამოწვეული სევდა; შტოს ისეთი ალერსით მოუსვა ხელი, თითქოს იგი სულიერი არსება ყოფილიყოს, თითქოს კი არ ეთხოვებოდეს, არამედ მასთან სტოვებდეს თავისი გულის ნაწილს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონა შენგელია

ალექსანდრე ყაზბეგი

1848—1948

საწერ მაგიდას ცალი იდაყვით ჩამობჯენია. ნახევრად ჩაცმული ცალმკლავგაყრილი თეთრქილებიანი ლეკური შალის ლამაზი ჩოხა მარჯვენა მხარზე ახალოხს ზემოთ დაუდევრად წამოუსხამს. მარცხენა ხელზე ყბით ჩამოყრდნობილს მკერდზე უხვად დაფენილი ჭალარა წვერი ცალმხრივ შეთელვია. ფიქრად თუ ოცნება წასულს მეორე ხელში კალმისტარი გაშეშებია. ხშირ წარბებს ქვემოდან დიდრონი თვალებით შთაგონებულად იცქირება. მელოტნაკრავი მეჩხერი, მაგრამ რბილი თმებით დამშვენებული მაღალი შუბლი, გრძნობიერი, ნესტომმრთოლვარე სოთი ცხვირი და ჭაღარაშერთული წვერულვაში მას გაცილებით ხნიერს აჩენს, ვიდრე ნამდვილად არის. ხშირი ულვაშებით ჩამოფენილი სურვილიანი ტუჩები ოდნავ უჩანს, მაგრამ მაინც გრძნობ, — თითქოს ეღიმება. ეს ღიმილი მის აზვირთებული თვალებთან ერთად მისსავე მარილიანსა და შუქმოსილ სახეს თითქოს სხივს მატებს. ერთის შეხედვით, იგი მიწაზე დაფრენილსა და ჯერ ფრთაშეუკეცავ არწივს გვაგონებს. ეს გარეგნობა ასლად ეხამება მას, როგორც შემოქმედსვინ მოთვლის, რამდენ მინავლებულ, თითქმის მივიწყებულ თრთოლვათა აღმძვრელია ეს დიდებული სახე; რამდენ რაინდულ და თან მომხიბლავად მიამიტ გატაცებათა შთამაგონებელია მისი ქმნილებები. მან გვასწავლა, რომ მუდამ ალალნი და პატიოსანნი ვყოფილიყავით; მან აგვათრთოლა მეფის რუსეთის ჯალათთაგან შეგინებულ და ჩაბალახახდილ სამშობლოსადმი თავდავიწყებული სიყვარულით; მან აგვივსო გული ჩვენი მამულის ყველა დუშმანისა და მოღალატის მიმართ წმინდა სიძულვილით; მან შთაგვაგონა უმაღლესი გრძნობა მეგობრობისა და ტრფიალებისა; მან გვასწავლა რაინდული პატივისცემა დიაცის მანდილისა. განა არ გახსოვთ, მისი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ როგორ ვიყავით მზად, რომ იარაღი აგვესხა და ელგუჯასავით, კობასავით სადანასისხლოდ შევბრძოლებოდით იმ შავბნელი დროის უკანონობას, მზად ვიყავით ყაზბეგის გმირთა წაბაძვით ვისმე ძმად გავფიცვოდით და ჭაბუკური, ჯერ ისევ უსაგნო სიყვარულით გულათრთოლებულებს (თვითონაც არ ვიცოდით ვინ იყო მაშინ ჩვენი გულის სატრფო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა,) თავი ყმაწვილური ოცნებით წარმოდგენილი მიჯნურისათვის უსათუოდ დაგვედო.

მზაღო, ნუნუ, მაყვალა, ციკო, ციცია, — ჩვენს ჭაბუკურ დღეებს ეს სახელები ისე განუყრელად შეზრდია, რომ მათ მოგონებაზე ახლა, როცა დავვაჟკაცდით, როცა ცხოვრებას გამოცდილი თვალით ვუჰვრეტთ, გული უნებლიე ნატვრით ისევ გვითრთის, ვნანობთ, რომ ის ახალგაზრდული წუ-

თები არასოდეს არ დაბრუნდება. ვინ მოთვლის რამდენი ღამე მის გამო თეთრად გვითენებია, მისი მოთხრობების კითხვით გატაცებულებს გული მდუღარებით რამდენჯერ აგვსებია და ათრთოლებული თითებით წიგნი ჩვენთვისვე შეუმჩნევლად როგორ გვიფურცლავს.

★

მისი წიგნებიდან ახლაც ისევე მძლავრად მოისმის ამაზრზენი ყღრიალი დეკანოზებისაგან დარხეულ სათემო დროშებისა, მრისხანე გუგუნი ფეხზე დამდგარ ხალხისა, გრუხუნი ჭიუხებიდან მოსხლეტილ ზვავებისა, ტკბილი ყღურტული მთის ნაკადულებისა, საბედისწერო ყაშყაში სვავებისა და ქვითინი... ვინ არის იგი? ვინ ქვითინებს ეგრე გულსაკლავად, — მზა-ლო? მაყვალა? ონისე? თუ მეფის ჯალათთაგან უხეში ძალმომრეობით ფეხქვეშ გაგდებული — მშრომელი ხალხი?

შეიძლება დაივიწყო ბავშვობაში წაკითხული რომანები ჟიულ ვერნისა და ფენიმონ კუპერისა, მაინ რიდისა და ჰაგარდისა, მაგრამ არ შეიძლება დავიწყება ალექსანდრე ყაზბეგისა. იაკობ გოგებაშვილსა და ლერმონტოვთან, ვიქტორ ჰუგოსა და ალექსანდრე დიუმასთან ერთად ეს კეთილშობილი სახელი განუყრელი თანამგზავრია ჩვენი ახალგაზრდული დღეებისა. მისი მრისხანე ხმა ხან მთაში გავარდნილ ჭექა-ქუხილივით გაისმის, გამოძახილის გამოძახილებად ჩვენს გულში, ხან ისევე ნაზია და თან ისეთს მიმქრქა-

ლებულ სურნელს გამოსცემს, როგორც ოდესღაც მის წიგნშივე ჩასანიშნავად ჩარჩენილი და დროთა ვითარებით გახუნებული მინდვრის ყვავილი.

ალექსანდრე ყაზბეგი კავკასიონის იმ კლდოვან კუთხეს, სადაც 1848 წელს დაიბადა და აღიზარდა, ასე გვიხატავს: „ვიწრო დარიალის ხეობაში, სადაც ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჯერ ლარსის ვიწრო ხეობაზედ მაგრამ რაკი დარიალის უზარმაზარ მთებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვრეტილი და გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხევეთა ყარაულები იდგნენ და საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან იცავდნენ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ დარიალანის ანუ ალანთა ამ ვიწრო კარს იქით, ძველთა რწმენით, ბიბლიურ ხალხთა—მაგოგთა — ზღაპრული სამფლობელო იყო გაშლილი, ხოლო უძველეს ჰელენთა გადმოცემით, იგი კიდე იყო თვალჩაუწვდენელ უფსკრულამდე მიტანილი ქვეყნიერებისა, კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს კვნესა აქ ჰიპერბორიაში გულსაკლავად გაისმოდა, საიქიოს ბნელი ქვესკნელიც აქ იწყებოდა და შიგ ჩრდილოეთის ყველა ქარები ბორბლებივით ჯოჯოხეთურად ტრიალებდნენ, ეს კლდოვანი და პირქუში ხეობა ერთადერთი გადმოსასვლელი გზა იყო საქართველოში ნადავლისათვის დაძრული სარმატებისა, ალანებისა და სკვითებისა. მათი შემოსევისაგან მოხევეები, არამცთუ თავის სამშობლოს, თვით წინა აზიასაც ვაჟკაცურად იცავდნენ.

ტიელო დარიალაო,
ქვანი ხარ ცარიალაო,

ეღრიალებდნენ მთის ფანდურები და მაინც არავის ისე არ უყვარდა ეს მშობლიური „ქვანი ცარიალანი“, როგორც ტლუ, მაგრამ კეთილშობილ მოხევეს.

ალექსანდრე მიხეილისძე ყაზბეგის მამა-პაპანი, — ჩოფიკაშვილები—ხელშეუვალნი მფლობელნი იყვნენ ამ პირქუში, მაგრამ დიდებული კლდეკარისა. საქართველოს ისტორიის მანძილზე ამ გვარს განსაკუთრებულად არაფრით არ გამოუჩენია თავი. მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა აზიაში თურქთა ველური ურდოები დამკვიდრდნენ, ხოლო 1453 წელს ბიზანტია მიწასთან გაასწორეს, მუსულმანურ-ფანატიკური ურდოების ოკეანით გარშემორტყმულმა საქართველომ თვალი ერთმორწმუნე რუსეთის იმედით ამ ხეობას მიაპყრო და მით ამ კარის მფლობელნიც განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცნენ. სამსაუკუნენახევარი დასჭირდა იმას, რომ ქართველი ხალხის ეს იმედი განხორციელებულიყო. კაპიტალიზმის განვითარების გზაზე ახლადფეხშედგმული თვითმპყრობელური რუსეთი კარგახანია, რაც წადიერებით შესცქეროდა აღმოსავლეთის მდიდარ ბაზრებს, რომლებსაც ევროპული სახელმწიფოები მის თვალწინ თანდათან ეპატრონებოდნენ. პეტერბურგი მოთმინებას ჰკარგავდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მას თავის იმპერიალისტურ ზრახვათა განსახორციელებლად პლაცდარმად სუსტი და არა ძლიერი საქართველო ჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ მისგან გაწბილებულ ვახტანგ VI-ის დაუფიქრებელი ნაბიჯით დასუსტებულ და შემდგომ ერეკლე მეორისაგან ისევ წელმომაგრებულ საქართველოს დამცირებას იგი ხელს ყოვლის მხრით უწყობდა. გენერალ ტოტლებენის „გაუგებარმა“ მოქმედებამ და ასპინძის ომში ქართველთაგან მოპოებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ მეფის რუსეთი დაარწმუნა, — საქართველო ჯერ ისე არ დაოსებულა,

რომ მისი შთანთქმა ადვილი ყოფილიყო. ქართულ სამეფო კარზე მისგან წარმოგზავნილმა რეზიდენტ-ემისარებმა ეს საქმე ბოლოს, როგორც უნდოდათ, ისე დააგვირგვინეს. უგნურ ბატონიშვილებისა და მოსყიდულ თავადაზნაურობის გრძნობა-გონება ისე აამტუტეს, რომ სახელმწიფო მთლიანობის გრძნობა დაიკარგა. ამას ზედ აღამაჰმად-ხანის ველური ურდოების შემოსევაც დაერთო. იმ დროს, როცა ქართველთა მეფე სამოცდაათიათასიან ურდოებს ერთი მუჭა ქართველები უნდა გამკლავებოდა, „კავკასიის ლინიაზე" მდგომ რუსთა გენერალს, კნორინგს, პირობის თანახმად დახმარება თხოვა. კნორინგის გულუბრყვილო შეკითხვაზე, თუ როგორ მოქცეულიყო იგი, პეტერბურგიდან მკაცრად უპასუხეს, რომ თავის ტყავში დატეულიყო.

ყიზილბაშებმა თბილისი ააოხრეს. დამარცხებულმა მეფემ თავი მთებს შეაფარა. აღსანიშნავია, რომ მის მარცხს ევროპის ბურუაზიული წრეები კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ, მაგრამ თაბაუთი მაინც არ გაუმართლდათ, — მათგან ინსპირირებულმა ირანმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. მთაში გახიზნულმა ერეკლემ გენიალურად განსჭვრიტა, რომ ორ ბოროტებას შორის მას ნაკლები უნდა ამოერჩია და 1801 წლის შემოდგომით მთის ბატონმა ჩოფიკაშვილმა დარიალის კარი მეფის ბრძანებით რუსებს გაუღო. თბილისის ჯერ ისევ აოხრებულ უბნებში გენერალ ლაზარევის ეგერთა ბათალიონის სამხედრო ორკესტრის გრიალი რომ გაისმა, პატრ ნიკოლას კვნესით თურმე ამოხდა:

— ბარაბანითა და მუსიკით კვდება საქართველოო.

პატრი მოტყუვდა. საქართველო როდი კვდებოდა. კვდებოდა ძველი პატრიარქალურ-ფეოდალური საქართველო, დგებოდა ახალი საქართველო, საქართველო რუსეთუმებისა და თერგდალეულებისა; საქართველო სულ სხვა იდეებისა და სოციალური კონფლიქტებისა, რომლის გამოხატვაც ანტონ კათალიკოსის სქოლასტიკურ ენას არ შეეძლო. ის ახალი ენა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ დავით გურამიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩაუყარეს, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა დააგვირგვინეს. ეს ენა რომ არა, — ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი და დავით კლდიაშვილი მუნჯნი იქნებოდნენ, ქართველ ხალხს ისინი არ ეყოლებოდა.

ეს დიდი გარდატეხა, ბუნებრივია, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლიდა. საქართველო, როგორც მოსალოდნელი იყო, ყელამდე აივსო თავის სამშობლოში ხელმოცარული და ბედისმაძიებელ უცხო ტომის ავანტიურისტებით,—აღვირახსნილ დიამბეგ-ისპრავნიკებითა და კვარტირმეისტერებით, საინტენდანტო ვახტერებითა და კომისიონერებითა. მაშინ, როდესაც ირანსა და ინდოეთში ევროპის კაპიტალი ფეხს თანდათან იკიდებდა, რა თქმა უნდა, მეფის რუსეთი დროს ყოყმანში არ დაკარგავდა. მის მხედრობას საქართველოში ფეხი ჯერ კარგად არც შემოედგა, რომ ქვეყანა, რომელსაც ორიათასი წლის სახელმწიფოებრივი ცხოვრების შედეგად თავისი მაღალი კულტურა შეექმნა, რომელსაც რუსთაველი და გურამიშვილი ყავდა, პეტრიწი და მთაწმინდელები ყავდა, პეტერბურგმა გუბერნიებად გამოაცხადა.

ქართველმა ხალხმა ეს ძალადობა ვერ აიტანა, — ქვეყანას აჯანყების ცეცხლი მოედო. პირველმა შფოთმა თავი 1802 წელს იჩინა და მას შემდეგ ქართველ ხალხს მოსვენება აღარ ჰქონია. აჯანყებათა ხანძარი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე არ ჩამქრალა.

პირველი სუსხი უცხო მმართველობისა მოხეველებმა განიცადეს და ერთი პირველთაგანი აკი ისინი აჯანყდნენ. ალექსანდრე ყაზბეგს ბავშვობიდანვე ჩაესმოდა ყურში თავისივე ხალხის გმინვა. ეს გმინვა მას არც თვით რუსეთში ასვენებდა. ჭაბუკური იმედებით აღსავსე, მშრომელ ხალხს რაშიმე რომ გამოდგომოდა, დედას სწერდა: „მინდა ნასწავლი კაცი და საზოგადოების სასარგებლო წევრი გავხდე... ყოველ დაბრკოლებას დავძლევ და დიდებით შემოვალ საქართველოს კარებშიო“. ეს დაპირება ალექსანდრე ყაზბეგმა ვერ გაამართლა. იგი დიდებით როდი შემოსულა საქართველოში, დიდება მან აქ, სამშობლოში მოიპოვა და ამ დიდებით გავიდა სიცოცხლიდან, იმ სიცოცხლიდან, რომელსაც იგი ეგეთის გატაცებით უმღერდა.

მისი, „ხელმწიფის სწორი კაცისა“ და გენერლის შვილის, ერთ დროს მწყემსად წასვლა და მშრომელი გლეხობის ჭირვარამის გაზიარება შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. „ღვთიური ნაპერწკალი ბედისაგან დაჩაგრულთადმი“ სიყვარულისა მას ჯერ კიდევ პატარას, როცა მომავალ ბატონად ზრდიდნენ, გულში მისმა ძიძამ, გლეხის ქალმა ნინომ, ჩაუნთო. ერთ თავის წერილში ალექსანდრე ყაზბეგი მოსიყვარულე ვამზრდელს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „იმ დროს, როდესაც მეფის შვილივით მანებივრებდნენ, შურს, ამპარტავნობასა და სიძულვილს მინერგავდნენ, შენ მონაწილეობას იღებდი ჩემი გონების და სულის მოძრაობაში და შენ მიერ ნაამბობი ზღაპრები — „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვები ღრმად იბეჭდებოდა ჩემს თავში... შენმა სიტყვებმა ყმებისა და მოსამსახურეების მდგომარეობაზე ბევრჯერ მდუღარე ცრემლი დამაღვრევინა და ჩემში თანაგრძნობა ვამოიწვია უსამართლოდ დატანჯული ხალხის მიმართ. შემიძლია ამაყად გითხრა, რომ თუ შენს გაზრდილში რაიმე რიგიანი მოიპოვება, ამის მიზეზი შენ ხარ“.

ეს ცეცხლი შემდეგ დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის იდეებით კიდევ უფრო გაღვივდა და ამ „უსამართლოდ დატანჯული ხალხის“ ტკივილების გამოხატვას შეალია მან თავისი დიდი ნიჭი და ბოლოს თავისი სიცოცხლეც. მის პირველსავე მოთხრობა „ელგუჯაში“ მგზნებარედ გაისმა დრტვინვა იმ ხალხისა, რომელმაც იგი აღზარდა. მან გააცოცხლა შოთა რუსთაველის ტრადიცია, რომელთანაც მას დიდი შინაგანი მსგავსება კი არა, ნათესაობა აქვს. მეცხრამეტე საუკუნეში მან ხელახლა იმღერა სიმღერა მეგობრობის, ტრფობისა და სამშობლოს სიყვარულისა. ისევე, როგორც დიდმა შოთამ, მან თავისი შემოქმედების საგნად აღიარა ვნებანი ადამიანისა. ეს ვნება ანიჭებს მის შემოქმედებას იმ მგზნებარებას, რომლითაც მისი მოთხრობები ცახცახებენ. ამიტომ არიან მისნი გმირნი ცალმხრივნი და მხოლოდ ერთის მხრივ გაშუქებულნი. მან შეამჩნია, რომ თემი იშლებოდა არა როგორც მხოლოდ ეროვნული მოვლენა, არამედ, როგორც სოციალური მოვლენა. გაგი ჩოფიკაშვილი, გელა, გირგოლა, პორფირუშკა და სხვანი მისთანანი შედეგნი იყვნენ ამ დიდი ნაციონალურ-სოციალურ გარდატეხებისა. ყაზბეგი მათ ჭარბად მორეულ მუქი ფერებით ხატავს და კონტრასტულად უპირისპირებს ნათელი ფერით დახატულ ონისეს, მოძღვარს, იაგოსა და ელგუჯას. ეს ბრძოლა კეთილისა და ბოროტი საწყისისა მას ისევე აახლოვებს შოთა რუსთაველის გენიასთან, როგორც სათუთად დახატული ნუნუ, მაყვალა და ციცია ნესტანდარეჯანსა და თინათინს. განა ჯაჯალა იგივე ასმათი არ არის? ყაზბეგი-

სათვის ადამიანი ჭურჭელია ვნებისა და ამიტომაც არის მისი ენა ეგზომ ვნებიანი, მშფოთვარე და ექსპანსიური. მისი ენა ენაა პოეტისა და არა ეპიკოსისა, იგი გმინვაა ამბის მომსწრისა და არა ცივი ანალიზური განხილვა მოვლენებისა; იგი კი არ წერს, — გვიამბობს და მთელი ღირსება და ნაკლი მისი, როგორც შემოქმედისა, აქედან მომდინარეობს. ამიტომ არის მისი ენა ეგრე ხორკლიანი და იმპულსიური. აბა სცადეთ და სტენოგრაფიულად ჩასწერეთ წარმოთქმული სიტყვა რომელიმე ბრწყინვალე ორატორისა. იგი, მაშინვე დაკარგავს იმ უშუალობასა და ინტონაციას თხრობისა, რომლითაც შეპყრობილი იყო მსმენელი; აღმოჩნდება, რომ ეს სიტყვა თურმე ენობრივად ვერ ყოფილა სწორი, მაგრამ მაინც გვხიბლავს მისი გასწორება გასწორება კი არა, დამახინჯება იქნება სიტყვისა რომელმაც ჩვენზე წარუშელელი ზემოქმედება იქონია. ამ გასწორებით ჩვენ წარმოთქმულ სიტყვას კი არა, დაწერილ სტატიას მივიღებთ. ხორკლიანობა ყაზბეგის ენისა სტილია ყაზბეგისა და მას გასწორება არ ჭირდება. ეს ენა გამოწვეულია იმ ვნებებით, რომლებითაც იდაგებიან ყაზბეგის გმირები. ამ ვნებით იდაგებოდა თვითონ მათი შემოქმედიც. ხუთი წელიწადი იწვოდა იგი უშრეტი ცეცხლით, წერდა, ბეჭდავდა გადაუკითხავად, ისევ წერდა... თითქოს გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო; გრძნობდა, რომ ამ ცეცხლს იგი დიდხანს ვერ გაუძლებდა; ანდა ვინ იცის, იქნებ ამ შთაგონებამ შეარჩინა მას სული პირში? ვინ იცის, იქნებ უმისოდ იგი უფრო აღრე გათავდებოდა? ტყუილად როდი ეუბნებოდა იგი მწერალ მგალობლიშვილს:

— მეჩქარება, სოფრომ, მეჩქარება... ენას ჩემი გიგა გაასწორებსო.

ეს გიგა ქართული ენის ერთი უბადლო მცოდნეთაგანი, ილია ჭავჭავაძის თანამეკალმე გრიგოლ [illegible] იყო. როგორც სჩანს, იგი მის ენას [illegible]ბეთად ვერ შეეხებია და სწორადაც მოქცეულა. იგი მიმხვდარა, რომ ამ გასწორებით გასწორდებოდა ყაზბეგის სული და მით მისი შემოქმედება დაკარგავდა იმ მთრთოლვარებას, რომლითაც ის ეგრე გვაღელვებს. ყაზბეგი გრავიორი როდი იყო, შემოქმედი იყო. მისთვის უცხო იყო ფილიგრანული ჩხირკედელაობა და ამიტომაც გვგონია, რომ იგი თითქოს საჭრისით კი არა, წერაქვით თლიდა თავის გრანდიოზულ ქმნილებებს. იგი დიდი უშუალობითა და გულწრფელობით დაჯილდოებული მწერალია. ამიტომაც არ ეშინია მას არც ბუნების ვრცლად აღწერისა, არც ლირიკული გადახვევებისა და არც ბუნების ძალთა თითქოს ხელოვნურად მოხმარებისა. არ ეშინია იმიტომ, რომ არ შეიძლება ეშინოდეს. არ შეიძლება იმიტომ, რომ მისთვის ბუნება ისეთივე მოქმედი პერსონაა, როგორც მისივე გმირები. მისი შემოქმედების ჯადო სწორედ ამ მიზეზებით არის გამოწვეული და ამიტომ ეს ნაკლი კი არა, ღირსებაა მისი ნიჭისა. ამიტომაც ვეხვევით ჩვენ მის შემოქმედებითს ალმურში. განა ნაპრალებში ჩაჩეხილი მდინარე ზრუნავს იმისთვის, რომ წარმტაცად მდინარებდეს? განა ვეფხვი, როცა იგი შეჰკრავს კამარას, ზრუნავს იმისთვის, რომ მისი ნახტომი ლამაზი იყოს? ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ფანტაზიაც ასევე უშუალოა, დაუცხრომელი და თან მოულოდნელი. მისი გმირები მხოლოდ თავის შინაგანსა და ბუნებრივ იმპულსებს ექვემდებარებიან. მერე რა, რომ მისი ენა გაურანდავია. მერე რა, რომ მისი ზოგიერთი სუჟეტური პასაჟი მიამიტია და ხანდახან თავისივე გმირთა სახელები ეშლება. მერე რა, რომ მისი გმირი

ქალები თითქმის ერთმანეთს გვანან, ტუჩები ყველას მუდამ გაცრეცილი აქვთ, მისი ვაკაცები თითქმის ყველანი ერთგვარად იქცევიან. მისთვის, ვისაც ამას გარდა სხვა არაფერი არ გააჩნია, რა თქმა უნდა, ეს ცოდვა მომაკვდინებელია. ზოგიერთი თანამედროვე ესთეტიკოსი მწერლის შემოქმედება შემოქმედება კი არა, ჯამია ლიტერატურული ხერხებისა და მას, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არ ექნება ყაზბეგთან, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს მის შემოქმედებას. განა მკვდარს ადამიანის ყველა ნიშნები არ გააჩნია? ამგვარ ესთეტიკოს მწერალთა ნაწარმოები მორგია, სადაც გმირები კი არ მოქმედებენ, მკვდრები აწყვია. მათ შესანიშნავად იციან ანატომია, ამ მხრივ მათ არცერთი წვრილმანი არ გამოეპარებათ, მაგრამ ერთი რამ, ავიწყდებათ; მათ ქმნილებებს სული არ უდგას. ისევე, როგორც ანატომიას, ლიტერატურულ ხერხებს, მკვდარ ნაწარმოებზე სწავლობენ. შემოქმედს ისეთ ნაწარმოებთან, რომელიც მხოლოდ ანატომიის საგანს წარმოადგენს, საქმე არა აქვს. ალექსანდრე ყაზბეგმა ანატომია არ იცის და მას იგი არც იზიდავს. სიცოცხლეს იგი მოძრაობაში ეკრეტს და მას ადამიანურნი ვნებანი ამოძრავებენ. შემოქმედება ახალი სიცოცხლის, ახალი სამყაროს შექმნა ანუ გაჩენაა. და ეს ერთადერთი სასწაულია, რომლის ჩადენაც მხოლოდ რჩეულებს, მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, როგორიც ყაზბეგი იყო. განა ადამიანის გენიისაგან შექმნილ სასწაულს არ შეადგენენ ამირანი დონ-კიხოტი, ჰამლეტი? განა ისინი მუდამ ცოცხალნი არ არიან და მათ შემქმნელთ უკვდავი ამიტომაც არ ეწოდება? განა საუბრის დროს მათ ჩვენ ისევე არ მოვიგონებთ, როგორც ცოცხლებსა და უახლოეს ნაცნობ-მეგობრებს? განა ეს ნაწარმოებნი გაცილებით მეტ პირობითობასა და დაუჯერებელ მომენტებს არ შეიცავენ და მაინც ცოცხალნი არიან? ჩვენ არ გავაგრძელებთ სიტყვას იმ დაუჯერებელ და ხშირად დაუდევრობათა მაგალითების მოტანით. მოვიგონებთ მხოლოდ „დონ-კიხოტს“, — რომლის პირველი ტომი აღსავსეა მრავალი წინააუკმობით, რაც უსათუოდ მისი შემქმნელის დაუდევრობით არის გამოწვეული. „დონ-კიხოტის“ შემქმნელს ავიწყდება, რომ სანჩო პანსას ვირი რამდენიმე თავის წინ უიმედოდ არის დაკარგული და იგი რომანში კვლავ ჩნდება, გენიოს მწერალს — ავიწყდება აგრეთვე ისიც, რომ ამავე სანჩოს მეუღლეს პირველ ტომში ტერეზა პენსა ერქვა და მეორე ტომში ჟუანა გუტიერეცს უწოდებს. ცნობილია, რომ დიდებულ ლევ ტოლსტოის ერთერთი გმირი თორმეტ თვეს იყო ფეხმძიმედ, მაგრამ ამით „დონ-კიხოტს“ ან „ომსა და მშვიდობას“ რამე აკლდება? განა ასეთივე არ არის დიდი მიქელანჯელო თავისი ძალზე ჰიპერტროფირებული ქმნილებებით? ყაზბეგისათვის ეს „შეცდომები“ დამახასიათებელია, როგორც თავდავიწყებულ შემოქმედისათვის. ისმის საკითხი: რა აღელვებდა მას, რა აშფოთებდა, ან რა იტაცებდა ისე, რომ ყველაფერი ავიწყდებოდა. სანამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭირო იქნება მისი მსოფლშეგრძნების გარკვევა, რა მიმართულების, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, როგორი ტემპერამენტისა და ალქმის შემოქმედი იყო იგი. როგორც გიორგი წერეთლის განხილვა არ შეიძლება, როგორც რომანტიკოსი მწერლის, ისევე არ შეიძლება ყაზბეგის შეფასება, როგორც რეალისტისა. იგი რომანტიკოსია თავისი ბუნებით და მთელი მისი უიღბლობა და ზოგიერთი ჩვენი ეგრეთწოდებული კრიტიკოსის უმეცრება იმაში მდგომარეობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, დაგვიანებულ რომანტიკოსს, განიხილავდნენ, როგორც რეალისტ მწერალს. რეალიზმი იმთავითვე უარყოფს რომანტიზმს, მაგრამ რომანტიზმი როდი უარყოფს რეალიზმს და მთელი ის შეცდომები, რასაც ადგილი აქვს მისი შეფასებისას, სწორედ ამ მომენტიდან მომდინარეობენ. მისი ამაღლებული გმირები, ტუჩგაცრეცილი ნაზი გოგონები რომანტიკული ჭვრეტით არიან დანახულნი და ერთურთს იმიტომაც გვანან. აღსანიშნავია, რომ მას მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვს ისეთ რომანტიკოს პოეტთან, როგორიც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. განა მისი მარი „განკიცხულიდან“ ისევე არ გადაიხაფრება კლდიდან მდინარეში, როგორც ბარათაშვილის ქეთევანი ქსანში?

— „ლევან! — დაიძახა მარიამ წარმოუთქმელის მწუხარებით. — ლევან! — განმეორა მან. — ლევან! ლევან!—აიმაღლა ხმა და გაქანდა წყლისაკენ. — აგერ, ლევან, აგერ!.. სად მირბიხარ, დამიცადე. — ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც მიახლოვდა კლდეს და ერთბაშად შედგა.

— „...ის ჩაჰყურებდა კუპრსავით შავს მორევს და რაღაცას, თითქოს სატრფიალო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა...

— „მეშინია, არ მომეკარითო, არ მომეკ... — აქ მეტის ძალით გამოჰქროლა. ქალს ფეხი დაუცდა და კიდეც გადავარდა...

„წუთს შემდეგ მოუსვენარმა მდინარემ ჩაიხვია...“

აბა შეადარეთ ეს სტრიქონები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ქეთევანის“ დასასრულ ტაეპს:

ნეტა რა ქარმა დააზრო მისი სიცოცხლის ყვავილი?
მეც ამატირა მის ხვედრმა, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში.
ქეთევან შუა ქსანშია, მარად შეერთო ღელვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარის ზვირთებში“.

განა ბურსაჭირის აღწერა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „მოძღვარი“ არ მოგვაგონებს ხანას ნიკოლოზ ბარათაშვილისავე პოემიდან „ბედი ქართლისა“?

„ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს. ძნელად შესძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთით არ შედგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზედ და მეტის სიამოვნებით დაქანცული თავი წუთს თვალის მოტყუებას არ მისცეს“... („მოძღვარი“)

ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
ზობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს მშვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გაძოიღვიძებს, შუბლს განიგრილებს...
(„ბედი ქართლისა“)

ეს პარალელები ჩვენ აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ ისინი შემთხვევითნი არ არიან, ეს მოვლენა გამოწვეულია ამ ორი დიდი შემოქმედის სულიერი ნათესაობით.

იმის გარდა, რომ მის მოთხრობას საკვირველი პლასტიციზმი ახასიათებს, იგი კიდევ უფრო საკვირველი ოსტატია ექსპოზიციისა ანუ ამბის დაწყებისა. უნდა ითქვას, რომ ექსპოზიცია წინასწარვე განსაზღვრავს მდინარებას სუჟეტისა. ექსპოზიციის გადამწყვეტ მნიშვნელობას ლევ ტოლსტოის ერთი ბიოგრაფიული ფაქტიც ამტკიცებს. მან არ იცოდა როგორ დაეწყო რომანი „ანა კარენინა“ და ერთხელ როცა პუშკინის ცნობილი პოემა გადაიკითხა, რომელიც ასე იწყებოდა: „სტუმრებმა თავი აგარაკზე მოიყარეს“, ტოლსტოიმ თქვა: „აი როგორ უნდა მოთხრობის დაწყება. პუშკინი ჩვენი მასწავლებელია. მას ერთბაშად შეჰყავს მკითხველი მოქმედების ინტერესში“.

მსოფლიო ლიტერატურაში, გარდა ტოლსტოისა არ არის მწერალი, რომე-

ლიც ისე წარმტაცად იწყებდეს თავის მოთხრობებს, როგორც ყაზბეგი. აბა მოიგონეთ „ელგუჯა“ ნაბადში გახვეული ვიღაც ტყვე ქალით, რომელიც მზაღო აღმოჩნდება; მოიგონეთ „მოძღვარი“, რომლის დასაწყისშიც საზაფხულო საძოვრები ხალხისაგან ცარიელდება და მაყვალა ზამთარში ულუკმაპუროდ, მიუსაფრად რჩება; მოიგონეთ „მამის მკვლელის“ უცნობი გლახა თავისი ფანდურით; „ხევისბერი გოჩას“ დასაწყისი ქორწილით, „ელისო“, გაუბედურებული ხალხის შემზარავი გოდებით, „ციცია“ მისი მოულოდნელი მოტაცებით. ალექსანდრე ყაზბეგს ერთბაშად შევყავართ სუქეტურ მოქმედებაში და მერე მას ველარ ვწყდებით, მისი ტყვე ვართ. მან ასევე წარმტაცი გაგრძელება იცოდა თავისი ბრწყინვალედ დაწყებული თხრობისა, იცოდა გასაკვირველი ხატვა და ხასიათების თანმიმდევრული გაშლა; იგი დიდი ოსტატი იყო ექსპოზიციაშივე წინასწარ განპირობებული ბუნებრივი კოლიზიების შექმნისა და სუქეტის თავბრუდამხვევი სისწრაფითა და თან ძალდაუტანებელი განვითარებისა. მისი გმირები მოთხრობაში გადიან და შემოდიან არა ისე, როგორც ეს ავტორს მოეპრიანება, არაშედ, როგორც ეს გმირებს სურთ, რადგან მათ მოქმედებას ავტორის მიერ შიგნებული სუქეტური კანონზომიერება განსაზღვრავს. ყაზბეგი ამას გარდა ოსტატია ამბის ისეთი უეცარი შეტრიალებისა, როცა გგონია, თხრობის ძაფი თითქოს გაწყდა, მაგრამ არა, იგი როდი წყდება, პირიქით, კიდევ უფრო ღრმავდება და გმირები თვალწინ ახალი რაკურსით წარმოგვიდგებიან. ამ მხრივ მისი მოთხრობები სიმფონიის შთაბეჭდილებას ახდენენ. მთავარი ლეიტმოტივი, რომელიც მან იმთავითვე დასახა, ხან იშლება, იფანტება ისე, თითქოს იბნევა, ხან თავს ისე იყრის და ჯადოსნური შეხმატკბილებით მისდევს ამბავს. ბოლოს, როცა სუქეტის ძაბვა უმაღლეს წერტილს აღწევს, ეს სიმფონია მოულოდნელი აკორდით სრულდება, წერტილი ისმება. უნდა ითქვას, რომ მწერლობის ერთ უდიდეს საიდუმლოებას წერტილის დასმის ცოდნა შეადგენს. ეს წერტილი თუ დროზე არ იქმნა დასმული და თხრობა გაჭიანურდა, მკითხველს აბრაზებს იგი და მით მთელი შთაბეჭდილება, რომელსაც ავტორმა უკვე მიაღწია, იკარგება, — მოთხრობა ფუჭდება. ამიტომ დაყოვნებას ჯობია, რომ იგი ადრე დაისვას. ამ შემთხვევაში მკითხველს, მართალია, ამბის დაუმთავრებლობის შთაბეჭდილება რჩება, მაგრამ გაჭიანურებულ დასასრულს იგი მაინც იმითი სჯობს, რომ აგზნებული მკითხველი თვითონ ცდილობს ამ დასასრულის პოვნას. და მით იგი შემოქმედების თანაზიარი ხდება, აქტივობა არ ეკარგება. ალექსანდრე ყაზბეგი ოსტატი იყო ამბის დასრულებისა. იგი მუდამ დროზე სვამდა ამ წერტილს და ამიტომაც არის, რომ მისი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ერთგვარ შვებას გრძნობ, თითქოს სული დიდი შემოქმედისა ირგვლივ საოცნებო რამ ნისლივით ისევ გებურება. თუ ალექსანდრე ყაზბეგი ოსტატია ამბის დაწყებისა და დასრულებისა, იგი არა ნაკლები ოსტატია მისი განვითარებისა. ალექსანდრე ყაზბეგი ენდობა თავის გმირებს, ენდობა მათ მოქმედებას და ამიტომ იგი მათ ზოგიერთი ავტორივით ყურით კი არ მიათრევს იქით, საითაც მას უნდა, თვითონ მიჰყვება და მათი საქციელი ხშირად თვითონ მასვე აკვირვებს. ასევე უკვირდა ტოლსტოის, როცა მისი ნატაშა როსტოვა „ომსა და მშვიდობაში“ ცოლად ანდრეი ბოლკონსკის მაგიერ პიერ ბეზუხოვს გაჰყვა. ზოგიერთი ჩვენი მწერლის ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოთხ-

რობა საინჟინრო პროექტსა გავს და ყველაფერი წინასწარვე იციან. ეს რომ არ იცოდნენ, მაშინ მათი უსუქეტო და უსიცოცხლო გმირები უგზოუკვლოდ დაიწყებდნენ ბორიალს მოთხრობაში. ამგვარ წერასთან შემოქმედებას საერთო არა აქვს რა, რადგან იგი სამყაროა აბსტრაქციებისა, ცნებებისა და არა კონკრეტულობისა, ცოცხალ სახეებისა.

ალექსანდრე ყაზბეგს, პირიქით სძაგს ყოველგვარი აბსტრაქცია. სიცოცხლის მომხიბლავობას იგი ჰპოვებს არა რიტორიკასა და სქემებში, არამედ ადამიანის ვნებებსა და იმპულსებში. იგი იმ ზეაღმტაც გრძნობით არის შეპყრობილი, რომელიც მხოლოდ მიწიერი სიცოცხლის პრიმატს აღიარებს, სიყვარულს უმღერს, სიყვარულს მაღალსა და ამასთანავე ხორციელს და ეს ხორციელობა მას უაღრეს სიწმინდედ მიუჩნევია. ამ გრძნობით დაუპირისპირდა იგი ქრისტიანულ ღმერთს, როგორც აბსტრაქციას, მთის ორწოხებში, სადაც მოძღვარ ონოფრეს თავის სალოცავი გაუმართავს. ცხოვრებით დაქანცულსა და უიღბლო სიყვარულით გაწამებულ მაყვალას ამ ქართულ გრაალში თავი მყუდროდ შეუფარებია და სიმშვიდე მოუპოებია.

ყაზბეგს სძაგს მოძღვრის ეს მყუდრო სამყოფელი, რომელიც არსებითად უარყოფაა სიცოცხლისა. მისი გმირები მხოლოდ თავის ალალ გულისთქმას ემონებიან, გულისთქმას, რომელიც ისე მძლავრია, რომ თვითონვე ვეღარ ერევიან. ეს გულისთქმა, ისევე ძალუმია, როგორც ახალგაზრდა ხე, რომელიც პიტალო კლდეზე ამოსულა და ტანი ფესვებით გაუხეთქია, ისევე გარდუვალია, როგორც ხარლაღი, რომელიც მყვირალობის ჟამს ფურს ვნებიანი ბღავილით მოუწოდებს. ეს გულისთქმა კანონია სიცოცხლისა და, თუ გინდა, რომ ცოცხალი იყო, კიდევაც უნდა ემონებოდე მის კანონებს. ალექსანდრე ყაზბეგი მეველ თავისი შემოქმედებითი პოტენციით ქადაგებს და უაღრესობას სიცოცხლისა.

— „ქალაუ! ორნივ ვიტანჯეთ, ვეწვალეთ და ვერ დავივიწყეთ ერთურთი... ერთურთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანეთი... ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებით... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, ღვთის მადლმა, რომ გულიდან ამომეღე, შენი სიყვარული ფესვიანად ამომეგლიჯა, შენი სახე ცხელის რკინით ამომებუგა გულიდან, მაგრამ დავდნი, დავილიე და აჰა, მაინც შენთან მხედავ.

„...ქალი სდნებოდა და ზედ ეგლისებოდა, უხმოთ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

„ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩახედა თვალებში და წყნარად თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— „ქალაუ!.. ჩემო ყველავ!..

„...მაყვალამ იგრძნო რაღაც სითბოება სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში ძოიშალა, გონება დაებნა და უხილავი ძალის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წნელსავით გადმოიგრიხა და ორივე ხელი ყელზე მაგრად გველსავით შემოაჭდო. პასუხად აგზნებული, ხანგრძლივი კოცნა გაისმა.

— „მაყვალაუ! — თავბრუს დახვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, ძალზე მიიკრა გულთან და დაოსებულს გიესავით კოცნა დაუწყო...“

(„მოძღვარი“).

მათ თავისი ნებით როდი უყვართ ერთურთი. პირიქით, არც შეყრა და არც განშორება მათ ხელთ არ არის. სიყვარული მათთვის ბედისწერაა და, როგორც თვითონვე ამბობენ, ბედის განაჩენს ვეღარსად გაურბიან. ასეთია ეს „უხილავი ძალა“, ძალა სიყვარულისა, რომელიც აკვნესებს ყაზბეგის გმირებს, აოსებს მათ და გონს უკარგავს. ადამიანის ნება-სურვილი აქ იმთავითვე მოხსნილია. ამ მხრივ ისინი ღვიძლი ძმანი არიან შოთა რუსთაველის ტარიელისა, რომელსაც სიყვა-

რული ბედისწერასავით დასჯახებია და ლომივით ვაქკაცს ქალივით ატირებს. განა ასეთივე მონა არ არის სიყვარულისა თუნდაც ლეკი ასლან გირეი, ან სულთი,რომელნიც თავზარს სცემდნენ ყველას თავისი გაბედული თავდასხმებით? ასლან გირეი, — ეს ლაღი შვილი ამაყი მთებისა სიყვარულს ისე დაუბეჩავებია, რომ მართლაც ვერხვის ფოთოლივით ცახცახებს, ელაციცება, თვალებში მუდარით შესცქერის თავს გულისმკვლელს, — ელეონორას.

....ქალი შეკრთა და ქვეშსაგებში სწორედ იმ დროს წამოჯდა, როდესაც კარები შემოიღო და იქავ ვიღაც კაცი გაქვავებულივით გაჩერდა.

— „ასლან გირეი! — შეშინებით წამოიძახა ელეონორამ და წარბები სიბრაზით შეკმუხნა.

— „მომიტევე! მაპატივე! — მღელვარებით, თუმცა ზრდილობიანად წარმოსთქვა ლეკმა და ერთი ნაბიჯი გადადგა.

— „არ გაბედო! — მკაცრად და ბრძანებით შესძახა ქალმა და კაციც გაშეშდა. — უბედურო, ვინ მოგცა ეგ უფლება?

— „სიყვარულმა! — მოისმა წყნარად და ნიავსავით მთრთოლვარედ“.

(ელეონორა)

„უბედური“ ასლან გირეიც „უხილავი ძალის გავლენის ქვეშ“ იმყოფებოდა და იგი ამ ძალით იყო დაბრმავებული. საკმაო იყო შეჰკითხებოდნენ, თუ ვინ მისცა მას ეს უფლება, რომ მხოლოდ მაშინ შეეგნო მთელი თავისი უბედურება და „ნიავსავით მთრთოლვარედ“ მიეგო: სიყვარულმაო. ეს გრძნობა ყაზბეგის გმირთათვის ისეთივე უბედურებაა, როგორც სტიქიონური უბედურება, — მიწისძვრა ანდა ხანძარი. და განა ცეცხლს ეკითხებიან რათა სწვავო? განა ელეონორას გული სიყვარულითვე არ იყო აღძრული ასლან გირეისადმი? მაგრამ იგი როდი დაჰყვა თავის გრძნობას. მან „წაჰბილწა “იგი პატივმოყვარეობით, თავმოყვარეობით. სხვათა ტრფიალებითა და თავისი უკარებლობით გალაღებული ქალი ვერ ურიგდებოდა აზრს, — ემის მაგიერ, რომ მხოლოდ ის ყოფილიყო საგანი ტრფიალებისა, თურმე მასაც უყვარდა! და მან უარჰყო ეს წმინდა გრძნობა. სიყვარული თავისივე თავის მსხვერპლად მიტანაა. ელეონორამ ეს ვერ შესძლო და აკი სასტიკად დაისაჯა. შელახულ თავმოყვარეობით გაბოროტებულმა და გამედიდურებულმა ქალმა ხორცით მახინჯს, მაგრამ სულით მაღალ ლევან კრეჭიაშვილს „დაუთმო“ თავისი თავი, მაგრამ ასეთი „სიყვარული ყველასაგან აბუჩად აგდებულმა კაცმაც იუკადრისა. ელეონორა დაისაჯა, რადგან იგი არ აჰყვა თავის ნამდვილ გულისთქმას და ეს წმინდა გრძნობა, გრძნობა სიცოცხლისა ცრუ თავმოყვარეობის გრძნობით შერყვნა.

ალექსანდრე ყაზბეგი მაღმერთებელია ბუნებისა და მისი ძალის, სიყვარულისა. ალექსანდრე ყაზბეგი იმ გმირებს ეტრფის, რომელთაც ეს ბუნებრივი უშუალობა დაბადებითგანვე თან დაჰყოლიათ; იგი იტანჯება მათთან ერთად. ახარებს მათი სიხარული. აკი ამიტომაც ედება ცეცხლი მის ყოველ სტრიქონს, გიზგიზებს ყოველი მისი სიტყვა და მთელ საქართველოში, აფხაზეთიდან საინგილომდე, სვანეთიდან მესხეთამდე,—მშობლიურად გაისმის ბურსაჭირისა და კაიშაურის, სნოსა და გუდამაყრის, მზაღოსა და ელბერდის, ციციასა და ელგუჯას, მაყვალასა და სულთის სახელები. მთელ საქართველოში მშობლიურად გაისმის ყაზბეგამდე უცნაური: ჩემო ყველაუ! ქალაუ! ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა, და სხვ.

ყაზბეგი თითქოს ქადაგად არის დაცემული. ცრემლად იღვრება, გულს სისხლი ეკვლება, როცა თავის განუზომელ ტკივილს გადმოგვცემს, ტკივილს გამოწვეულს მისგანვე შექმნილ გმირ-

თა დუხჭირი ბედის თანაზიარებით. იგი ახალი ავთანდილია, ფიცვერცხლნაჭამი ძმობილია თავისივე გმირებისა და მას, როგორც დიდ რომანტიკოსსა და ტრფიალების პათეტიურ მომღერალს არ შეეძლო რუსთაველურად არ განეცადა მათი ამბავი. ვიმეორებთ, — შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი მწერალი ისე ღრმად და შემოქმედებითად არ გამსჭვალულა რუსთაველის გენიით, როგორც ყაზბეგი. მას მეტაფორებიც კი მოაქვს ამ უკვდავი პოეტისა. ონისეს გაჭრა ტყე-ველად განა ტარიელის გაჭრას არ მოგვაგონებს, ხოლო მათიასა და სულთის მეგობრობა და პატივისცემა ქალის მანდილისადმი ხომ იგივე ძმადშეფიცულობაა ავთანდილ — ფრიდონისა ტარიელთან? ისევე, როგორც განრისხებულმა ტარიელმა ვეფხვი მოჰკლა, გაგულისებულმა ბეჟიამ არწივი გამოასალმა წუთისოფელს. განა ქალისადმი პატივისცემა რუსთაველური პათოსით არ არის ამაღლებული ალექსანდრე ყაზბეგის, თუ შესაძლოა ასე ითქვას, კურტუაზულ რომანებში? განა მისნი მიჯნურნი ისევე არ იტანჯებიან, სტირიან, როგორც ავთანდილ — ტარიელი? განა ყაზბეგის გმირებს რუსთაველის რაინდებივით ერთის ნახვითვე არ განეწონებათ ხოლმე გული სიყვარულით და იქვე იბნიდებიან?

ეს მოტივები სრულიადაც არ არის ირანული. თუ ჩვენი მთის შეულახველ ადათებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ეს ჰანგები თურმე ღრმად ქართული და უაღრესად ეროვნული ყოფილა. ამიტომაც მიიღო ქართველმა ხალხმა ასეთი სიყვარულით დიდი შოთას სახელი, ამიტომაც იყო შოთას გენია ხალხური. ალექსანდრე ყაზბეგი ამ წყაროს ხარბად დაეწაფა, შეიწოვა თავისი ხალხის გენია, რომელსაც იგი მისდა უნებლიედ რუსთაველთან მიეუვანა.

განა ონისეს გამუდმებული ოხვრა-ტირილი ტარიელის სულთქმა-ოხვრას არ მოგვაგონებს? როგორც ერთისა, ისევე მეორის გმირული აღნაგობა და ქალური ცრემლები, მართლაც რომ ძნიად შესათავსებელი რამ არიან ჩვენს წარმოდგენაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსთაველისა და ყაზბეგის სიყვარული დიდ რომანტიულობასთან ერთად დიდად ჰუმანისტური ელფერით მოსილი გრძნობაა და, მაშასადამე, უაღრესად ხორციელი, მაშინ მათი ცრემლებიც საკვირველი აღარ იქნება. მათი სიყვარული პირდაპირ პროპორციულია მათივე ხორციელი აღნაგობისა. ტარიელისა და ონისესათვის სიყვარული ფატუმია, ბედისწერაა, ხოლო უიმედო ტრფობა მათთვის უიმედო სიცოცხლესა და დაღუპვას უდრის. ამიტომაც სტირიან ისინი ასეთის გულამოსკვნით, ამიტომაც მოსთქვამენ ისინი თავის შავ ბედს. რამდენადაც კდემამოსილნი და ჯანსავსენი იყვნენ ისინი, იმდენადვე ჯანიერი და მწვავე იყო მათი სიყვარული და, თუ ბედი არ უმართლებდა, რა ექნათ? ისინი ერთხელ დაიბადნენ, რომ ერთხელ ჰყვარებოდათ და, თუ ეს მათი ერთადი სიყვარული უიღბლო გამოდგებოდა, რაღა აზრი ჰქონდა მათ სიცოცხლეს? აი ამიტომაც იღუპებოდნენ, იმუსრებოდნენ კიდევაც ისინი და თავის დაღუპვას წინასწარვე შავის ცრემლით დასტიროდნენ.

ყაზბეგი რომანტიკოსია, ხოლო რუსთაველი, მიუხედავად მისი სუჟეტის ზღაპრულობისა, რეალისტი არის ერთი დიდი განსხვავებაც რომელიც მათ ძირეულად აშორებს ერთურთს. რუსთაველის გმირნი უმთავრესად პირმშონი არიან წრისა და არა ბუნებისა, ხოლო ყაზბეგისა—შვილნი არიან ბუნებისა და არა წრისა. რუსთაველის ბუნება უფრო მონადირეთა ველური ასპარეზია, ხოლო ყაზბეგის ბუნება

ვეცხვარეთა განმარტოების ადგილსამყოფელი. რუსთაველის ბუნებისა და წრის შორის არ არსებობს არავითარი უფსკრული. „ვეფხის ტყაოსნის“ გმირნი განმარტოების შემდეგ თავისუფლად, დაუბრკოლებლივ უბრუნდებიან თავის წრეს, ხოლო ყაზბეგის გმირნი დევნილნი არიან, იძულებით არიან გაეულნი ტყე-ველად და მათ წრისაგან ჩაქოლვა მოელით. მიუხედავად რუსულ და სკანდინავურ ლიტერატურათა დიდი პეიზაჟური ტრადიციებისა იშვიათად, რომ სადმე მოიპოვებოდეს ისეთი მესაიდუმლე ბუნებისა, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგია; იშვიათად, რომ ვინმე ასე ღრმად განიცდიდეს კონტაქტს ადამიანსა და ბუნებას შორის. ყაზბეგის ეს ინტიმური ბუნება შემდეგ ვაჟამ მითოლოგიურ-კოსმოგონიური სიღრმით გაიზიარა.. ყაზბეგისათვის ბუნება პერსონიფიცირებულია, იგი ადამიანივით გრძნობიერია და ცოცხალი.

„მზემ წვერი ამოჰყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰფინა ოქროსფერად. აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება მოღიმარს მნათობს. ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძლეოდა თავისუფალ მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი და, ღამის გაღორძინებულნი, სწრაფად გაცხოველდნენ, რათა უმანკო სურნელით ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექცეოთ თავიანთი ნაზი სახე. გაუმაძღარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებ შუა, რათა თვალი შეეკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ცის ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და უალერსებდა ერთმანეთის მოარშიყე ბუნების ქმნილებათ. მოუსვენარი ფუტკარი, გამოსული დილის სამეშაოზედ, არ კმაყოფილდებოდა ერთის ადგილით, იმას იზიდავდა სხვადასხვა სურნელები თავიანთის სიკეკლუცით და სინაზით, რომელნიც ათასფერად შეზამებულიყვნენ.

„ერთბაშად ამ საერთო გარმონიას შეუერთდა ხმელი წიწვების მტვრევის ხმა; ამკარადა სჩანდა, რომ რადაცა სულდგმული გამოსულიყო ამ ადგილებში, — უთუოდ იმასაც უნდოდა დამტკბარიყო ბუნების საერთო მოწყობილს მშვენიერებით. ამისთვის იზრუნა ბუნებამ, ამისთვის ეცადა, ამისთვის შეამკო დედამიწა, რომ სულდგმულთ ყოველივე ნეტარებით ისიამოვნონ, ისარგებლონ“.

ბუნებრივია, თუ ბუნების ასეთი გატაცებული ტრფიალება ძალაუნებურად მოგვაგონებს ბუნებისავე მეორე დიდ ტრფიალს ვაჟა-ფშაველას. თუ ალექსანდრე ყაზბეგის ბუნება დიდის თანაგრძნობით არის გამსჭვალული ადამიანისა და, საერთოდ, ყოველგვარ სულდგმულისადმი, ვაჟას ბუნება თვით არის სულდგმული. ყაზბეგის ბუნება გრძნობიერია, ხოლო ვაჟასი საზრისიანი. ყაზბეგის ბუნება უშუალოა, გულგახსნილია, ვაჟასი — პირქუშია და მუდამ გააზრებული რაიმე ატავისტურად, ქვეცნობიერად მოღწეულ ხალხურ დიადი მითოსით. ყაზბეგის ბუნება ღრმად ადამიანურია და გააზრებული ეტნოგრაფიზმითა და ეროსით, ხშირად იგი ადამიანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას მეტყველების უნარი არ გააჩნია. ვაჟა-ფშაველას ბუნება ბუმბერაზულია და გაარსებული ფოლკლორითა და მითოლოგიით. იქ სინაზეა და სიამე, აქ სიკუშტე და გუგუნი მთათა მუზარადებისა; იქ სურნელება და ნაზი ჩურჩული ზეფირისა, აქ სისხლის ღვრა და ჩხერა ფარხმლისა. ვაჟას ბუნება იდეათა აღმძვრელი სამყაროა, ყაზბეგისა გრძნობათა აღმძვრელია. ვაჟას ბუნება ადამიანს აფიქრებს, ხშირად აშინებს კიდევაც, ყაზბეგისა აღტაცებას იწვევს; ყაზბეგისათვის ადამიანი ისეთივე ნაწილია ორგანიული ბუნებისა, როგორც ბალახი, ნადირი ან ფრინველი. ვაჟა-ფშაველასათვის ადამიანი

ნაწილია არაორგანიული ბუნებისა, იგი მთაა, ნიაღვარია. ალექსანდრე ყაზბეგისათვის ბუნება თვით სიცოცხლეა და ყოველივე, რაც სიცოცხლის ნიშანწყალს ატარებს მას განუსაზღვრელად იტაცებს და ახარებს. ალექსანდრე ყაზბეგი არ განასხვავებს ბუნებისაგან არამც თუ ადამიანს, არამედ თვით მის შინა-ბუნებასაც. ბუნებისაგან მოწყვეტა სიმახინჯეა, სიკვდილია. ბუნებისაგან მოწყვეტილი ადამიანი დაუსჯელად ვერასოდეს ვერ გადარჩება, იგი უსათუოდ დაიღუპება. ეს სიმწარე მან თავის თავზე განიცადა. თითონ, — მთის ლაღი შვილი, გუვერნიორებისა და შემდეგ მოსკოვის ბომონდის წყალობით მოწყვეტილ ბუნების ყვავილი თავის პირველ წიაღს ვერაფრით ვერ დაუბრუნდა. მოსკოვიდან დაბრუნებული ალექსანდრე ყაზბეგი მთამ აღარ შეიგუა. რა არ სცადა მან, მწყემსობასაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ მაინც არა გამოუვიდა რა. იგი გარიყულად დარჩა. სხვა რა გზა იყო. იგი კვლავ გაექცა ბუნებას და ახლა ბოგემად იქცა. თავისი დაკარგული უმანკოება, თავისი დაღუპული თანაზიარება ბუნებასთან თავისივე რომანებში დაიტირა. მისი გულის მესაიდუმლე მხოლოდ ჟაკო მაიმუნი იყო, ცხოველი, რომელიც აღარც მხეცსა ჰგავდა და აღარც ადამიანს, ასევე მკაცრად დაისაჯა ბუნების პირმშო მაყვალაც, როდესაც იგი ცხოვრებისა და ადამიანურ ვნებათაგან განდგომილ მოძღვარს ონოფრეს შეეხიზნა და მისნი წმინდა საქმენი გაიზიარა და მით თავის შინაბუნებასა და ბუნებრივს ალღოს უღალატა. ეს ღალატი მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, რადგან მან, ადამიანმა, უარჰყო, თითქოს დავიწყებას მისცა თავისი ადამიანური გრძნობები, მოატყუა თავისი თავი და მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება არჩია მოძღვრის უვნებო და ცივ სამყოფელში. მან, სიყვარულისა და ხორციელი ტკბობისათვის დაბადებულმა, საყვარელ არსებისადმი გრძნობა მოყვასისადმი თანაგრძნობაში გასცვალა და მით დასწიხლა კანონი სიცოცხლისა. მან, სიყვარულისათვის გაჩენილმა, ვერ შესძლო თავისი უფლებისათვის ბრძოლა, ასპარეზი დასტოვა, უღალატა თავის თავს და დაიღუპა კიდევაც.

„მაყვალამ შეახვია ცეცხლი, გაიხადა ტანთა და ის იყო ხელი აიღო, პირჯვარი უნდოდა გადაეწერა, როდესაც გაუნძრევლად გაშეშებული დარჩა.

„ძას მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვაო, მაგრამ მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწუნარებით წარმოსთქვა:

— „ტიალი, რა ღამეა?! ღმერთმა ქნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს!

„გადაიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაიღო.

„...მაყვალა დიდიხანია ქვეყნისთვის მკვდარი იყო. განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისათვის აღარ ეცალა.

„ამ ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარეყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი და, ხორცის მკვლელი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

„მაშ რაღა უნდოდა?..

„არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რაღასაცა და ეს მოლოდინი არ იყო გულის ნაზად მრხეველი, მისი დამყვავებელი და ნეტარების მქადნელი.

„ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლევდა, უსიამოვნებას აღუძრავდა და, გამოურკვევლობაში ჩავარდნილს, რაღაცა უბედურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა.

„მაყვალა უძლური შექმნილიყო სულით; მაგრამ კიდევ მოისმა კარების მოწოლის ხმა. გაჩუმდა... არავინ არის... ამოისუნთქა მაგრად და ძალად გამოიწვია ის, ვინც ისე გაჰშორებოდა.

„წუთს შემდეგ ქალი დაწყნარებით სუნთქავდა.

„...დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მაღლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევინებდა. ხანდისხან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამედგრებული გამოქვაბულის კარს მოაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოშმუხვნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელავდა და ანათებდა წარსულს ავდრით მოოხრებულს მიდამოს.

„...ერთბაშად იელა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და იქავ კლდეს მოჰკუნჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუვარდა. მის ძალას, თუ სხვას რომელსამე შემთხვევას, ვეღარ გაუძლო კარებმა, გაიღო და, აქამდის შეუმჩნეველი ნაბდიანი განქრა. მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა, თუ ფრთოვანს მავნედ გადაქცეული ქარს გაჰყვა, — კაცი ვერ იტყოდა.

„ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ ისევ გამძვინვარებული ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანი და მას შეუერთდა კივილი ღონემიხდილი ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ჟრიალით და, ვინ იცის, საით გადაქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია“...

ძნელად რომ მკითხველმა გაარჩიოს თუ ვინ მოქმედებს ამ შესანიშნავ ეპიზოდში, — ქარი, ბუნება თუ ადამიანი. ისინი სამნივ ერთარსებად ქცეულან და ხორცით დაოსებულ, მაგრამ სულით მძლავრი ქალის წინააღმდეგ მთელის ძალით ამხედრებულან. მათ სადანასისხლო ბრძოლა გამოუცხადებიათ მაყვალასათვის, რომელმაც სულის სახელით მოჰკლა ხორცი და მით ბუნებას უღალატა. მაყვალას სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ღალატი. ასევე ძვირად დაუჯდა ელეონორას თავის ბუნებრივ გრძნობათა ღალატი, რადგან, ყაზბეგის ცნებით, სიყვარული მარად მართალი, მარად ალალი უნდა იყოს. იგი მუდამ უანგარო უნდა იყოს, რადგან უანგაროა არა მხოლოდ ბუნება, არამედ მისი პირმშოც, — ჭეშმარიტი ბუნება ჭეშმარიტი ადამიანისა.

განა ამ ძალუმმა მისწრაფებამ სიცოცხლისადმი, ციციასადმი არ ააკვნესა ასე მტკივნეულად უბირი სულთი?

— „რაი ვქნა, რა ჩემი ბრალია? რაისთვი ხარ ეგეთი ლამაზი?

„ციცია უყურებდა გაშტერებული, სიბრალულით. ისა ხედავდა გაშმაგებულ ლომს, რომელსაც მძვინვარება ვერ შეეყენებინა, ვერ დაემორჩილებინა.

— „რაი გიყო, რაი ვქნა?—ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციამ“.

ციცია ხელებს იმიტომ იმტვრევდა, რომ იცოდა სულთი მართალი იყო; იგი ალალი იყო, რადგან თავდავიწყებით უყვარდა ციცია და მისი დაფარვა აღარ შეეძლო. და თუ უყვარდა, რა ექნა ვაჟკაცს? ეს ხომ უბედურება იყო, უბედურება, რადგანაც ციცია მას თანაგრძნობას ვერ გაუწევდა, — მას სხვა უყვარდა. ასეთ პირობებში სულთი განწირული იყო. ასეთ ვაჟკაცებს მხოლოდ ერთხელ უყვართ და ეს სიყვარული, თუ უიღბლო გამოდგა, ისინი იღუპებიან. ციციას ამიტომ ეგრალებოდა სულთი, მაგრამ რა ექნა, როცა მას თავისი ბეჟია ყავდა და მისთვის სიცოცხლე არა შურდა? განა მაყვალას არ უყვარდა თავისი ონისე? მაგრამ მან ძალა დაატანა თავის თავს, დააზრო თავისი სიყვარული ისევე, როგორც ელეონორამ და ნამდვილი ბუნებრივი გრძნობის ჩახშობა მოისურვა. ხომ არ შეიძლება საკუთარი ზრდის სიკვდილს გარეშე შეჩერება? მაყვალამ და ელეონორამ ამ ზრდის შეჩერება მოისურვეს, ზრდისა, რომელიც ზვავივით მოშვავებულიყო და ამ ზვავს ქვეშ თვითონვე მოექცნენ. თუ მაყვალამ თავისი გრძნობა ღვთის სამსახურს ანაცვალა, ელეონორამ იგი თავისივე ცრუ თავმოყვარეობას შესწირა. მაყვალამ უღალატა იმას, ვინც თავის „ნამუსზედ მეტად უყვარდა“,

რადგან ნამუსი ისეთი ქმრისადმი ერთგულება კი არ არის, რომელიც არ გიყვარს, ნამუსი ის არის, — ეკუთვნოდე იმას, ვინც მართლა გიყვარს. მაყვალამ სწორედ ეს ნამუსი შელახა, მან ყველაფერი უარჰყო და ღმერთს შესწირა თავისი თავი, მის სამყოფელში იწყო ძიება დაქანცული სულის მყუდროებისა, მაგრამ ქარიშხალმა აქაც მოაგნო და წალეკა იგი. ერთი პირობა, თითქოს იგი მართლაც დამშვიდდა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო. იგი „დამშვიდდა“ იმ დროს, როდესაც ონისე რამინივით შეიშალა მისდამი ამაო ტრფობით, როდესაც იგი ტყეველად იყო გაჭრილი და ბუნებაში ჰპოვებდა ნუგეშსა და იმედს და ბუნებავე მოუწოდებდა მას სიყვარულისაკენ.

„ათასში ერთხელ ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ვერავინ დაუახლოვდებოდა“, — ამბობს ყაზბეგი.

ასე დაუპირისპირდნენ ერთურთს ონისესა და მაყვალას სახით ბუნება და ქრისტიანული ღმერთი, ონისეს სიყვარული და სულის მოძღვარი, ვნებათა ქარიშხალი და მონაზვნის მყუდროება.

„წუთის დასუსტების შემდეგ ონისე ამაყად, თავაღებულად წამოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა:

— „მაყვალაი მიყვარს და ჩემი უნდა იქმნას! — და ამ სიტყვებში სჩანდა წარმოთქმული ძალა, შეუყენებელი და შეუდრეკელი“.

და აი იმ საშინელ ბობოქარ ღამეს ეს ძალა დაიძრა მოძღვრის სათნოებით აღსავსე სამყაროს წინააღმდეგ. მაყვალამ ვერ შესძლო ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, იმ ბუნების წინააღმდეგ, რომელმაც იგი ონისესავით სასიკვდილოდ გაიმეტა და თან ცრემლი ნაკადულად ღააყარა, ხოლო ქარშა მგლოვიარის გოდებით დაიზუზუნა. ეს ქარიშხალი, რომელიც ონისეს თან ახლავს, თვით მაყვალას სულში აღძრული ქარიშხალია, ბუნებასთან შეკავშირებული ონისე მთელი თავისი სტიქიონური ძალით აღიმართა მოძღვრის მყუდრო სამყოფელის წინააღმდეგ და შიგ შეფარებულ მაყვალასთან ერთად გააცამტვერა იგი. ონისემ თავისი ხელით შემუსრა თავისივე უსაყვარლესი არსება, დააქცია ტაძარი ცოდვისა, ქცეული სათნოების სამყოფელად; გაანადგურა იგი, რადგან მან უღალატა არა მხოლოდ ონისეს, არამედ თვით თავის თავსა და თავისივე ალალ გრძნობებს. ამ ბრძოლაში გამარჯვება ბუნებას დარჩა, სიცოცხლეს დარჩა. მერე რა, რომ ეს გამარჯვება ბუნებისავე სიკვდილით დასრულდა. განა ბუნება მუდმივი ქცევა არ არის, მუდმივი კვდომა და კვლავ აღორძინება სიცოცხლისა?

ელგუჯა, ხევისბერი გოჩა, ანზორ ჩერბიჟი, იაგო, ლევან კრეჭიაშვილი, ჯაჯალა ვინ მოთვლის მათ, — სამშობლოსათვის თავდადებულნი გმირნი იყვნენ. მათ უყვარდათ სიცოცხლე, სძაგდათ დუშმანი, იმიტომ, რომ შვილნი იყვნენ თავისი ქვეყნისა. სიყვარულის გრძნობა მათთვის შემმუსვრელი იყო ყველა გრძნობებისა მაგრამ გრძნობა მამულისადმი სიყვარულისა კიდევ უფრო მძლავრი გრძნობა იყო. ეროვნული უბედურება მათთვის პიროვნულ უბედურებას უდრიდა.

საყურადღებოა, რომ მისი გმირები ხალხის, მშრომელი გლეხობის წარმომადგენელნი არიან. ლევან კრეჭიაშვილი ერთი უბრალო აზნაურია და რა მაღალი სჩანს იგი ზნეობრივად არა მხოლოდ ელეონორას წინაშე, რომელიც მას ეგეთის თავდავიწყებით უყვარს, არამედ თვით ვახტანგ ხელთუბნელის წინაშეც, რა დიადია ხევისბერი გოჩა, რომელმაც სამშობლოსადმი უნებლიე ღალატისათვის თავისი

ერთადერთი შვილიც არ დაზოგა; რა ღრმა და შემაძრწუნებელია დარდი ანზორ ჩერბიჟისა; რა ვაჟკაცურია და აღმტაცი თავგანწირულება ელგუჯასი, როცა სამშობლომ მისი სიცოცხლე მოითხოვა; მაგრამ არცერთი გმირი ყაზბეგისა არ არის ისე ორჭოფული და ისე ტრაგიკული, როგორც სიმონ ჩოფიკაშვილი. ამ ორჭოფულ მდგომარეობაში იგი მისი ხალხის ბედმა და მისმა სოციალურმა მდგომარეობამ ჩააგდო. სიმონ ჩოფიკაშვილი ის ადამიანია, რომელმაც შეგნებულად განიცადა ტრაგედია ისტორიული მიჯნის ადამიანისა. იგი, მიმავალი ეპოქის პირმშო, ხედავს, რომ მომავალი ახალ საქართველოს ეკუთვნის; რომ ის, ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური საქართველოს შვილი, მიუხედავად თავისი სიმპათიებისა, მოვალეა შეეგებოს ახალ საქართველოს. მან იცის, რომ მომავალი მშრომელ ხალხს ეკუთვნის, რომ „რუსთა შემოსვლა“ უბრალო შემთხვევა კი არა, ისტორიული აუცილებლობით არის ნაკარნახევი; რომ გარეწარ კაპიტან-ისპრავნიკებთან ერთად საქართველოში შემოდის აგრეთვე ახალი იდეები, იდეები სოციალური თავისუფლებისა. და აი ამ ორჭოფობამ დაღუპა იგი. მისი სიკვდილი და დატირება ხალხისაგან, სიკვდილი და დატირებაა ძველი, გარდასული საქართველოსი.

ჯერ კიდევ დიდმა ლენინმა აღნიშნა, რომ კავკასიელი თანდათან კარგავდა თავის ეროვნულ-ეკზოტიურ იერს და ცხოვრების ფეხის ხმას აყოლილი, სხვა გზას, კაპიტალიზმის გზას მიჰყვებოდა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ სთქვა: მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი და სულ სხვა ვარსკვლავს უნდა ვდიოთო.

ყაზბეგისათვის ადამიანი სამშობლოს სიყვარულის გარეშე არ არსებობს. სატრფო, შვილი უდიდესი რამ არის, მაგრამ სამშობლო კიდევ უფრო მაღალია. ამ გრძნობის წინაშე ყველა პირადი გრძნობები ყუჩდებიან. ეს გრძნობა მხოლოდ გრძნობა როდია, იგი გრძნობათა გრძნობაა. ისეთი გატაცებით მღერა სამშობლოსადმი, როგორც ყაზბეგმა იმღერა, მხოლოდ დამონებულ ერის შვილს შეეძლო, ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელმაც ეს უბედურება პირადად განიცადა. ცნობილია, რომ ჩრდილოელ მოძალადეებს იგი ყველგან „რუსებად“ იხსენიებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველები თავის მიწაწყალზე მხოლოდ მეფის რუსეთის მოხელეებსა და ოფიცრობას ხედავდა, ნათელი იქნება, რომ ჩვენი მწერალი ამ სახელწოდებაში რუსეთის დიდ ხალხს კი არა, არამზადა კაპიტან ისპრავნიკებსა და კომისიონერებს გულისხმობდა. რუსეთის ხალხს მაშინდელ საქართველოში მხოლოდ სალდათები წარმოადგენდნენ და აბა მოიგონეთ ალექსანდრე ყაზბეგი „ელგუჯაში“ როგორი თანაგრძნობით ლაპარაკობს მათ გამო. იმ დროს, როდესაც დარიალის ციხეებში მომწყვდეულ ჯარს აჯანყებული მთიელები თავს უნდა დასხმოდნენ, ყაზბეგი ამბობს:

„ყველას (ჯარისკაცებს) მოაგონდა თავისი მიწაწყალი, ცოლშვილი, და, ოდესმე მოძულებულს, გაყინულ სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა, ნეტარებით იხსენიებდნენ... რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თვითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ თავდახრილები და თავიანთი მოქმედების ანგარიში ვერ მიეცათ“.

როგორც ვხედავთ, ყაზბეგს მეფის რუსეთის სალდათებიც ისევე უსამართლოდ გაწამებულ ადამიანებად მიაჩნია, როგორც იმ ქვეყნის შვილები, რომლის დასამონებლადაც ისინი თავისი ქვეყნიდან აქ ცარიზმს მოეყვანა.

პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც მან დაბეჭდა და თითქოს მის მიერ შემოქმედებითს მანიფესტს წარმოადგენდა, რომანი „ელგუჯა“ იყო. ამ რომანში მან იმთავითვე მკაფიოდ გამოხატა თავისი სოციალ-პოლიტიკური მრწამსი. მას, დაგვიანებულ რომანტიკოსს, არ შეეძლო შემოქმედებითად არ მიეღო ის რეალისტური მეთოდი წერისა რომელიც მის დროს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ლიტერატურაში დაამკვიდრეს. ამიტომაც არის მის რომანტიულ შემოქმედებაში ასე ორგანიულად შერწყმული რეალისტური მსოფლხედვა. ამიტომაც აღწერა მან ეგეთის რეალისტური სიმძაფრითა და რომანტიული ამაღლებით ამ რომანში საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა; შემაძრწუნებელი ფერებით დაგვიხატა ქვეყნის ახალი ბატონ-პატრონები, — ახალგაზრდა ბურჟუაზიული რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკობა. ამ გარემოებით არის გამოწვეული „ელგუჯას“ გმირთა ბედის დაკავშირება გლეხთა ეგრეთწოდებულ განთავისუფლებასთან. ჯერ კიდევ ქართველი დიდი რომანტიკოსები, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი და შემდეგ თერგდალეულები,—ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი დაადგნენ დიდი რუსი ხალხის ორიენტაციას და ალექსანდრე ყაზბეგი გამაგრძელებელი იყო ამ დიდი სოციალურ-პოლიტიკური ტრადიციისა. მისი მთავარი გმირი სიმონ ჩოფიკაშვილი გამომხატველია ამ ორიენტაციისა. იგი ურყევი გამტარებელია ერეკლე მეორის გენიალური პოლიტიკისა და მოწინააღმდეგე, „რუსთა დაუძინებელი მტრისა“ ალექსანდრე ბატონიშვილისა. მას სძაგს რუსეთის ბიუროკრატიულ-ნაციონალისტური აღვირახსნილი ჩინოვნიკობა და შეჰხარის რუსეთის ხალხის დიდ მომავალს. რა თქმა უნდა, ასეთი დიდი სოციალური გაფიქრება დიდ სოციალურ ტკივილებსაც და დუღილს გამოიწვევდა, მაგრამ ჩოფიკაშვილი ამ დუღილში მაინც სჭვრეტდა იმ ახალ ვარსკვლავს, რომელიც თანდათან მკაფიოდ უნდა აბრწყინვებულიყო და რომელიც ქართველ ხალხს ახალ დიად პერსპექტივებს უქადდა. მან იცოდა, რომ მაშინდელი ფეოდალურ-ფანატიკური აღმოსავლეთი მხოლოდ რუტინისა და ჩამორჩენილობის შემომტანი იქნებოდა საქართველოში. სიმონ ჩოფიკაშვილი ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელთაგანია ძველი საქართველოსი. ერეკლე მეორემ სიმონ ჩოფიკაშვილებთან ერთად დაუსახა ის ბრწყინვალე მომავალი თავის ხალხს, რომლითაც იგი ახლა ეგზომ ბედნიერია. ამ ჭიდილს ახალისა და ძველისა თვით ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახში ჰქონდა ადგილი და ამიტომაც აღწერა იგი მან ეგრე მძაფრად და მხატვრული სიმართლით. მეფის რუსეთმა „ელგუჯას“ პირველი ვარიანტი სწორედ ამ სოციალური მოტივების გამო აკრძალა.

ის წინასიტყვაობა, რომელიც მან თავის ამ პირველ მოთხრობას „ელგუჯას“ წაუმძღვარა და ისტორიული მასალები, რომლითაც იგი სარგებლობდა, მოწმობს იმას, რომ ის ერთი უაღრესად განათლებული მოღვაწეთაგანი იყო მაშინდელ საქართველოში. მან, როგორც მოხევემ, და, მაშასადამე, ადამიანმა, რომლის კუთხემაც ყველაზე მწვავედ განიცადა უცხოთა ბატონობა, თავისი დიდი ნიჭის მთელი შესაძლებლობით გამოხატა თავისი ერის არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ სოციალური ტკივილებიც.

ეს დიდი ეროვნული და სოციალური ტკივილები მის მშობლიურ ხალხს მხოლოდ ოცდაათიოდე წლის შემდეგ მოუშუშდა. დიადი სტალინური კონსტი-

ტუციის მზით გაშუქებულ მისი სამშობლოს ბედს ახლა დიდი სტალინი განაგებს, ლენინ-სტალინის დიდი პარტია მართავს. ხალხთა სტალინური მეგობრობის გრძნობით ამღერებული მისი ბედნიერი ხალხი რუსეთის დიდ ხალხთან ერთად გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიემართება და გული უნებლიედ გწყდება, რომ იგი ამ ცხოვრებას ვერ მოესწრო. ალექსანდრე ყაზბეგი დაიწვა ამ ბედნიერი ცხოვრების მოლოდინში, დაიწვა მისი სიმღერით. მან, მთის მბრძანებლის, დარიალის დიდი მეკარის მეკვიდრემ, ხუთ წელიწადში დასწვა თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი სიცოცხლე. 1893 წელს 45 წლისამ დალია სული. მოკვდა ის ადამიანი, რომლის მოთხრობის წაკითხვის შემდეგ გრიგოლ ორბელიანს აღტაცებით ამოხდა:

— ქართველების ომიროს არს. შაბაშ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის კანდელაკი

ალ. ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება

★

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხში აღიზარდა, ხალხთან და ხალხურ ცხოვრებასთან ორგანიულად იყო დაკავშირებული. იგი ვერ ურიგდებოდა მეფის რუსეთის მოხელეების მიერ თავისუფლების მოყვარული მთის ხალხის ძარცვა-გლეჯასა და ტანჯვა-წვალებას. ამიტომ იყო, რომ ალ. ყაზბეგის მთელი შემოქმედება მიმართული იქნა მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის მოხელეთა წინააღმდეგ. ალ. ყაზბეგი ყოველგვარი საშუალებებით ექომაგებოდა ხალხს, როგორც მხატვრული სიტყვით, აგრეთვე ცალკეული საჩივრებით რუსეთის ჩინოვნიკური აპარატის მოხელეთა წინააღმდეგ და მრავალჯერ დადებითს შედეგებსაც აღწევდა. სწორედ ერთი ასეთი საჩივრის შედეგი იყო თერგის ოლქის მმართველის ბრძანება მის ხელქვეითებზე, რომლის თანახმად მეცხვარეებს საზღვარზე ზრდილობიანად აცილებდნენ. ალექსანდრე ყაზბეგს ხალხი „მთიელთა ფარს“ უწოდებდა.

ალ. ყაზბეგი თვითონა სწერს „ნამწყესარის მოგონებანში“:

„მე მთიელი ვარ და არა „მთიული“, როგორც ჩვენს ლიტერატურაში მოგვიხსენებენ ხოლმე, დიაღ! მთიელი აღზრდილი ხალხში, შობილი, სადაც ყმა და მონობა ძველთაგან სამარცხვინოდ ყოფილა, ხალხში, სადაც სიტყვას „ბატონყმობა“ ადგილი არასოდეს არა ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადის ღირსებით შესძლებია. დიაღ! ჩემო მკითხველო, იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვწოვდი მთიელი დედაკაცის რძეს“.

ალ. ყაზბეგს ბავშვობიდანვე ისე ღრმად ჰქონდა ჩანერგილი ხალხისადმი თანაგრძნობა და სიყვარული, რომ მოსკოვში, პეტროვის სამეურნეო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად ყოფნის დროს, არისტოკრატულ საზოგადოებაში ტრიალმა (ალ. ყაზბეგმა ჰოსკოვში სამი წელი დაჰყო) მასზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. საინტერესოა ალ. ყაზბეგის წერილი მის გამზრდელ ნინოსადმი. ეს წერილი ეკუთვნის ალ. ყაზბეგის სიმწიფის პერიოდს. ალ. ყაზბეგი სწერდა:

„ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო!.. აბა მოიგონე ის დროები, როცა მე მეფის შვილივით მანებივრებდნენ, მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს. ხელისხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს! რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურისა და ყმების მდგომარეობაზე ბატონების ხელში? გახსოვს! შენმა სიტყვებმა რამთენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები. შენი სიტყვები აღარ დაიკარგა მუქთად და აქ დაიმარხა ჩემს გულში და ეხლა ამთენის ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შე-

მიძლიან ანგარიში მიეცე ჩემს მოძრაობას. შემიძლიან სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვება, რაიმე რიგიანი, ბავშვობიდანვე ჩანერგილი ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობთ წარმოუთქმელად" (წ.-კ. ფონდი საქ. მუზეუმის ხელნაწერი № 3982 „ალ. ყაზბეგის სახსოვარი").

ალ. ყაზბეგის ეს წერილი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ნათლად გადმოგვცემს, თუ როგორ აფასებდა იგი თავის აღმზრდელ გლეხის ქალს, რომელმაც შეაყვარა მას ხალხი და მასზე კეთილისმყოფელი გავლენა იქონია (ალ. ყაზბეგის თანამედროვე იაგორ ღუდუშაურის გადმოცემით ალ. ყაზბეგს გამზრდელ ნინოსათვის სამოსახლო მიწა უბოძებია თავის მამულიდან).

დიდი აკაკი, რომელიც კარგად იცნობდა ალ. ყაზბეგის მამის მიხეილის ოჯახს „ჩემი თავგადასავალის" მეორე ნაწილში ალ. ყაზბეგის შესახებ სწერდა, რომ „დაბალი ხალხი იმ თავითვე, ბავშვობაშივე, უყვარდა, სული ბიჭებში მიუდიოდა და ვგონებ, მიზეზიც იგივე იყო, რომ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დიდი ხნით ცხვრის სამწყესურში გადავიდა", მაგრამ ამის შესახებ ყველაზე უკეთ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში („ნამწყესარის მოგონებანი") თვითონ გვამცნობს, რომ 1871 წლის გაზაფხულზე მას განუზრახავს მეცხვარეობა, რომ გაეცნო ხალხის ცხოვრება, მისი ჭირვარამი, დაახლოვებოდა ხალხს, მოევლო მთა და ბარი, გამოეცადა ის შიში და სიამოვნება, რომელიც თან ახლავს მწყემსს განუშორებლივ, ალ. ყაზბეგი სწერდა:

„მე თვითონ, როგორც მთისკაცს მყვანდა რამოდენიმე ცხვარი, ტოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მიუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენი მეცხვარე".

ნათესავები და ახლობლები მტრულად შეხვდნენ ალექსანდრეს მეცხვარეობას, თაკილობდნენ მის ნათესაობას. გენერლის შვილი მწყემსად ვერ წარმოედგინათ და ასე მსჯელობდნენ: „რა ღმერთი გაუწყრა მაგ შეჩვენებულს, თვითონ, თუ ვერ მოახერხა, სხვა რიგიანად ეშოვნა ლუკმა პური, ჩვენ მაინც შეგვატყობინებდა, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, პრისტაობას მაინც უშოვნიდითო", მაგრამ ყაზბეგს არა ჰქონდა თვისებად ერთხელ არჩეულ გზიდან უკან დაეხია. იგი მაღალი პრინციპის მატარებელი კაცი იყო, მას, პირიქით, ძალას და ენერგიას მატებდა განზრახული საქმის გზაზე ყველა წინააღმდეგობა და მათ მთელი ძალით შეებმებოდა დასაძლევად. ალ. ყაზბეგი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე მრავალ დაბრკოლებათა და წინააღმდეგობათა ბრძოლაში ქედმოხრილი არასდროს არ ყოფილა.

ალ. ყაზბეგს თავიდანვე სძულდა მაღალი არისტოკრატიული წრე და მისი მლიქვნელური მორალი, მან შეგნებულად შეაქცია ზურგი მათ და ამიტომ იყო, რომ ყაზბეგმა გენერლის ბრწყინვალე მუნდირს მწყემსის ტყაპუჭი ამჯობინა. ხალხთან დაახლოვებისა და ხალხის ჭირვარამის უშუალოდ განცდისათვის შვიდი წელი მწყემსობაში გაატარა. ეს წლები შეიქნა უაღრესად სასარგებლო წლები დიდი მწერლის საბოლოოდ ნამდვილ სახალხო მწერლად ჩამოყალიბებისათვის. ამიტომაა, რომ ყაზბეგის ნაწერებში პირდაპირ იგრძნობა მთიელთა გმირული ცხოვრება. ალ. ყაზბეგი თვითონვე სწერდა მწყემსობაში გატარებული დროის შესახებ მწყემსებს მეცხვარე სიმონას წერილით:

„თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმასში რასმე გულის გასართობს, თუ არ სწყინდება და ბოლომდე ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი

წარსულია, ჩემი მეცხვარეობა... გახსოვს ყაზახების სტანიცები, ჩეჩენთ სოფლები, გროზნა, მინდორი, ტყე, ველი. გახსოვს რამდენი მშვენიერი სურათები დაეხატებოდა ჩვენს თვალებს და აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? ყველა ეს მე ისე ცხოვლად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მოძხდარი, ნუ დაივიწყებ შენც, ნუ დაივიწყებ, რადგანაც ეს წუთები იყო წმინდა, პატიოსანი, რომელსაც კაცი, ისიც ზოგიერთი, ერთხელ შეხვდება, თავის ცხოვრებაში და ეს სანატრელი წუთები აღარ გამეორდება... მშვიდობით, ჩემო სვიმონა, გულითად მადლობას გეუბნება ის კაცი, ვინც ინატრის შენთვის და შენთან ერთად ყველა შენის მეზობლისათვის ყოველ კარგს მშვიდობას და ცხოვრებაში უკეთეს პირობას" (საქ. სახ. მუზეუმი ხელთნაწერი წ-კ ფონდი № 3993).

ეს წერილი ნათელსა ფენს იმ მდგომარეობას, თუ რა გავლენა მოახდინა ყაზბეგის მიერ მწყემსობაში გატარებულმა წლებმა მის, როგორც სახალხო მწერლისა და მოაზროვნის, იდეურ ჩამოყალიბებაზე.

ალ. ყაზბეგი ზედმიწევნით იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მის ჭირვარამს, მუდამ ხალხის ქომაგი იყო, მისი „ფარი". ცნობილია, რომ ალ. - ყაზბეგის მამის მიხეილის მიერ დადგენილი იყო გადასახადი მისი ოჯახის სასარგებლოთ სოფ. ცდოდან და გერგეტიდან თვითეულ კომლზე ხუთი კონა ფიჩხი და 2 ჩარექა ერბო. ეს გადასახადი მიხეილის სიკვდილის შემდეგაც მოჰქოხდათ ყაზბეგის ოჯახში, მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგმა გაათავისუფლა მოხევეები მამამისის მიერ შემოღებულ უკანონო გადასახადებსაგან. იგი მიმართავდა მოხევეებს:

„ძმებო და მეგობრებო, თქვენი ცოდვა ქონდეთ, თქვენ უსამართლოდ შემწუხებელსა... ცეცხლად შეერგოს იმის ჩამომავლობას, ვინც დღეის შემდეგ თქვენ ნაოფლარ ნაშრომს ხელი აბლოს". (საქ. მუზეუმი ხელთნაწერი წ-კ ფონდი № 5330).

ალექსანდრე ყაზბეგი პირად ცხოვრებაშიც ვერ მალავდა მეფის რუსეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას. მისი თანამედროვე იაგორ ღუდუშაური გვამცნობს, რომ ალ. ყაზბეგს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III პორტრეტისათვის ასეთი წარწერა გაუკეთებია:

„დავწვი შენი სამართალი,
შენი კანონდებულება,
შენი აზრი, მოფიქრება,
შენი მირონცხებულება".

და ამ წარწერითურთ ეს პორტრეტი გენერალ გიორგი ყაზბეგის ძმისათვის კოტე ყაზბეგისათვის მიუტანია. კოტე ყაზბეგი განცვიფრებულა ალექსანდრეს ასეთი საქციელით; ალ. ყაზბეგს ეს პორტრეტი აგუზგუზებულ ბუხარში ცეცხლის ალისათვის მიუცია და თანაც დაუძენია: „დაიწოს თქვენი ჩამომავლობა, თქვენი კანონი, თქვენი მთავრობის ძალაო".

1886 წ. თბილისის სემინარიის რექტორი, მეფის აგენტი ჩუდეცკი ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის მოწაფე იოსებ ლაღიაშვილმა. გაზეთი „ივერია" შეეცადა დაემტკიცებია, რომ ლაღიაშვილი ქართველი არ ყოფილა, ოსი იყოო. „ივერიის" ამ განცხადებამ მეტად ააღელვა ალ. ყაზბეგი და მან გაჯავრებულმა მიმართა წ-კ საზოგადოებაში „ივერიის" თანამშრომელ ი. მასვეტაშვილს: „რად უარყოფთ ლაღიაშვილის ქართველობას, პირიქით თავი უნდა მოგქონდეთ, რომ ჩვენთაგან გამოვიდა ეს გამბედავი ახალგაზრდა, რომელმაც კისერი მოუგრიხა იმას, ვინც ჩვენს ეროვნულ ღირსებას ფეხქვეშ თელავდა და აფურთხებდაო". ალ. ყაზბეგისაგან მეფის რუსეთისადმი ასეთი დამოკიდებულება მხედველობიდან არ გამორჩენიათ ადგილობრივ პოლიციასა და ჟანდარმებს, რომელთაც მრავალჯერ გაუჩხრეკიათ ყაზბე-

გის ბინა, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნებულან უკანვე, რადგანაც ყაზბეგის ბინაზე ვერაფერი უპოვნიათ.

ალექსანდრე ყაზბეგი ახლოს იცნობდა ხალხს, ხალხის ენას, ზეპირსიტყვაობას, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხალხურ ლეგენდა თქმულებებს, ხალხის ყოფაცხოვრებას, მათ ზნეჩვეულებებს, მასობრივ გართობა-თამაშობებსა და სხვ, უხვად იყენებდა მათ თავის რომანებში გმირთა ხასიათების გაშლისას. ხალხური შემოქმედების ნიმუშები ყაზბეგის ნაწარმოებებში ორგანიულ კავშირშია გმირთა მოქმედებასთან, რაც უფრო მიმზიდველს ხდის ნაწარმოებს. ამ მხრივ ალ. ყაზბეგის რომანები ფრიად საინტერესო მასალებს იძლევიან. მთიელთა ხალხის ყოფაცხოვრების შესასწავლად და გასაცნობად ალ. ყაზბეგი აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, იწერდა უბის წიგნაკში, ბევრს მათგანს აქვეყნებდა მაშინდელ პრესაში (მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში) ჟურნალ გაზეთებში „დროებასა“ და „თეატრში“, ხოლო, რომელთაც ცენზურის სისასტიკის გამო ვერ ბეჭდავდა, მათ დიდის სიყვარულით პირად არქივში ინახავდა და ეს სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი ალ. ყაზბეგს სიკვდილამდე არ გაშორებია. ასე, მაგალითად, ალ. ყაზბეგმა ჟურნალ „თეატრში“ 1886 წ. გამოაქვეყნა მოხევური სიმღერები. (№ 8, გვ. 76—77.) ა) გულის პასუხი (ლექსი), ბ) გული აღშფოთდა ტანჯული, ჟურნალის № 25-ეში 257-ე გვერდზე—„რასაც მხედავ ესა ვარ (ლექსი). № 24-ში „მარტო ვარ“, „მარჯვე ბიჭი“. 1892 წლის საქართველოს კალენდარში გამოქვეყნებული აქვს ხალხური ლექსი „ზოზინა“, „ულვაშ გაკრეჭილი“, 1889 წლის საქართველოს კალენდარში — „ჩემო ქვეყანავ ხრიკო“, „ქვეშქვეშ შემომცქერს“, „ზოგის კანონი დაიქცეს“. ასევე ჟურნალ „ივერიაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ალ. ყაზბეგის ნაწერები — ბოლოდ ბოლოს

„ელგუჯა“. მათია ეუბნება ელგუჯას, სნოსწყალზე მე წავალ შენს მაგიერ ხალხის მოსაწვევად სვიმონის შესანდობარზეო, მაგრამ ელგუჯამ კარგად იცის სტუმრის პატივისცემის ხალხური წესი, მას სწყინს მათიას წინადადება და უპასუხებს: — ბეჩაო ჩემო თაო!.. ეგ რაი თქვი? სტუმარი საქმეზედ გავგზავნო და ქვეყანას რაიღა პასუხი მივცე? და დაუმატა: — ის თუ არ გინდა, რომ სალექსოდ გამხადონ?

ასე მსჯელობს ელგუჯა და ასე მტკიცედ იცავს სტუმარ-მასპინძლობის ამ ხალხურ წესს, მოხევეთათვის. ურყევ კანონს.

ალ. ყაზბეგი ხალხის ზნეჩვეულებებს მეტად ფაქიზად ეპყრობა. რომანში „მამის მკვლელი“ იაგოს სასიკვდილოდ დასდევს გირგოლა და თავისი მიზნის მისაღწევად ცდილობს, როგორმე დაუძმობილდეს მეცხვარე შიოლას, რომ შიოლას მეშვეობით, იაგო ჩაიგდოს ხელში, მაგრამ შიოლამ იცის, ვინც არის გირგოლა, მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის მოხელე, ფლიდი, გაიძვერა და მისგან თავი შორს დაიჭირა. ყველასთან როდი შეიძლება დაძმობილება, ამ სუფთა ხალხური წესის წახდენა და ეს „ხელმწიფის ტოლა კაცი“ უარით გაისტუმრა.

ქალი მთაში უმწეო არსებად იყო მიჩნეული და მისი შეურაცხყოფა, მოტყუება და აბუჩად აგდება საერთო რისხვას, აღშფოთებას და გაკიცხვას იწვევდა. ქალს უფლება ჰქონდა საქმროს ამორჩევისა, ძალდატანებით გათხოვება თემს უსამართლობად მიაჩნდა და განქორწინების ნებას აძლევდა, ისე, როგორც ეს „მოძღვარშია“ მოცემული მაყვალას და გელას განქორწინება. იმავე „მოძღვარში“ ონისე მაყვალასაგან გაჯავრებული ასე უპასუხებს მაყვალას.

— წავალ, მაყვალაუ, წა, რაისი გეშინიან? შენი ბედია, რომ დიაცი ხარ და დიაცზე ძალას ვერ მოვიტან.

ასე ინახება სუფთად ქალის პატივისცემის ეს ხალხური წესი.

„ელგუჯაში“, როდესაც დატყვევებულ მზაღოს „ნაჩალნიკი“ ნამუსს ახდის, ამის შესახებ მთიელები ასე მსჯელობენ: — რა ამბები ხდება გაბრიელავ? გინახავს როდისმე დიაცის ასე გაუპატიურება? — არა, არა, შენი კვნესა მე, არც მინახავს და არც გამიგონია. ორი მოსისხლე ხმალამოღებული ერთმანეთზედ რომ მისულიყო, დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშველდებოდენ ერთმანეთს, ესენი კი...

მოსისხლეთა შერიგების ხალხურ წესს ყაზბეგი მოხდენილად იყენებს თავის რომანებში.

ალექსანდრე ყაზბეგი დიდების შარავანდედით მოსავს სამართლიანობისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირებს. ხალხს უყვარს ეს გმირები, მათზე ლექსებსა სთხზავენ, სიმღერებსა გაიმღერიან და მათი ქება-დიდება თაობიდან თაობაზე გადადის, მათი სახელები ინახება შთამომავლობაში. მიცვალებულის დამარხვის დროს მთიელი ხალხი მოიხსენიებდა თავიანთი გმირების სახელებსა და მათი საგმირო საქმეები საშვილიშვილოდ გადაქონდათ. ასე, მაგალითად, რომანში „ელგუჯა“ სვიმონ ჩოფიკაშვილის დასაფლავება ხალხური წესით შესრულდა, მოტირალი მივიდოდა მიცვალებულთან, თოფს გულზე დააადებდა და მოწიწებით წარმოსთქვამდა: „შენ ცხონება და დამრჩობთ დღეგრძელობა“. აქვე მოიხსენიებდა მიცვალებულის სახელთან ყველა იმ დაკლებულის სახელებს და მის საგმირო საქმეებს, რომელსაც ხალხი პატივსცემდა. ამავე რომანიდან გიორგისა და მარტიას დასაფლავება მიუხედავად იმისა, რომ ქურდულად მოხდა, მაინც

შეასრულეს ხალხური წესი. ბერდიამ, როგორც უფროსმა მოხევემ, გამოსალმებელი სიტყვა უთხრა მათ: „თქვენ ცხონება, დამრჩობთ დანახვა და გაგონება, სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს გულადობა, მტრისგან უშიშრობა! ცხონდით! ცხონდით! ცხონდით! მერე შეიჭმუხნა წარბები აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა „მიწა ხართ და მიწად იქეცით!“ ყოველ მიწის მიყრაზე წარმოსთქვამდა ის.

გმირის ასეთი წესით დასაფლავება ახალგაზრდებს ბრძოლის სტიმულს აძლევდა და ამ ტრადიციაზე იზრდებოდნენ. ამავე რომანში ვხვდებით ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, თუნდაც სვიმონის გარდაცვალების დატირებისას, მრხევე ელგუჯა ფანდურზე რომ ამღერებს:

„შენ რომ გვშორდები, გმირთ-გმირო,
რაღას გვიპირებ ჩვენაო?
გიყურებთ, გული დუღდების,
ძლივსღა გვიბრუნავს ენაო.
წავიდა ჩვენი კაცობა,
ვეღარ ვიხილეთ ლხენაო,
ბღავის ცხორი და ბატკანი,
სადღაა იმათ სმენაო“.

ან და ამავე რომანში „მაყრულს“ ცნობილი ქართული ხალხური ლექსით ასრულებენ:

„მოვდივართ მოგვიხარია,
ძოგვყავს დედალი ხოხობი“ და სხვა.

ხალხური შემოქმედების ნიმუშია სვიმონ ჩოფიკაშვილის საწოლთან ავადმყოფის გასართობად მოხუც მეფანდურე ღინჯას ლექსი:

„ღარიბობა და ობლობა
ორივე გამომივლია,
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია.
უფროსთა ხვეწნად მოსულთა,
ხათრის შენახვა თქმულაო,
ხალხის პირისა გამტეხი,
დამწეარამც დადაგულაო“

რომანში „მამის მკვლელი“ დაბეჭავებული გლახა ფანდურზე ამღერებს ხალხურ „როსტომიანიდან“ ცნობილ ლექსს:

„როსტომ სთქვა: მიწა რბილია,
სიტყვას ძით უნდა რბილობა
ვაჟკაცს რომ გაუჭირდების,
მაშინის უნდა ცდილობა,
როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სიკვდილი სჯობია
სულ მუდამ დაღონებასა“.

იმავე რომანში მეცხვარეების სიმღერა:

„მარტო ვარ და მარტო ვმღერი,
არავინა მყავს მობანე
მაისის წვიმავ, წამოდი,
გული სევდისგან გაბანე.
ნიავო, წყნარად დაქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,
სწორის არ გამტანს, უფალო
ცხვირი სადმ წააკვრევინე“.

ეს ლექსი ყაზბეგის მიერ გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის № 28-შიაც არის დაბეჭდილი, სხვა მოხევურ ხალხურ ლექსებთან ერთად.

ალ. ყაზბეგს განუზრახავს დაეწერა დიდი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ნაჩვენები იქნებოდა, ერისთავების აგენტი შიოლა ღუდუშაურის, ან და როგორც ხალხი ეძახდა მას — „შავშიოლას“, ბნელი საქმეები მოხევეთა მიძართ და ხალხის ბრძოლა ამ ღუდუშაურის წინააღმდეგ. ალ. ყაზბეგმა ამ ნაწარმოების მხოლოდ დასაწყისი დაგვიტოვა ორი სათაურით: „შიოლა ღუდუშაური“ ან და „ნინო“ და მათ წარუმძღვარა ეპიგრაფად ცნობილი მოხევური ლექსი შავშიოლას შესახებ:

„შიოლავ ღუდუშაურო
სკამს ზიხარ ერისთვისასა,
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს,
არცა ბალღს ერთის თვისასა.
პირიდან ცეცხლსა მეხად ყრი,
კლდეს აღნობ ბასრი ქვისასა“.
(ხალხური).

ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გმირები მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად იღუპებიან, მაგრამ ალ. ყაზბეგს სწამს, რომ ხალხიდან გამოვლენ ახალი გმირები, რომლებიც დაამხობენ მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმს და მას სამშობლოს გაანთავისუფლებენ კოლონიალური ჩაგვრისაგან. შექმნიან ახალ ქვეყანას, სადაც ნუნუ არ იტირებს თავის ბედზე, ელისოს, სიყვარულით აღვსილი გული არ გაიკვეთება თვითმპყრობელობის ხიშტებით, თავისუფლებისმოყვარული მთიელები არ განიდევნებიან მშობლიური მიწა-წყლიდან, სადაც ხალხის ეროვნული გრძნობა შეურაცხყოფილი და დამცირებული არ იქნება.

ალ. ყაზბეგის ეს ოცნება კარგა ხანია ასრულდა. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დიდი ხანია დაამხო მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმი და სტალინური კონსტიტუციის მზით განათებული და გამთბარი ახალი თავისუფალი ცხოვრება შექმნა. დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ძიხეილის-ძე ყაზბეგის დაბადებიდან ასმა წელმა განვლო. შეიცვალა ყაზბეგის გმირების სამყარო. ძველი ჩამორჩენილი პრიმიტიული მთა ახალმა სოციალისტურმა მთამ შესცვალა, ამ ახალ ადამიანებს ახალი აზრი და განწყობილება დაებადათ, შეიცვალა მათი ცხოვრებაც — არ შეცვლილა მხოლოდ არ შენელებულა, პირიქით უფრო გაიზარდა და გამტკიცდა, მხურვალე სიყვარული და ინტერესი ალექსანდრე ყაზბეგისადმი. სწორედ ალ. ყაზბეგის ნაწერებისადმი ამ ინტერესის ზრდა ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ივერიას“, რომელსაც მოწინავე წერილში 1893 წლის 12 დეკემბერს № 269 პირველ გვერდზე სწერდა: „ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში ირწეოდა და ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს. კვდება მხოლოდ ის, ვისაც ქვეყანა არ იცნობს და ჩქარა ივიწყებს, განსვენებულ ალექსანდრეს სახელი კი ყოველ ქართველს ღრმად აქვს გულში ჩაჭდებული და ამ ჭდეს თავისს შვილიშვილსაც ხელუხლებლად გადასცემს, ვიდრე საქართველოს სახელი არ გაქრება, ვიდრე ერთი ქართველი მაინც დარჩება ქვეყნად და ქართულ სიტყვას მთქმელი და მსმენელი ეყოლება“.

ალ. ყაზბეგის „სისხლის გუბეში ნაწამები კალმით“ დაწერილი სტრიქონები, მისი გმირები ახლაც გვხიბლავენ სამშობლოსადმი თავდადებითა და სიყვარულით, და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოგვიწოდებენ, გვაცნობენ თუ რამდენი ცრემლი და სისხლი დაღვარა ხალხმა ბიუროკრატიული რეჟიმის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რა მძიმე და ძნელი გზა გაიარეს ხალხებმა, სანამ დიდი ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შექმნიდნენ სოციალიზმის უძლეველ ქვეყანას, მშრომელთა ახალ სამშობლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა გოზალიშვილი

ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ერთადერთი ხელნაწერის გარშემო

★

დიდი ქართველი ბელეტრისტის — ალექსანდრე მიხეილის-ძე ყაზბეგის არქივში დაცულია „მამის მკვლელის“ ერთი ხელნაწერი, რომელიც ერთადერთი სრული ეგზემპლარია [1]

ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობის ისტორიისათვის ამ ხელნაწერს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ხელნაწერი წარმოდგენს სქელტანიან შეკინძულ საერთო რვეულს (184 ფურცელი, ზომით 22 × 18 სმ.) უცნობი გადამწერის მიერ სუფთა ხელით გადაწერილს. სათაური და თავფურცელი: „მამის მკვლელი (მოთხრობა) ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)“, — ავტოგრაფია. სხვა ხელითვე თავფურცელზე ქართულის შედეგ, რუსულად არის მიწერილი: — „Отце убийца, роман А. М. Мочхубаридзе (Казбека) Изд. Груз. Издат. товариществ“.

თავფურცელის მეორე გვერდზე ალ. ყაზბეგის სურათი (13 × 9,5 სმ.), ხოლო თავფურცელის ზევით, მარცხენა მხარეს კუთხეში 80 კაპიკიანი საღერბო მარკაა დაკრული, მარკას აქვს რუსული წარწერა: — „7 сент. 90 г“, — რაც აღნიშნავს, რომ ხელნაწერი საცენზურო კომიტეტში წარუდგენიათ 1890 წლის 7 სექტემბერს.

თავფურცელზე, სურათის თავსა და ბოლოს, ყოველი ფურცლის ბოლოში და ტექსტის დამთავრების შემდეგ, ცნობილი ქართველი პოეტის, იმ დროისათვის ცენზორად მყოფ რაფიელ ერისთავის ხელით, საცენზურო კომიტეტის ნებართვა წარწერით: „Дозволено цензурою на трех стах шестидесяти восьми листах, 25 сентября 1890 года, Тифлис цензор Князь Рафаил Давидович Эристов“.

ხელნაწერის ტექსტს წინ უძღვის წარწერა: „ქართველთა ამხანაგობის წიგნების გამოცემის რედაქციისაგან. ქართველთა ამხანაგობამ განიზრახა ბატ. ალ. ყაზბეგის (მოხევის) ყველა ნაწერების გამოცემა. ნაწერები გამოიცემების ტომებად“.

ხელნაწერს თავსა და ბოლოში დარტყმული აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭედი.

„მამის მკვლელის“ — ხელნაწერის საერთო აღწერისა და შესწავლის შედეგად, შესაძლებელი ხდება მის გარშემო გარკვეული მოსაზრებები იქნეს წამოყენებული, რომელიც ხვლს შეუ-

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა გაყ-ბის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფონდი № 5046.

წყობს საქმის ნამდვილი ვითარების გარკვევას, ალ. ყაზბეგის შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლის საქმეში.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობას, როგორც ეს მის განცხადებიდანაც ჩანს, განუზრახავს ალ. ყაზბეგის თხზულებათა გამოცემა. ამისათვის წინასწარი მუშაობა ჩაუტარებია: „მამის მკვლელის“ ხელნაწერი მოუმზადებია გამოსაცემად ჯერ კიდევ ალ. ყაზბეგის კარგად ყოფნის დროს.

გამზადებული ხელნაწერი მთლიანად ალ. ყაზბეგის მიერ შემოწმებულ-რედაქტირებულია. სათაური და თავფურცელი მისი ხელითაა დაწერილი; ტექსტში მისმიერვე შეტანილია შესწორებები, ჩამატებულია სიტყვები და წინადადებები, მაგ:, 1 ფურცელზე, დასაწყისიდან მეორე აბზაცში: — „ონისე გელაშვილი, გამოქნილის სახით...“ ჩამატებულია: „სახით“.

მესამე აბზაცში წინადადება: „იმისი ცოლი, მართა,[1] იქვე კერასთან ჩამომჯდარიყო, ართავდა საჩოხე მატყლს და შესცქეროდა ქვაბს, რომელიც ცეცხლზე ჩუხჩუხებდა“. ალ. ყაზბეგის მიერ შემდეგნაირად არის შესწორებული „მეორე ცოლი ონისესი, მართა, შუა ხნის დედაკაცი, დაღმეჭილის სახით და ბოროტის მოუსვენარის თვალებით, საჩოხე მატყლს ართავდა და შესცქეროდა ქვაბს, რომელიც იქავ ცეცხლზე ჩუხჩუხებდა“.

მეოთხე აბზაცში: — „ონისეს ძმას, მათხოვარა გლახას, როგორც ყველანი ეძახდნენ, ბევრით მოხუცებულს თავის ძმაზედ, ფანდური ეჭირა ხელში და დაღონებულად შეწუხებულის ხმით დამღერდა ერთს იმ სიმღერებთაგანს, რომელიც მთაში საზოგადოთ შემოღებული არის“.

ეს ადგილი შემდეგნაირად არის შესწორებული: — „მესამეც ონისეს ძმა, მათხოვარა გლახა, როგორც ყველანი ეძახდნენ ხოლმე; ბევრით მოხუცებულს თავის ძმაზედ, დაღვრემილს და გატეხილს მოხუცს ფანდური ეჭირა ხელში და დაღონებულის, შეწუხებულისხმით დამღეროდა ერთს იმ სიმღერათაგანს, რომელიც მთაში საზოგადოთ შემოღებულია.

მეხუთე აბზაცში: ...„მათხოვარა გლახას ეტყობოდა, რომ ბევრი გულსათუთქი წუთები და მღელვარება გამოევლო...“

სიტყვა: — ბევრი-ს წინ ჩამატებულია: — ცხოვრებაში.

მე-42 ფურცლის მეორე გვერდზე, ბოლოდან მეხუთე აბზაცის ბოლოს, გრიგოლასთან ნინიას დიალოგში:... „მიშველე, მიწამლე რაიმე...[1]“-ს შემდეგ ჩამატებულია: — „ღვთის მადლმა ეგ ქალაშავაც მებრალებისა“.

„მამის მკვლელის“ ხელნაწერში, ავტორის მიერ შეტანილი აღნიშნული მცირე შესწორებანი, შემდეგ დაბეჭდვის დროს არ ყოფილა მხედველობაში მიღებული.

ქართველთა ამხანაგობას, ამრიგად გამზადებული „მამის მკვლელის“ ხელნაწერი ნებართვისათვის 1890 წლის 7 სექტემბერს საცენზურო კომიტეტისათვის წარუდგენიათ, ამ გარემოებას კი უდაოდ ადასტურებს საცენზურო კომიტეტში ხელნაწერის შესვლისას, საღერბო მარკაზე აღნიშნული თარიღი.

ქართველთა ამხანაგობის მიერ 1891 — 92 წლებში გამოცემულ ალ. ყაზბეგის თხზულებათა ოთხივე ტომში შევიდა „ელგუჯა“, „ციკო“, „ელი-

[1] ჭნდა იყოს: მართას ნაცვლად მახია.

[1] თხზულებანი ტ. II, 1891 წ. გვ: 103.

სო“, „მამის მკვლელი“, „განკიცხული“ „მოძღვარი“, „ციცია“, „ნამწყესარის მოგონება“ „ნინო“, „ბერდია“, „ელბერდ“, „ელეონორა“, „ჩინოვნიკი ელურიძე“, „ხევის ბერი გოჩა“, „ციცკა“, „ფათი“ და ჯერ კიდევ ალექსანდრე ყაზბეგის სიცოცხლეშივე გამოვიდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ამხანაგობის რედაქციამ ყველა ეს თხზულებანი ხელნაწერების სახით გამზადებული, ავტორის მიერ შემოწმებულ-რედაქტირებული, (მათ შორის შესაძლებელია ავტოგრაფებიც!) წარადგინა საცენზურო კომიტეტში ნებართვის მისაღებად. მეფის ულმობელ ცენზურის დარჯაკში გატარებული, ამათგან წითელი მელნით გადახაზულ-დამახინჯებული, მხოლოდ „მამის მკვლელი“ არის შემონახული. დაცენზურებული დანარჩენი თხზულებების ხელნაწერები ქართული კულტურის საცავებში და არქივებში ჯერ კიდევ მიუკვლევლად იმალებიან და ელიან თავიანთ აღმომჩენთ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ხელთ არსებულ „მამის მკვლელის“ ხელნაწერს. ცენზურა სასტიკად მოეკიდა „მამის მკვლელს“ და მისი ტექსტი წითელი მელნით გადააჭრელა. სახელდობრ წითელი ხაზებით წაშლილ-გადახაზული და აკრძალული იყო „მამის მკვლელის“ ხელნაწერის რიგი ადგილები; ხელნაწერის მეორე ფურცლის მეორე გვერდზე წინადადება:—„გლეხი ხალხი შრომისათვის ვართ გაჩენილი[1] წაშლილია.

მე-9 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „გლახა მოვიდა დარიალის ციხესთან...“ ვიდრე მე-11 — ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე — „უნდა გამართულიყვნენ ვლადიკავკაზისკენ“.[1] მთლიანად გადახაზულ-წაშლილია.

მე-20 ფურცლის მეორე გვერდზე წინადადებაში: „...იმ მოხევეებისაგან, რომელთაც დაეკარგათ უწინდელი სვინიდისი და პატიოსნება, გარყვნილიყვნენ ახალი წყობილობისაგან და დაევიწყნათ ხალხთან ის დამოკიდებულება, რომელიც უწინდელ დროში ისე წმინდად ინახებოდა“...[2] წაშლილია — „ახალი წყობილობისაგან“.

მე-24 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: „მემრე მოსულიყო რაიმე რუსის ყაზახები“... ვიდრე მე-25 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: „ურჯულონი არიან, ურჯულონი... სადღაა სამართალი. ამ სიტყვებზედ“...[3] გადახაზულ-წაშლილია.

მე-26 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „უღმერთონო! უსამართლონო! შეუბრალებელნო! გაგვწყვიტეთ ბარემა, დალიეთ ჩვენი სისხლი!“... ვიდრე მე-27 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: — ...რიგი მიერგო იაგოს, რომელსაც ასე დღის გამწარებას უპირებდა.[4] წაშლილია.

მე-54 ფურცლის პირველ გვერდზე წინადადებიდან: „გულშემოყრილმა ნუნუმ, როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა“... ვიდრე წინადადებამდე: — „უთხრა გირგოლამ და ქალისაკენ მისაზიდად გაიშვირა ხელი“.[5] წაშლილია.

---

[1] შედარებისათვის ალ. ყაზბეგის თხზულებანი 1891 წ. ტ. II. გვ. 8.

[1] იქვე გვ. 23 — 26.
[2] იქვე გვ. 45.
[3] იქვე გვ. 54.
[4] იქვე გვ. 113 — 114.
[5] იქვე გვ. 58.

მე-59 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებიდან: — „რასაკვირველია ზიზღით უყურებდა რუსის ყაზახებს“, — წინადადებამდე: — „შეუდგებოდნენ ყოველგვარ სოფლის ნამუშავრის გაჩანაგებას[1].

მე-66 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „გუშინ სოფელში გამგზავნა ნაჩალნიკმა, დაიწყო ერთმა“. ვიდრე მე-68 ფურცლის პირველ გვერდზე წინადადებამდე: „...რომლებიც გაიქცნენ სალდათების დახოცვის შემდეგ“...[2] მთლიანად გადახაზულ-წაშლილია. აქვე, წაშლილ უკანასკნელი წინადადების — „სალდათების დახოცვის შემდეგ“ — ცენზორ რაფიელ ერისთავის ხელით წითელი მელნით ჩამატებულია წინადადება: — „იმ დროს მისი ამხანაგები, რომელნიცაქიდგნენ“, წიგნში არ დაუბეჭდიათ...

მე-68 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: — „ვაი თუ მომიკლეს! დაიკრა მუხლებზედ ხელი კობამ და ორნივ ამხანაგები სირბილით წავიდნენ იმ მხარისაკენ, სადაც რამდენიმე წუთს წინად სისხლის ღვრა მოხდა“.[3] წაშლილია — „სადაც რამდენიმე წუთს წინად სისხლის ღვრა მოხდა.

აქვე წაშლილია წინადადება:—„ნეტავ ისინიც არ გაგვეშვა და მოგვეკლა, — ჯავრით წარმოსთქვა კობამ“.[4]

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე მთლიანად წაშლილია წინადადება: — „სალდათები, რომლებიც გადარჩნენ და გაიქცნენ ყვირილით და რომლებისაც ეშინოდათ კობას და მის ამხანაგს, მიმალულიყვნენ ბუჩქებში და ცახცახით, გულგახეთქილები გათენებას ელოდნენ“.[1]

მე-68 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „გაჰხედესიმ ალაგას, საიდგანაც ისე გულგახეთქილები გამოიქცნენ“.. ვიდრე მე-69 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: — „სალდათები გამორბოდნენ, გზაში იკეთებდნენ თავიანთ სამკაულს, რადგან შეჭურვა შინ ვერ მოესწროთ“.[2] მთლიანად გადახაზულ-წაშლილია.

მე-69 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „სამი სალდათი მოგვიკლეს, ჩვენ ორი ზოვკალით, მაგრამ დახოცილები თან წაიღეს დათითონაც გაიქცნენ“. ვიდრე წინადადებამდე: „...თითონ კი დაბრუნდა ციხეში, სადაც სასტიკი გამოძიება უნდა მოეხდინა“.[3] მთლიანად წაშლილია.

მე-71 ფურცლის, პირველ გვერდზე, წინადადებაში: — „მე მთიული ვარ, განა რუსი“. წაშლილია: „განა რუსი“.[4]

მე-72 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებაში: — „ყველაფერი ვიცი,—გასძახოდა ისა,—მაგრამ ძაღლებს არ გეტყვით, არა“.[5] წაშლილია — „ძაღლებს.

მე-73 ფურცლის პირველ გვერდზე,

---

[1] 1891 წ. თხზ. ტ. II გვ. 125.
[2] იქვე გვ. 141 — 143.
[3] იქვე გვ. 144.
[4] იქვე გვ. 144.

[1] 1891 წ. თხზ. ტ. II გვ. 145.
[2] იქვე გვ. 145 — 146.
[3] გვ. 147 — 148.
[4] იქვე გვ. 150.
[5] იქვე გვ. 153.

წინადადებაში: — „მოხუცმა გაახილა თვალები, მოიკრიბა უკანასკნელი ღონე რომ წამოეწივა, მასუკან წამოახრიალა ყელში შვილების სახელი, რუსების წყევლა და უკანასკნელს სიტყვებთან დალია სული“[1]... წაშლილია: — „რუსების წყევლა“.

მე-75 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებაში: „გახარებულნი ეხვევოდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს, ასე მშვიდობიანად „რუსის შარს“ „გადარჩენას“.[2] წაშლილია — „რუსის შარს“.

მე-83 ფურცლის პირველ გვერდზე წინადადებაში: „ყაზახებმა ხვეწნა დაუწყეს, რომ თავი დაენებებინათ და ნაცემ-ნატყეპები, თავ-პირ დამტვრეულნი დაბრუნდნენ შინ“.[3] წაშლილია: „ნაცემ-ნატყეპები, თავ-პირ დამტვრეულნი“.

მე-120 ფურცლის პირველ გვერდზე წაშლილია შემდეგი წინადადება: „...და აბა დედა შეირთედ ცოლად, თუ თქვენი ბიჭობა არა სცადოთ“.[4]

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან:—„აბა, თუ „ხლაზეა“, ახლა ჩვენ გვიყურეთ“. ვიდრე — „ეფხიელოდა, რომ გამოჩენილიყო ვინმე“.[5] — მთლიანად წაშლილია. აქვე წინადადებაში: „კობავ, მათი ნადირი წამოიკიდე და დაადეგ მაგ ბილიკს, სანამ მე ამ ძაღლებს დავიმაგრებ“.[6] წაშლილია — „ძაღლებს“ და ცენზორის მიერ სიტყვა: ამ გადაკეთებულია: — ამათ და წინადადება ასე იკითხება: „მე ამათ დავიმაგრებ“.

[1] იქვე გვ. 155.
[2] იქვე გვ. 159.
[3] იქვე გვ. 176.
[4] იქვე გვ. 254.
[5] იქვე გვ. 255.
[6] იქვე გვ. 255.

ე-120 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: „სწორედ — იმ დროს, როდესაც ერთმა ყაზახმა საფრიდგან თავი ამოიყო“... ვიდრე მე-121 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: — „...თითონაც რახრახით და ტრიალით გადავარდა კლდეზედ“,[1] წაშლილია მთლიანად.

ძე-121 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: — „ყაზახებმა შიშით თავი ველარ გამოჰყვეს, და ეფხიამ კი მიაღწია თავის მეგობარს, რომელმაც სიხარულით მიულოცა გამარჯვება“,[2] წაშლილია: — „ყაზახებმა შიშით თავი ველარ გამოჰყვეს და“ „რომელმაც სიხარულით მიულოცა გამარჯვება“.

იქვე წინადადებაში: „ყაზახებმა უკეთესად დაინახეს — გორაკების მოფარებით და მალვით მოსცილებოდნენ მარჯვე მსროლელებს“. წაშლილია სიტყვები: — „და მალვით“, „მარჯვე“.

შემდეგ იმავე ფურცელზე წაშლილია წინადადება: „ისინი ეცინოდნენ უხეირო რუსზედ, რომელიც ისე მასხარად „გადაკოტრიალდა“ კლდეზედ“.

მე-122 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: „ბევრი ძალიან ადვილად უყურებდნენ ამ საქმეს“, ვიდრე მე-124 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: „რომ ესტყე გაევლოთ თავიდგან ბოლომდინ და თავის იარაღისათვის დაემორჩილებინათ“,[3] მთლიანად გადახაზულ-წაშლილია.

მე-124 ფურცლის პირველ გვერდზე

[1] თხზ. 1891 წ. ტ. II. გვ. 255 — 256.
[2] იქვე. გვ. 256.
[3] იქვე გვ. 259 — 262.

წაშლილია შემდეგი წინადადება: „...საიდგანაც უნდა შაერთებოდა ერთ-ერთს შამილის ჯარის ნაწილს და ეშრომა იმ ხალხთან ერთად, რომელთაც მიიღეს და შეითვისეს“.[1]

მე-125 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში წაშლილია: „...ისინი ვინც ისე აგრძნობინა რუსებს ბრძოლის დროს“.[2]

იქვე, მეორე გვერდზე წინადადებაში: „...რომელთ დღეგრძელობა და ერთობა შემდეგში ისე უღმერთოდ დაამქვრივა შეუბრალებელმა უგულო ძალამ“,[3] წაშლილია— „უგულო“.

მე-128 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებიდან: „ამ დროს ჩორა მოვიდა სტუმრებთან“... ვიდრე მე-132 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: „...შევიდნენ სასტუმროში, სადაც ქალებს რბილ ქვეშ-საგები გაეშალათ“,[4] მთლიანად წაშლილია.

მე-132 ფურცლის პირველ გვერდზე, წაშლილია შემდეგი: „ისინი გროვდებოდნენ ხან ერთს ადგილს, ხან მეორეს დაპირობას სდებდნენ, რარიგად წასულიყვნენ შამილთან, ვინ აერჩიათ უფროსად, ვინ იმის შემწედ დავინ დარჩენილიყო მხოლოდ უბრალო მეომრად“.[5]

მე-134 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებებში: — „იმას დიდი ხანია რაც თოფი აეღო ხელში და ხან მარტო, ხან რამდენიმე ამხანაგით დაესეტებოდნენ იმ გზებზედ, სადაც მოძრაობდა რუსების ჯარი“... „...დასცემოდა გაუბრთხილებელს მგზავრს რუსებს გაეცარცვა ისინი, მოეტაცნა საქონელი, ცხენები და თუ მოხერხდებოდა, თითონ კაცებიც და ტყვედ გაეგზავნა შამილთან“,[1] წაშლილია სიტყვები: „რუსების“, „რუსებს“, „გაეგზავნა შამილთან“.

იმავე ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებიდან:—„ან სალდათებს, რომელნიც, დაწუხებულნი აფიცრების მკაცრის საქციელით და მოპყრობით“. ვიდრე წინადადებამდე:—და განსაკუთრებით შამილი აფასებდა“.[2] გადახაზულ-წაშლილია.

მე-134 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებაში:—„პირდაღებულს რუსებს გაკვირვებით ხელებს გააშლევინებდა“, „...ერთ დღეს დაეცნენ ამ ადგილს რუსები“,[3] წაშლილია სიტყვები: „რუსებს“, „რუსები“ და მის მაგიერ ცენზორისვე ხელით ჩამატებულია: „მტრებს“, და „მტრები“.

იმავე ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „ელბერდ გაჰყურებდა გზას და ამ ყურებაში კარგა ხანმა გაიარა“... ვიდრე მე-162 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: — „ესენი ამ ცხოვრებაში იყვნენ, როდესაც“[4] მთლიანად წაშლილ-გადახაზულია.

მე-168 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებიდან: — „იაგო თავის ამხანაგებით, ერთს ღამეს, არდონის სტანიცას უპირე-

[1] იქვე, გვ. 262.
[2] იქვე, გვ. 264.
[3] ეს წინადადება გამოტოვებულია თხზ. 1891 წ. გამოცემაში, იხ. გვ. 265, ხოლო შეტანილია რჩეული ნაწერების 1937 წ. გამოცემაში იხ., გვ. 368.
[4] თხზ. ტ. II, 1891 წ. გვ. 270 — 279.
[5] იქვე, გვ. 279.

[1] თხზ. 1891 წ. ტ. II, გვ. 282 — 283.
[2] იქვე, გვ. 282.
[3] იქვე გვ. 283 — 284.
[4] იქვე გვ. 284 — 338.

ბდნენ დაცემას და ჯოგის გარეკას“, ვიდრე მე-172 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებამდე: „...უკეთესი იქნებოდა, თუ ამ ცხენებს დაინარჩუნებდა სულ თითონ“[1]—მთლიანად გადახაზულ-წაშლილია.

აღნიშნული ფაქტიური მდგომარეობაც მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ გასული საუკუნის შავბნელ ეპოქაში ძნელი იყო მეფის ცენზურის ულმობელობის შედეგად, თავისუფალი აზრისა და პროგრესიულობის მატარებელ ნაწარმოებთა ისე დაბეჭდვა, როგორც ეს ავტორის გონებრივ შემოქმედებითი სალაროდან გამოდიოდა.

ალ. ყაზბეგის მთელი თხზულებები, როგორც ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლი სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწერები, სასტიკ დევნას განიცდიდნენ მეფის ცენზურის მიერ. ბევრ შემთხვევაში, ცალკეული ნაწარმოებები იბეჭდებოდა ძლიერ დამახინჯებულ-შემცირებულის სახით. ამის უტყუარ ჭეშმარიტებას ნათელყოფს ჩვენს ხელთ არსებული ალ. ყაზბეგის — „მამის მკვლელის“ ხელნაწერი.

„მამის მკვლელს“ მეფის ცენზურის სასტიკი დევნა განუცდია. საცენზურო კომიტეტს თხზულება საგრძნობლად „გამოუშიგნავს“ და ასეთი შემცირებულის სახით, მისი დაბეჭდვის ნება დაურთავს.

ამ გარემოების გამო ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი საუნჯე გვაქვს დაკარგული ალ. ყაზბეგის უკვდავ თხზულებებში, რადგანაც თავის დროზე საცენზურო კომიტეტში გატარებული ხელნაწერების დიდი უმრავლესობა ჯერაც მიუკვლეველ-აღმოუჩენელია.

ამ მხრივ, ალ, ყაზბეგის „მამის მკვლელი“ ბიდნიერ გამონაკლის წარმოადგენს. მიუხედავად საცენზურო კომიტეტის მთელი სისასტიკისა, 1890 წელს აღნიშნული ადგილების წაშლისა, შემცირებისა და აკრძალვისა, ქართველთა ამხანაგობას მოუხერხებია 1891 წელს თავის მეორე ტომში მთლიანად დაებეჭდა იგი, გარდა მცირე გამონაკლისისა, რომელსაც აქვე აღვნიშნავთ:—მაგ,. ხელნაწერის მე-24 ფურცლის მეორე გვერდზე, წაშლილ ადგილებიდან წინადადებაში: „მემრე მოსულიყო რაიმე რუსის ყაზახები“,[1] დაიბეჭდა მხოლოდ სიტყვა: „რუსის“ გამოკლებით.

მე-59 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: „ზიზღით უყურებდა რუსის ყაზახებს“,[2] დაიბეჭდა სიტყვა „რუსის“ გამოკლებით.

მე-71 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: — „მე მთიული ვარ, განა რუსი“,[3] დაბეჭდილია: „განა რუსის“ გამოკლებით.

მე-73 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: „წამოაბრიალა ყელში შვილების სახელი, რუსების წყევლა“[4]... სიტყვა „რუსების“ ნაცვლად დაბეჭდილია: „სალდათების“. მე-75 ფურცლის მეორე გვერდზე, წინადადებაში: „ასე მშვიდობიანად „რუსის შარს“ გადარჩენას“,[5] დაბეჭდილია: „რუსის შარს“ — გამოკლებით.

მე-120 ფურცლის პირველ გვერდზე, წინადადებაში: „თუ თქვენი ბიჭობა არა სცადოთ“,[6] დაბეჭდილია: „თუ კაცობა არა სცადოთ“. ხოლო იქავე: — ჩვენა ვართ — ის შემდეგ, ცენზორის მიერ ჩამატებულია სიტყვა — ჩვენა, მაგრამ არ დაბეჭდილა.

---

[1] იქვე გვ. 351 — 358.

[1] თხზ. 1891 წ. ტ. II, გვ. 54.
[2] იქვე, გვ. 150.
[3] იქვე გვ. 150.
[4] იქვე, გვ. 155.
[5] იქვე, გვ. 159.
[6] იქვე, გვ. 254.

მე-121 ფურცლის პირველ გვერდზე წინადადებაში: „ისინი იცინოდნენ უხეირო რუსზედ“,[1] დაიბეჭდა სიტყვა: „რუსზედ“ გამოკლებით ასე: — „ისინი იცინოდნენ უხეიროზე“.

მე-123 ფურცლის პირველ გვერდზე, ცენზორის მიერ წაშლილ ადგილიდან, 1891 წლის გამოცემაში გამოტოვებულია მხოლოდ წინადადებიდან: — „სოფლები და ხალხი, რომელთაც კი მიჰკარებოდა მაშინდელი რუსის აფიცრობა“, ვიდრე წინადადებამდე: „ულუკმოდ დარჩენილი ბალღები მწარედ შეწიოდნენ“.[2]

ხელნაწერში სხვა სახის მცირე განსხვავებაც გვაქვს. დღემდე არსებული დაბეჭდილი „მამის მკვლელის“ დასაწყისი განსხვავდება ხელნაწერის დასაწყისისაგან. ხელნაწერი იწყება: „იქნებოდა დილის თერთმეტი საათი, როდესაც ხევის ერთს სოფელში, კერას პირს ისხდნენ ორი კაცი და ერთი დედაკაცი“.

დაბეჭდილებში კი ჩამატებულია ახალი სიტყვა — „ასე“, და ხოლო სიტყვა — „იქნებოდა“, წინადადებაში გადასმულია და იწყება: „ასე, დილის თერთმეტი საათი იქნებოდა“[3]... და მერე მიჰყვება ისე, როგორც ეს ხელნაწერშია.

ხელნაწერის სამივე ნაწილი ცალკე თავებად არის დაყოფილი. ხოლო დაბეჭდილებში თავებად დაყოფა არ არის.

ხელნაწერში ადგილი აქვს აგრეთვე მცირე უნებლიე შეცდომებს, ნაწარმოების გმირთა სახელების შეცვლაში. სახელდობრ—ონისე გელაშვილის ცოლის — მახიას ნაცვლად წერია: მართა. მაგ. „იმისი ცოლი, მართა, იქვე კერასთან ჩამომჯდარიყო“, უნდა იყოს: „იმისი ცოლი, მახია, იქვე კერასთან ჩამომჯდარიყო“. ეს შეცდომა გასწორებული არ არის 1891 წლის გამოცემაში,[1] ხოლო 1937 წლის რჩეულ ნაწერში[2] შესწორებულია.

წინადადებაში: „ესენი გახლდნენ გირგოლა და იმისი ამხანაგები, რომელთაც პატარძალი მიჰყვანდათ გირგოლას ძმის ვანისესათვის“.

უნდა იყოს: „გირგოლას ძმის ნინიასთვის“, რაც დაბეჭდილებში შესწორებულია.[3]

ამ სახისვე შეცდომაა წინადადებაში: „ამას ეგონა, რომ რუსუდანიც დაჭრილი იყო“. უნდა იყოს: — „მარინეც დაჭრილი იყო“, რაც დაბეჭდილებში შესწორებულია.[4]

ამ რიგად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მეფის ცენზურის მიერ აკრძალული ადგილები, ამ ხელნაწერის საშუალებით „მამის მკვლელში“ სრულის სახით არის შემონახული და აღდგენილი.

საკითხი იბადება: როგორ მოხდა, რომ ცენზურაში 1890 წელს გატარებული „მამის მკვლელი“, ერთი წლის შემდეგ, 1891 წელს ქართველთა ამხანაგობამ აკრძალული ადგილებით თითქმის სრულის სახით დაბეჭდა.

აქ, ადვილი შესაძლებელია, პოეტ რაფიელ ერისთავის მიერ, ოფიციალური ცენზორის ფორმალური მოვალეობის მოხდასთან გვქონდეს საქმე. მან ერთის მხრივ, ცენზორობის ვალის მო-

[1] იქვე. გვ. 256.

[2] 1891 წლის გამოცემაში გამორჩენილი ეს ადგილი შევიდა შემდეგ გამოცემებში იხ. რჩეული ნაწერები — 1937 წ. გვ. 365.

[3] იხ. ალ. ყაზბეგის თხზ. 1891 წ. გამოცემა ტ. II, გვ. 5; რჩეული ნაწერები 1937 წ. გვ. 221.

[1] თხზ. 1891 წ. ტ. II გვ. 5.

[2] რჩეული ნაწერები 1837 წ. გვ. 221.

[3] თხზ. 1891 წ. ტ. II, გვ. 99; ხოლო 1937 წლის რჩეული ნაწერები გვ. 274.

[4] იქვე გვ. 100; 1937 წლის რჩეული ნაწერები გვ. 275.

სახელად „მამის მკვლელის“ ხელნაწერი წითელი მელნით საკმარისად შეკვეცა, ხოლო ქართველთა ამხანაგობის გამგეობას, თავის მხრივ, აკრძალული ადგილები, აღნიშნულ მცირე გამონაკლისით, მეორე ტომში გაუპარებია, რასაკვირველია, დარწმუნებულნი იმ იმედით, რომ რაფიელ ერისთავი ამას დუმილით გვერდს აუვლიდა და ცენზორობის ულმობელობის გამოჩენას აღარ მოინდომებდა. ალექსანდრე ყაზბეგის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის ისტორიისათვის „მამის მკვლელის“ აღნიშნულ ხელნაწერს, დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მწერლის არქივში დღემდე არ არის შემონახული და მიკვლეული ყველა იმ დაბეჭდილ სახელმოხვეჭილ თხზულებათა ავტოგრაფები და ხელნაწერები, რომლებიც თავის დროზე ავტორის ხელიდან უეჭველად გავიდა და მას უკან აღარ დაბრუნებია. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქართველთა ამხანაგობის მიერ გამზადებული აღნიშნული „მამის მკვლელის“ ხელნაწერები, სრულად შემონახული.

ავტორის თხზულებათა ავტოგრაფები: „მოხევეები და მათი ცხოვრება“, „ციცკა“, „ელგუჯა“, „ნამწყესარის მოგონება“, „ელისო“, „ციცია“, „ნინო“, „ბერდია“, „განკიცხული“, „ხევის ბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და სხვა არ არის შემონახული. ყველა ესენი დღემდე დაკარგულად ითვლება. რასაკვირველია, მომავალში არ არის გამორიცხული მათი აღმოჩენის შესაძლებლობა. ბევრ შემთხვევაში უეჭველია მათი არსებობა ჩვენს სიძველეთა საცავებში და არქივებში. მათს აღმოსაჩენად მიმართული მკვლევართა ძიება აულცილებელი და სასარგებლოა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის გაღრმავებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ბორგვილაძე

სამოცდაათი წლების ქართველი განმანათლებლები

★

I

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მე-19 საუკუნის 60-იანი წლები გარდატეხის ხანას წარმოადგენს. ამ დროიდან ჩვენში კაპიტალიზმის მიმართულებით სწრაფი და არსებითი ცვლილებები ხდება. ირღვევა და ისტორიას ბარდება ძველი, დრომოჭმული, ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა. ფეხს იკიდებს და ვითარდება ახალი, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრება.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში, მიუხედავად ბატონყმობის ჭარბად დარჩენილი ნაშთებისა, კაპიტალიზმის განვითარება შედარებით სწრაფად მიმდინარეობს. იზრდება სავაჭრო კაპიტალის ტრიალი, იწყება რკინიგზის მშენებლობა, შენდება ფაბრიკა-ქარხნები, სწრაფად ვითარდება სამთომადნო მრეწველობა, იქმნება სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები. ერთი სიტყვით, ფეოდალური დაქუცმაცებული საქართველო ერთ ნაციონალურ ორგანიზმად შეიკრა და კაპიტალიზმის განვითარების გზას მტკიცედ დაადგა.

ეკონომიურ დარგში მომხდარმა ცვლილებებმა კლასობრივი შემადგენლობის შეცვლაც გამოიწვია. ჰქრება ძველი წოდებრივი განკერძოებულობა, იშლება საზღვარი წოდებათა შორის, წარმოიშვებიან ახალი კლასები, მწვავდება მათ შორის წინააღმდეგობა, ჩაღდება კლასობრივი ბრძოლა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დარგში და კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვიეს სათანადო ცვლილებები იდეოლოგიურ სფეროშიც. ამ ცვლილებების, აგრეთვე დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გავლენით საქართველოში წარმოიშვებიან და ვითარდებიან ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებები, რომლებიც აყენებენ მთელ რიგ ახალ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს და ჩაღდება მათ გარშემო ცხარე პაექრობა.

60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი თაობა გამოდის. იგი გადამწყვეტ ბრძოლას უმართავს იმ ძველ, თავადაზნაურულ, ფეოდალურ-რეაქციული იდეოლოგიას, რომელიც პატრიარქალურ, ბატონყმურ წყობილებას იცავდა. მოწინავე ახალი თაობა ობიექტურად იმ ახალ ცხოვრების იდეოლოგებად წარმოგვიდგება, რომელიც ფეოდალიზმის ნანგრევებზე უნდა აშენებულიყო.

ეს ახალი თაობა თერგდალეულთა

სახელით არის ცნობილი. თერგდალეულთა სახით წარმოსდგა ჯგუფი, შემდგარი ისეთი პირებისაგან, როგორიც იყვნენ ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. ისინი იყვნენ ფილოსოფიაში — მატერიალისტები, ლიტერატურაში — რეალისტები, პოლიტიკაში—დემოკრატები.

თერგდალეულები თითქმის ყველანი გაბატონებული წრიდან, თავადაზნაურობის წრიდან იყვნენ გამოსულნი. ეს აიხსნება იმით, რომ მაშინ მთელი სულიერი კულტურა ამ წოდების ხელში იყო მოქცეული. თავადაზნაურობა მთლიანად აღებული რეაქციური კლასი იყო, მაგრამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, მათი წრიდან გამოვიდა პირველი რევოლუციონერები, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს თვითმპყრობელობასა და ბატონყმობას. ისინი იმ თავადაზნაურულ რევოლუციონერთა თაობას ეკუთვნოდნენ, რომელთა შესახებ ლენინმა სთქვა: თავადაზნაურობის საუკეთესო ადამიანებმა ხელი შეუწყეს ხალხის გაღვიძებას.

მაშინ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზა დახშული იყო. მოწინავე, რევოლუციური მსოფლმხედველობის აშკარა დაცვა შეუძლებელი იყო. მეფის თვითმპყრობელობა საშინლად სდევნიდა რევოლუციური აზრის ყოველგვარ გამოვლენას. ამის გამო რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა მსგავსად, რადიკალურად და რევოლუციურად განწყობილი ქართველი მოაზროვნენი თავიანთ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს გამოხატავდნენ უფრო ნაკლებ საშიშ სფეროში — ლიტერატურის სფეროში. ქართველი მოაზროვნენი იმავდროს ქართული ლიტერატურის ცნობილი მოღვაწენიც არიან. ისინი თავიანთ მოწინავე, რევოლუციურ შეხედულებათა პროპაგანდას პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ეწეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში, 60-იან წლებში თერგდალეულთა ბრძოლა რეაქციური ბანაკის წინააღმდეგ ენის საკითხების გარშემო გაიმართა, — მაგრამ ეს ბრძოლა ამავე დროს, რაც მთავარია, არა პირდაპირ, პოლიტიკური ბრძოლაც იყო. ეს იყო შეტაკება ორი თაობის, ორი მსოფლმხედველობის, რომელიც ორ სხვადასხვა ეპოქას და ისტორიულ ვითარებას გამოხატავდა, ძველი თაობა ძველი ენით, ძველ ფეოდალურ-რეაქციურ მსოფლმხედველობას გამოხატავდა და დრომოჭმულ ფეოდალურ ცხოვრებას იცავდა. ბრძოლა, ახალი, ხალხური ენისათვის ლიტერატურაში იყო, ამავე დროს ბრძოლა ახალი მსოფლმხედველობისა და ახალი ცხოვრებისათვის.

თერგდალეულთა აღზრდის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის ლიტერატურამ, მეცნიერებამ, ფილოსოფიამ. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ახალი თაობა რუსეთის დიდ ლიტერატურას უაღრესი პატივისცემით ეპყრობოდა. თერგდალეულებს სძულდათ მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ ისინი უდიდესი სიყვარულით ეპყრობოდნენ რუს მწერლებს, მათგან სწავლობდნენ ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას. „რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ, — სწერდა ილია ჭავჭავაძე, — გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

რუსი განმანათლებლების შეხედულებები, რა თქმა უნდა, საქართველოს ვითარების პრიზმაში თავისებურად გარდატეხილი, ედვა საფუძვლად თერგდალეულთა შეხედულებებს. თერგდალეულებმა ჩვენს სინამდვილეში გადმონერგეს და დამყნეს რუსი

განმანათლებლების პროგრესიული იდეები. ჩვენმა, ქართველმა განმანათლებლებმა, რუსეთის განმანათლებლების დახმარებითა და იდეური ხელმძღვანელობის შედეგად, შესძლეს გამოემუშავებიათ მოწინავე, ორიგინალური იდეები და მასში გამოეხატათ ქართველი ხალხის ინტერესები და სურვილები.

60-იანი წლების ქართველმა მოღვაწეებმა (თერგდალეულთა ჯგუფი ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით) საქართველოში იგივე როლი ითამაშეს, რაც შე-18 საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა საფრანგეთში და 60-ანი წლების რუსმა განმანათლებლებმა რუსეთში.

ლენინი ცნობილ ნაშრომში: „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ აღნიშნავს რევოლუციური განმანათლებლობის სამ დამახასიათებელ თვისებას: პირველი, შეურიგებელი მტრობა ბატონყმობისა და ცარიზმის მიმართ; მეორე, მგზნებარე დაცვა საზოგადოდ რუსეთის ყოველმხრივი განვითარებისა; მესამე, თავგამოდებული დაცვა მშრომელი მასის, უმთავრესად გლეხობის, გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობას თან მოჰყვება საყოველთაო კეთილდღეობა. ეს თვისებები თერგდალეულებსაც ახასიათებთ. მათაც იგივე აზრები ასულდგმულებდათ. თერგდალეულები, ეს ქართველი განმანათლებლები არიან. მათ უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის პოლიტიკური განათლების საქმეში. თერგდალეულები მოწინავე იდეების მატარებელნი იყვნენ. ისინი იყვნენ ახალი თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლნი. მათ, რამდენადმე, ხალხის რევოლუციური მისწრაფებანი გამოხატეს. თერგდალეულთა დემოკრატიული შეხედულებები მოიცავს, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებას, ისე ეროვნულ დამოუკიდებლობას. მათ პროგრამაში ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა, პოლიტიკური თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ერთს მთლიან დემოკრატიულ პროგრამას ქმნის.

თერგდალეულები ჯერ „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ, ხოლო შემდეგ (1863წ.) საკუთარი ჟურნალი დააარსეს. ჟურნალს ილ. ჭავჭავაძე რედაქტორობდა. „საქართველოს მოამბე“ მოწინავე იდეებს ქადაგებდა საქართველოში.

აი, როგორ აფასებს ამ ჟურნალის მნიშვნელობას ნ. ნიკოლაძე: „1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბეს“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავს უწინდელ კალაპოტს იცვლიდა და ახალში გადასვლას აპირებდა, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო და როცა მეორეს მხრით ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრებისა და ძველი კაცობის, ესე იგი ძველ წესს და სჯულს შუა?.. რაც კი რამე, იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“ („კრებული“ № 10—11—12, გვ. 151—152, 1872 წ.).

ილ. ჭავჭავაძის გარშემო შემოკრებილი ახალი თაობის შესახებ გ. წერე-

თელი სწეოდა: „ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონყმობის განთავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც თ. ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებად იყვნენ თ. ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ჰუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზიბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი. გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხეილ ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვრიშვილი და ვ. თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალი დაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ თ. ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა. პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა თავისი ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მიაწვდინა ახალ წრეს ჰუმანიტარულის მიმართულებისას: „საქართველოს მოამბემ“ დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სანტიმენტალურად შეხედა მათ თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ისევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც“ („კვალი“ № 46, გვ. 815, 1897 წ.).

ილ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბემ“ აღმართა ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის დიადი დროშა საქართველოში. უტოპიური სოციალიზმის დიდი გავლენის ქვეშ მყოფი თერგდალეულები ოცნებობდნენ იმაზე, რომ წინ წაეწიათ ქართველი ხალხის ცხოვრება. ისე გარდაექმნათ იგი, რომ შეექმნათ ქართველი ხალხის შრომისა და პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული დამოუკიდებელი და ბედნიერი ცხოვრება. ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ შექმნილიყო ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც არ იქნებოდა ექსპლოატაცია, სიღატაკე და ადამიანის ჩაგვრა. თერგდალეულები იმ დროს მოღვაწეობდნენ, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი გათიშული არ იყო, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი განუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა საქართველოში.

რა ადგილი უკავია თერგდალეულებს — ამ ჩვენს განმანათლებლებს, მოწინავე, ქართულ საზოგადოებრივ აზრის ისტორიაში? ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით როგორ უნდა შეფასდეს მათი მოღვაწეობის მნიშვნელობა?

ქართველი განმანათლებლები . გამსჭვალულნი იყვნენ ჭეშმარიტი დემოკრატიზმით, მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ისინი ღრმად სწავლობდნენ ხალხის ცხოვრებას და ეძებდნენ საშუალებას მის .გასაუმჯობესებლად. „ჩვენი საქმე, — სწერდა ილ. ჭავჭავაძე, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ქართველი განმანათლებლები გამსჭვალულნი იყვნენ ჭეშმარიტი პატრიოტიზმით, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით. მათი სურვილი იყო საქართველო გაეხადათ მოწინავე ქვეყ-

ნად, სხვა ქვეყნებს შორის თანასწორ და სრულუფლებიან ქვეყნად, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო მათი იდეალი იყო.

ქართველი განმანათლებლები იყვნენ იდეოლოგები ჩაგრული ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო ნაციონალური თანასწორუფლებიანობისაკენ.

მაგრამ თერგდალეულებმა თავი ვერ დააღწიეს ისტორიულ შეზღუდულებას. მათ ვერ ნახეს ვერც სწორი გზა და ვერც ის ძალა, რომელიც მათ კეთილშობილ, დიად ოცნებას განახორციელებდა.

ცხადია, რომ თუ ჩრდილოეთ-დასავლეთიდან შემოჭრილმა რევოლუციურმა მარქსიზმმა საქართველოში პოხიერი ნიადაგი ჰპოვა, ეს არა მარტო იმიტომ, რომ 90-იანი წლების დამლევს და 900-იანი წლების დამდეგს საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის მომზადებული იყო მატერიალური პირობები (განვითარდა კაპიტალიზმი, წარმოიშვა და განმტკიცდა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი), არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ ამისთვის მოწინავე ქართული აზროვნების მიერ მომზადებული იყო სულიერი პირობებიც.

ამით უნდა აიხსნას ის განსაკუთრებული სიმპატიები, რომელსაც ქართველი რევოლუციონერი მარქსისტები XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა მდიდარ მემკვიდრეობისა და ბრწყინვალე ტრადიციებისადმი იჩენდნენ.

ცნობილია, რომ ჭაბუკმა სტალინმა 1895 წელს, ილ. ჭავჭავაძის „ივერიაში“ გამოაქვეყნა თავისი ბრწყინვალე ლექსები. ამ ლექსებში წარმტაც მხატვრულ სახეებში გამოხატულია სიძულვილი მჩაგვრელებისადმი, მხურვალე სიყვარული ხალხისადმი, სამშობლოსადმი და ურყევი რწმენა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის საუკუნოებრივი კეთილშობილი ოცნება (საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება) რევოლუციური ბრძოლით სინამდვილედ იქცეოდა.

ეს ხომ ის იდეური მოტივებია, რომელიც ასე აღელვებდა ქართველ განმანათლებლებს. ამას თვით ჭაბუკი სტალინიც აღნიშნავდა თავის ერთერთ მშვენიერ ლექსში, რომელიც რაფიელ ერისთავისადმი არის მიძღვნილი. მასში ავტორი მხცოვანი პოეტის დამსახურებას, რის გამოც რაფიელ ერისთავს ქართველობამ „ციური ძეგლი აუგო“, იმაში ხედავს, რომ იგი არის „მშრომელ გლეხთა ვაებით საბრალოთ აცრემლებული“ და რომ იგი „დაჰგალობს სამშობლოს“. მშრომელი ხალხისადმი სიყვარული, სამშობლოსადმი სიყვარული — აი, რა გრძნობით არის გამსჭვალული მხცოვანი პოეტი. ამიტომ არის, რომ ჭაბუკი სტალინი აღტაცებული მიუძღვნის მას თავის ბრწყინვალე ლექსს. რაფიელ ერისთავისადმი ამ დამოკიდებულებაში ჭაბუკმა სტალინმა ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება საერთოდ ქართველ განმანათლებლების მიმართ.

ისიც ხომ ცნობილია, რომ ახალგაზრდა სტალინმა უკვე მაშინ, 900-იან წლებში, იმ დროს, როცა ნ. ჟორდანიამ და მისმა ჯგუფმა მთელი ლაშქრობა მოაწყო ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, მთელი სიმკაცრით დაგმო „მესამე დასის“ უმრავლესობის შემცდარი და მავნე შეხედულება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ყველაზე პოპულარული და დიდი მოღვაწის ილ. ჭავჭავაძეს მიმართ.

იყენებდა რა იმ მდიდარ მემკვიდრეობასა და ბრწყინვალე ტრადიციებს,

რაც დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეების (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.) სახელთან არის დაკავშირებული, ი. ბ. სტალინი იმავე დროს მიუთითებდა იმ ისტორიულ შეხედულებაზე, რომელიც მათ მოღვაწეობას ახასიათებდა.

როდის და რა მიზეზების გამო მოხდა თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა?

ჩვენს ჟურნალისტიკაში არსებობს აზრი, თითქოს თერგდალეულები არ წარმოადგენდნენ ერთიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი თერგდალეულთა ჯგუფის დაშლის შესახებ. ეს აზრი ეკუთვნის გ. წერეთელს. იგი ილ. ჭავჭავაძის ჯგუფს, რომელიც „საქართველოს მოამბის" გარშემო იყო შემოკრებილი პირველ დასად, ხოლო 1866 წლიდან გამოსულ „დროების" გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდობას მეორე დასად სთვლის. იხ. „კვალის № 46 1847 წ.

საწინააღმდეგო თვალსაზრისი წამოაყენა არჩ. ჯორჯაძემ. იგი თავის „ქართული აზროვნების ისტორიის მასალებში" იმ აზრს იცავს, რომ თერგდალეულები ერთიან ჯგუფს ქმნიდნენ 1877 წლამდე, მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო სამოციანელთა დაქსაქსვა. მათი დაყოფის მიზეზი მისი აზრით, არის ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის შეტაკება ბანკის საკითხზე, რამაც დასაწყისი მისცა ერთი მხრით სამოციანელთა დაკნინებასა და დაცემას და მეორე მხრით ახალი აზრის დიფერენციაციას. იხ. ტ. V, გვ. 166.

არჩ. ჯორჯაძის შეცდომა აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ ხედავს 60-70-იანი წლებში თერგდალეულთა შორის აზრთა ერთგვარ სხვადასხვაობასა და წინააღმდეგობას. შემდეგ იგი ვერ ხედავს სამოციანელთა გათიშვის ნამდვილ, არსებით მიზეზს და ბოლოს მათ გათიშვას აფასებს, როგორც სამოციანელთა დაკნინებასა და დაცემას.

რაც შეეხება ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დასებად გ. წერეთლის მიერ მოცემულ დანაწილებას, ჯერ ერთი, იგი სრულიად ივიწყებს და ყურადღების გარეშე სტოვებს ნაროდნიკულ მოძრაობას, მეორეც, თერგდალეულთა ჯგუფს, რატომღაც პირველ დასად სთვლის.

70-იანი წლების ბოლომდე თერგდალეულთა შორის ცალკეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს უთანხმოება გათიშვაში არ გადაზრდილა. თერგდალეულები, მიუხედავათ შინაგანი უთანხმოებისა, 70-იანი წლების ბოლომდე ერთიანი ფრონტით გამოდიან.

ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში სწერდა: „განა ამ სტრიქონების დამწერი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ შ ი ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან ს. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ. მაგრამ ჩვენი საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უ ნ დ ა გ ვ ქ ო ნ დ ე ს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულათ ვმსახურობთ და თუ წვრილმან აზრებში, წვრილმან საგნებზე ან შემთხვევებზე ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწევინებს. ასეა ყოველგან, ყოველ შრომაში, უამისოთ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძლებელია" („კრებული" № 10 — 11—12, გვ. 161, 1872 წ.).

ამგვარად 70-იან წლებში ჩვენ ჯერ კიდევ ერთ რაზმთან გვაქვს საქმე. მასში ცალკეული უთანხმოებანი არსებობენ. ეს უთანხმოებანი იზრდებიან და მწვავდებიან, მაგრამ განხეთქილე-

ბასა და გათიშვაში არ გადაზრდილან. უთანხმოება ჯერჯერობით თვით რაზმში ღვივდება და გარეგან გამოაშკარავებას მხოლოდ 70 წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში ნახულობს.

თერგდალეულები იდგნენ საერთო პოზიციებზე და ქმნიდნენ ერთიან მიმდინარეობას, მიუხედავად იმისა, რომ თვით ამ მიმდინარეობაში იყო შეხედულებათა სერიოზული სხვადასხვაობა. სანამ ისინი უკან იხედებოდნენ, ე. ი. სანამ ისინი დრომოჭმულ, ფეოდალურ, ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მანამ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ, ხოლო როცა მომავალს მიაპყრეს თვალი და ახალი ცხოვრების მოწყობის კონკრეტულ პროგრამაზე შეიქმნა ბაასი, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და საბოლოოდ გაითიშნენ.

მაშინ, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე თერგდალეულნი გამოვიდნენ, ძირითადი საკითხი ბატონყმობის მოსპობის საკითხი იყო. ეს აერთებდა თერგდალეულებს ერთიან ბანაკად. 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დამდეგს ჩვენს ქვეყანაში ხდება კაპიტალიზმის მიმართულებით საგრძნობი ეკონომიური ძვრები. და კლასობრივი ცვლილებები. საკითხი დაისვა: ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში საქართველოს ახალ გზაზე სვლას? რომელმა კლასმა უნდა იკისროს ხელმძღვანელობა, აიღოს ხელში წინამძღოლობის დროშა და გაუძღვეს ქართველ ხალხს ახალ ცხოვრებისაკენ? რა საშუალებით და რა გზით შეიძლება მივაღწიოთ ახალ ცხოვრებას, ქართველი ხალხის დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებას? — აი რა საკითხებმა გასთიშა თერგდალეულთა ერთიანი ბანაკი სხვადასხვა მიმართულებებად. წარმოიშვნენ ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებები: ფეოდალურ-პროგრესიული მიმართულება ე. წ. „პირველი დასი“, ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმართულება ე. წ. „მეორე დასი“, ნაროდნიკული მიმდინარეობა და ბოლოს 90-იანი წლების პირველ ნახევარში მარქსისტული მიმდინარეობა ე. წ. „მესამე დასი“, რომელშიც 90-იანი წლების ბოლოს (1898 წ) ისახება და ყალიბდება რევოლუციური უმცირესობა—ლენინური მიმდინარეობა.

II

პირველი საზოგადოებრივ პოლიტიკურ დასს ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. ილ. ჭავჭავაძის შემოქმედება მრავალფეროვანია. იგი პოეტიც არის და კრიტიკოსიც, ბელეტრისტიც და პუბლიცისტიც. მაგრამ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში იგი არის პირველყოვლისა, დაუცხრომელი მებრძოლი და მხურვალე დამცველი ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისა.

ილ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება 60-იან წლებში მოხდა. მან ამ პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შეხედულებები სიკვდილამდე შეინარჩუნა. ილ. ჭავჭავაძე მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ერთი მთლიანი მსოფლმხედველობით არის აღჭურვილი. მთელ მის შემოქმედებაში წითელ ზოლივით გადის ერთიან შეხედულებათა გარკვეული სისტემა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისმა შეხედულებებმა ერთგვარი ევოლუცია არ განიცადეს. ეს ევოლუცია ზარცხნიდან მარჯვნივ წავიდა, მაგრამ ეს არ ყოფილა ერთი მსოფლმხედველობის მეორეთი შეცვლა. აზრთა და შეხედულებათა ცვლილებები უკვე შექმნილ და ჩამოყალიბებულ ერთიან მსოფლმხედველობით სისტემაში ხდება.

ლ. პ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) მეცხრე

ყრილობაზე ილ. ჭავჭავაძეს „მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე უწოდა. ილია ქართველი ხალხის თანასწორუფლებიანობისათვის დაუცხრომელი მებრძოლია. „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“, — აი დიადი და კეთილშობილური მიზანი, რომელიც მას ასულდგმულებდა და ამოძრავებდა. იგი მოხევის პირით ამბობდა: ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო. ეს იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მთელი პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლასაც მთელი თავისი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა შესწირა.

ილია ჭავჭავაძის ნაციონალურ პროგრამას დემოკრატიული საფუძველი აქვს. იგი გამსჭვალულია ღრმა სიძულვილით სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ცხოვრების მძიმე უღელი, ამბობს ილია, მშრომელს აწევს კისრად. მძარცველთა მიერ მშრომელი ტყვედ არის პყრობილი. ილია გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ განახლების გრიგალი დალეწს შრომის ბორკილებს და დაამყარებს შრომის სუფევას. მისი აზრით, ეს იქნება ჭეშმარიტი ძმობა, ერთობა, თავისუფლება. („აჩრდილი“).

ილ. ჭავჭავაძეს ნაციონალური პროგრამის შინაგან არსობას გლეხობის საკითხი წარმოადგენს. ილიას მარტო ნაციონალური სახელმწიფოებრიობისა და ნაციონალური კულტურის საკითხი როდი აინტერესებს. მას კარგად ესმის რომ გლეხობის გარეშე არ შეიძლება იყოს მძლავრი ნაციონალური მოძრაობა. გლეხობა შეადგენს ნაციონალური მოძრაობის ძირითად არმიას. ამით უნდა აიხსნას გლეხობის საკითხისადმი ილ. ჭავჭავაძის განსაკუთრებული ყურადღება. იგი, პირველყოვლისა, სწორედ გლეხობაში ხედავდა ეროვნული აღორძინების ჯანსაღ საწყისებს.

ი. ბ. სტალინმა ილია ჭავჭავაძე ლევ ტოლსტოის შეადარა და შენიშნა: „იმიტომ ხომ არ ვერიდებით ილია ჭავჭავაძეს, რომ ის თავადთაგანი იყო? მერე და განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორიც მოგვცა ჭავჭავაძემ? მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძე უთუოდ დიდი ფიგურა იყო“ (იხ. ჟურ. „მნათობი“ № 12, 1939 წ. მიხ. ჭიაურელის მოგონება). ამ შედარებას მეტად ღრმა აზრი აქვს. ისევე, როგორც ლ. ტოლსტოის, ილ. ჭავჭავაძის მთავარი მოღვაწეობა ხვდება ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ ხანას, რომელიც ორი მისი გარდატეხის საზღვრებს შუა დევს, 1861 — 1905 წლებს შორის.

ლენინი ტოლსტოის შესახებ სწერდა, რომ იგი „სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს. მთელ რიგ გენიალურ ნაწარმოებებში, რომელნიც მან მოგვცა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი უმთავრესად გვიხატავდა ძველ, რევოლუციამდელ რუსეთს, რომელიც 1861 წლის შემდეგაც ნახევრად-ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სოფლურ რუსეთს, მემამულისა და გლეხის რუსეთს“.

იგივე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის შესახებაც. მან ჩინებულად იცოდა სოფელი, გლეხის დუხჭირი, სასოწარკვეთილებით და გაბოროტებით აღსავსე ცხოვრება. ილიამ თავის ნაწერებში ასახა მემამულისა და გლე-

ზის ყოფაცხოვრება, დაგვიხატა გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობის რეალისტური სურათები. ილია ჭავჭავაძე ობიექტურად გახდა განსაზღვრული ისტორიული ეპოქის საქართველოს გლეხობის განწყობილების გამომხატველი.

ილ. ჭავჭავაძე 80-იანი წლების მიწურულამდე მთელ თავის გულისყურს სოფელს მიაპყრობდა. იგი სთვლიდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი. მიწა და გუთანია. მას ღრმად სწამდა, რომ „ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია“ (ტ. VI, გვ. 236).

ამ რწმენას ემყარება წოდებათა შეერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეა. გლეხობასა და თავად-აზნაურობას შორის შუა-კაცობა, შუა-ჩადგომა, და მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება — აი ყოველი ქართველის დიადი მოვალეობა. წოდებათა მორიგება, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობა და ამ საფუძველზე საქართველოს ნაციონალური აღორძინება — აი დიადი იდეალი, რომლის განხორციელებისათვისაც ყველა ქართველი უნდა ზრუნავდეს. „ჩვენის გულითადის ფიქრით ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი“,—სწერდა ილია (ტ. VI, გვ. 164).

ილ. ჭავჭავაძე თავადაზნაურობას მოუწოდებდა მეურნეობა ახლებურად, რაციონალურად მოეწყო. ფაქტიურად, ეს იყო სოფლად მოწინავე, კაპიტალისტური მეურნეობის დანერგვის პროგრამა. 90-იან წლებში, როცა ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმმა ფეხი მოიკიდა და გამტკიცდა, ილია აფართოებს თავის პროგრამას. იგი მიუთითებს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტზე და ასაბუთებს მემამულური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობასთან შეგუების აუცილებლობას. ილია მოუწოდებს განათლებულ, ლიბერალურ თავადაზნაურობას, როგორც ქართველი ხალხის წამყვან, კულტურულ ძალას, სათავეში ჩაუდგეს საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას. თუ თავადაზნაურობას სურს „ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი“, მაშინ „მძიმე სამრეწველო ურმის თავში თვითონვე უნდა შეებას“, სწერდა ილია. (იხ. „ივერია“ № 20, 1893 წ. „მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა“).

ილ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა და მხატვრული შემოქმედება წინააღმდეგობას მოიცავს. მის ნაწერებში ნათლად ჩანს სიძულვილი ბატონყმურ, ფეოდალურ ცხოვრებისადმი, მხურვალე სურვილი, წარსულისაგან განთავისუფლებისა, დაუცხრომელი მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ. ილია გაბედულად აყენებს თავისი დროის მტკივნეულ საკითხებს, აშკარად და მეტად მწვავედ ილაშქრებს ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. გვაძლევს თავადაზნაურობის ხშირად მეტად დაუზოგველ კრიტიკას, მკაცრ პროტესტს უცხადებს მეფის თვითმპყრობელობას, ებრძვის მას, აღშფოთებული გესლიანად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ქართველი ერის შევიწროვებას ცდილობენ. მაგრამ ამავე დროს იგივე ილ. ჭავჭავაძე თავგამოდებით იცავს თავადაზნაურობას, ქადაგებს კლასთა თანამშრომლობის იდეას და მასზე აფუძნებს საქართველოს ეროვნული აღორძინების რწმენას, მოუწოდებს განათლებულ ლიბერალურ თავადაზნაურობას სათავეში ჩაუდგეს საქართველოს კაპიტალიზმის გზით განვითარებას და წაიყვანოს ქართველი ხალხი აღორძინებულ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოსაკენ; შესაძლებლად

სთვლის ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის თანაარსებობას, სიბრძნეს მათ ბედნიერ მორიგებაში ხედავს და სხვ.

ასეთია ილ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ზოგადად, საერთო ხაზებში განხილული.

როგორია მისი თეორიული, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შეხედულებები?

ცნობილია, რომ ილ. ჭავჭავაძეს ფილოსოფიური ტრაქტატი არ დაუწერია. შრომა სპეციალურად ფილოსოფიურ საკითხისადმი არ მიუძღვნია მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ იგი ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ საკითხებს არ შეხებია და რომ მას საკუთარი თეორიული კონცეპცია გამომუშავებული არ ჰქონია. ილ. ჭავჭავაძის თეორიულ-ფილოსოფიური შეხედულებები გაფანტულია მის მრავალ პუბლიცისტურ და პოეტურ-ბელეტრისტულ ნაწარმოებებში. მას ჰქონდა ღრმად მოფიქრებული და ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული თეორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელსაც ილ. ჭავჭავაძე ატარებდა თავის ყველა ნაწარმოებებში, პუბლიცისტური იყო იგი თუ ბელეტრისტული. ილია თავის პრაქტიკულ შეხედულებებს ყოველთვის თეორიულ-ფილოსოფიურ საფუძვლებს უძებნიდა და მით ასაბუთებდა.

ილია ჭავჭავაძე თავის დროის უდიდესი მოაზროვნეა. იგი იდგა მსოფლიო მეცნიერების სიმაღლეზე. მან მოგვცა მსოფლიო მეცნიერული, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური აზრის დამოუკიდებელი კრიტიკული დამუშავების ბრწყინვალე ნიმუშები.

როგორ სწყვეტს იგი ყოფიერებისა და ცნობიერების მატერიისა და აზროვნების დამოუკიდებლობის საკითხს? სრულიად ბუნებრივია, პირველყოვლისა, ამ კითხვის დაყენება. ეს საკითხი, როგორც ენგელსი გვასწავლის, წარმოადგენს ყოველი ფილოსოფიის უდიდეს, ძირითად საკითხს, რომელიც ფილოსოფიას ორ დიდ ბანაკად, მატერიალისტურ და იდეალისტურ ბანაკად ჰყოფს. აღსანიშნავია, რომ ამ კითხვას თვით ილია აყენებს. ყოველ ადამიანს, ამბობს იგი, ისტორიის მთელ მანძილზე „ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალფერ ქვეყანაში ჭირვეული საკითხი: საიდან რაა და როგორ?“ ამ კითხვაზე ილ. ჭავჭავაძეს პასუხი მატერიალისტურია. ჯერ კიდევ 1863 წელს ჟურ. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიაში ილია ნათლად მიუთითებს ცხოვრების გამსაზღვრელ როლზე. მისი აზრით, იდეებსა და შეხედულებებს, მეცნიერებას და ლიტერატურას საბოლოო ანგარიშით ცხოვრება განსაზღვრავს. ცნობიერება ცხოვრებასთან ორი მხრივ არის დაკავშირებული. ცნობიერებას ცხოვრება წარმოშობს და ცხოვრებასვე ემსახურება. ცხოვრება არის პირველადი და გამსაზღვრელი იმიტომ, რომ იგი არის ჩვენი შეხედულებებისა და იდეების, მეცნიერებისა და ხელოვნების მასაზრდოებელი წყარო, ხოლო იდეები და შეხედულებები, ლიტერატურა და ხელოვნება მეორადი, წარმოებული, იმიტომ რომ „იგი ცხოვრების ანარეკლსა და ასახვას წარმოადგენს (იხ. ტ. IV, გვ. 73, 83).

ილია, ხაზს უსვამს რა ცხოვრების გამსაზღვრელ როლს, ამავე დროს მიუთითებს სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების უდიდეს მნიშვნელობაზე. იგი ღრმად არის დარწმუნებული მოწინავე, პროგრესიული აზრის უკვდავებასა და უძლეველობაში. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის ღღეში არაო, ამბობს ილია; იგი ამაში ხედავს კაცობრიობის განახლებისა და

უკვდავების უძლიერეს წყაროს (იხ. ტ. IV, გვ. 68).

ილიას მიერ მოწინავე აზრის აქტიური, შემოქმედებითი მნიშვნელობის აღფრთოვანებით აღიარება სრულიად არ ლაპარაკობს ილიას შეხედულებათა იდეალიზმზე. ეს მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს. ამ შემთხვევაში ილია ლაპარაკობს არა სულიერი ცხოვრების წარმოშობასა და აღმოცენებაზე, არამედ მათს მნიშვნელობასა და როლზე ისტორიაში. ილია ხაზს უსვამს იდეებისა და შეხედულებების სერიოზულ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი, მოწინავე იდეები და შეხედულებები, ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას წარმოადგენენ. მათ წინ მიჰყავთ საზოგადოება, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ისინი თვით ცხოვრების ნაყოფსა და შედეგს წარმოადგენენ. „რა აახლებს, რა სცვლის და თუ ცხოვრება ჯანმთელია, რას მიჰყავს წინ? — კითხულობს ილია და თვით უპასუხებს, — ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“ (ტ. IV, გვ. 68).

ილია ჭავჭავაძე გვაძლევს ბუნებისა და საზოგადოების არა მარტო მატერიალისტური ახსნის ბრწყინვალე ნიმუშებს, არამედ ამავე დროს ბუნებისა და საზოგადოებისადმი დიალექტიკური მიდგომის ბრწყინვალე ნიმუშებსაც.

ილია კარგად ხედავს, რომ ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობისა და განვითარების მდგომარეობაში იმყოფება. პოეტი ერთმანეთს ადარებს მიუკარებელ, ცივს მყინვარს, რომელიც უკვდავებისა და განცხრომის, უცვლელობისა და მარადიულობის გამოხატულებას წარმოადგენს და მრისხანე და შეუპოვარ თერგს, რომელიც მარადიული, დაუცხრომელი მოძრაობისა და განვითარების, მუდმივი მოუსვენრობისა და ბრძოლის გამოხატულებაა და ამბობს: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

ილიამ, ერთი მხრივ, უარყო მეტაფიზიკა, რომელიც ცხოვრების აბსოლუტურ უცვლელობიდან გამოდის და აღიარა ცხოვრების მარადიული ცვალებადობა. ილიამ, მეორე მხრივ, უარყო აბსოლუტური რელატივიზმი, რომელიც აბსოლუტურ ცვალებადობიდან გამოდის და აღიარა ცვალებადი ცხოვრების მარადიულობა.

განსაკუთრებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ილია აღიარებს ძველიდან ახალში გადასვლას რევოლუციის გზით. იგი სწერს: „სიტყვამ რევოლუცია არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია დაწყნარების სათავეა. ასეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე“ (ტ. II, გვ. 8). ილია რევოლუციას უყურებს, როგორც ახალი ცხოვრების დასაწყის საშუალებას. რევოლუცია, მისი აზრით, ანახლებს კაცთა ცხოვრებას. იგი ანგრევს ძველს და დასაწყისს აძლევს ახალს. რევოლუციით დაწყებული ახალი, შემდეგ, მდორედ „დაწყნარებული“ მიმდინარეობს, ე. ი. რევოლუციას ევოლუციური პროცესი სცვლის.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად აქვს გაგებული სუბიექტური დიალექტიკა, აზროვნების დიალექტიკური წესი. აზროვნებაში წინააღმდეგობათა გამომჟღავნებისა და დაპირისპირებული აზრების შეჯახებაში ილია ხედავს ჭეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას. „ჰოსა და არას ჭიდილი, ამბობს ილია, ერთად-ერთი გზაა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა“. მაგრამ ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო

შორს წავიდა. მან ამავე დროს მოგვცა ობიექტური დიალექტიკის ღრმა გაგებაც. ილიამ რამდენადმე შესძლო აზროვნების დიალექტიკური წესი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების შესწავლაზე გაევრცელებია. იგი კარგად ხედავს, რომ მოპირდაპირე ძალთა ჭიდილი, განუწყვეტელი ბრძოლა არის ყველგან — ბუნებაში, საზოგადოებაში, და აზროვნებაში: „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად" (ტ. VI, გვ. 118).

ილია ჭავჭავაძე გვაძლევს კაცობრიობის ისტორიის მსვლელობის მატერიალისტური გაგების მთელ რიგ მნიშვნელოვან ელემენტებს. მისთვის უცხოა ნაროდნიკული სუბიექტივიზმი. იგი არ იზიარებს იმ შემცდარ და მავნე სუბიექტურ თვალსაზრისს ისტორიაზე, რომელიც სთვლის, რომ ისტორიას აკეთებენ არა ხალხი, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები", რომლებსაც ბრმად მიჰყვებიან ინერტიული და უინიციატივო, ყოველგვარი შემოქმედებითი ძალას მოკლებული ბრბო-ხალხი. ამ შემთხვევაში ილია მთელი თავით მაღლა სდგას ფრანგ განმანათლებლებსა და რუს ნაროდნიკებზე. ილია ისტორიის შემოქმედად ხალხს სთვლის. ხალხი ქმნის და მას წინ მიჰყავს ისტორია. ისტორია, ამბობს იგი, ყველას ღვაწლია, მთელი ხალხის ნაშოქმედარია. ხალხის, მშრომელი მასის დიადი და შემოქმედებითი შრომა სწყვეტს ისტორიის ბედ-იღბალს. „ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული" (ტ. IX, გვ. 20).

როგორია გამოჩენილი პიროვნების როლი? რა მნიშვნელობა აქვს გამოჩენილ ადამიანებს საზოგადოების ცხოვრებაში, საზოგადოების ისტორიაში? ილია იცავს მატერიალისტურ თვალსაზრისს. გენიოსი ადამიანი, ამბობს იგი, „გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამით ვამბობდეთ ვითომც გენიოსი ციდან იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა" (ტ. IV, გვ. 66).

მიუხედავად იმისა, რომ ილ. ჭავჭავაძემ მოგვცა ბუნებისა და საზოგადოებისადმი დიალექტიკური მიდგომისა და მატერიალისტური ახსნის მთელი რიგი ბრწყინვალე ნიმუშები, ვერ შესძლო საბოლოოდ დაეძლია მეტაფიზიკა და იდეალიზმი.

ილ. ჭავჭავაძე შესაძლებლად სცნობდა მეცნიერებისა და რელიგიის მორიგებასა და ერთად არსებობას. ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ სამყაროში არის საგნები და მოვლენები, რომელთა შემეცმება და გონებით მიღწევა შეიძლება და არის ისეთი რამ, რისი მიღწევაც მხოლოდ რწმენით ხდება შესაძლებელი, ამგვარად ცოდნა და რწმენა, მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს კი არ უარყოფენ და გამორიცხავენ, არამედ ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთს ავსებენ (ტ. VII, გვ. 120).

ილ. ჭავჭავაძემ ზოგიერთ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა მსგავსად (თვით იგი ნიუტონს ასახელებს) ერთი მხრივ შეზღუდა მეცნიერების სფერო და ადგილი მისცა რელიგიას, მეორე მხრივ,

შემოფარგლა რელიგიის სფეროც და ადგილი მისცა მეცნიერებას.

ილ. ჭავჭავაძემ ვერ შესძლო საბოლოოდ იდეალიზმსა და რელიგიასთან ანგარიში გაესწორებია და მარქსის ფილოსოფიური მატერიალიზმის სიმაღლემდე ამაღლებულიყო.

მით უმეტეს, მან ვერ შესძლო ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე ასულიყო.

იგი თავის უტოპიურ ოცნებას, წოდებათა შერიგებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შესახებ აშენებდა რეალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად და მის წინააღმდეგ. ილია იმის საფუძველს, რაც თვით ცხოვრებაში ვერ ნახა, ადამიანთა შეგნებაში ეძებს. ცნობილ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ ავტორი ცდილობს დაუმტკიცოს მკითხველს „ამ უთავბოლო და წყევლა-კრულვიან წუთისოფელში“ „საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხების“ გადაწყვეტის სრული შესაძლებლობა „ცრემლიანი ცოდნის“ საშუალებით. მოთხრობის ავტორს სჯერა, რომ თუ შეიცვლება ადამიანთა შეგნება, საზოგადოებრივი ცხოვრებაც სასურველ მიმართულებით შეიცვლება. მას სწამს, რომ ადამიანთა მიერ იმის შეგნება, რომ ყველა ჩვენ ქართველები ვართ, ყველანი ერთად უნდა ვიბრძოდეთ სიკეთისათვის და ყველა ჩვენგანს მოპოებულ სიკეთისაგან თავისი წილი უნდა ერგოს— ჩატეხილ ხიდს გაამთელებს, წოდებათა ცხოვრების ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ნაპირებს შეაერთებს და წოდებათა შერიგებისა და მშვიდობიან თანამშრომლობის საფუძველს შექმნის. ეს იყო იდეალისტური, არსებითად რეაქციური ფუჭი ოცნება.

დასასრულ, ილ. ჭავჭავაძის ჰუმანიზმისა და ეთიკურ შეხედულებათა შესახებ.

ილია, როგორც თავისი დროის დიდი ჰუმანისტი, ადამიანის ბედნიერებისათვის იღწვის. იგი დაუნდობელ ბრძოლას უმართავს ასკეტიზმს. მან პოემაში „განდეგილი“ ბრწყინვალედ დაგვანახვა, თუ როგორ სძლია სიკვდილს სიცოცხლემ, ცხოვრებისაგან განდგომას—ცხოვრების სიტკბოებამ, დრომოჭმულს — ახალმა, სიცოცხლით სავსე ძალამ.

ილიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო პიროვნების რელიგიურ-ასკეტურ ჩაგვრას, არამედ ამავე დროს, რაც მთავარია, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ჩაგვრასაც. ილია კარგად ხედავს, რომ პიროვნება ვერ დაფასდება იმ საზოგადოებაში, რომელიც ემყარება მარტო კერძო, პირად ინტერესს, ეგოისტურ მისწრაფებას. ილია მოთხრობაში „სახრჩობელაზედ“ მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ ხიდია ჩატეხილი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის.

ილ. ჭავჭავაძემ მოგვცა პიროვნებისა და საზოგადოების, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის თავისებური, მეტად საინტერესო გადაწყვეტა.

იგი ამტკიცებს, რომ ყოველი ადამიანი, ერთის მხრივ, ინდივიდია, რომელსაც თავისი საკუთარი პირადი ინტერესი აქვს, მეორეს მხრივ, საზოგადო სულიერი, რომელიც დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან. ყოველი ადამიანი ერთი მხრივ უფალია და მეორე მხრივ მოვალე. უფალია თავის საკუთარ საქმეში, თავისი პირადი ინტერესების სფეროში. აქ, ინდივიდუალურ, პირად სფეროში ბრძანებლობს ადამიანის „მე“. „მე-ს“ სფერო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებით უნდა სარგებლობდეს, საზოგადოებისა და მთავრობის მოვალეობა ის არის, რომ „ადამიანის „მე“-ს დღემუდამ მფარველობდეს,

უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეესიოს და არავის გააქელვინოს; მის სულიერ და ნივთიერს კუთვნილებაზედ მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით, რამდენადაც შესაძლოა, სრულ და ბედნიერ-ჰყოს (ტ. IX, გვ. 39).

მაგრამ ადამიანის არსებობა სხვა ადამიანებთან კავშირის გარეშე შეუძლებელია. ერთად ცხოვრება ურთიერთ-დამოკიდებულებასა და ურთიერთ-მიმართებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ და აქვთ არა მარტო ურთიერთისაგან დამოუკიდებელი „მეს“ სფერო, რომელიც სრული სუვერენიტეტით სარგებლობს, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი „მეს“ სფერო. ეს არის საზოგადოებრივი „ჩვენ“. ამ სფეროში, ამტკიცებს ილია, „მე“ მოვალეა და „ჩვენ“ ბრძანებელი. პიროვნულ „მე“-ს სუვერინილობისა და დამოუკიდებლობის უფლება მაშინ აქვს, როცა იგი „სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს“ (ტ. IX, გვ. 36).

ყოველი ადამიანი იმის მიხედვით უნდა დაფასდეს, თუ რა სიკეთე და მადლი მოაქვს მას ადამიანისათვის, საზოგადოებისთვის: „რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენ“, აბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის“ (ტ. VII, გვ. 110).

მაგრამ რა არის მადლი, რა არის ცოდვა? რას ჰქვიან კეთილი და ბოროტი? ილია ცდილობს გვიჩვენოს, რომ არ არის მარადიული, უცვლელი ზნეობრივი პრინციპები. ეთიკური ნორმები იცვლებიან საზოგადოებიდან საზოგადოებაში, ეპოქიდან ეპოქაში. ბოროტი და კეთილი, ცოდვა და სათნოება არსებობენ არა თავისთავად, არამედ ადამიანთა მიმართ. ის რაც სათნოებაა ერთ ადგილას და ერთ დროს, შეიძლება ბოროტებად გადაიქცეს სხვა დროს და სხვა ადგილას. ზნეობრივი ნორმები ატარებენ შედარებით ხასიათს (იხ. ტ. VII, გვ. 74).

ილია გვიჩვენებს რა ეთიკური ნორმების შედარებით ხასიათს, ემიჯნება სუბიექტურ რელატივიზმს და ცდილობს მოსძებნოს ეთიკური ნორმების ობიექტური საფუძველი. იგი ფიქრობს, რომ რადგან ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის, ადამიანი კი ყველგან ადამიანია, ამიტომ „რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში“ (ტ. VII, გვ. 75).

იმისთვის, რომ განისაზღვროს ცოდვა და მადლი, კეთილი და ბოროტი, უნდა გაირკვეს ადამიანის ცხოვრების აზრი და საგანი.

ილია სთვლის, რომ აზრი და საგანი ცხოვრებისა იმის შეტყობა, შემეცნება და იმისადმი სამსახურია, რასაც „ჟამი ითხოვს“ (ტ. VIII, გვ. 82). ვინც გაიგო რას ითხოვს ისტორიული ვითარება, ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებები და იღწვის მისთვის,— აი ვინ იძლევა მაღალ ზნეობრივ მოქმედების ჭეშმარიტ ნიმუშს: „საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის სოფლის სუფრაზედ, რაც აქვს, ვინც მართლად აღნიშნავს თავის მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც“ (ტ. VII, გვ. 152).

ასეთია ილ. ჭავჭავაძის შეხედულებები მორალზე. ილიამ ვერ შესძლო საბოლოოდ დაეძლია ანტიისტორიული, მეტაფიზიკური თვალსაზრისი. იგი შეეცადა „ყველგან, ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში“ გამოსადეგი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური ნორმები ჩამოეყალიბებია. ასეთი ცდა არ შეიძლებოდა მარცხით არ დამთავრებულიყო. როგორც ენგელსმა დიურინგთან კამათში ნათელჰყო, მორალური ნორმები გამოჭრილი ყოველ დროისა, ყველა ხალხისა და ყველა შემთხვევისთვის — სიბამდვილეში არსად და არასოდეს არ გამოდგება. მაგრამ აქ, ზნეობრივი მოძღვრების სფეროშიც ილიამ შესძლო დიალექტიკური განხილვის მთელი რიგი საყურადღებო მაგალითები მოეცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ილია ადამიანის მოქმედებას აფასებს არა „მარადიული სამართლიანობის“, ან სხვა წინასწარაღებული იდეალის თვალსაზრისით, არამედ ისტორიულად. იგი მორალურ ნორმებს განიხილავს იმ ვითარებასთან განუყოფელ კავშირში, რომლებმაც წარმოშვა და რომელთანაც დაკავშირებულია იგი. მეტაფიზიკურია ილიას ცდა მოსძებნოს ისეთი ზოგადი მორალური კრიტერიუმი, რომელიც ყოველ დროისთვის, ყოველ ადამიანისთვის გამოსადეგი იქნება. მაგრამ დიალექტიკას არ არის მოკლებული, რომ ზნეობრივი ქცევის ასეთ საზომად მას მიაჩნია ისეთი მოქმედება, რომელიც საზოგადოების ცხოვრების მოთხოვნილებებს გამოხატავს. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებათა გაგება და მისადმი სამსახური — აი რა არის ზნეობრივი მოქმედება. ზნეობა ხალხის ინტერესებს უნდა ემორჩილებოდეს. ზნეობრივია ის, რაც ხელს უწყობს ხალხის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

როგორია საერთო დასკვნა? რა ადგილი უკავია 60-იანი წლების ქართველ განმანათლებლების იდეურ ბელადს — ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში?

დემოკრატიული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ყველაზე დიდი და პოპულარული წარმომადგენელია ილ. ჭავჭავაძე, ისტორიულად მარქსიზმისა და პროლეტარული მოძრაობის წინამორბედია საქართველოში.

მნიშვნელოვანია ილ. ჭავჭავაძის როლი მას შემდეგაც, რაც საქართველოში რევოლუციური მარქსიზმი ჩაისახა და განვითარდა და მუშათა რევოლუციური მოძრაობა დაიწყო. იგი ვერ ავიდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების სიმაღლემდე, მან ვერ გაიგო მუშათა მოძრაობა და მისი როლი, მან ვერ გაიგო ვერც 1905 წლის რევოლუცია. მიუხედავად ამისა, ილ. ჭავჭავაძემ, როგორც დიდმა მხატვარმა და მოაზროვნემ, ასახა და გამოხატა რევოლუციური მოძრაობის ერთი მხარე. იგი გამომხატველია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა ნაციონალურ თანასწორუფლებიანობისთვის. ეს ბრძოლა მიმართული იყო საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ და ამდენადაც ობიექტურად პროლეტარული მოძრაობის ინტერესებს ემსახურებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოც. კ. ჭანიშვილი

მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერებისათვის

★

ომისშემდგომი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მთავარ პირობებს წარმოადგენს ჩვენი მოწინავე აგრობიოლოგიის განვითარება და მისი მიღწევების გადატანა სოფლის მეურნეობაში. ამ ამოცანის შესრულების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის აკად. ტ. დ. ლისენკოს, რომელმაც მოხერხებულად შეაერთა ტიმირიაზევის და მიჩურინის მოძღვრება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გამოყვანისა და მათი ბუნების შეცვლის შესახებ — დოკუჩაევის, კოსტიჩევისა და ვილიამსის მოძღვრებასთან — ნიადაგის წარმოშობისა და მისი ნაყოფიერების ზრდის შესახებ.

მოწინავე მეცნიერებს — მიჩურინელებს და პირადად აკად. ლისენკოს დიდი ბრძოლა დასჭირდათ ბიოლოგიური მეცნიერების ფრონტზე, სანამ აშკარა გახდებოდა მათი მოწინააღმდეგეების რეაქციული ბუნება.

აკად. ლისენკომ ხუთმეტი წლის განმავლობაში დიდი ბრძოლა განიცადა. მის მიერ დამუშავებული თეორია, რომელიც გამომდინარეობს დარვინის, ტიმირიაზევისა და მიჩურინის მოძღვრებიდან, არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ცოცხალი ორგანიზმების განვითარების მატერიალისტურად გაგებისათვის. ეს ბრძოლა ატარებდა არა მარტო მეცნიერულ ხასიათს ორ მიმდინარეობას შორის, არამედ ეს ყოველმხრივი ბრძოლა იყო ორი ბანაკისა: ერთის მხრივ, მოწინავე პროგრესიულ ჭეშმარიტ მეცნიერებისა და, მეორეს მხრივ, დრომოჭმულ იდეალისტურ რეაქციულ მიმდინარეობას შორის.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ახლახან ჩატარებულმა სესიამ აშკარა გახადა ამ ბრძოლის არსი და ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხებმა გაიგეს, თუ როგორ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული მუშაობა და მთელი სიცოცხლე დაუკავშირეს ჭეშმარიტ მეცნიერებისათვის ბრძოლას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას, მეცნიერების მიღწევების ცხოვრებაში გამოყენების საქმეს; მეორე მხრივ კი კაბინეტ-ლაბორატორიების გამოკეტილ კარებში ჩამჯდარი, ბაყაყის კვერცხების, ზღვის ზღარბებისა და მსგავსი ცხოველების ობიექტებით გატაცებულნი ექსპერიმენტის შედეგად მიღებული „ფილოსოფიური დასკვნებით“ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის კათედრებიდან ანაგვიანებდნენ ახალგაზრდათა თაობის გონებას. სარგებლობდნენ რა საბჭოთა მთავრობის ნდობით და მეცნიე-

რებისადმი პატივისცემით, ისინი იყენებდნენ პრესის თავისუფლებას და ებრძოდნენ ჭეშმარიტ მეცნიერებას, რითაც ხელს უშლიდნენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს.

სესიის მასალების დამუშავებას და ათვისებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდეგში აგრობიოლოგიური მეცნიერების განვითარების და სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში, სესიის შედეგები მოწონებულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ.

აკად. ლისენკოს მოხსენებამ ნათელი გახადა, რომ დღეს ჩვენში არსებობს ორი დიამეტრულად მოწინააღმდეგე მიმართულებანი: პროგრესიული — მიჩურინული მიმართულება, რომლის ფუძემდებლად ითვლება ჩვენი სამშობლოს უდიდესი მეცნიერი ი. ვ. მიჩურინი და რეაქციული — მენდელისტურ-მორგანისტული მიმართულება, რომლის მამამთავრებად ითვლებიან უცხოური ბურჟუაზიული ქვეყნის ბიოლოგები: ვეისმანი, მორგანი და მენდელი. ეს ბრძოლა არაა ვიწრო საკითხის ირგვლივ ბრძოლა, რომელიც ეხება მხოლოდ მეცნიერთა მცირე წრეს და შემოფარგლულია თეორიული მსჯელობით, არამედ ეს უდიდესი პრინციპული საკითხია საერთოდ ბიოლოგიურ მეცნიერებაში, ეს არის ბრძოლა მატერიალიზმისა იდეალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა დიალექტიკისა მეტაფიზიკის წინააღმდეგ, რადგან ბიოლოგია ისეთი მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის, ზრდისა და განვითარების საკითხებს, მათი უამრავი სახეების წარმოშობის მიზეზებს. ამიტომ, თუ სწორად არ იქნა გაგებული ცოცხალი ორგანიზმების აგებულების მიზანშეწონილება გარემოსთან და არ გაირკვა ამ ორგანიზმების ცვლილებების მიზეზები, ადამიანი ვერ შესძლებს მცენარეებისა და ცხოველების ჯიშების მიზნობრივად გაუმჯობესებას, და მათ ზრდა-განვითარების მართვას იმ მიზნით, რომ მივიღოთ უფრო მეტი და კარგი ხარისხის პროდუქტები.

სესიაზე განხილული იყო უდიდესი მეცნიერული, თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები. ამიტომ არის, რომ სესიამ მიიპყრო მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება და ის გახდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგნად.

*
* *

ორგანიული ბუნების განვითარების მატერიალისტურად გაგების ახსნას საფუძველი ჩაუყარა გასული საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა ჩარლზ-დარვინმა, რომელმაც გამოიყენა მიწადმოქმედთა და მეცხოველეთა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა, დაუკავშირა მის მიერ მრავალი წლების განმავლობაში შეგროვილ ფაქტიურ მასალებს, დაამუშავა ის მეცნიერულად, განაზოგადა და მოგვცა ორგანიზმების განვითარების ევოლუციური თეორია, რომელიც ემყარება სამ ფაქტორს: ცვალებადობას, მემკვიდრეობას და შერჩევას. განვითარების ამ სამი ფაქტორიდან მან ხაზი გაუსვა და ძირითადად აღნიშნა შერჩევა. ხოლო საკითხი ორგანიზმთა ინდივიდუალური ცვლილებების მიზეზთა შესახებ მის მიერ დამუშავებული დარჩა. როგორც ენგელსი შენიშნავს, ორგანიზმთა ინდივიდუალური ცვლილებების მიზეზები დასმული იქნა დარვინის მიერ, ხოლო მან განვითარება კი ვეღარ ჰპოვა მის მოძღვრებაში. ორგანული სამყაროს განვითარება და მასში მიმდინარე ცვლილებები შეიძლება ახსნილ იქნას არსებო-

ბისათვის ბრძოლის გარეშედაც, უჯრედში ნივთიერებათა ცვლის აუცილებელი თვისობრივი ცვლილებებით, რაც განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

აკად. ლისენკო თავის მოხსენებაში მეცნიერულად აყალიბებს დარვინის თეორიის მატერიალისტურ მხარეებს და აგრეთვე იმ შეცდომებსაც, რომლებიც დარვინმა დაუშვა ჰობსის და მალთუსის რეაქციული თეორიების უბრალოდ — მექანიკურად გამოყენებით, რასაც დარვინის შემდეგ ხელი ჩასჭიდეს იდეალისტურ-მექანისტურმა მკვლევარებმა ვეისმანმა, მენდელმა და მორგანმა, და ახლა კი ამ ყალბ თეორიებს იყენებს ჩვენი ზოგიერთი გენეტიკოსი.

დარვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი ისტორია აქვს და ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ბიოლოგები, არამედ საზოგადოების ფართო ფენები. მარქსმა და ენგელსმა დარვინის შრომას უდიდესი შეფასება მისცეს. დიდმა ლენინმა დარვინის მოძღვრება მარქსის მოძღვრებას შეადარა.

მაშინდელი რეაქციონერები ეკლესიის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობდნენ დაემცირებინათ დარვინი, სპეციალურ ინსტრუქციებს გზავნიდნენ და მოითხოვდნენ დარვინიზმის განდევნას. მაგ., კარდინალ უაიზმენის მიერ ორგანიზებული იყო სპეციალური აკადემია, რომელსაც მან მიზნად დაუსახა დარვინიზმთან ბრძოლა, და ამ აკადემიის სამოქმედო ცირკულარებში ეწერა: „დადგა დრო, როდესაც ეკლესიამ აქტიური ბრძოლა უნდა გამოუცხადოს იმ მოძრაობას, რომელიც მოსპობას უქადის ინგლისში დარჩენილ ქრისტიანულ სარწმუნოებასო“. კარდინალი მენინგი წერდა: „დარვინიზმი ეს პირუტყვთა ფილოსოფიაა“, რომელიც აცხადებს, რომ „ღმერთი არ არის და ჩვენი ადამი კი მაიმუნიაო“. კათოლიკეებს არ ჩამორჩნენ პროტესტანტებიც, რომლებმაც სპეციალური „ვიქტორიის ინსტიტუტი“ დააარსეს დარვინიზმთან საბრძოლველად. ერთ-ერთ საჯარო დისპუტზე ოქსფორდის უნივერსიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში ეპისკოპოსი ვილბერფორსი სარკასტულად შეეკითხა დარვინის თანამებრძოლს ჰექსლის „ყავს თუ არა მას—ჰექსლის — ნათესავი მაიმუნი, ბებიას ან ბაბუას მხრივ“, რაზედაც ჰექსლიმ დამაჯერებლად უპასუხა, რომ მას ურჩევნია იყოს გაუმჯობესებულ მაიმუნად, ვიდრე გადაგვარებულ ადამად, რომელიც თავგამოდებით ებმება ისეთ მეცნიერულ კამათში, რომლის შესახებ მას სრულებით არაფერი გაეგება.

დარვინიზის მოძღვრების ჭეშმარიტების სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მისი მოძღვრების მოწინააღმდეგეებმა შენიღბულად უკან დაიხიეს, ამოაფარეს რა იეზუიტის ანაფორას თავიანთი მტრული განწყობილება დარვინიზმთან, დაიწყეს დარვინიზმის მოძღვრების შეგუება რელიგიასთან.

დარვინის გარდაცვალების (1882 წ.) შემდეგ დარვინიზმის მოწინააღმდეგეები გვევლინებიან ბიოლოგიურ მეცნიერებაში სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ქვეყნებში. რუსეთშიაც ყავდა დარვინიზმის მოწინააღმდეგეები სტრახოვის, დანილევსკისა და სხვათა სახით. უნდა აღინიშნოს ის, რომ დარვინიზმის მოწინააღმდეგე „მეცნიერებს“ ყოველთვის მფარველობდა გაბატონებული კლასი — ბურჟუაზია, რადგან მათი მსოფლმხედველობა გამომდინარეობდა იდეალისტური რეაქციული ფილოსოფიიდან. რა თქმა უნდა დარვინიზმის მოძღვრებას ჩვენში ჰყავდა აქტიური დამცველები და განმგრძელებლებიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ა. ტიმირიაზევი, რომელიც

XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა მეცნიერულ ასპარეზზე და მისი შემოქმედების იდეურ წყაროს წარმოადგენდა ყველა ის საუკეთესო მონაპოვარი, რაც მისცა კაცობრიობას დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მეცნიერებამ. მისი შემოქმედების თეორიული საფუძველი დარვინიზმია, რომელსაც მან ორმოცზე მეტი შრომა უძღვნა.

კ. ა. ტიმირიაზევის შრომები წარმოადგენენ არამც თუ მარტო დარვინის იდეების დაცვას მტრებისაგან, არამედ ტიმირიაზევმა წინ წასწია დარვინიზმი, გაამდიდრა რა უამრავი ფაქტიური მასალებით, განავითარა ის როგორც მთლიანი, მწყობრი მეცნიერული კონცეფცია.

კ. ა. ტიმირიაზევი იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერთაგანი, რომელმაც დაუკავშირა ექსპერიმენტული მეცნიერება დარვინის ევოლუციურ მოძღვრებას და ცხადჰყო დარვინის ევოლუციური თეორიის კონკრეტული ფაქტები. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და განვითარდა რუსეთში ბოტანიკური მეცნიერება (განსაკუთრებით მცენარეთა ფიზიოლოგია) და ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც პირველად დააარსა რუსეთში საცდელი სამეცნიერო და საჩვენებელი მინდვრები, სავეგეტაციო სახლი და სხვ. მან პირველმა ჩაატარა რუსეთში დარვინის მოძღვრების პრაქტიკული რეალიზაციის ექსპერიმენტული ცდა.

ტიმირიაზევი ხელს ჰკიდებს ბიოლოგიაში ყველაზე უფრო რთულ საკითხს — ორგანული ბუნების განვითარების მიზეზების შესწავლას. ის ბუნების კანონების საკითხთა შესწავლას უკავშირებს მატერიალიზმის ბრძოლას მეცნიერებაში ყოველგვარ რეაქციულ შეხედულებებთან. მთავარი პრობლემა, რომელსაც ტიმირიაზევმა დაუმორჩილა თავისი ექსპერიმეხტული გამოკვლევანი, ეხებოდა საკითხს: თუ საიდან ღებულობს მცენარეული ორგანიზმი იმ ენერგიას, რომელიც აცოცხლებს მას და შემდეგ კი გამოიყენება ცხოველებისა და ადამიანების მიერ; და რა ორგანოებისა და შეგუებითი საშუალებით ითვისებს მცენარე ამ ენერგიას. ტიმირიაზევმა მშვენივრად გამოიყენა მაშინდელი დროის უდიდესი აღმოჩენა ენერგიის მუდმივობის შესახებ, რაიც სასიკვდილო ლახვარი იყო ვიტალისტების მიერ შეყვარებული „თეორიის“ — „საიდუმლო სასიცოცხლო ძალების“ წინააღმდეგ. და მან განსაცვიფრებელი ზუსტი ცდებით და გენიალური ახსნით დაამტკიცა მზის ენერგიის მონაწილეობა მწვანე მცენარეებში, მისი მნიშვნელობა ორგანული ნივთიერების სინთეზის საქმეში, რითაც აშკარა გახადა მცენარეების როლი დედამიწაზე არსებული ენერგიის დაგროვებაში.

იმ დროს, როდესაც ტიმირიაზევი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ანტიდარვინისტების წინააღმდეგ, რიაზანის გუბერნიაში (ახლანდელ მიჩურინსკში) ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებულ ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საკუთარი ზურგით გადაჰქონდა მის მიერ გამოყვანილი ხეხილის ახალი ჯიშები.

ი. ვ. მიჩურინს ბავშვობიდანვე უყვარდა მცენარეები, ბუნება, მაგრამ სიღატაკის გამო მას საშუალება არ მიეცა უმაღლესი განათლება მიეღო. მიუხედავად ამისა დაუღალავი შრომით მიაღწია მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობას.

მან შექმნა და დაგვიტოვა უდიდესი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც ლახვარს სცემს და ანადგურებს თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციული მეცნიერების წარმომადგენ-

ლებს. მიჩურინის მოძღვრება საფუძვლად დაედო საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებას — მოქმედ აგრობიოლოგიას, ამიტომ იყო, რომ მებრძოლმა მეცნიერმა, მიჩურინელმა ლისენკომ 1938 წელს სთქვა: „ი. ვ. მიჩურინმა განავითარა დარვინიზმის მატერიალისტური ბირთვი და ამიტომ თუ ხარ დარვინისტი — ეს იმას ნიშნავს,— აუცილებლად უნდა იყო მიჩურინელი". ი. ვ. მიჩურინის თეორიულ კონცეფციებში, მცენარეების ორგანიზმის სიცოცხლისა და მათი კანონზომიერად განვითარების შესახებ, არაა არავითარი ფორმალური და გამოგონილი დებულებები. ყველა ეს თეორიული დებულება წარმოიშვა და განმტკიცდა პრაქტიკის საფუძველზე და შემოწმდა და დადასტურდა უამრავი ექსპერიმენტებით. ეს თეორია წარმოიშვა და განმტკიცდა მიჩურინის, მიერ გამოყვანილი მცენარეების ახალ ჯიშებთან ერთად და განიცადა ისეთივე შემოწმება, როგორც მის მიერ გამოყვანილმა ახალმა ჯიშებმა. მიჩურინის თეორიამ გაიმარჯვა ისე, როგორც მის მიერ გამოყვანილმა ახალმა ჯიშებმა, ისინი გამოიბრძმედნენ და გაუძლეს შუა რუსეთისა და ჩრდილოეთის სასტიკ ყინვებს. მიჩურინის მოძღვრება განმტკიცებულია ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღებში ამწვანებული ვაშლის და მსხლის, ატმის და ნუშის, ლეღვის და ყურძნის, მაყვლის და მარწყვის, კიტრისა და ნესვის, საზამთროსი და პამიდორის ახალი მიჩურინული ჯიშებით.

ვინ ებრძოდა მიჩურინს და ვის ებრძოდა მიჩურინი? მიჩურინი ებრძოდა მეფის მიწათმოქმედების სამინისტროს ბიუროკრატებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მოკალათებულ რეაქციონერებს, მეცნიერებაში გაბატონებულ მორგანიზმს და იმ ყალბ თეორიას, რომელიც გამომდინარეობდა მენდელიზმ-მორგანიზმიდან. მიჩურინს ებრძოდნენ ყველა რეაქციონერები და ბიუროკრატები და ნაცვლად ეკონომიური და მორალური ხელის შეწყობისა, მას შრომების გამოქვეყნებაზეც უარს ეუბნებოდნენ. ცალკეული სტატიები, გაგზავნილი ჟურნალებში დასაბეჭდად, ან არ ქვეყნდებოდა, ან და ათასგვარი შენიშვნებით დაცინვებითა და დამახინჯებით იბეჭდებოდა. მიუხედავად ყოველგვარი დამცირებისა მიჩურინი არ ივიწყებდა საყვარელ საქმეს, ის დღედაღამ მუშაობდა მცენარეებთან და პასუხს სცემდა ყველა იმ კორესპონდენციას, რომელსაც ღებულობდა როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების ყველა კუთხიდან. ამერიკის ბურჟუაზიამ მოინდომა ესარგებლნა მიჩურინის სიღარიბით და მეფის მთავრობის უყურადღებობით და მას შესთავაზეს უამრავი ოქრო და მზამზარეული გემი, რომ მის სანერგეებთან ერთად გადასულიყო ამერიკაში, მაგრამ მიჩურინს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, თავისი ხალხი და უარით გაისტუმრა ამ საქმეზე ამერიკიდან სპეციალურად ჩამოსული პირი.

ოქტომბრის რევოლუციამ მიჩურინს შეუქმნა ყოველგვარი პირობები. მას დიდი ყურადღება მიაქციეს ლენინმა და სტალინმა. პოლიტიკურმა თავისუფლებამ, ეკონომიურად უზრუნველყოფამ, მორალურად გამხნევებამ მოხუცი მიჩურინი გაახალგაზრდავეს და ის ახალი ენერგიით ჩაება მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. მის მიერ ექვსი ათეული წლის განმავლობაში დაგროვილი მასალები დამუშავებულ იქნა და ჩვენმა ქვეყანამ მიიღო მიჩურინის შრომების ოთხტომეული, რომელშიაც სისტემატიზირებულია ფაქტიური მასალებით ილუს-

ტრირებული მისი თეორიული კონ-ცეფციები.

სანამ მიჩურინი მიაგნებდა და გამოიყენებდა დარვინიზმის მატერიალისტურ ბირთვს, მან მუშაობა დაიწყო იმავე მეთოდით, რითაც მაშინ ხელმძღვანელობდნენ — ე. წ. გრელის აკლიმატიზაციის მეთოდით, რომელიც გამომდინარეობდა ლამარკის თეორიიდან: საკმარისია სასურველი ჯიში გადმოიტანო სხვა რაიონიდან ახალ რაიონში, სადაც სხვაგვარი აგროკლიმატური პირობებია, ანდა მოიტანოთ დასამყენი მასალა და დაამყნათ ადგილობრივ საძირეზე, რომ მცენარეები გარდაიქმნებიან და ადგილობრივ პირობებს შეეგუებიანო.

მაგრამ ასეთი მექანისტური მიდგომა უნაყოფო გამოდგა და მიჩურინმა გამოიმუშავა ახალი დარვინისეული მეთოდი და დაამტკიცა, რომ არ შეიძლება უგულებელჰყო აღზრდის პირობებთან ამათუიმ მცენარის ჯიშის ისტორიულად გამომუშავებული შეგუების თვისებები და ის ხელაღებით გადაიტანო სხვა პირობებში. აკლიმატიზაცია უნდა მოხდეს ნორჩი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, გაუფორმებელი ორგანიზმისა, რომელსაც არა აქვს გამომუშავებული კონკრეტულ გარემო პირობებთან შეგუების თვისებები. ამიტომ იყო, რომ მან შემოიღო მრავალწლოვანთა თესვა და ახალ პირობებში მიღებული ნერგების შეგნებულად გამოყვანა.

მიჩურინს ეს თესლების რეპროდუქცია ჭირდებოდა როგორც სასელექციო მასალა და არა იმიტომ, რომ მას ამათგან უშუალოდ გამოეყვანა სასურველი ჯიში. ამ მასალის რეპროდუქცია მიღებული ჰიბრიდიზაციით თუ არა ჰიბრიდიზაციის გზით მას ჭირდებოდა, როგორც ს ა შ უ ა ლ ე ბ ა, რომ მიეღო ნორჩი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმები და აღზრდის პირობებისადმი შეგნებულად მიდგომის გზით ეს ნერგები გამოეყვანა ასპარეზზე (როგორც თვითონ გამოსთქვამდა Вывести их в люди) და შეექმნა მათგან ახალი ჯიში. ჩითილი — ეს ახალგაზრდა ორგანიზმი — ადვილად ექცევა აღზრდის პირობების გავლენის ქვეშ, სწორედ ამაშია მისი მთავარი ღირებულება. ასეთი იდეით ხელმძღვანელობდა მიჩურინი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ყლორტი თავისი ქსოვილების ხარისხით ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ორგანიზმია, ადვილად ეგუება აღზრდის პირობებს და ასეთი გზითაც — ვეგეტატიური გზით თესლებით რეპროდუქციის გარეშეც შეიძლება მივიღოთ ახალი ჯიში. ასეთი წესით (მწვანე ქლიავისა და ღოღნოშოს მყნობის გზით) გამოყვანილი იყო მიჩურინის მიერ „ტკბილი ღოღნოშო“. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გაუფორმებელი ორგანიზმი, რომელსაც არ გაუვლია განვითარების ციკლი და მისი ქსოვილები სტადიურად ახალგაზრდაა, ადვილად ემორჩილება აღზრდის პირობებს, მასზე მოქმედ ფაქტორებს.

„ტკბილი ღოღნოშოს“, „ჩრდილოეთის ჭერამის“, „მწვანე ქლიავისა“ და ხხვა ჯიშების გამოყვანის გამოცდილების შედეგად მან დაამტკიცა, რომ შეიძლება ახალგაზრდა ორგანიზმის — გენოტიპის მართვა არამც თუ თესლების რეპროდუქციით, არამედ ვეგეტატიური გზითაც.

მიჩურინმა ცდებით დაამტკიცა სანამყენოს და საძირეს ურთიერთ ზეგავლენა.

1894 წელს მან აიღო ახალგაზრდა „გირვანქანახევრიანი ანტონოვკის“ ვაშლის ნერგიდან კვირტი და დაამყნა მაგარი ჯიშის სამწლიანი მსხლის საძირეზე და მიიღო ვაშლი, რომლის ნაყოფის ფორმა უფრო გავდა მსხალს, ვიდრე ვაშლს. ამ ნაყოფის არათანაბ-

რად ამობერილი გვერდები წააგავდა ბეჰემოტს და მიჩურინმაც ამ ჯიშს დაარქვა „ბეჰომოტისებური რენეტი“. ამ რიგად, მან მიიღო ვეგეტატური ჰიბრიდი. ასეთივე წესით მიიღო მსხლის ახალი ჯიში „ბერე-კოზლოვი“ და სხვა მრავალი. მიჩურინმა მრავალჯერ განიმეორა ეს ცდები და შეამოწმა სხვადასხვა ხეხილზე სხვადასხვა აგროკლიმატიურ პირობებში და დააზუსტა ყოველი დეტალი, თუ რა პირობები უნდა იქნას დაცული ვეგეტატური ჰიბრიდის გამოყვანის შემთხვევაში. მიჩურინმა შეისწავლა ორგანული და არაორგანული ფაქტორების უდიდესი მოქმედი როლი ახალი ორგანიზმების გამოყვანისა და ფორმირების საქმეში და ეს საკითხი დარვინისებურად დააყენა.

ახალგაზრდა ორგანიზმის ბუნების მიზნობრივად აღზრდის დროს არ შეიძლება ვიმოქმედოთ ხელაღებით, ყველა საშუალებით, იმისათვის, რომ ის იყოს გამძლე. ამ რიგად ორგანიზმის ბუნებას ვერ გადააფორმებ — არამედ დაამახინჯებ მას.

რომ წარმართო მცენარის განვითარება, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მასში ისტორიულად გამომუშავებული შეგუებულობა, მისი მოთხოვნილება, განსაკუთრებულ საარსებო პირობებისადმი. და სწორედ ეს ისტორიულად გამომუშავებული მოთხოვნილება განსაზღვრავს ამათუიმ მცენარის სახის, ნაირსხვაობისა თუ ჯიშის გავრცელების შესაძლებლობის საზღვარს. ხელაღებით მცენარის ახალ გარემო პირობებში გადატანისას, მის სამშობლოში მოქმედი ფაქტორების კანონზომიერების გაუთვალისწინებლად, მცენარე აღმოჩნდება განიარაღებული, და ჩატარებული მუშაობაც უშედეგო იქნება.

ამიტომ იყო, რომ მიჩურინი აფრთხილებდა სპეციალისტებს; მხედველობაში მიეღოთ ამათუიმ სახის მცენარის გავრცელების არეალი, რის იქით ერთხელ ნათესი გენერაციის გადატანა შედეგს არ გამოიღებს.

მაგრამ ეს ისტორიულად გამომუშავებული გავრცელების შესაძლებლობის საზღვარიც არაა აბსოლუტური. დარვინიზმი გვასწავლის, რომ აბსოლუტური შეგუება ორგანიზმისათვის დამღუპველი იქნებოდა, რადგან ის გამოიჩენდა ნაკლებ პლასტიურობას გარემოსადმი. ბუნებრივმა შერჩევამ ნამდვილად შექმნა შედარებითი შეგუებულობა და განსაზღვრული საზომი (აქედან-აქამდე) და არა ერთმნიშვნელოვანი ფორმა გარემოსადმი მოთხოვნილებისა. მაგრამ შეიძლება თუ არა გავაფართოვოთ მცენარეების გავრცელების ეს საზღვარი? მიჩურინმა გადასწყვიტა ეს საკითხი. პირველ წელს ის თესავდა ამ მცენარისათვის დადგენილ უკიდურეს საზღვარზე, შემდეგ თანდათანობით უნაცვლებდა ადგილს და პირველ ადგილას მიღებული ნიშნების ხარჯზე თესლი გადადიოდა მეორე ადგილას. ამ საკითხშიაც მიჩურინი დარვინს ეყრდნობოდა. ცვალებადობა ჰქმნის განსხვავებას ორგანიზმებს შორის, მემკვიდრეობა განამტკიცებს ამ განსხვავებას და აგროვებს მას. ასეთი წესით იყო შექმნილი მიჩურინის „შვენიერი „ჩრდილოეთის ჭერამი“ და ბალი „პირველი მერცხალი“.

ამ რიგად მიჩურინის პრინციპი აკლიმატიზაციისა ძირითადად განსხვავდება ლამარკის „აკლიმატიზაციის“ პრინციპისაგან, და ჩვენი დროის ლამარკისტებისაგანაც. ეს უნდა აღინიშნოს იმისათვის, რომ მიჩურინს და მიჩურინელებს ვეისმან-მორგანისტების წარმომადგენლები ცილს სწამებდნენ ლამარკიზმში, რომ განემტკიცებინათ მათი ყალბი — მემკვიდრული თვისებების მატარებელი გენეების უცვლელობა და ახალ გარემოში შეძენილი ახალი ნიშნის მემკვიდრე-

ობაში გადატანის ყოველგვარ ფაქტს ლამარკიზმს აწერდნენ.

ის ისტორიული პირობები, რომელშიაც იქმნება ესათუის ჯიში, ხდება ამავე ჯიშისათვის აუცილებელ პირობად. მცენარის ჯიშის განვითარების და ფორმირების პროცესში მოქმედი ფაქტორები ხდებიან მოთხოვნილებად ამავე ჯიშის მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის.

ამრიგად ფილოგენეზის ბიოლოგია გადადის ონტოგენეზის ბიოლოგიაში, და შემდეგ ისევ ფილოგენეზის ბიოლოგიაში. ასეთია ორგანიზმების განვითარების ნამდვილი გზა. და მიჩურინი, სწავლობდა რა ფილოგენეზისა და ონტოგენეზის ბიოლოგიის ურთიერთში შეჭრას, იყენებს მას ახალი ჯიშების ფორმირების საქმეში. ამ ფაქტორების აღრიცხვისა და გამოყენების განსაკუთრებული ძალა მეღავნდება ჰიბრიდიზაციულ მუშაობაში.

მიჩურინმა ჰიბრიდიზაციას ხელი მოჰკიდა ჯერ კიდევ 1894 წელს და დარწმუნდა, რომ ამ დარგში სრულებით არავითარი მეცნიერება არ არსებობდა, რომ მას დაყრდნობოდა ადამიანი. ამის შესახებ მიჩურინი წერდა „მეცნიერება ჰიბრიდიზაციაზე ჯერ არ არსებობს და სიტყვა ჰიბრიდიზაცია დღეს შეიძლება ითარგმნოს ყველასათვის გასაგები სიტყვებით: ჩაყარე, შეურიე, დაანჟღრიე და რაღაც სხვა გამოვა“. მაგრამ მიჩურინს არ შეეძლო „ჩაყრისა და შერევის“ პრინციპით ემუშავნა, ის გეგმიანად, მიზნობრივად მუშაობდა. მისი ამოცანა იყო, რომ მიეღო ახალი ჯიშები სამხრეთი გადაეწია ჩრდილოეთისაკენ.

დაუღალავი შრომის შედეგად მიჩურინმა შექმნა მიჩურინული თეორია ჰიბრიდიზაციისა, განსხვავებული ფორმალისტ გენეტიკოსების „გენეების“ უცვლელობის თეორიისაგან, თეორია შორეული ჰიბრიდიზაციისა, რომელიც გამომდინარეობს დიალექტიკური მატერიალიზმიდან და ემყარება მცენარეებზე ისტორიულად მოქმედ ფაქტორთა აღრიცხვას, მათ შემგუებლობას და ამ შემგუებლობაში მოქმედ შინაგან და გარეგან ორგანიულ და არაორგანიულ მოქმედ ფაქტორების წამყვან როლს.

პირველ რიგში მიჩურინის წინაშე დაისვა საკითხი, თუ რაგვარად და როგორ უნდა შეირჩეს შესაჯვარებელი წყვილები. მენდელიზმ-მორგანიზმი არ იძლევა ამ კითხვაზე პასუხს. მენდელიზმ-მორგანიზმი ლაპარაკობს, რომ ჰიბრიდიზაციისათვის წყვილების შერჩევისას საკმარისია შეირჩეს მშობლები უკვე მზამზარეული ჩამოყალიბებული ნიშნების მიხედვით. ისე, რომ მხედველობაში არ იქნეს მიღებული ამ წყვილთა ორგანიზმების განვითარების ბიოლოგიის აღრიცხვა, არ იქნას გათვალისწინებული მათი მშობლის არსებობის პირობები, არ აღირიცხოს აუცილებელი პირობების კონკრეტული ფაქტორებისა და მათი ნიშნების ფორმების მიზეზები. ეს გასაგებიცაა, რადგან მენდელიზმ-მორგანიზმი ორგანიზმის (გენოტიპის) ბუნების ჩამოყალიბების საქმეში გარემოპირობებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ერთადერთი „ისტორია“, რასაც მენდელისტ-მორგანისტები აღრიცხავენ, ეს არის წყვილების მშობლებისა და შემდეგი თაობის შინაგანი ნიშნების მსგავსება (ფერი, სიგრძე, სიგანე, ქრომოზომების რიცხვი და სხვა), და ამ ნიშნების ფორმირების მიზეზთა შესწავლა კი გამორიცხული აქვთ.

ამიტომაა, რომ მენდელისტ-მორგანისტებს წინასწარი შეჯვარების შედეგების გარეშე არ შეუძლიათ მიაღწიონ იმას, თუ როგორ თაობას მიიღებენ ისინი ამათუიმ კონკრეტული წყვილებისაგან. ამიტომაა, რომ ჩვენს მენდელისტ-მორგანისტებს — შმალჰაუზენს,

დუბინინს, ზავადოვსკის, რაპოპორტს, ეებრაკს და სხვას მცენარისა თუ ცხოველის არცერთი ჯიში არ გამოუყვანიათ და არც შეიძლება გამოიყვანონ.

ჩვენი ეპოქის უდიდესმა მეცნიერმა მიჩურინმა კი 60 წლის დაუცხრომელი პრაქტიკული და თეორიული მუშაობის შედეგად შექმნა მოქმედი მატერიალისტური ჰიბრიდიზაციის თეორია. მან პირველ რიგში დაამუშავა მშობლების (საჰიბრიდო) წყვილთა შერჩევის პრინციპი და დაამტკიცა, რომ შესაჯვარებელი მშობლების ორი ფორმიდან, რომელიც უფრო ძველი ჯიშია, და რომელსაც აქვს უფრო გრძელი ისტორია და ხასიათდება უფრო ძნელად ცვალებადი ნიშნებით, ის მოახდენს გავლენას ჰიბრიდის ფორმირებაზე. მიჩურინმა გენიალურად გამოიცნო მცენარის საიდუმლოება, ის, თუ რატომაა, რომ ველური მცენარეების უმეტესი ფორმები ხასიათდებიან ძნელად ცვალებად, მდგრად, ნიშნებით და როდესაც მათ ვაჯვარებთ კულტურულ, შინაურ ჯიშთან, ჰიბრიდი ემსგავსება მას, ე. ი. ველურს ამით მან ნათელი გახადა ის მიზეზი, რომ მრავალწლოვანების თესლით გამრავლებისას ჩვენ ვღებულობთ ველურს, უჯიშოს. ამის საფუძველზე მიჩურინი შესაჯვარებელ წყვილებს არჩევს ისეთი მცენარეებიდან, რომელთაც აქვთ საკუთარი ფესვები, და არა მყნულიდან.

მიჩურინმა გენიალურად გადაჭრა ცოცხალ ორგანიზმში დომინანტური მოვლენები, რომ ის შეიძლება გამოვიწვიოთ წინასწარ სათესლე მასალის დამუშავებით და არა მენდელისტურად დავეყრდნოთ შემთხვევითობას და ალბათობაზე მინდობით დაველოდოთ, თუ როგორ თაობას მივიღებთ.

აღსანიშნავია, რომ ფორმალისტ გენეტიკოსების უკანასკნელ „რევანშად" ითვლებოდა პროფ. ნავაშინის მიერ თესლების შენახვის წესით—მუტაციის მიღება. მაგრამ სამწუხაროდ მორგანისტები ცუდად იცნობენ მიჩურინის მოძღვრებას, თორემ გაიგებდნენ, რომ ჯერ კიდევ 1915 წელს მიჩურინმა ის მიიღო და გამოაქვეყნა კიდეც. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ მორგანისტებს არ შეუძლიანთ ამ მუტაციის მიმართულების მართვა. მიჩურინი კი ჰიბრიდული თესლების განსაკუთრებით შენახვის გზით შემდეგშიაც მართავს მათ ჯიშურ განვითარებას.

მიჩურინი ამუშავებს ხეხილის ნერგების აღზრდის წესებს ზრდასა და განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა ყოველი დეტალების გათვალისწინებით.

აღზრდის როლი, განსაკუთრებით ორგანული ნივთიერებით კვების გავლენა, ამათუიმ ჯიშის ხარისხზე ნათლად ჩანს მიჩურინის მოძღვრებაში მ ე ნ ტ ო რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ.

მოძღვრება მენტორის შესახებ წარმოადგენს საძირესა და სანამყენეს ურთი-ერთ ზეგავლენის უდიდესი ფაქტების დემონსტრაციას, მიჩურინის მეცნიერული შორსმჭვრეტელობის ნათელყოფას. ის წარმოიშვა როგორც საშუალება ჯიშების ხარისხიანობასთან მუშაობის დროს წამოჭრილ წინააღმდეგობის გადასალახავად.

მიჩურინმა შეამჩნია, რომ ნერგები, რომლებიც მიღებულია ყირიმის „კანდილ-სინაპისა" და „კიტაიკის" (Pyrus Prinifolia) შეჯვარების შედეგად, იხრებიან ნაკლებ ყინვაგამძლე „კანდილ-სინაპისაკენ". როგორ მოიქცეს, როგორ გადაარჩინოს ჯიში დაღუპვისაგან? როგორ წარმართოს მათი ფორმირება? მან აიძულა ნერგი განვითარებულიყო ყინვაგამძლე „კიტაიკისაკენ".

მან ერთერთი ნერგიდან აიღო კვირტი და დაამყნო თვით დედამცენარის „კიტაიკის" ღეროზე, რომელზედაც დამწიფებული იყო ის ჰიბრიდული

ნაყოფი, რომლისაგანაც მიიღო თესლი. მეორე წელს ამ დამყნილი კვირტის ყლორტებთან ერთად მიჩურინმა დატოვა „კიტაიკის“ (დედის) საკმაოდ ძლიერი ტოტები. რადგან ეს ჯიში მინდვრის პირობებში უფრო ყინვაგამძლე იყო და ეს დამყნილი ყლორტი ჯერ სულ ახალგაზრდა და ჩამოუყალიბებელი სჩანდა, ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ დედას „კიტაიკას“—თავისი ძლიერი ფოთლებით და ფესვებით, რომელიც ნივთიერების მიმწოდებელი და დამგროვებულია, არ ემოქმედნა დამყნილის (შვილის) აგებულების ფორმირებაზე. და მიჩურინმა მართლაც ბრწყინვალე შედეგი მიიღო. შემდეგ წლებში ნამყენები მშვენივრად ვითარდებოდნენ და მათ ყინვები ვერ აზიანებდნენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გამომუშავდა რა ჯიშის გენოტიპური ბუნება, ის შენარჩუნებულ იქნა შემდეგ გენერაციებშიც. „ამ ჰიბრიდის ნერგები, მეორე გენერაციაში ყველა გამოუკლებლივ გამძლეები აღმოჩნდნენო“, — ამბობს მიჩურინი.

რამდენად მაღლა სდგას შემეცნების თვალსაზრისით მიჩურინის მეთოდები ვეისმანისტ-მორგანისტების უბადრუკ „თეორიაზე“ მემკვიდრული გენეების უცვლელობის შესახებ! მიჩურინი დაკვირვებიდან მიდის თეორიულ ჰიპოთეზამდე, ამ ჰიპოთეზის პრაქტიკულად შემოწმების გზით კი დამტკიცებულ მოქმედ თეორიამდე, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ყველა ბიოლოგმა პრაქტიკულად.

თანამედროვე ვეისმანისტ-მორგანისტების ჰიპოთეზა კი მხოლოდ „ხსნის“ მათ მიერ მიღებულ ემპირულ ფოვლენებს და არ აყენებს საკითხს, ახსნას ამ მოვლენების კონკრეტული მიზეზები და შინაარსი.

ფორმალისტი გენეტიკოსები მიდიან მოვლენების ემპირულად დაკვირვებიდან აბსტრაქტულად აგებულ ჰიპოთეზამდე და იქ ჩერდებიან, ამრიგად ისინი არასოდეს არ სცილდებიან ფორმალურ ჰიპოთეზას.

სასაცილოა და ამავე დროს სისულელე და მავნე, თანადროულობას მოწყვეტილი აზროვნება თანამედროვე ფიტოცენელოგებისა, რომლებიც ეძებენ რაღაც სუფთა გარემოდან დამოუკიდებელ ორგანიზმების კავშირს... ან და როგორი საზიზღარი სუნი ასდის იმ ჭაობს, რომელშიაც ჩაფლულან ჩვენი მორგანისტები, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ კავშირი ცოცხალი ორგანიზმის მემკვიდრულ გენეებს შორის ამ ორგანიზმზე მოქმედ ფაქტორების გარეშე.

მიჩურინის მოძღვრებამ გაიმარჯვა და დამტკიცდა, რადგან იგი მატერიალისტური მიმართულებაა ბიოლოგიაში, ერთადერთი სწორი მიმართულებაა იმიტომ, რომ იგი ემყარება დიალექტიკურ მატერიალიზმს, სამყაროს რევოლუციურად გარდაქმნის პრინციპებს.

მიჩურინის მოძღვრება საერთო-საკაცობრიო მოძღვრებაა ბიოლოგიაში. ამიტომაა, რომ მან საბჭოთა კავშირში უდიდესი გავრცელება ჰპოვა და არაა ისეთი კუთხე ჩვენს ქვეყანაში, რომ მას არ ყავდეს თაყვანისმცემელი.

საბჭოთა მოწინავე ბიოლოგებისათვის მიჩურინის მოძღვრება წარმოადგენს წყაროს, რომელსაც ყავს მებრძოლი დამცველები და გამგრძელებლები, ერთერთი ასეთი მოწინავე მეცნიერთაგანი აკად. ლისენკოა, რომელმაც არამც თუ დაიცვა მიჩურინის მოძღვრება რეაქციული იდეოლოგიის — ვეისმან-მორგანის მიმდევრების — თავდასხმებისაგან, არამედ განამტკიცა და გაამდიდრა ის ახალი ფაქტიური მასალებით. მიჩურინის მიერ წამოყენებული დებულებები მან განაზოგადოვა, შეაიარაღა ახალი აღმოჩენებით და მიმართა ის ჩვენი სამშობლოს სოციალისტური

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ზრდისა და მესაქონლეობის პროდუქტიულობის გადიდებისაკენ.

აკად. ლისენკო დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, გამოიყენა მეცნიერულ მუშაობაში დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი და მიჩურინის მოძღვრების პოზიციებიდან სწორად გაიგო ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ისტორიულ მსვლელობაში გარემო პირობების გავლენის როლი.

აკად. ლისენკოს მოძღვრება „მცენარეთა სტადიურად განვითარების შესახებ“ წარმოადგენს უდიდეს მეცნიერულ განძს ბიოლოგიაში, რამაც ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში.

სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ტიმირიაზევისა და მიჩურინის შემდეგ მან ერთერთმა პირველმა გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ჩვენში რეაქციული იდეოლოგიის მიმდევართ „ფორმალისტ გენეტიკოსებს“ და გამოააშკარავა მათი ბუნება. აკადემიის აგვისტოს სესიამ ეს ნათელი გახადა.

ხელმძღვანელობდა რა მარქსისტულ-ლენინურ მოწინავე თეორიით, დიალექტიკური მატერიალიზმით, რომ განვითარების პროცესის შინაარსს შეადგენს რაოდენობრივი ცვლილებებიდან გადასვლა თვისობრივ ცვლილებებში, რომ განვითარება არის დაპირისპირებულთა ბრძოლა, ეყრდნობოდა რა დარვინის, ტიმირიაზევის და მიჩურინის მოძღვრებას — ორგანიული ბუნების განვითარების შესახებ, მან მოგვცა უდიდესი მნიშვნელობის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია „მცენარეთა სტადიურად განვითარების თეორია“ და ამ თეორიიდან გამომდინარე ცხოვრებაში მოქმედი პრაქტიკული ღონისძიებანი, მცენარეში მიმდინარე პროცესების შესახებ, მისი ინდივიდუალური განვითარების შესახებ.

რაში მდგომარეობს მცენარეთა სტადიურად განვითარების თეორია? მცენარეთა სასიცოცხლო ციკლი განაყოფიერებული კვერცხუჯრედის პირველი დაყოფით იწყება, მას მოსდევს სავეგეტაციო ორგანოების წარმოშობა, რასაც თან სდევს გასამრავლებელი ორგანოების წარმოშობაც და მიიღება თესლი. ერთწლოვანები ამთავრებენ თავის სიცოცხლეს, მრავალწლოვანები კი განაგრძობენ ზრდასა და განვითარებას. მცენარის განვითარება ნიშნავს თესლიდან თესლის მიღებას.

ლისენკომ დაამტკიცა, რომ მცენარის ზრდა და განვითარება არაა ერთი და იგივე, ზრდა შედეგია რაოდენობრივი ცვლილებებისა. განვითარება კი — თვისობრივი ცვლილებებისა. მაშასადამე, არ შეიძლება ეს ცვლილებები გამოწვეულ იქნას თავისთავათ, უდაო ფაქტია, რომ მასზე მოქმედებენ რაიმე ფაქტორები. ამავე დროს არც ის შეიძლება, რომ ზრდასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები ერთგვარი და თანასწორღირებულებისა იყოს, რადგან რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები სხვადასხვა კატეგორიებია, ისინი თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სწორედ ლისენკომ მიზნად დაისახა შეესწავლა ამ ზრდასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი მოქმედების კანონზომიერება ცალკეულ კონკრეტულ მცენარეებზე კონკრეტულ პირობებში. და მართლაც მან მშვენივრად მოახერხა ამ საკითხის გადაჭრა, რითაც შესაძლებელი გახდა მცენარის ზრდისა და განვითარების შენელება, ან დაჩქარება.

ლისენკომ დაადგინა, რომ მცენარეების განვითარება შეიცავს სხვადასხვა ეტაპებს — სტადიებს და ყოვე-

ლი შემდეგი სტადია შეუძლებელია პირველის გარეშე. ჯერ ჯერობით მის მიერ შესწავლილია ორი სტადია, — სტადია დაოშვისა და სინათლის სტადია.

ყოველი სტადიის გავლისას მცენარეში მიმდინარეობს თვისობრივად გარდამტეხი მომენტები, ურომლისოდაც შეუძლებელია შემდეგი სტადიის დაწყება. თუ რომ მცენარემ არ გაიარა ორივე სტადია, ის არ განვითარდება, არამედ მხოლოდ გაიზრდება, ე. ი. შეიძლება მცენარეში მოხდეს რაოდენობრივი ცვლილებები და თვისობრივი კი არა, ამ შემთხვევაში ვღებულობთ უნაყოფო მცენარეს.

პირველი სტადიისათვის (დაოშვა) მთავარი მნიშვნელობა აქვს (კვების გარდა) ტემპერატურისა და სინესტის ფაქტორებს, მეორე სტადიას კი ემატება სინათლის ფაქტორი.

სხვადასხვა მცენარეები სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებენ ამ ფაქტორებს. მაგალითად, საშემოდგომო ხორბალი დაოშვის სტადიის დროს მოითხოვს დაბალ ტემპერატურას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საგაზაფხულო ხორბალი კი მაღალ ტემპერატურას და ა. შ. ლისენკომ შეისწავლა ამ ფაქტორებისადმი მოთხოვნილების კანონზომიერება და შესძლო საშემოდგომო ხორბლის საგაზაფხულო ხორბლად, საგაზაფხულო ხორბლისა კი — საშემოდგომო ხორბლად გადაქცევა, ეს ღონისძიება ცნობილია დაოშვის წესად. ეს აგროტექნიკური ღონისძიებაა, რის შედეგადაც დღეს უკვე გამოყვანილია ახალი ჯიშები: საშემოდგომო ხორბლიდან საგაზაფხულო ხორბალი და საგაზაფხულოდან — საშემოდგომო ხორბალი.

დაოშვილი ხორბალი უფრო ადრე იძლევა მოსავალს და ამავე დროს ყოველი ჰექტარი 3 — 9 ცენტნერზე, მეტ მოსავალს გვაძლევს. ხორბლის მოსავლის ადრე მიღებას კიდევ უფრო მნიშვნელობა აქვს გვალვიანი სტეპის საქმეში; შავნიადაგიან მხარეში (ვოლგისმხარე) იმ დროს, როდესაც ხორბალი იწყებს მწიფებას, იწყება სასტიკი ქარსიცხეები და მოსავალი იღუპება. ლისენკომ შესძლო ჩვენს ქვეყანას თავიდან აეცილებია ეს საშინელება.

მორგანისტები კი შეურყეველ მემკვიდრულ თვისებებად თვლიდნენ შემოდგომის და გაზაფხულის თვისებებს, „გენეებში მოცემულს", მაგრამ ლისენკომ შეარყია და დაიმორჩილა ისინი ყოველგვარი „გენეების" გარეშე.

ისტორიულად სამხრეთ რაიონებში ყოველწლიურად კარტოფილის სარგავი მასალა შემოქონდათ ჩრდილოეთიდან, რადგან სამხრეთში კართოფილი გადაჯიშებას განიცდიდა და პირველი წლის მოსავალი შემდეგ წელს სათესლედ აღარ ვარგოდა. ფორმალური გენეტიკოსები ათეული წლების მანძილზე აკვირდებოდნენ ამ ფაქტს. ვეისმანისტ-მორგანისტებმა „დაამტკიცეს" ამ მოვლენის გადალახვის შეუძლებლობა, რის შესახებაც უამრავი ტომები დაიწერა.

ძთავრობის დავალებით აკად. ლისენკომ ხელი მოჰკიდა ამ მოვლენის შესწავლას და გაარკვია, რომ გადაჯიშების მიზეზი სამხრეთში ნიადაგის მაღალი ტემპერატურაა, და მოსავლის ამოღებამდე ნიადაგშივე იწყება კართოფილში თვისობრივი ცვლილებები, ამოღების შემდეგ ზამთრის პერიოდში ეს პროცესი წყდება დაბალი ტემპერატურის გავლენის გამო და კართოფილი კარგავს თავის სათესლე ხარისხს. ამ მოვლენის თავიდან აცილების მიზნით მან შემოიღო სათესლე კართოფილის გვიან (ივლისში) რგვა.

იმ დროს, როდესაც ის სამხრეთში ბოლქვებს იკეთებს (სექტემბერ-ოქტომბერი), ნიადაგის ტემპერატურა იგივეა, რაც ჩრდილოეთში ივნისივლისში. მაშასადამე, მაღალი ტემპერატურის უარყოფითი ზეგავლენა თავიდან აცილებულია, რის შედეგად განთავისუფლდა სამხრეთ უკრაინა იმ ზედმეტი ხარჯებისაგან, რაც გამოწვეული იყო ყოველწლიურად ჩრდილოეთიდან სათესლე კართოფილის შემოტანით.

სად არის აქ მორგანისტების მიერ შეყვარებული გენები?

იმ დროს, როდესაც ფაშისტურმა გერმანიამ ომის ცეცხლი დაანთო და დაიწყო მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობა, ჩვენი მთავრობისათვის აშკარა შეიქნა ომისათვის მზადების აუცილებლობა. საჭირო იყო მარცვლეული კულტურებისათვის ახალი რაიონების სასწრაფოდ გამონახვა და სწრაფად ათვისება. ამ მიზნით 1939 წლის 5 იანვარს საკ. სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გამოაქვთ დადგენილება, რომ გამოყვანილიყო მარცვლეულის ახალი ჯიშები აღმოსავლეთ რაიონებისათვის.

ამ დადგენილების შესრულებისათვის აკად. ლისენკოს მიერ დამუშავებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი და გამოიცა თეორიულად დასაბუთებული შრომა „აღმოსავლეთ რაიონებისათვის მარცვლეულის ყინვაგამძლე შემოდგომის ჯიშების გამოყვანის გზები", რომელიც მოხსენებული იყო აღმოსავლეთ რაიონებში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა სხდომაზე 1939 წლის 7 მარტს.

ლისენკოს უშუალო ხელმძღვანელობით 2½ წლის განმავლობაში გამოყვანილი იქნა ეს ყინვაგამძლე საადრეო ხორბალი და ჭვავი. ამ დროს კი მორგანისტები ბუზის კვერცხებს ითვლიდნენ და მემკვიდრული გენების უცვლელობას „ამტკიცებდნენ".

ლისენკომ თეორიულად დაამტკიცა და პრაქტიკულად განახორციელა: რომ მცენარე როგორც სახეთა ისე ინდივიდუალური ფორმაში არ არის უცვლელი, რომ არ არსებობს მცენარეთა რაიმე უცვლელი ნიშანი, რომ ყველა ნიშნები მცენარეთა ევოლუციის პროცესში განიცდიან ცვლილებებს; მცენარეთა ორგანიზმის განვითარებაში მონაწილეობენ არა მარტო სასქესო უჯრედები, ან მისი ცალკე ნაწილები, არამედ მონაწილეობს მთელი ორგანიზმი მისი უჯრედებით; განვითარების პროცესში განიცდის ცვლილებებს არა მარტო ორგანიზმი, არამედ მისი მემკვიდრული საფუძველიც (გენოტიპი); ადამიანს თავისი ჩარევით შეუძლია იმოქმედოს ორგანიზმის განვითარებაზე და წარმართოს იგი მისთვის სასურველი მიმართულებით. ყველა ეს თეორიული მონაცემი ჰარმონიულად ეთანხმება დარვინის, ტიმირიაზევისა და მიჩურინის მოძღვრებას და ლისენკოს მიერ გატარებულია ცხოვრებაში.

მაშასადამე, სად არის აქ ვეისმანისტ-მორგანისტების მემკვიდრული გენების შეუცვლელობა?

ფაქტი ჯიუტია! უკვე მეექვსე წელია ეს ჯიშები მილიონობით ფუთ ხორბალს აძლევენ ჩვენს ქვეყანას.

ყველა სახელმწიფოსათვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების არეალის გადიდებას. მეტადრე ჩვენი სახელმწიფოსათვის თავისი უდიდესი ტერიტორიით. აკად. ლისენკოს ხელმძღვანელობით გამოყვანილია ბამბის ისეთი საადრეო ჯიში, რომელიც ასწრებს სამხრეთ უკრაინაში კარგი მოსავლის მოცემას. მიღწეულია შორეული ჩრდილოეთის

რაიონებისათვის ყინვაგამძლე საადრეო ხორბლის ჯიშის გამოყვანაც, რომელიც ჩქარა შევა ხმარებაში.

ვინ არ იცის, გარდა მორგანისტებისა, რომ დღეს ლისენკოს ხელმძღვანელობით ვეგეტატური წესით გამოყვანილი ბაღჩეული კულტურები როგორ მიიწევენ ჩრდილოეთისაკენ. მოსკოვის ოლქში გამოყვანილია საზამთროს და ნესვის საუკეთესო ჯიშები, რომელიც ნაყოფის სიდიდით და გემოვნებით აჭარბებს სამხრეთის ჯიშებს. ვინ არ იცის პოლარული რაიონების მიჩურინის ვაშლი, ან და მხოხავი ვაზი? რა მონაწილეობა მიუძღვის ამ უდიდესი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმიანობაში მენდელისტ-მორგანისტებს? გარდა სასტიკი წინააღმდეგობისა, — არაფერი! მაშასადამე, შეიძლება თუ არა ეს ბრძოლა მეცნიერებაში აიხსნას ბრძოლად მხოლოდ მეცნიერებაში? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ვეისმანიზმ-მორგანიზმის იდეოლოგია რეაქციულია, ასეთი იდეოლოგიის მატარებელი ადამიანების მოქმედება სცილდება მეცნიერული ბრძოლის საზღვარს და გადაიზრდება პოლიტიკურ ბრძოლაში. აკადემიის სესიამ ნათელჰყო ეს ფაქტი და სესიის შედეგების ცხოვრებაში გატარებისათვის უნდა იბრძოლოს ყველა საბჭოთა მოქალაქემ.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში? უნდა ითქვას, რომ არასასურველი. რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ მიჩურინის მოძღვრების არც ერთი შრომა არაა ქართულ ენაზე? რას ნიშნავს ის, რომ არ ხდება მასებში აკად. ლისენკოს შრომების პოპულარიზაცია? რით უნდა ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ საქართველოს მთიანი რაიონებისათვის არც ერთი ახალი ჯიში არაა გამოყვანილი (ხორბლეული), რომ ამით გადიდდეს მოსავალი?

მაგალითად: განა ქვემო და ზემო სვანეთში არ უნდა იყოს ვაშლი, მსხალი, ვაზი და ბაღჩეული კულტურებიდან საზამთრო და ნესვი? დროა სამეცნიერო ორგანიზაციებმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ სერიოზულ ნაკლს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. ს. ნარიკაშვილი

ელექტრული მოვლენები ადამიანის თავის ტვინში

★

როგორც ცნობილია, ნერვულ ქსოვილს ახასიათებს მეტად დიდი მგრძნობიარობა გაღიზიანების მიმართ. ეს შედეგია იმისა, რომ ფილოგენეზურ განვითარებისა და ფუნქციონალური დიფერენცირების შედეგად მასში თავისებური განვითარება-გართულება განიცადა პროტოპლაზმამ. პროტოპლაზმის განსაზღვრულმა ნაწილმა, რომელიც თავისუფალია უჯრედის კვებისა და ზრდა-განვითარების მოვალეობისაგან, განიცადა შემდგომი განვითარება, რის შედეგადაც მან მიიღო უნარი გაღიზიანების საპასუხოდ სწრაფად დაიშალოს, ე. ი. წარმოშვას აგზნების პროცესი. ამ დიფერენცირებულ, უკიდურესად განვითარებულ და რთულ აღნაგობის პროტოპლაზმას ეწოდება აგზნებადი სისტემა ანუ ნივთიერება.

აგზნებად სისტემას ახასიათებს მეტისმეტი ლაბილობა ე. ი. ის ადვილად იშლება. საკმარისია სულ მცირეოდენი გარეგანი ბიძგი, რომ ის მთლიანად დაიშალოს, „აფეთქდეს", როგორც თოფის წამალი. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის აღდგება და მზადაა ხელახლა უპასუხოს, ე. ი. ხელახლა დაიშალოს ახალ გაღიზიანების საპასუხოდ. ეს დაშლა-აღდგენის პროცესი მიმდინარეობს მთელ რიგ მეტი თუ ნაკლები სირთულის ფიზიკურ-ქიმიურ ცვლილებებთან ერთად. აქამდის წონასწორობაში მყოფი პროტოპლაზმის შინაგანი ქიმიური შემადგენლობა გაღიზიანების დროს ირღვევა, შენაერთებიდან თავისუფლდება მრავალი იონები. ამის შედეგად, ნერვის აგზნებული ნაწილი ან აგზნებაში მყოფი ნერვული უჯრედი ნერვის მოსვენებულ ნაწილის ან „არააგზნებაში" მყოფ უჯრედის მიმართ იჩენს უარყოფით პოტენციალს, უარყოფითი ელექტრობით იტვირთება. თუ ჩვენ აგზნებულ ნაწილს, რომელიც უარყოფითად არის დატვირთული, შევუერთებთ რომელიმე გამტარებლით მოსვენებულ ნაწილს, რომელიც დადებითი პოტენციალით არის ხოლმე დატვირთული, ჩვენ ვნახავთ, რომ ამ გამტარებელში დენი გაირბენს. ამ დენს უწოდებენ აგზნების ბიოელექტროდენს.

მაშასადამე, როგორც ნერვული ღეროს ისე აგრეთვე ნერვული უჯრედის აგზნების დროს, აღიძვრის რა პოტენციალთა სხვაობა, ყოველთვის ბიოელექტრული დენი წარმოიშვება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თავის ტვინი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც შესდგება ნერვულ უჯრედებისაგან და ამ უჯრედთა ურთიერთ დამაკავშირებელ ნერვულ ბოჭკოთა ხლართისაგან, მაშინ მოულოდნელი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ თავის ტვინის ორი სხვადასხვა ნაწილის (აგზნებულ და „მოსვენებულ" ნაწილთა) გამტარებლით დაკავშირების შემთხვევაში, უკანასკნელში დენი გაირბენს.

სწორედ ამ დებულებიდან გამოდიოდნენ ამ საკითხის პირველი მკვლევარნი კერძოდ ხარკოველი ფიზიოლოგი დანიელევსკი (1875—76 წლ.), და ინგლისელი—კეტონი, რომელთაც სცადეს ცხოველთა გაშიშვლებული ტვინიდან ბიოელექტრული დენის რეგისტრირება. ამ მიზნისათვის ისინი ადებდნენ დიდი ტვინის ორ სხვადასხვა ნაწილზე პატარა ლითონის ფირფიტებს, უკანასკნელთ მავთულების საშუალებით უკავშირებდნენ ელექტრული დენის სარეგისტრაციო იარაღს. მათ ნახეს, რომ დიდი ტვინის სხვადასხვა ნაწილებიდან შეიძლება ჩაიწეროს დენის რხევები. ამ დენების შესწავლა იმ დროს უფრო დაწვრილებით, ისე როგორც ამას დღეს ჩვენ ვაწარმოებთ, შეუძლებელი იყო, ვინაიდან ტვინში აღმოცენებული ბიოელექტრული დენები ძალიან სუსტი არიან და მაშინ სათანადო მგრძნობიარობის იარაღები არ მოეპოვებოდათ. დღეს კი, რადიოტექნიკის განვითარების შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ტვინის ეს სუსტი ბიოელექტრული დენები მრავალ ათასჯერ გავაძლიეროთ და შემდეგ შევისწავლოთ უინერციო მგრძნობიარე სარეგისტრაციო აპარატებით.

როგორ ვსწავლობთ ადამიანის თავის ტვინის ბიოელექტრულ დენებს? ვიდრე გამომუშავდებოდა ადამიანის თავის ტვინის ბიოელექტრული დენის ჩაწერისა და შესწავლის წესები, ცხოველებზე ჩატარებულ ამ პირველ გამოკვლევებიდან ბევრმა დრომ გაიარა. ამ დროისთვის საკმაო ფაქტიური მასალა დაგროვდა, რომელიც მიღებული იყო ცხოველთა გაშიშვლებულ (ქალა ახდილ) ტვინზე და რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა, რომ „ოდესმე შევძლებდით დაუზიანებელ თავის ქალადან იმ ბიოელექტრულ დენების შესწავლას, რომელნიც აღიძვრიან სხვადასხვა ფსიქიკურ აქტების დროს“ (ფლეიშლი,) და მართლაც, ცხოველის თავის ტვინში ელექტრული დენების აღმოცენების დადგენა სრულებითაც არ სწყვეტდა საკითხს შესაძლებელია თუ არა ადამიანის თავის კანიდან, დაუზიანებელ ქალას შიგნით მოთავსებულ ტვინის ელექტრულ დენების შესწავლა? ფლეიშლის ეს ოცნება, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად განახორციელა ჰ. ბერგერმა, რომელმაც პირველად 1926—29 წ. შესძლო ადამიანის თავის კანიდან ჩაეწერა ტვინის ბიოელექტრული დენები. დღეს, ზოგიერთი ცვლილებებით, იხმარება ეს მეთოდი.

გამოსაკვლევ ადამიანს თავის კანის სხვადასხვა ადგილას (ტვინის ნაწილთა შესაბამ ფარგლებში) რეზინის ქუდის, ზონრების ან სპეციალურ წებოს საშუალებით წყვილ-წყვილად უმაგრებენ პატარა მაგალითად, 1 კვ. სნტ ვერცხლის ფირფიტებს — ელექტროდებს; უკანასკნელთ იზოლირებულ მავთულების საშუალებით უკავშირებენ ელექტრულ პოტენციალთა გამაძლიერებლებს. ტვინში აღმოცენებული ბიოელექტროდენი ვრცელდება მის ირგვლივ მყოფ სითხეებში, გარსებში, ქალას ძვალში და ბოლოს (თუმცა საკმაოდ შესუსტებული) აღწევს თავის კანს და მასზე მოთავსებულ ელექტროდებს. ეს დენი, რომელიც ორ ელექტროდთა შორის აღიძვრის, როგორც ვთქვით, მცირე ძაბვისაა (რამდენიმე ათეული მიკროვოლტი: მიკროვოლტი ვოლტის ერთი მემილიონედია). ამიტომაც მას წინასწარ ვაძლიერებთ, ძაბვას ვუმატებთ მრავალ ათასჯერ. ასეთნაირად გაძლიერებული ბიოელექტროდენი გამაძლიერებელ აპარატიდან მოდის უკვე სარეგისტრაციო აპარატში. (იხ. სურ. 1) სარეგისტრაციო აპარატი კი წარმოადგენს უინერციო კათოდის სხივის ოსცი-

ლოგრაფს ან ე. წ. შლეიფის ოსცილოგრაფს. ორივე ეს აპარატი იძლევა სხივს. (კათოდის ოსცილოგრაფში სხივი შესდგება ელექტრონთა ნაკადისაგან, ხოლო შლეიფის ოსცილოგრაფში ელნათურას ანარეკლი სხივია). თუ ადამიანის თავ-



სურ. 1.

ადამიანის თავის ტვინის პოტენციალების ჩასაწერი კაბინეთის მოწყობილობა.

ფართო ოთახში (1) გაკეთებულია ლითონის კაბინა (2) ლითონის კაბინაში მოთავსებულია რბილი საწოლი (ტახტი) (ა), რომელზედაც აწვენენ გამოსაკვლევ პირს. მის თავზე მოთავსებული ელექტროდები მავთულების საშუალებით უკავშირდება წინასწარ (ბ) და საბოლოო (გ) გამაძლიერებელს. აქედან კი მრავალ ათასჯერ გაძლიერებული პოტენციალები მიდის სარეგისტრაციოდ ოსცილოგრაფში (დ).

შეერთებული არ არის ამ აპარატებთან, სხივი არ მოძრაობს, საკმარისია შევუერთოდ და მაშინ დავინახავთ, რომ სხივი, იმისდამიხედვით თუ ბიოელექტრული დენი ამ აპარატში რა მიმართულებით გაირბენს, მეტი თუ ნაკლები სიხშირით, ხან ერთ მხარეზე გადაიხრება, ხან მეორეზე. ეს სხივი ეცემა გადასაღებ აპარატის ნაპრალს, რომელშიც იმყოფება ფოტოგრაფიული ქაღალდი ან კინო-ფირი. გადაღების წინ ფოტოგრაფიულ ქაღალდს ან ფირს ავამოძრავებთ და სხივი ჩაგვიწერს მეტი თუ ნაკლები სირთულის მრუდეს, რომელიც ამოიკითხება და შეისწავლება მისი რეაქტივში გამოვლინებისა და ფიქსირების შემდეგ (სურ. 2 და 3).

გადაღების პროცესის დროს ადამიანი მოთავსებული უნდა იყოს სპეციალურ ლითონის კაბინაში, რომელიც დამიწებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის დენი, რომელიც ოთახში გაყვანილ მავთულებიდან „განსხივდება" ზედ დაერთვის ხოლმე ბიოელექტრულ დენს, ისიც ძლიერდება და ხელს გვიშლის ჩაწერილ მრუდის შესწავლაში. გარდა ამისა, გამოსაკვლევი პირი უნდა რაც შეიძლება მოდუნებულ, არა დაძაბულ მდგომარეობაში, სჯობიან მწოლიარე იყოს, ვინაიდან, როგორც ამას მერე ვნახავთ, ამ პირობების გარეშე ძნელდება ტვინის ბიოელექტრულ დენთა ყველა ფორმების შესწავლა. ასეთი მოწყობილობითა და მეთოდით ხდება ადამიანის თავის ტვინის ბიო-

ელექტრული დენების შესწავლა. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ასეთი ... თია მოწყობილი.



სურ. 2

სურათში მოცემულია ორი ელექტროენცეფალოგრამა — „ა" და „ბ". თავის რიგად თითოეული მათგანი შეიცავს აგრეთვე ორ-ორ მრუდეს, რომელნიც წარმოადგენენ თავის ქალას ორ სხვადასხვა ადგილიდან ერთდროულად ჩაწერილ ელექტრულ რხევებს. ასე, „ა" შემთხვევაში (სურათი იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ) ზემო მრუდი წარმოადგენს მარჯვენა კეფის მიდამოდან (ე. ი. ტვინის მარჯვენა კეფის წილის) ელექტროდენს, ხოლო ქვემო მრუდი — მარცხენა კეფის წილისა. მესამე (სულ ქვემოთა) სწორი ხაზი, რომელზეც ვერტიკალური ჩხირებია, დროს მაჩვენებელია. ჩხირებს შორის ინტერვალი $^1/_5$ სეკუნდს უდრის.

მოზრდილი ტალღისმაგვარი რხევები — ე. წ. ალფა ტალღებია (ყოველ $^1/_5$ სეკუნდში ასეთი ორი ტალღა ეტევა, ე. ი. ერთ სეკუნდში 10 ასეთი რხევაა). ალფა ტალღებზე ვამჩნევთ უფრო სუსტ, ხანმოკლე და ხშირ ჩხირებისმაგვარ პოტენციალებს — ეს ე. წ. ბეტა-ტალღებია. ცოტა ხნის შემდეგ საცდელი პირი თვალებს აღებს (აღნიშნულია ეს მომენტი ჯვრით). თვალების გაღებასთან ერთად ალფა-რიტმი ქრება, რჩება მხოლოდ ბეტა-ტალღები შემთხვევა „ბ"-ში ელექტროდენები ჩაწერილია მარჯვენა (ზემო მრუდი) და მარცხენა (ქვემო მრუდი) თხემის ფარგლიდან. დასაწყისში (მრუდის მარცხენა მხარეს) საცდელ პირს ჯერ თვალები ღია აქვს; ამის გამო პოტენციალები სუსტი არიან და არარეგულარული მიმდინარეობა აქვთ (ეს ე. წ. ძირითად აქტივობას წარმოადგენს). თვალების დახუჭვასთან ერთად (აღნიშნულია ზევიდან ჯვრით) არარეგულარული ძირითადი აქტივობის ნელი რხევები გადაიქცა რეგულარულ ალფა-ტალღებად.

როგორი ხასიათისაა ტვინის ბიოელექტრული დენები ნორმალურ ადამიანში. როგორც ცხოველების გაშიშვლებულ ტვინის ისე ადამიანის თავის კანიდან ჩაწერილი ბიოელექტრული დენის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს დენები მარტო განსაზღვრულ პირობებში კი არ ჩნდებიან, არამედ მუდმივ და განუწყვეტლივ მიმდინარეობენ. გამოირკვა აგრეთვე, რომ თავის ტვინის ბიოელექტრული დენების წარმოშობისათვის სრულებითაც საჭირო არ არის რომელიმე გარეშე მოქმედი გაღიზიანების მიყენება, საწინააღმდეგოდ, რაც უფრო ნაკლებად ღიზიანდება ადამიანი, რაც უფრო მისი ტვინი ნაკლებად აიგზნება რომელიმე გარეშე ზეგავლენით,

რაც უფრო ადამიანი მოდუნებული და არა დაძაბულია, მით ტვინის განსაზღვრული პოტენციალები უფრო მძლავრია და ბიოელექტრული დენი უფრო თვალსაჩინოა. მაშასადამე, ტვინის ნერვული ელემენტები (ნერვული უჯრედები და ბოჭკოები) თითონვე ანუ სპონტანურად აიგზნებიან; განსაზღვრული შინაგანი ცვლილებები, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვენთვის მთლიანად ცნობილი არ არიან, ამ ნერვულ ელემენტებს გამუდმებით აღიზიანებენ. ამ მუდმივ გაღიზიანების საპასუხოდ ნერვული უჯრედის აგზნებადი სისტემა მთლიანად იშლება (ამ დროს ამ ფარგალში ვითარდება უარყოფითი პოტენციალი), რამდენიმე ხნის შემდეგ ის ისევ აღსდგება (უარყოფითი პოტენციალი მოისპობა) და ხელახლა ისევ დაიშლება. ასე განუწყვეტლივ მეორდება ეს დაშლა-აღდგენის პროცესები და, შედეგად ამისა, პოტენციალების ცვლილებანი მთელი დღე და ღამის განმავლობაში.

ამ პოტენციალთა ცვლილებების ანუ რხევების ჩაწერამ და შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ რხევათა რამდენიმე ჯგუფი არსებობს. ერთი ჯგუფი რხევებისა შედარებით ნელა ვითარდება და თვითეულ სეკუნდის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე (ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ) მეორდება. რხევათა მეორე ჯგუფი სწრაფად ვითარდება და მათ სიხშირემ სეკუნდში შეიძლება 30-დან 250-მდე მიაღწიოს. ტვინის პოტენციალის რხევათა პირველ ჯგუფს უწოდებენ ნელ რ ხ ე ვ ე ბ ს, მეორე ჯგუფს კი სწ რ ა ფ რ ხ ე ვ ე ბ ს.

შედარებით დაწვრილებით შესწავლილია ნელი რხევების თავისებურებანი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ს და მის მოწაფეებს. მან გვიჩვენა, რომ თუ ადამიანი მისთვის ჩვეულ პირობებშია (სინათლეზე, ღია თვალებით მუშაობისას და სხვ.) მაშინ მისი ტვინის ყველა ნაწილი იძლევა არარეგულარულ ცვალებად სიდიდისა და სიხშირის ნელ ელექტრულ რხევებს. ტვინის იმ აქტივობას, რომელიც ამ დროს მიმდინარეობს და პირობადებს ამ არარეგულარულ რხევებს მან უწოდა ძ ი რ ი თ ა დ ი ა ქ ტ ი ვ ო ბ ა. ეს ელექტრული აქტივობა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელისაგანაც ადამიანის განსაზღვრულ პირობებში ჩაყენებისას, შეიძლება განვითარდეს ტვინის პოტენციალის ნელი რხევების სხვა სახეები. მართლაც, თუ ადამიანი თვალებს დახუჭავს, ან სინათლეს ჩაუქრობთ, გონებრივ მუშაობას, ფიქრს, ყურადღებას შეამცირებს, მაშინ ძირითადი ელექტრული აქტივობის არარეგულარული რხევები მიიღებენ რეგულარულ რითმულ ხასიათს და გაძლიერდებიან. ამ რეგულარულ და ინტენსიურ ნელ რხევებს, რომელნიც თვალების დახუჭვისას ტვინში აღიძვრის, თავის დროს ბ ე რ გ ე რ მ ა ალფა-რითმი ან ალფა-ტალღები უწოდა და დღესაც მას ასე უწოდებენ (იხ. სურ. 2). მისი სიხშირე სხვადასხვა ადამიანებში სხვადასხვაა, მაგრამ მერყეობს შედარებით მცირე ფარგლებში (8-დან 12-მდის ერთ სეკუნდში). თუ ძირითადი ელექტრული აქტივობა თითქმის ერთი და იმავე სიხშირით და ინტენსივობით მიმდინარეობს ტვინის ყველა ნაწილში, ალფა-რითმი ყველაზე კარგად ჩანს კეფათხემის წილებში. შედარებით სუსტად გამოვლინდება იგი საფეთქლის წილში და უფრო მცირედ შუბლის წილში. საკმარისია ადამიანმა დაიწყოს თუნდაც მარტივ ამოცანაზე ფიქრი, დაძაბოს თავისი ყურადღება, ან გაახილოს თვალები, მაშინვე ალფა-რითმი შესუსტდება და ჩაქრება, (სურ. 2 ა) ხოლო მის ადგილზე ისევ ძირითადი ელექტრული აქტივობის არარეგულარული რხევები განვითარდებიან.

ტვინის პოტენციალის ამ ნელ რხევათა გარდა ჩვეულებრივ, როგორც ვთქვით, ადამიანის თავის ტვინი ანვითარებს აგრეთვე პოტენციალის უფრო სუსტ მაგრამ სწრაფ რხევებს, რომელთაც ბ ე რ გ ე რ ი ს წ ა ბ ა ძ ვ ე ბ ი ბ ე ტ ა-ტ ა ლ ღ ე ბ ს უწოდებენ (სურ. 2 ა). ეს ბეტა-ტალღები მიმდინარეობს ძირითადი ელექტრულ აქტივობის და ალფა-რითმის ნელი რხევების ფონზე. თუ ალფა-რითმი გონებრივი მუშაობისა და ყურადღების დაძაბვისას სუსტდება, ბეტა-ტალღები ამ დროს, საწინააღმდეგოდ ძლიერდებიან.

რ ა კ ა ვ შ ი რ შ ი ა პ ო ტ ე ნ ც ი ა ლ თ ა ე ს რ ხ ე ვ ე ბ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ფ უ ნ ქ ც ი ა ს თ ა ნ? გამოხატავენ თუ არა ნორმალური თავის ტვინის აღნიშნული ელექტრული პოტენციალები ამა თუ იმ ფსიქიკურ აქტებს? შეგვიძლიან თუ არა თავის ტვინის ბიოელექტროდენთა ფორმისა, ინტენსიობისა და სხვა ნიშნების მიხედვით ვიმსჯელოთ ამ დროს თავის ტვინში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესების ხასიათზე? — აი საკითხები, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ ამ მოვლენათა ჯერ კიდევ პირველი მკვლევარნი და რომელნიც ჯერჯერობით ურყოფითადაა გადაწყვეტილი. ადამიანის ფსიქიკური მოვლენები: მისი განცდები, აზროვნება და სხვ. შეიძლება მრავალ მხრივ შეიცვალოს, მაგრამ ამის შესაბამისად ელექტროენცეფალოგრამაში (ასე ეწოდება ფოტოგრაფიულ ქაღალდზე ან ფირზე ჩაწერილ თავის ტვინის ბიოელექტროდენის მრუდეს რაც სურ. 2 და 3-შია მოცემული) შესამჩნევ ცვლილებებს ვერ აღვნიშნავთ; ეს გასაგებიც უნდა იყვეს, რადგან ტვინის ელექტროდენების ზემოაღნიშნული სახეები ტვინის შინაგან მოქმედების მეტად უხეშ ანარეკლს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის დაუზიანებელ ქალადან ელექტრულ პოტენციალების ჩაწერისას ჩვენ ვწერთ არა ერთი რომელიმე ფარგალში ან რომელიმე სართულში (შრეში) მოთავსებულ ნერვულ უჯრედების განსაზღვრული ჯგუფის მოქმედებას, არამედ ეს დენები წარმოადგენენ სხვადასხვა დროს მოქმედ, ტვინის სხვადასხვა შრეში და სხვადასხვა სიღრმეში არსებულ ნერვულ ელემენტთა მოქმედების შეჯამებულ ელექტრულ ეფექტს. უშუალოდ ტვინის ზედაპირიდან ჩაწერილი ბიოელექტრული დენი თავისთავად წარმოადგენს მეტად რთულ ჯამს ტვინის სხვადასხვა ნაწილთა ელექტრულ პოტენციალებისა. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ პოტენციალების შეჯამებას, ურთიერთ გაძლიერებას ან დასუსტებას და საზოგადოდ ელექტრულ რხევათა ურთიერთ გავლენასა და გართულებას ადგილი აქვს აგრეთვე ტვინის ირგვლივ მყოფ სითხეებში, გარსებში, ქალას ძვალში და ბოლოს კანში, მაშინ გასაგები გახდება, რომ მართლაც ასეთი სხვადასხვა საფეხურებზე პოტენციალთა შეჯამებისა და ურთიერთ ზემოქმედების შედეგად საბოლოოდ მიღებული ელექტრული რხევები რასაკვირველია, მთლიანად ვერ ასახავს იმ სათუთ, შესაძლებელია სუსტ და ზოგიერთ შემთხვევაში, ალბად, ლოკალურად მიმდინარე მატერიალურ პროცესებს, რომელნიც ამა თუ იმ ფსიქიკური აქტის დროს მიმდინარეობს თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა ნაწილში. იმ რთულ მრუდეში, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ელექტროენცეფალოგრამის სახით ვერ გავარჩევთ (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით გარჩევა) პოტენციალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ფსიქიკურ აქტს.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დღეს ჩვენ კიდევ არ შეგვიძლიან ელექტროენცეფალოგრაფიის საშუალებით ადამიანის თავის ტვინის ფსიქიკური აქტების ანალიზი ვაწარმოოთ, თავის ტვინის მოქმედების ... ამ მეთოდმა მოგვცა მთელი რიგი როგორც ზოგად მეცნიერული ღირებულების ისე მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკულ-კლინიკური ღირებულების შედეგები.

რა მეცნიერული ღირებულება აქვს თავის ტვინის ბიოელექტრულ დენის შესწავლას? პირველი და მატერიალური მსოფლმხედველობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ამ მეთოდისა და საზოგადოდ თავის ტვინის ბიოელექტრულ მოვლენებისა იმაში გამოიხატება, რომ დღეს უკვე ეჭვი აღარავის ეპარება ფსიქიკურ აქტების მატერიალურობაში. ამ მოვლენებთან ცოტად თუ მეტად ვაცნობილი მკვლევარისათვის, მიუხედავად ელექტროენცეფალოგრაფიის ჯერ კიდევ ნაკლები განვითარებისა (ეს მეთოდი ხომ სულ რაღაც ათეული წელია, რაც ფართო ხმარებაში შემოვიდა!) აშკარაა, რომ თავის ტვინის ესა თუ ის ფუნქცია, ნორმალური მუშაობა, ცნობიერება და სხვა მდგომარეობანი აუცილებლივ დაკავშირებული არიან თავის ტვინის სხვადასხვა ნერვულ ელემენტებში მიმდინარე მატერიალურ ცვლილებებთან. ამ მატერიალურ ცვლილებებს კი დენის წარმოშობა გვიდასტურებს.

ასე, მაგალითად, დღეს უკვე საკმაოდ კარგად ცნობილია, რომ ალფა-რითმი თავის ტვინში არსებობს მანამდე, სანამ ადამიანი ცნობიერ მდგომარეობაშია. საკმარისია ადამიანმა ცნობიერება დაკარგოს (დაძინებისას, გულის წასვლისას, ნარკოზის დროს, ეპილეპსიურ გულყრისას და სხვ.) მაშინვე ალფა-რითმი იკარგება. ცნობიერების დაბრუნებასთან ერთად ალფა-რითმი ისევ აღსდგება. ცნობილია აგრეთვე, რომ ვიდრე ადამიანის ფსიქიკა განვითარებული არ არის, არც ალფა-რითმი არსებობს. ასე, მაგალითად, ახლად შობილ ბავშვებს ეს რითმი არა აქვთ, იგი ჩნდება მხოლოდ ბავშვის ზრდასთან და მის ფსიქიკურ დონის განვითარებასთან ერთად.

დღეისათვის დაგროვილია უკვე მრავალი ფაქტი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობისას და ტვინის სხვადასხვა დაავადებისას, როდესაც ადამიანის ფსიქიკა შეცვლილია, იცვლება აგრეთვე თავის ტვინის ბიოელექტრული დენის ხასიათი.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც დადგინდა ამ მეთოდით, ეს არის ის, რომ თავის ტვინის ნერვული ელემენტები ადამიანის მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნისას „მოსვენებული" კი არ არიან, არამედ გამუდმებით რითმულად მუშაობენ. ეს მუშაობა გარეგან გაღიზიანებისაგან დამოუკიდებლად, თავისით, ავტომატიურად, ან როგორც ამბობენ, სპონტანურად მიმდინარეობს; სწორედ ისე როგორც გულის მუშაობა. გარეგანი გაღიზიანება ამ ძირითად სპონტანურ აქტივობას მხოლოდ სცვლის: იგი ან ძლიერდება ან უმთავრესად სუსტდება და ისიც ტვინის არა ყველა ნაწილში, არამედ ძირითადად იმ ფარგლებში, სადაც მთავრდება ამა თუ იმ გრძნობის ორგანოდან მომავალი ნერვული გზები. საინტერესოა ის გარემოება, რომ ძირითადი სპონტანური ელექტრული აქტივობა ადამიანის ტვინის ქსოვილში ძილის დროსაც კი არ სწყდება. როგორც აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა მუშაობამ გვიჩვენა, ეს ძირითადი აქტივობა ძილის განსაზღვრულ პერიოდებში ძლიერდება კიდევაც.

მესამე ღირსშესანიშნავი დებულება, რომელიც მიღებული იყო ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევების შედეგად, ეს არის ის, რომ ერთ-
იმავე ადამიანში თავის ტვინის ბიოელექტრული მოვლენები მუდმივ ხასიათს
ინარჩუნებენ და სიცოცხლის განმავლობაში შესამჩნევად არ ცვალებადობენ.
უფრო მეტიც, ცნობილია მრავალი დაკვირვებები, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ხასიათისა (ქარაქტერი) და ქცევის ადამიანებს მსგავსივე ფორმისა და თვისებების ტვინის ბიოელექტრული დენები აქვთ. ასე, მაგალითად, რამდენიმე წყვილ ტყუპებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გამოარკვია, რომ ერთიმეორეს მსგავსი ტყუპები ერთი მეორის მსგავსვე ელექტროენცეფალოგრამას იძლევა, მაშინ, როდესაც ერთი მეორეს არა მსგავს ტყუპებში ელექტროენცეფალოგრამები სხვადასხვა ხასიათისა იყო. თუმცა, იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რაც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს, ჯერ კიდევ ძნელია, თავის ტვინის ბიოელექტროდენების ხასიათით ამა თუ იმ ადამიანის ქარაქტეროლოგიური ტიპი აღმოვიცნოთ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ნერვულ სისტემის ამა თუ იმ ორგანიზაციის ტიპს უნდა შეესაბამებოდეს თავისებური ხასიათისა და მიმდინარეობის ტვინის პოტენციალები. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, აკად. ი. ბერიტაშვილისა და მისი მოწაფეების დაკვირვებანი. მათ შესძლეს დიდი ტვინის ელექტრული პოტენციალების ხასიათის მიხედვით ტვინის ელექტრული აქტივობის სამი ძირითადი ტიპის დადგენა.

რა პრაქტიკულ-კლინიკური ღირებულება აქვს თავის ტვინის ბიოელექტრულ დენების შესწავლას. თუ ზემოთ აღნიშნულ ზოგად ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საკითხების გადაწყვეტაში ელექტროენცეფალოგრაფიამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სათანადო შედეგებს, სამაგიეროდ კლინიკურ მიზნებისათვის ამ მეთოდმა დიდი გამოყენება ჰპოვა და დაუფასებელი შედეგები მოგვცა. გამოირკვა, რომ თავის ტვინის თითქმის არც ერთი მეტი თუ ნაკლები ოდენობის, მეტი თუ ნაკლები სიღრმის დაზიანება ან დაავადება ისე არ მიმდინარეობს, რომ მან გავლენა არ იქონიოს ამ პოტენციალებზე და არ შესცვალოს მათი ხასიათი. თუმცა ჯერ კიდევ ამ დარგშიც ბევრი რამ გარკვეული არ არის, მაგრამ ის რაც უკვე ვიცით, ბევრად აადვილებს და აზუსტებს როგორც თავის ტვინის ავადმყოფობის და დაზიანების ადგილმდებარეობის დიაგნოზირებას, ისე დაავადების სიმძიმის აღმოცნობისა და მკურნალობის (გამოჯანსაღების) კონტროლის საქმეს. ნევროპატოლოგიაში უმთავრესად ამა თუ იმ გარეგნული ნიშნების ჯამით და ამ ნიშნების კრიტიკული ანალიზის საშუალებით ახსნიან თუ სად უნდა იყვეს და რა ხასიათისაა დაზიანება. ზოგიერთ, შედარებით რთულ შემთხვევებში, ასეთი ანალიზი იოლი საქმე არ არის და ამის გამო ავადმყოფობის ლოკალიზაციის, ხშირად კი ავადმყოფობის ხასიათის დიაგნოზირებაც ძნელდება. აი ამ შემთხვევებში ავადმყოფის ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევა, მკურნალ ექიმს და, გასაგებია, ავადმყოფსაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს.

თავის ტვინის სხვადასხვა დაზიანების ან ავადმყოფობის დროს არა მარტო იცვლება ნორმალურ ტვინის ბიოელექტროდენების (ძირითადი ელექტრული აქტივობის ალფა-რითმის ბეტა-ტალღების) ხასიათი, არამედ ვითარდება პოტენციალთა სავსებით ახალი პათოლოგიური ფორმები. ასე, მაგალითად, ეპილეპსიან ავადმყოფში როგორც თვით გულყრის დროს, ისე მის პერიო-

დებს მორის აღინიშნება თავისებური ხასიათის გაძლიერებული პოტენციალები ე. წ. კრუნჩხვითი პოტენციალები. სწორედ ასევე — თავის ტვინის ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ჩირქგროვა, სიმსივნე, ეკრილობა, კონტუზია და სხვ. ვითარდება მეტად ხანგრძლივი ნელი რხევები — ე. წ. დელტა-ტალღები. (იხ. სურ. 3)



სურ. 3

ერთი მეორესთან შესადარებლად მრუდე „ა"-ში მოყვანილია ალფა-რითმი; მრუდე „ბ"-ში — ე. წ. კრუნჩხვითი პოტენციალები; მრუდე „გ"-ში კი — ე. წ. დელტა-ტალღები. ყოველ მრუდის ქვეშ სწორი ხაზის მონაკვეთი აღნიშნავს დროს ერთ სეკუნდში. როგორც სურათიდან ჩანს ადამიანის ტვინის სხვადასხვა მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ელექტრული რხევები მკვეთრად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან არა მარტო მრუდის ფორმით, არამედ აგრეთვე ტალღათა რიცხვით ერთი სეკუნდის განმავლობაში.

ამრიგად თუ გამოვიკვლევთ ავადმყოფის თავის ტვინის სპონტანურ ელექტრულ აქტივობის ცვლილების თავისებურებას და მას შევუფარდებთ სხვა კლინიკური მეთოდებით მიღებულ შედეგებს — ავადმყოფის დიაგნოზირების საქმე გაცილებით ადვილდება და ამავე დროს ზედმიწევნით ზუსტდება.

თავის ტვინის დაავადებათა და დაზიანების ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევა უკვე ითვლება ერთერთ ყველაზე ზუსტ მეთოდად. იგი ფართო გამოყენებას ჰპოვებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. უკვე კონსტრუირებულია და ფართოდ გავრცელებულია მთელი რიგი პორტატიული ელექტროენცეფალოგრაფები, რომელიც შეიძლება გადატანილ იქნეს ერთი ადგილიდან მეორეზე, მიტანილი იქნეს ავადმყოფის საწოლთან და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ სულ ახლო მომავალში თავის ტვინის ბიოელექტრული დენები ტვინში მიმდინარე კიდევ ბევრ, აქამდის უხილავ, მატერიალურ პროცესებს გვიჩვენებენ, და რომ აგრეთვე ელექტროენცეფალოგრაფი მალე კლინიკური გამოკვლევებისათვის ყველაზე საჭირო აპარატი გახდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია მაჭავარიანი

მოგონებანი ვასილ პეტრიაშვილზე

(გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო)

★

1885 წელს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მე და ჩემი ამხანაგები: გიორგი ლასხიშვილი, ივანე ელიაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, იაგორ (გიორგი) ლორთქიფანიძე, გავემგზავრეთ ოდესის უნივერსიტეტში.

ოდესაში ჩასვლისა და დაბინავების შემდეგ სულ მოკლე ხანში მე და ჩემს ამხანაგებს ბედნიერი შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით უკვე ცნობილ პროფესორ ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილს და აგრეთვე მის ღირსეულ მეუღლეს ეკატერინე თავდგირიძის ასულს. ეს მოხდა თვით მათ ოჯახში. პირველმავე შეხვედრამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, რომ უნივერსიტეტში გატარებული მთელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა მათთან, დიდი პატივისცემა და სიყვარული უფრო და უფრო მტკიცდებოდა. მაშინაც გვიკვირდა და ახლაც მაოცებს ის გარემოება, თუ როგორ ახერხებდა ჩვენთან, ჯერ კიდევ მცირედმომზადებულ სულ ახალგაზრდა სტუდენტებთან საერთო ენის გამოძებნას, მეგობრულ ურთიერთობასა და მშობლიურ მზრუნველობასაც კი ეს გამოჩენილი მეცნიერი, უკვე ხანში შესული ადამიანი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეკატერინე ყარამანისასული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენდამი მზრუნველობასა და ყოველგვარ დახმარებაში. ესეც იშვიათი გულკეთილი ადამიანი იყო, განუყრელი მეგობარი თავისი მეუღლისა. ვასილ პეტრიაშვილმა ის გაიცნო საფრანგეთში, როდესაც იგი მუშაობდა პარიზის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და ეკატერინე ყარამანის-ასული კი სწავლობდა ერთ-ერთ სპეციალურ სასწავლებელში; ბედმა შეჰყარა უცხოეთში ეს ორი იშვიათი ადამიანი. აქედან დაწყებული სიკვდილამდე ერთმანეთის თავდადებული და განუშორებელი მეგობრები იყვნენ.

ვასილ პეტრიაშვილს ახასიათებდა გასაოცარი გულწრფელობა, სიდინჯე, დარბაისლური თავაზიანობა და ამავე დროს ურყევი ნებისყოფა ყოველ პრინციპულ საკითხებში. მასთან საუბარი, მსჯელობა და კამათი მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იყო ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, ისეთი ბუნებრივი, უბრალო და მეგობრული იყო მისი მოქცევა ჩვენდამი, რომ არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობდით მათთან ურთიერთობაში და სრულიად თავისუფლად შეგვეძლო მიგვემართნა ყოველგვარი ჩვენი სტუდენტური საჭირბოროტო საკითხების გამო. იგი და მისი მეუღლე მზად იყვნენ დახმარებისათვის; მათი დახმარება იყო, როგორც ზნეობრივი, ისე მატერიალური, რომლითაც ფართოდ ვსარგებლობდით არამარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვ-

ნების სტუდენტებიც. ამიტომაც იყო, რომ პროფესორ პეტრიაშვილის პიროვნება ხიბლავდა სტუდენტობას, და მან დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა სტუდენტთა ყველა წრეში. ასეთივე იყო ვასილ პეტრიაშვილი თავის წრეშიც, მაშინდელ ცნობილ პროფესორებში მას დიდი ნდობა და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. იმავე დროს ბევრი მათგანი დაახლოებული იყო მასთან მეგობრული კავშირითაც. აქ შემიძლია დავასახელო, სხვათა შორის, ისეთი შესანიშნავი მეცნიერები, როგორიც იყვნენ აკადემიკოსი—ზოოლოგი ალექსანდრე ონუფრის-ძე კოვალევსკი, ბაქტერიოლოგი და ზოოლოგი პროფესორი ილია ილიას-ძე მეჩნიკოვი, პროფესორი ქიმიკოსი ალექსანდრე ანდრიას-ძე ვერიგო, პროფესორი ისტორიკოსი თედორე ივანეს-ძე უსპენსკი, აგრეთვე პეტრიაშვილის მოწაფე და გულითადი მეგობარი პროფ. პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი.

პროფესორი პეტრიაშვილი ეკუთვნოდა მეცნიერთა შემარცხენე პროგრესიულ ჯგუფს.

ჩვენ ხშირი შემთხვევები გვქონდა შევხვედროდით და გავცნობოდით პეტრიაშვილის ოჯახში ზემოთდასახელებულ გამოჩენილ მეცნიერებს, მოგვესმინა მათი ბაასი, მსჯელობა სამეცნიერო საკითხებზე, და ზოგჯერ ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა ლიტერატურულ და პოლიტიკურ საკითხების გარჩევაში.

1886 — 1887 წელს ჩვენს ჯგუფს ქუთაისიდან შემოეშატა ახლად კურსდამთავრებულები: ილია ჩიქოვანი, გრიგოლ ბარათაშვილი, პეტრე კიზირია, დიმიტრი ხოშტარია (დუტუ შეგრელი) და დიმიტრი ახვლედიანი, რომლებიც დაგვიახლოვდნენ და ერთად ვმუშაობდით.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო პროფ. პეტრიაშვილის ერთი უახლოესი მეგობართაგანი, — ოდესაში ძეტად პოპულარული ექიმი და ცნობილი ბაქტერიოლოგი (შემდეგ პროფესორი) იაკობ იულის-ძე ბარდახი. ამ იშვიათ ადამიანს გავეცანით და დავუახლოვდით პროფ. პეტრიაშვილის ოჯახში. ბარდახი ისე დაგვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა, რომ ხშირად დაიარებოდა ჩვენთან ბინაზე, ეცნობოდა ჩვენს ავკარგიანობას, ზრუნავდა ჩვენს ჯანმრთელობაზე, ავადმყოფობის დროს, რასაკვირველია, უსასყიდლოდ გვმკურნალობდა, და ხშირად ფულითაც გვეხმარებოდა. იმ დროს ბარდახი იყო პროფ. მეჩნიკოვის თანაშემწე ოდესის ეგრედწოდებულ „ბაქტერიოლოგიურ სადგურზე“ (იგივე პასტერის ინსტიტუტი). მთელს იმდროინდელ რუსეთში, თუ არ ვცდები, მხოლოდ ოდესაში არსებობდა ამგვარი დაწესებულება. შემდეგში, როდესაც მეჩნიკოვი მიიწვიეს პარიზში, პასტერის ინსტიტუტში, მისი ადგილი ბარდახმა დაიკავა.

მგონი 1887 წელს ვასილ პეტრიაშვილი მძიმედ ავად გახდა ტიფით, რასაკვირველია, მუდმივი მისი ექიმი და მეგობარი ბარდახი თავს დასტრიალებდა ავადმყოფს, ღამეებს უთევდა და ჩვენც მორიგეობას ვუწევდით. რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფი განიკურნა.

ამავე წელს გურიიდან ჩამოიყვანეს რამდენიმე გლეხი ცოფიანი მგლებისაგან მძიმედ დაკბენილები. პეტრიაშვილმა და მისმა მეუღლემ დიდი მონაწილეობა მიიღეს მათთვის დახმარების გაწევის საქმეში; მათი დავალებით ბარდახმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ავადმყოფებს, მკურნალობდა და უვლიდა მათ და საბედნიეროდ გადაარჩინა ყველანი. იმ ხანებში ქუთაისიდან ჩამოიყვანეს გიმნაზიის მაშინდელი ინსპექტორი ჩეიბიში, დაკბე-

ნილი ცოფიანი ძაღლისაგან; ესეც გადაარჩინა ბარდახმა.

ბარდახი დიდად სტუმართმოყვარე იყო. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ საუკეთესო პროფესორები და ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. ამგვარ წვეულებაზე ბარდახს ჩვენც არ ვავიწყდებოდით, რითაც რასაკვირველია, სიამოვნებით ვსარგებლობდით. ერთ ამგვარ წვეულებას სხვათაშორის დაესწრო ბარდახის დიდი ხნის ამხანაგი და მეგობარი ქუთაისის ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე სამსონ თოფურია, პეტრიაშვილის გულითადი მეგობარი. ჩვენ გაგვიკვირდა, რომ ამ საზოგადოებაში თითქმის უმრავლესობასთან დაახლოებული აღმოჩნდა სამსონ თოფურია, თვით პროფ. მეჩნიკოვს იგი საუბრის დროს შეხობით მიმართავდა. ეს ადვილად გასაგები შეიქნა, როდესაც გავიგეთ, რომ თოფურიას დამთავრებული ჰქონია ოდესაში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და იქ შეკრებილ პირთა შორის ზოგი მისი ამხანაგი აღმოჩნდა ზოგიც — მასწავლებელი-პროფესორი. სამსონ თოფურია დიდად განათლებული და მჭერმეტყველი კაცი იყო და იმ საღამოს ყველა სტუმარი ყურადღებით უსმენდა მის შინაარსიან ბაასს და მსჯელობას. თოფურია ახალი დაბრუნებული იყო სამზღვარგარეთიდან, სადაც თითქმის ყოველწლიურად დაიარებოდა სამეცნიერო მიზნით.

ბარდახის მეშვეობით ჩვენ კიდევ გაეცანით და შემდეგ დავუახლოვდით თვალსაჩინო მოღვაწეებს. სხვათა შორის, ასეთები იყვნენ მწერალი ბელეტრისტი გრიგოლ მაჩიტეტი და ივანე სვედენცოვი (ივანოვიჩის ფსევდონიმით სწერდა), პუბლიცისტი, თანაშრომელი მემარცხენე პროგრესიულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკისა". სვედენცოვი, როგორც თვითონ გადმოგვცა, ერთ დროს მონაწილეობას იღებდა ნიკო ნიკოლაძის „ობზორში". ნიკო ნიკოლაძეს იგი დიდად აფასებდა. მისგან გამიგონია, რომ ნიკო ნიკოლაძე როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტი ცნობილი იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთშიდაც, სადაც იგი თანამშრომლობდა ისეთ განთქმულ მოწინავე ჟურნალებში, როგორიც იყო „სოვრემენნიკი", „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი" და გერცენის „კოლოკოლი".

იმჟამად სვედენცოვი ცხოვრობდა ოდესაში, ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნებული. ჩვენ მის ოჯახში ხშირი სტუმრები ვიყავით. გვიკითხავდა თავის ბევრ ხელნაწერ ნაწარმოებს, რომლის დაბეჭდვა მაშინდელი საცენზურო პირობებში არ შეიძლებოდა. შემდეგში სვედენცოვი 1895 — 1903 წლამდე ცხოვრობდა თბილისში და თანამშრომლობდა გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში", რომლის რედაქტორი იმ დროს იყო გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი.

მწერალმა მაჩიტეტმა გამოსცა ერთი საინტერესო წიგნი, არ მახსოვს რა სათაურით, რომელშიაც მხატვრულად აღწერილი და დახასიათებული იყო ხალხისათვის თავდადებული უანგარო მოღვაწე ექიმი — ებრაელი, ამ ექიმში ოდესის საზოგადოებამ იცნო იაკობ ბარდახი.

ბარდახი არასდროს არ იყო ნამყოფი კავკასიაში, რომლის შესახებ, და განსაკუთრებით საქართველოზე, ბევრი საგულისხმო და საინტერესო სმენოდა პროფ. პეტრიაშვილისაგან და მისი მეუღლისაგანაც. იგი ერთ ზაფხულზე ეწვია საქართველოს, წამოვიდა ქუთაისში, იქიდან გიორგი ლასხიშვილთან და იოსებ ლორთქიფანიძესთან ერთად ზესტაფონში ესტუმრა ივანე ელიაშვილს. შემდეგ ყველანი ერთად მოვიდნენ ჩემთან, სოფელ ილემში, სადაც დარჩნენ რამდენიმე დღე. აქედან ბარდახი გაემგზავრა თბილისს, დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზა და აღტაცებული დაბრუნდა ოდესაში.

ეს მგზავრობა ვრცლად აქვს აწერილი გიორგი ლასხიშვილს თავის „ბემუარებში". მაგრამ ძწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ბარდახის შესახებ ამ მეძუარებში დაშვებულია (უთუოდ უნებლიედ) შეცდომა: თითქოს ბარდახმა საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ოდესის ერთერთ გაზეთში მოათავსა წერილი, სადაც საქართველო უარყოფითად მოიხსენია, თითქოს ბე „გავილაშქრე" ბარდახის წინააღმდეგ და პასუხად მოვათავსე „ოდესსკი ლისტოკში" ფელეტონი. უნდა აღვნიშნო, რომ ბარდახის წინააღმდეგ არაფერი დამიწერია და არც მქონია საფუძველი დამეწერნა, რადგან მას ეს ცოდვა არ ჩაუდენია; ჩემი ფელეტონი, რომელიც დაიწერა პროფ. პეტრიაშვილისა და აბხანაგების დავალებით, შეეხებოდა ვინმე ლექტორ ჩაუშინსკის, რომელმაც ოდესის სახალხო აუდიტორიაში წაიკითხა ლექცია სათაურით: „სომხები და ქართველები" და უკანასკნელებს უარყოფითად ახსენებდა.

ეს სამწუხარო შეცდომა გიორგი ლასხიშვილს მოუვიდა უთუოდ იმიტომ, რომ იგი ოდესაში აღარ იმყოფებოდა და მე ზნეობრივ ბოვალეობად მიმაჩნია ახლა მაინც აღვნიშნო სინამდვილე.

*
* *

ერთ საღამოს სტუმრად ვიყავით ვასილ პეტრიაშვილის ოჯახში; ვასილ წერეთელი, ვანო ელიაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე და მე. პროფესორის მეუღლემ, ეკატერინე ყარამანისასულმა, სხვათა შორის ახალ ამბად გადმოგვცა, რომ იალტაში გარდაცვლილიყო პოეტი ნადსონი, რომლის ნეშტი ოდესაზე გამოვლით გადასვენებული იქნებოდა პეტერბურგში. ეს იყო 1887 წლის იანვარში. ორივე ცოლ-ქმარმა გვირჩია გადაცვალებული პოეტის პატივსაცემლად ქართველ სტუდენტობასაც მიგველო მონაწილეობა სამგლოვიარო პროცესიაში ნავთსადგურიდან რკინიგზის სადგურამდე და ცხედარი გვირგვინით შეგვემკო. რასაკვირველია, დავალება შევასრულეთ.

კარგად მახსოვს 1887 წლის ნოემბერი. ვასილ პეტრიაშვილმა სასწრაფოდ დაგვიბარა რამდენიმე სტუდენტი, მეტად აღელვებული დაგვიხვდა და აღშფოთებით გადმოგვცა გულშემზარავი ამბავი დიმიტრი ყოფიანის ვერაგული მკვლელობის შესახებ, რომელიც მისთვის ეცნობებიათ თბილისიდან.

ვასილ პეტრიაშვილის თაოსნობით გადახდილი იქნა პანაშვიდი ოდესის საკათედრო ტაძარში. პანაშვიდს დაესწრო ჩვენი ქართველი სტუდენტობის გარდა სომეხი სტუდენტობა, თვით ვასილ პეტრიაშვილი მეუღლით, პროფესორი მელიქიშვილი და სხვა მეგობარნათესავები.

ვანო ელიაშვილმა გარდაცვალებულის ნეკროლოგი დასწერა, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ოდესსკი ლისტოკში", თუ „ოდესსკი ნოვოსტში", აღარ მახსოვს.

იმავე პროფ. პეტრიაშვილის მეშვეობით გავიგეთ, რომ ოდესის ნავთსადგურზე სდგას ოკეანეს უზარმაზარი გემი „კოსტრომა", რომელიც ბიემგზავრებოდა კუნძულ სახალინზე მრავალი პოლიტიკური კატორღელი პატიმრებით, რომელთა რიცხვში იმყოფებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელი ლაღიაშვილი.

რადგან სტუდენტებს ჩვეულება ჰქონდათ პოლიტიკურ პატიმრებისათვის დახმარება აღმოეჩინათ, ჩვენ მოვახერხეთ დაახლოებით 50-60 მანეთის შეგროვება და გადავეცით ლაღიაშვილს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი კურიოზული ეპიზოდი სტუდენტობის ცხოვრებიდან: ერთ პო-

ლიტიკურ კატორღელ პატიმრის სასარგებლოდ საჭირო იყო სასწრაფო დახმარების აღმოჩენა, რადგან საღამოს გამართვა ამ მიზნით შეუძლებელი იყო, გადავწყვიტეთ სხვა სახით გაგვემიზნა ეს საღამო: ქალაქის განაპირას ზღვის პირად გაშენებულ ლანჟერონის მშვენიერ პარკში ვიქირავეთ ერთი მიზრდილი დარბაზი და გავმართეთ ვითომ ებრაული ქორწილი. ამოვირჩიეთ ქალვაჟი. ვაჟი იყო სტუდენტი ებრაელი გვარად ბრომბერგი, ქალი— „კურსისტკა“ კიპარინდი.

შესრულებული იყო რაღაც ებრაული რიტუალური წესები, რომლებიც მთავრდებოდა იმით, რომ დაქორწინებულთა ბეჭდების შეცვლისთანავე მათ ფეხთან „შაფერი“ უნდა შემდგარიყო იქვე დადგმულ თეფშზე და დაემსხვრია იგი; რას შეიცავდა ეს რიტუალი, ახლაც არ ვიცი, მხოლოდ მაშინ კი გაგვამხიარულა და ბევრი ვიცინეთ. მაგრამ უეცრად თვალი მოვკარით ბოქაულს, რომელიც შეუმჩნევლად შემოსულიყო, მუშტრის თვალით გვათვალიერებდა და გვისმენდა. ბოქაულმა მოითხოვა „ქორწილის“ განმკარგულებელი, მას თამამად წარუდგა ერთი ჩვენი ამხანაგი რუსი სტუდენტი კირილოვი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მხიარული, თამამი და სიტყვამოსწრებული ახალგაზრდა. ბოქაული მკაცრად შეეკითხა: რა ჰქვია ამ თქვენგან მოწყობილ საღამოს, რას მოასწავებს იგი და ვინ დაგრთოთ ამის ნებაო. კირილოვმა გაბედულად უპასუხა: ეს გახლავს ქორწილი და ჩვენ ვზეიმობთ, ვფიქრობთ ამას არავითარი ნებართვა არ ჭირდებაო. ბოქაულმა სთქვა: ამ თქვენ ქორწილს ცუდი სუნი უდის, მეტად საეჭვოაო.

კირილოვმა მიუგო: მე ჩინებული ყნოსვა მაქვს და არავითარი ცუდი სუნი არ მცემსო.

— ჩემთვის ცხადია, თუ რა „კეთილსაიმედო“ სუნი სდის და ამიტომ ახლავე ოქმი უნდა შევადგინოთ! — ცხარობდა ბოქაული.

— ბატონო ბოქაულო, ბოდიშს ვიხდი და გთხოვთ თქვენი ყნოსვის დასამშვიდებლად მიიღოთ ჩვენი სტუდენტური მცირეოდენი მოსაკითხი! — და კირილოვმა ჯიბეში ჩაუდვა სამი თუმანი.

ბოქაულმა გაიღიმა, ეუცრივ შესცვალა კილო, მადლობა გადაუხადა და მხიარულად უთხრა კირილოვს: „«Право, хороший народ студенты, Господь с Вами, продолжайте веселиться და ამ სიტყვებით დასტოვა დარბაზი.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ასე იოლად გადავურჩით აშკარა ხიფათს.

განვაგრძეთ „საქორწილო“ ზეიმი, რომელიც გამოიხატებოდა სტუდენტურ სიმღერებში, აღგზნებული სიტყვების წარმოთქმასა და ცეკვაში.

ასე გავატარეთ მთელი ღამე და გარიჟრაჟზე დავიშალენით კმაყოფილნი, ვინაიდან ცოტა საჭირო თანხაც შევაგროვეთ და მოსალოდნელი საშიშროებაც ავიცილეთ თავიდან.

* * *

1887 წელს მოსკოვსა და პეტერბურგში მოხდა სტუდენტთა დიდი ღელვარება ეს იყო გამოწვეული უნივერსიტეტის ახალი წესდების შემოღების გამო (1884), რომელმაც გააუქმა დიდი ხნიდან (1863 წ.) არსებული უნივერსიტეტების ავტონომია და მის მაგივრად შემოიღეს ჯაშუშური ინსტიტუტი ინსპექციის სახით. მღელვარებამ ოდესაშიც იფეთქა. უმთავრესი მონაწილენი ვიყავით ქართველი სტუდენტები. შეთაურობდნენ: ვასილ წერეთელი, გიორგი ლასხიშვილი, კოტე მესხი (დავითის ძე), იაგორ ლორთქი-

ფანიძე და სხვ. აქტიურად გვეხმარებოდნენ რუსი და ებრაელი სტუდენტები.

ამის შედეგად სხვებთან ერთად დაჰკეტეს ჩვენი უნივერსიტეტიც. გაიმართა სტუდენტების გასამართლება საუნივერსიტეტო სასამართლოში და დაპატიმრებანიც. რამდენიმე ათეული სტუდენტი გამორიცხა, ჩვენი ამხანაგებიდან დააპატიმრეს და გამორიცხეს უნივერსიტეტიდან გ. ლასხიშვილი, ვ. წერეთელი, კ. მესხი, იაგორ ლორთქიფანიძე. უსათუოდ გამორიცხული ვიქნებოდით ჩვენ, მღელვარების დანარჩენი აქტიური მონაწილენიც, მაგრამ ეს აღარ მოხდა, რადგანაც უნივერსიტეტის სასამართლოში აღარ ვიყავით გამოწვეული და დაკითხული პროფ. პეტრიაშვილის აქტიური ჩარევისა და რექტორთან შეთანხმების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი რექტორი იაროშენკო მხარს უჭერდა პროფესორ პეტრიაშვილს, რომლისადმი ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული და მხოლოდ ამით აიხსნება ჩვენი ხსნა.

*
* *

ჩვენს დროს ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდნენ ჩვენი სტუდენტებიდან მხოლოდ 4 კაცი — ვასილ წერეთელი, ივანე ელიაშვილი აბესალომ ჩარკვიანი (შემდეგში ექიმები) და სულ ახალგაზრდა სტუდენტი კ. ამირაჯიბი, პეტრიაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მათ და უხაროდა, რომ ყველანი ნიჭიერები იყვნენ და ძლიერ კარგადაც მეცადინეობდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ვასილ წერეთელი, რადგან პეტრიაშვილი მასში ამჩნევდა სამეცნიერო მუშაობის დიდ უნარს და ესახებოდა მომავალ მეცნიერად. ვასილ წერეთელი თუმცა საერთოდ დინჯი ხასიათის იყო, მაგრამ იმავე დროს ექსპანსიურობაც ემჩნეოდა. იმ ხანებში ისე გაიტაცა საერთოდ პოლიტიკურმა საკითხებმა და განსაკუთრებით პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დასტოვა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი და გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი დაეწაფა მარქსის თეორიას, მაგრამ იურიდიული ფაკულტეტის მაშინდელ პროფესორთა უმრავლესობის უნიჭო ლექციებმა გული გაუტეხა და ისევ პეტრიაშვილის რჩევით დაუბრუნდა ბუნებისმეტყველებას, მხოლოდ მარქსის „კაპიტალით“ მაინც გატაცებული დარჩა. უნდა ითქვას, რომ ისეთ ცოდნას იჩენდა ვ. წერეთელი მარქსისტულ თეორიაში და საერთოდ პოლიტიკურ საკითხებში, რომ მთელ მაშინდელ ოდესის სტუდენტობაში კამათის დროს მას ვერავინ ამარცხებდა; ამით მან სტუდენტობის წრეში პოპულარობა მოიპოვა.

როგორც მოვიხსენეთ, 1887 წელს ვასილ წერეთელი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან და ოდესის ჟანდარმერიამ იგი დატუსაღებული საქართველოში ეტაპით გამოისტუმრა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვასილ წერეთელმა დაიწყო ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ მუშაობა. პროფ. პეტრიაშვილს არ ავიწყდებოდა ვასილი და ერთი წლის შემდეგ მისი დახმარებით სახალხო განათლების მინისტრმა აღადგინა იგი უფლებებში და ხელახლად დაუბრუნდა უნივერსიტეტს. ვასილ წერეთელი შევიდა კიევის უნივერსიტეტში და იქ დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი.

*
* *

1888 წელს ზაფხულში პროფ. პეტრიაშვილმა თავისი მსმენელი სტუდენტების თანხლებით მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში, სადაც უნდა დაეთვალიერებია სხვადასხვა სამეურნეო და საწარმო პუნქტები.

ექსკურსია პირველად ეწვია ქ. ქუთაისს პროფ. პეტრიაშვილთან იმ დროს იყო მისი ახლო მეგობარი ნ. ნიკოლაძე, დაათვალიერეს მთელს დასავლეთ საქართველოში ერთადერთი სასოფლო საძეურნეო სასწავლებელი; შემდეგ, რასაკვირველია, დაათვალიერეს თვით ქალაქიც მისი შესანიშნავი ისტორიული ნაშთით — ძველი ბაგრატის ტაძრით და ციხის ნანგრევებით. პროფ. პეტრიაშვილი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ მას აღარ ყოფნიდა დრო დათვალიერებინა ქუთაისის ახლო მდებარე მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები: მოწამეთა და გელათი. მე სოფლიდან ჩამოვედი ქუთაისში ძვირფასი პროფესორის შესახვედრად და ოდესაში დაბრუნებამდე თან ვახლდი ექსკურსიას. ქუთაისიდან პროფ. პეტრიაშვილი ეწვია ზესტაფონს, სადაც დავათვალიერეთ „საქარის სანერგე“ თავისი მეურნეობით, რომელსაც მეთაურობდა მაშინ ცნობილი სპეციალისტი და შემდეგ ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი. ზესტაფონში პროფესორი ეწვია ჩვენს საერთო მეგობარს ივანე ელიაშვილს.

მეორე დღეს გავემართეთ ჭიათურისაკენ. რადგან რკინიგზა ჯერ გაყვანილი არ იყო, ცხენებით გავუდექით გზას. ზესტაფონიდან პროფ. პეტრიაშვილის პატივსაცემად შემოგვემატა თანამგზავრებად რამდენიმე კაცი და მათ შორის დიმიტრი ხოშტარია (დუტუ მეგრელი) — მაშინ ოდესის სტუდენტი, აგრონომი იოსებ გუნცაძე, რომელიც ახლად დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან, მონპელიეში კურსდამთავრებული.

ვიდრე ჭიათურაში მივიდოდით, გზად გავიარეთ სოფ. კაცხში, სადაც ცხოვრობდა კიტა აბაშიძე. ის ახლო ნათესავი იყო პეტრიაშვილის მეუღლისა. რასაკვირველია, კიტას ოჯახში მიწვეული იყო ძვირფასი სტუმარი მთელი მისი კრებულით, აქაც გაიმართა ლხინი, წარმოითქვა სიტყვები, გაიმართა კამათი, და ისეთი საინტერესო ხასიათი მიიღო საღამომ, რომ — შეუმჩნევლად თავზე დაგვათენდა.

კაცხიდან მივედით სოფ. რგანში, დავათვალიერეთ მარგანეცის მაღაროები. აქედან იმ დღეს ვეღარ განვაგრძეთ მგზავრობა ჭიათურისაკენ, რადგან პროფესორი მთელი ექსკურსიით მიწვეული იყო მარგანეცის მრეწველის ნიკო ღოღობერიძის მიერ, რომელმაც დიდი ზეიმი მოუწყო პროფესორს.

ჭიათურაში მაღაროების დათვალიერების შემდეგ, ექსკურსია გაეგზავნა თბილისისაკენ, ჩამოვედით დაგვიანებით ღამის ორ საათზე, რის გამო სასტუმროში ბინა ვეღარ ვიშოვეთ; ბოლოს, როგორც იქნა პროფესორი მოვათავსეთ სასტუმრო „იუჟნიე ნომერაში“, დანარჩენები: კიტა აბშიძე, დუტუ მეგრელი, რომანოზ ფანცხავა და ექსკურსანტები იძულებული გავხდით ღამე გაგვეთია ალექსანდრეს ბაღში, სადაც დილამდე გატაცებით ვკამათობდით სხვადასხვა ბაშინდელ საჭირბოროტო საკითხებზე.

მეორე დღეს პროფესორმა ექსკურსანტებს სპეციალურად დაათვალიერებინა თბილისის მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები. ექსკურსია უკანასკნელად გაემგზავრა მუხრანში, სადაც უნდა დაეთვალიერებიათ კონსტანტინე მუხრანსკის შამულში აგებული ევროპულად მოწყობილი დიდი ღვინის სარდაფი. ამ სარდაფის ხელმძღვანელი იყო სპეციალისტი პეტრე ყიფიანი, საფრანგეთიდან ახლადდაბრუნებული აგრონომი, შემდეგში ფრანგული ენის ბასწავლებელი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, აბის შემდეგ პროფ. პეტრიაშვილი ექსკურსანტებით დაბრუნდა ოდესაში.

პროფ. პეტრიაშვილის ოჯახთან ჩვენი დამოკიდებულება არ შეწყვეტილა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, იგი გრძელდებოდა სამშობლო-

ში დაბრუნების შემდეგ სისტემატური მიწერ-მოწერის საშუალებით. ამას გარდა თითქმის ყოველ წელიწადს, შემოდგომაზე თვით ეკატერინე ყარამანის-ასული ჩამოდიოდა ქუთაისში ახლობელ ნათესავებთან: ესენი იყვნენ მისი კვიდრი ბიძები, კარგად ცნობილი პოეტი მამია გურიელი და მისი ძმები ჯაბა, ტელეშაკი, ვახტანგი და ვარდენი, ამათ მე კარგად ვიცნობდი და ხშირი სტუმარიც ვიყავი მათს ოჯახში, რასაკვირველია, მით უფრო ხშირი, როდესაც მათთან იმყოფებოდა ძვირფასი კატო

* * *

V პროფესორ პეტრიაშვილის ცხოვრებაში ყველაზე უფრო საყურადღებოდ და საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან, მიუხედავად 40 წლის განმავლობაში სამშობლოსაგან მოშორებისა და დიდი სამეცნიერო მუშაობით დატვირთვისა, — იმდენად ღრმა სიყვარული გამოიჩინა საქართველოსადმი, რომ შესძლო არ გაეწყვიტნა მასთან კავშირი და თავის ნაყოფიერი შრომით შეეტანა მეტად თვალსაჩინო წვლილი მის კულტურულ სალაროში.

მან პირველმა შეიმუშავა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია ქიმიის დარგში და სამი შესანიშნავი შრომა შესძინა ქართულ მეცნიერებას. ეს იყო სახელმძღვანელოები მევენახეობისა, მეღვინეობისა და მერძეობის მეურნეობაში.

თავისი ღვაწლი სამშობლოსადმი ამით არ სურდა დაეთავრებინა პეტრიაშვილს. მისი განუშორებელი ოცნება იყო დაბრუნებოდა საქართველოს და აქ — მშობლიურ ნიადაგზე გაგრძელებინა და გაეშალნა საშეცნიერო მუშაობა. თითქოს კიდეც ბოლოკიელდებოდა მისი ნატვრა, უკვე დაიწყო მიწერ-მოწერა მისსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწე გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილის შორის, რომელიც იწვევდა პეტრიაშვილს სამუშაოდ თბილისში ქალთა უმაღლეს კურსებზე და აგრეთვე კავკასიის-მცოდნეობის კურსებზე; მაგრამ სამწუხაროდ, ამ სასარგებლო საქმის განხორციელებას ხელი შეუშალა სხვადასხვა გარემოებამ და ჩაიშალა. ამის შესახებ საუბარი აქვს თვით გიორგი თუმანიშვილს თავის წიგნში. („Характеристики и воспоминания» 1913 წ.), და მის გამო ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

1907 წელს ვასილ პეტრიაშვილი დაინიშნა ოდესის უნივერსიტეტის რექტორად, მაგრამ მაშინდელ შავრაზმელ პროფესორთა ინტრიგების წყალობით იგი მოხსნეს რექტორის თანამდებობიდან და მის მაგიერ დაინიშნა ოდესაში ცნობილი შავრაზმელი პროფესორი ლევაშოვი. პროფ. პეტრიაშვილი კიდევ ცოტა ხნით განაგრძნობდა მუშაობას, მაგრამ იგი უკვე დაავადებული და მოტეხილი 1908 წ. წავიდა საექიმოდ კარლსბადში და იქ გარდაიცვალა ფილტვების ანთებით იმავე წლის ზაფხულში. იქიდან ჩამოსვენებული და დაკრძალული იქნა ოდესაში.

დამახასიათებელია და მასთან აღმაშფოთებელიც ის ფაქტი, რომ ქართველი სტუდენტების განზრახვას პანაშვიდი გადაეხადათ პეტრიაშვილისათვის უნივერსიტეტში, წინააღუდგა იგივე შავრაზმელი რექტორი ლევაშოვი. პანაშვიდი აღარ შესდგა იმ უნივერსიტეტში, რომელსაც მან შესწირა 40 წლის დაუღალავი და ნაყოფიერი საშეცნიერო შრომა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ბაქრაძე

პროფ. ს. დანელიას რეცენზიის შესახებ

ჟურნალ „მნათობის“ მერვე ნომერში მოთავსებულია პროფ. ს. დანელიას რეცენზია ჩემი ლოგიკის სახელმძღვანელოს შესახებ. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ჩემს წიგნში მთელი რიგი შეცდომებია, ბუნდოვანი და გაუგებარი დებულებაა და ზოგიერთი იდეალისტური დებულებაც მოიპოვება.

განვიხილოთ პროფ. ს. დანელიას შენიშვნები და ვნახოთ — რა მეთოდით წერს ის რეცენზიებს.

1. რეცენზენტს (162-ე გვ.) არ მოსწონს შემდეგი ბუნდოვანი დებულება, რომელიც ჩემი წიგნის მე-7 გვ. წერია: „ჭეშმარიტება თვით საგანი კი არ არის არამედ მისი ასახვა, მისი სურათი“. არ მოსწონს, რადგან „მოწაფე იკითხავს: „განა სურათი სინამდვილის საგანი არ არის?“.

ჩემს წიგნში რომ ასეთი დებულება იყოს, მაშინ მოწაფე კი არა, თვით პროფ. დანელია დასვამდა ასეთ კითხვას. მაგრამ ჩემს წიგნში წერია:

„ბუნება არსებობს... ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. სინამდვილის საგნები და მოვლენები მოქმედებენ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე და იწვევენ ჩვენში შეგრძნობებს. ჩვენი ცნობიერება გადაამუშავებს მათ წარმოდგენებად, ცნებებად. თუ ეს შეგრძნებები, წარმოდგენები, ცნებები ასახავენ საგნებს, მაშინ ჩვენი წარმოდგენები, ცნებები, ჭეშმარიტნი არიან“ (გვ. 7). ამას მოსდევს: „ლენინის განმარტებით ჭეშმარიტება არის სინამდვილის ასახვა ჩვენ ცნობიერებაში. ჭეშმარიტება თვით საგანი კი არ არის, არამედ მისი ასახვა, მისი სურათი ჩვენ ცნობიერებაში“ (იქვე). შემდეგ კიდევ უფრო დაწვრილებით და მარტივად არის ახსნილი ეს საკითხი. რა არის აქ შემცდარი, რა არის აქ ბუნდოვანი? პროფ. დანელიამ გვერდი აუარა სიტყვებს: „ჩვენ ცნობიერებაში“ და შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მე ვწერდე საგნის ფიზიკურ სურათზე! რაზე კამათობს პროფ. დანელია? ვის ეკამათება ის?

2. პროფ. დანელიამ აღმოაჩინა ჩემს წიგნში ადგილი, რომელიც თურმე „აშკარა იდეალიზმს“ წარმოადგენს. რეცენზენტს მოყავს ეს ადგილი: „ცნება არის აზრი და ამიტომ იმყოფება აზროვნებაში“. იდეა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცნობიერებაში“. „ამას ეწინააღმდეგება, — წერს რეცენზენტი, — ავტორის ნათქვამი: „იდეა მოვლენაში უნდა იყოს და არა მისგან მოწყვეტილად“. „სამკუთხედი საერთოდ (ე. ი. ზოგადი ცნება ან ზოგადი იდეა სამკუთხედისა. ს. დ.) რეალურ სამკუთხედებში (ე. ი. ფიზიკურ საგანში. ს. დ.) არის“. პროფ. დანელია დასძენს: „ეს ხომ ნამდვილი იდეალიზმია“. მას მოყავს ზემოთაღნიშნული ადგილები, ბრჭყალებში სვამს, რათა დაარწმუნოს მკითხველი, რომ ეს ჩემი წიგნიდან არის აღებული და გვერდსაც მიუთითებს: 82-ე გვ. ვინც წაიკითხავს ამ ციტატს: „იდეა მოვლენაში უნდა იყოს და არა მისგან მოწყვეტილად“. ყველა დაეთანხმება რეცენზენტს: ეს მართლაც იდეალიზმია! პროფ. დანელიამ მცირეოდენი მანიპულაცია გააკეთა: სიტყვა „არსება“ შეცვალა სიტყვით „იდეა“ და მარქსისტულ-ლენინური აზრი ობიექტურ იდეალიზმად აქცია. და მერე დამიწყო დავა, იდეალისტი ხარო. ჩემს წიგნში წერია: „როგორ შეიძლება მოვლენის არსება არსებობდეს მოვლენისაგან დამოუკიდებლად; თუ ის მოვლენის არსებაა, ის მოვლენაში უნდა იყოს და არა მისგან მოწყვეტილი“. (გვ. 83). ეს აზრი ნამდვილი მატერიალისტური, მარქსისტულ-ლენინური აზრია. შემთხვევით დაემართა ეს ამბავი პროფ. დანელიას? ჩემი წიგნის მთელი ის თავი, საიდანაც აღებულია და დამახინჯებულია ეს ადგილი ეხება პლატონის კრიტიკას, სახელდობრ იმას, რომ იდეა არ შეიძლება არსებობდეს ცნობიერის გარეშე. არ შეიძლება არსებობდეს მოვლენაში. ცხადია, რომ ეს ადგილი პროფ. დანელიამ განზრახ დაამახინჯა.

საინტერესოა ის განმარტებები, რომელსაც პროფ. დანელია უკეთებს ჩემი წიგნიდან ამო-

ღებულ ადგილებს. „სამკუთხედი საერთოდ რეალურ სუმკუთხედებშია“, ვწერ მე. პროფ. დანელიას მოყავს ეს ადგილი და ფრჩხილებში განმარტებას იძლევა: „სამკუთხედი საერთოდ (ე. ი. ზოგადი ცნება, ზოგადი იდეა სამკუთხედისა. ს. დ.) რეალურ სამკუთხედებშია (ე. ი. ფიზიკურ საგნებშია. ს. დ.) პროფ. დანელია მომაწერს მე აზრს, თითქოს სამკუთხედი საერთოდ და სამკუთხედის ცნება, იდეა ერთი და იგივეა და ამიტომ ეს ცნება, იდეა ფიზიკურ საგნებშია. მე არ ვიცი რის გამო ჩადის რეცენზენტი ამას; ჩემს წიგნში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ზოგადი არსებობს და არსებობს ცალკეულში. კონკრეტულში. მაგრამ ეს ზოგადი, იდეა კი არ არის; ცნება, იდეა ცნობიერებაშია და იგი ამ ზოგადს ასახავს.

3. რეცენზენტი აღნიშნავს: „92-ე გვერდზე იგი (ე. ი. მე. კ. ბ.) წერს: სამ კითხვას, რა არის თბილისი? რისი დედაქალაქია თბილისი?, რა არის საქართველოს დედაქალაქი? უპასუხებს ერთი მსჯელობა: თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი“. როგორ შეიძლება ასეთი შეცდომის ჩადენა? „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი“ ზემოთმოყვანილი კონტექსტში არის არა ერთი მსჯელობა, როგორც საკვირველი დაუდევრობით წერს ავტორი, არამედ ერთი წინადადებაა, რომლითაც სამი სხვადასხვა მსჯელობაა გამოთქმული“ (მნათობი, გვ. 165). მე არ შემიძლია პროფ. დანელიას დაუდევრობა დავაბრალო: დაუდევრობა მისთვის ძალიან კარგი დახასიათება იქნებოდა. პროფ. დანელიამ იცის, რომ ჩემს წიგნში არ არის ის, რასაც ის მე მისაყვედურებს: ჩემს წიგნში არის მთელი §-32 „მსჯელობა და წინადადება“, რომელშიც დადგენილია განსხვავება მსჯელობასა და წინადადებას შორის. აღებულია ერთი მსჯელობა: თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი. მაგრამ ეს მსჯელობა შეიძლება იყოს პასუხი სამი განსხვავებული კითხვის: რა არის თბილისი, რისი დედაქალაქია თბილისი და რა არის საქართველოს დედაქალაქი. შემდეგ ჩემს წიგნში წერია: „თუ დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ ეს მსჯელობა სამი განსხვავებული აზრის გამომხატველია, ე. ი. აქ ერთი წინადადებაა, მაგრამ სამი განსხვავებული მსჯელობა, განსხვავებული სუბიექტი და პრედიკატით. (გვ. 92. ე. ი. ის გვერდი, რომელსაც პროფ. დანელია მიუთითებს).

ეს სამი მსჯელობა ასეთია: „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი (და არა, მაგ. რაიონული ცენტრი). „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი (და არა რომელიმე სხვა ქვეყნის). „თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი (და არა რომელიმე სხვა ქალაქი) (გვ. 93).

სამივე შემთხვევაში წინადადება ერთია“ (გვ. 93). „ნათელია, რომ აქ სამი განსხვავებული მსჯელობა გვქონია“ (გვ. 93). შემდეგ სქემატურად არის ჩამოწერილი ეს სამი მსჯელობა მე-93 გვერდზე. რა მეთოდს ხმარობს პროფ. დანელია რეცენზიის წერისას? პირველ შემთხვევაში (ჰეშმარიტების განსხვავებისას) ჩემი წიგნიდან ციტატის მოყვანის დროს გამოტოვა სიტყვები „ჩვენს ცნობიერებაში“ და ამით ჰეშმარიტება (როგორც საგნის სურათი ჩვენს ცნობიერებაში). საგნის ჩვეულებრივ სურათად, ე. ი. ფიზიკურ საგნად გადააქცია და ასეთი აზრი მე მომაწერა. მეორე შემთხვევაში ციტატაში სიტყვა „არსება“ სიტყვით „იდეა“ შეცვალა და მართებული მარქსისტულ-ლენინური დებულება, რომ „არსება მოვლენაშია და არა მისგან დამოუკიდებლად“ გადააკეთა იდეალისტურ დებულებად: „იდეა მოვლენაშია“. იდეა, ცნება ფიზიკურ საგანშია“ და ასეთი აზრი მე მომაწერა. მესამე შემთხვევაში (წინადადებისა და მსჯელობის შესახებ) მომაწერა ჩემი აზრის (რომ აქ ერთი წინადადებაა, მაგრამ სამი განსხვავებული მსჯელობა) საწინააღმდეგო აზრი (აქ ერთი მსჯელობა) და შემდეგ მევე მისაყვედურა „საკვირველი დაუდევრობა“. ასეთი ხერხი კრიტიკის დროს ყოველად დაუშვებელია.

რამდენიმე სიტყვით შევეხები დანარჩენ შენიშვნებს.

1. „წიგნი დიდი მოცულობისაა და ის არ არის შეფარდებული სკოლაში დათმობილ საათების რაოდენობასთან“. ამოსაღებია მთელი შესავალი 1 — 19 გვ. თავი III ცნების თეორიებზე, „სადაც ლაპარაკია საშუალო საუკუნეთა ლოგიკურ თეორიებზე; ამოსაღებია თავი არასილოგისტურ დასკვნებზე, რადგან ის „იმდენად სპეციალური საკითხია, რომ ავტორმა იგი გამოიტანა ფილოსოფიის ინსტიტუტის სესიაზე“. „საშუალო სკოლის მოწაფეები ვერ მოერევიან ისეთ სპეციალურ საკითხს, რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის საკამათო პრობლემას წარმოადგენს. (მნათობი. გვ. 162 — 3).

a. დავიწყებ უკანსკნელი შენიშვნით. ის გარემოება, რომ ეს საკითხი სესიაზე მოხსენების სახით გამოვიტანე, არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის კურსში ეს საკითხი შეტანილი არ იყოს. მომავალ სესიაზე მე დასკვნის თეორიის შესახებ ვაკეთებ მოხსენებას და ისიც სპეციალისტებისათვის საკამათო იქნება. მაშ, დასკვნის თეორიასაც ნუ შევიტანთ სკოლის კურს-

ში. სესიაზე მსჯელობის შესახებაც იყო მოხსენება — ამასაც ნუ შევიტანთ! პროფ. დანელიას უყვარს არისტოტელესი და კანტის დამოწმება. უნდა გაიგოს პროფ. დანელიამ, რომ ჩვენში კანტი არ გამოდგება ავტორიტეტად და არისტოტელეს ლოგიკა ბევრ თავის ნაწილში უსრულო აღმოჩნდა! მე ვწერდი ჩემ სახელმძღვანელოს 1945 წ. რუსეთის ს. ს. ს. რ. განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული პროგრამის მიხედვით. ამ პროგრამაში არის თავი არასილოგისტურ დასკვნებზე. მეც ასეთი თავი შევიტანე ჩემს წიგნში.

B. თავი ცნების თეორიების შესახებ ამოსაგდებია წიგნიდან იმიტომ, რომ ეს თავი ეხება საშუალო საუკუნეთა ლოგიკურ თეორიებსო (ნომინალიზმი, რეალიზმი, კონცეპტუალიზმი). კანტის „ლოგიკის" კონცეპტუალიზმი, მეოცე საუკუნის ჰუსერლის სკოლის რეალიზმი, ასტერისა და თანამედროვე ინგლისურ-ამერიკული ლოგიკოსების ნომინალიზმი — ეს საშუალო საუკუნეებია? დღეს არ არის საჭირო ამ „საშუალო საუკუნეთა" თეორიების კრიტიკა?

C. პროფ. დანელია ფიქრობს, რომ სკოლის კურსისათვის ზოგიერთი თავი უნდა იყოს ამოღებული. რეცენზენტი ღია კარში იჭრება: წიგნის წინასიტყვაობაში მე ვწერ: „ეს სახელმძღვანელო გამოდგება უმაღლესი სასწავლებლების არასპეციალური ფაკულტეტებისათვის". რაც შეეხება საშუალო სკოლას, მისთვის ამ სახელმძღვანელოდან უნდა იქნეს გამოტოვებული შესავალი (1 — 19 გვ.) თავი III, და მთელი რიგი პარაგრაფები. პროფ. დანელიამ წაიკითხა ჩემს წიგნში, რა უნდა იყოს ამოღებული და მერე მენტორის ტონით მირჩევს: ეს თავები ზედმეტია საშუალო სკოლისათვისო.

2. რეცენზენტს არ მოსწონს ჩემი აზრი: „იგივეობის კანონი სინამდვილის კანონია". „ის წერს: „ამის წამკითხველი ასე იმსჯელებს: მაშინ ცვალებადობის კანონი არ ყოფილა სინამდვილის კანონი, ვინაიდან იგივეობა და ცვალებადობა ლოგიკურად რიცხავენ ერთმანეთს"; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლოგიკა ეწინააღმდეგება დიალექტიკას, რადგან დიალექტიკის თვალსაზრისით სინამდვილის კანონი ცვალებადობაა და არა იგივეობა. (მნათობი, გვ. 164).

იგივეობის კანონის განმარტებას მე რამდენიმე გვერდი დავუთმე სახელმძღვანელოში. იქ ახსნილია დიალექტიკისა და ლოგიკის დამოკიდებულებაც, განმარტებულია ისიც, რომ ცვალებადობის კანონსა და იგივეობის კანონს შორის არ არის წინააღმდეგობა. მე არ შემიძლია აქ ჩემი სახელმძღვანელოდან მთელი გვერდების გადმოწერა იმისათვის, რომ დავარწმუნო მკითხველი იმაში, რომ არაფერი გაუგებარი აქ არ არის; რომ მხოლოდ იმას, ვინც ამოგლეჯს ერთ წინადადებას კონტექსტიდან შეიძლება გაუჩნდეს ის აზრები, რომელიც პროფ. დანელიას მოსვლია.

მაინც, რაზე დავობს პროფ. დანელია? „იგივეობის კანონი სინამდვილის კანონია". ვწერ მე; პროფ. დანელია არ იზიარებს ამ აზრს, ის წერს: „იგივეობის კანონი ფორმალური ლოგიკის კანონია" (მნათობი, გვ. 164). მაგრამ განა მე უარვყოფ იმას, რომ ეს კანონი ლოგიკის კანონია? პროფ. დანელია აღიარებს, რომ იგივეობის კანონი მართლაც კანონია. და თუ იგი კანონია, ცხადია ის სინამდვილის კანონია. შეიძლება განა კანონი არსებობდეს და ის არ იყოს სინამდვილის კანონი? მაშ, ცხადია, რომ ჩემი დებულება: „იგივეობის კანონი სინამდვილის კანონია" მართებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში რეცენზენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს კანონი, რომელიც სინამდვილის კანონი არ არის. იქნებ პროფ. დანელია იმას მისაყვედურებს, რომ ეს კანონი ობიექტური სინამდვილისა („რომელიც ცვალებადობის კანონს ემორჩილება") კი არ არის, არამედ აზროვნების კანონია? მაგრამ ჯერ-ერთი: განა აზროვნება სინამდვილე არ არის და მეორე: განა აზროვნება ცვალებადობის კანონს არ ემორჩილება? პროფესორი უნდა ერკვეოდეს ამ ელემენტარულ საკითხებში. ჩემს წიგნში წერია: „იგივეობის კანონი ობიექტური სინამდვილის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს, ნიშანს, რომელსაც საგანთა გარკვეულობა ეწოდება (გვ. 192). აზროვნების კანონები ობიექტური ქვეყნის კანონზომიერებას ასახავენ. არ გამორიცხავს მთლიანად ცვალებადობას — როგორც ეს პროფ. დანელიას ჰგონია — სინამდვილეში ცვალებადობაც არის და იგივეობაც, სინამდვილეში მათი მთლიანობაა. საგანთა იგივეობის მხარეს, მათ გარკვეულობას ასახავს იგივეობის კანონი.

3. პროფ. დანელია აღშფოთებულია ჩემი წიგნის შემდეგი დებულებით: „ლოგიკური აზროვნება არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ჩვენ უეჭველად ჭეშმარიტებას მივწვდებით". თუ ეს ასეა, მაშინ „რა საჭიროა ლოგიკა, რა საჭიროა ლოგიკური აზროვნება". (მნათობი, გვ. 163).

ვიცი რა პროფ. დანელიას ციტირების მეთოდი, მე მაშინვე ჩემს წიგნში ჩავიხედე და, როგორც მოსალოდნელია, აღმოვაჩინე, რომ რეცენზენტს გამოუტოვებია ერთი სიტყვა. ჩემ წიგნში წერია: „მხოლოდ (ხაზი გასმულია სახელმძღვანელოში!) ლოგიკური აზროვნება — მხოლოდ სწორი აზ-

როვნება არ გვაძლევს იმის გარანტიას და სხვა. (გვ. 25). რატომ არის ეს დებულება მცდარი? იქნებ პროფ. დანელია ფიქრობს, რომ იდეალისტი ფილოსოფოსები მხოლოდ იმიტომ ცდებოდნენ, რომ ლოგიკურად არ აზროვნებდნენ; ლოგიკურად რომ ეაზროვნათ, მათი სისტემები ჭეშმარიტი იქნებოდა? იქნებ პროფ. დანელია იმას მისაყვედურებს, რომ მკითხველისათვის ამგვარი განცხადების შემდეგ გაუგებარი იქნება ლოგიკის მნიშვნელობა. რასაკვირველია, მხოლოდ ეს დებულება რომ ყოფილიყო წიგნში, მაშინ მოწაფესაც გაუჩნდებოდა ეჭვი ლოგიკის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ამ დებულების შემდეგ ხომ სწორედ ეს საკითხია დასმული სახელმძღვანელოში, და 4 გვერდის მანძილზე არის საუბარი ლოგიკის მნიშვნელობის შესახებ როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკაში. რაც შეეხება ჩემს დებულებას: „მხოლოდ ლოგიკური აზროვნება არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ უეჭველად ჭეშმარიტებას მივსწვდებით“ — ეს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური დებულებაა.

4. პროფ. დანელიას დანარჩენი შენიშვნებიდან ზოგიერთი სრულ გაუგებრობას ეყრდნობა (მაგ. საკითხი დასაბუთებისა და დამტკიცების ძესახებ და სხვ.)

ერთი რამ არის საინტერესო: ჩემი ლოგიკის სახელმძღვანელო ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ლოგიკის საკითხები არა თუ მაშინ, როდესაც ეს წიგნი იწერებოდა, არამედ დღესაც ბევრ შემთხვევაში გაურკვეველია. ლოგიკოსების თათბირზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა ივნისში, ბევრი რამ ახალი გამოირკვა. რასაკვირველია, ჩემი წიგნი აღარ უპასუხებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც დღეს წამოვუყენებთ ლოგიკის კურსს. და არა თუ ეს წიგნი, რომელიც 1945 წელს არის დაწერილი, არამედ საშუალო სკოლების სახელმძღვანელოც, რომელიც მე შარშან დავწერე და დღეს სკოლაში იხმარება, ისიც გადასამუშავებელია. მოსკოვში მე დამავალეს ლოგიკის კურსის დაწერა უნივერსიტეტების ფილოსოფიის ფაკულტეტებისათვის რუსულ ენაზე. მთელ იმ გამოცდილებასა და დადგენილებებს ლოგიკის დარგში, იმ შენიშვნებსა და კრიტიკას, რომელიც თათბირზე აწარმოეს ლოგიკის სახელმძღვანელოების მიმართ, მე გამოვიყენებ დავალებული კურსის წერისას.

სამწუხაროდ ჩემი სახელმძღვანელოს შესახებ მე შენიშვნები ჯერ არ მიმიღია. საქმიან კრიტიკას კი დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია და ამისთანა კრიტიკას მოველოდი და მოველი მე მკითხველისაგან.

ᲛᲬᲘᲜᲐ 8 ᲛᲬ.
29
КНИЖНАЯ ПАЛАТА

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ